ლიდია მეგრელიძე

სახსოვარი

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
თბილისი
1958



ჩვენი დროშა

ჩვენი დროშა ალისფერი
ბზის სხივებით ნაფერია,
ფერად-ფერად პირმოხატულს
ზედ მშვიდობა აწერია.

ეს თავთავი ლალად შლილი
ნაყოფია ძმური შრომის,
ეს ჩაქუჩი, ეს ნამგალი
მეგობრობა ხალხთა შორის.

მიტომ მიყვარს მე ეს დროშა,
მიტომ მიყვარს ასე მტკიცედ:—
მე სამშობლოს ერთგულება
ამ დროშაზე დავიფიცე.

ი ა

აი, შეხე, ბუჩქის ძირას
ილიმება ია...
ეშხით მწვავს და
სუნით მათრობს,
ტურფა, ლამაზია!
გაზაფხულის მახარობელს
გული გაუღია,
თვისკენ იწვევს ხმატკბილ სტუმრებს,
ქება გაუგია.
სიო დარდით გარს ევლება
თვალნაბია ლამაზს,
ხან ჩამალავს მწვანე მოლში,
ხან ცრემლებით ნამავს.
იცით რატომ? სიო ხედავს
მოსწყვეტენ და მორჩა...
სიო ნაპრალს მოეფარა,
ია ალარ მოჩანს.

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

მიყვარს, მიყვარს გაზაფხული,
ველი ტურფად მოქარგული,
რა ნაზია,
რა ლამაზი
ყვავილების თაიგული!
მწვანე ველზე მიყვარს რბენა,
იქ პეპელამ იცის ფრენა,
როს ვიქერ მათ
ხტუნვით, ლაღად,
ფრთას შლის გულის აღმაფრენა.

მიყვარს მდელო, ბურთი, ლელო,
რბილი მოლი უნდა ქქელო,
რა კარგი ხარ,
რა ლამაზი,
გაზაფხულო საყვარელო!

ია და ბავშვი

ნუ შემახებ პაწია ხელს,
ნუ, ნუ-მეთქი, ჩემო კარგო,
ის არა სჯობს, გავიფურჩქნო
და ბალნარი მოგიქარგო?

მეც შენსავით პატარა ვარ,
გამახარებს შენი ცქერა.
ახლოს დაჯექ, გამაგონე
მხიარული შენი მღერა.

გ ა ნ თ ი ა დ ი

მოციმციმებს ცის ნათელი,
მოქრის, მოქრის თეთრი რაშით,
არემარე გულგახსნილი
ეგებება ცეკვით, ტაშით.

ია ფოთოლს უჩურჩულებს,
სიო ბუჩქნარს არხევს ნელა,
ვარდი ბაღნარს აშუქფერებს,
კლდის კალთებში კრთის ენძელა.

ერიამულობს ფრინველთ გუნდი,
შარიშურობს ტყის ნაპირი,
დიად განცდას მისცემია
დედამიწის ზედაპირი.

მ ე რ ცხ ა ღ ი

მერცხალი ვარ, ვჭიკჭიკებ,
მიყვარს შრომა ხალისით,
მიყვარს თეთრი ლაჟვარდი,
ვარდისფერი აისი.

მოვალ, მომაქვს სიცილი
უდარდელი, ბავშვური,
შენს ფანჯარას ვესტუმრე,
შენკენ გამონაშური.

მიყვარს ბუდე ნამყოფი,
მთის ჩანჩქერი ანკარა,
სადაც დედა ალერსით
დამაფრენდა პატარას.

გ ა ნ თ ი ა დ ზ ე

ხტის და კისკისებს პატარა თინა,
იქნებ არ იცით, რამ მოალხინა?
დღეს განთიადის თეთრი სიცილი
ისე იამა, აღარ სურს ძილი,
მერცხლის ჭიკჭიკმა მოსტაცა სმენა,
ზურმუხტ მდელოზე მასაც სურს რბენა.
ბევრს დაჰკრეფს თინა ფერად ყვავილებს.
დედას მოუტანს, დედას აამებს,
და გაზაფხულის პირველ სიხარულს
მოჰფენს ოთახს და ოჯახს მხიარულს.

მოციმციმდა გაზაფხული

მოციმციმდა გაზაფხული
ია-გიაცინტებით.
ფერად-ფერად მოკაზმული,
მოჭიკჭიკე ჩიტებით.

ალდევნა ოქროს სხივებს
ჭრელფრთიანი პეპელა,
და ფოთლებზე ბროლის მძივებს
სიო არხევს ნელ-ნელა.

ხტუნავს ნუკრი მთის კალთებზე,
სიხარულით დამთვრალი,
ნაკადულის ცელქ თვალებში
ჩაიძირა ზამთარი.

ჭიკ-ჭიკ, ჩემო მერცხლებო

ჭიკ-ჭიკ, ჭიკ-ჭიკ, მერცხლებო,
კუდრაჭებო, ცელქებო,
საიდან მოფრენილხართ
ასე დილაადრიან,
მთებისა და ზღვებს იქით
გიგულვებდით დარდიანს.
სამშობლოში მოფრენამ
გაგინათათ თვალები?
აი, ფართე მინდვრები,
აი, მწვანე ჭალები,
ლურჯი ცა და ჩანჩქერი,
მიწა ოქროს მზიანი...
თქვენთვის მუდამ მზადა მაქვს
სიტყვა ალერსიანი.
ჭიკ-ჭიკ, ჭიკ-ჭიკ, მერცხლებო,
კუდრაჭებო, ცელქებო.

გივის ჩიტი

რა კარგია გივის ჩიტი,
უცქერი და ვერ მიხვდები;
ასე გაჩნდა, თუ მხატვრის ხელს
დაუხატავს მისი ფრთები.

ყველას მოსწონს გივის სახლში
ეს კოპწია, ეს პატარა,
და ზამთარი გივის ჩიტმა
სულ ალერსში გაატარა.

დადნა თოვლი და ბუჩქებში
გაიშალა ლურჯი ია,
აყვავილდა ბაღები და
გაიფურჩქნა ვაშლი, ბია.

მოფრთხიალდნენ ჩიტები და
რუმ ჭალები აამღერა,
ნაზამთრ ველზე ყვავილები
აბიბინდნენ ათასფერად.

დილით გივიმ ჩიტუნიას
საკენკი რომ დაუყარა,
ჩიტუნიამ არც ერთ მარცვალს
ნისკარტი არ მიაკარა.

მინდვრებისკენ მობუზული
გაჰყურებდა ხეთა გუნდებს,
სადაც მისი მეგობრები
იკეთებდნენ ახალ ბუდეს.

შეებრალა გივის ჩიტი
და მოჰხვია ფრთხილად ხელი,
სთქვა: ჩემსავით გიყვარს, ალბათ,
შენც ეს ტურფა მთა და ველი.

შენც ჩემსავით გიძგერს, ალბათ,
ეგ პაწია ნორჩი გული,
ჰა, გაფრინდი, გაიხარე
ამ ბედნიერ გაზაფხულით!

ღიღა მტკვრის სანაპირზე

ფრთა ფრთას შემოჰკრა ნიავმა,
გადმონაქროლმა მთიდან,
ჩიორა ყივილ-ხივილით
ფრთხიალებს, ბუდეს იდგამს.

გავარდისფერდა ცისკარი,
ცას მარგალიტი ცვივა...
ლაჟვარდის ცისფერ ნათელში
თვალს აციმციმებს ია.

იღვიძებს მტკვრის ნაპირები,
სიცოცხლე რა კარგია!..
მოგესალმები, თვალლურჯა,
ჩემო პატარა იავ!

რა ყვავიღებია?

მოველ, მომაქვს
ბროლ-ალმასით
მოქედილი ვერცხლის თასი,
სურნელება ნაზზე ნაზი...
ვინ ვიქნები თქვენი აზრით?

ქლდეზე ობლად აღვიზარდე,
მშობლიურ მზით მიძგერს გული,
ვინც მე მნახავს, შვებით იტყვის:
„უკვე დადგა გაზაფხული“.

გაზაფხული სოფლად

თუთას დაუსხამს კვირტები,
ჩქარა ფოთლებსაც გაშლის,
ალუჩა აყვავებულა,
აკოკრებულა ვაშლი.
ატმის ყვავილის მტევნები
გადმოკიდულან ქინდრად,
ბაიას ოქროს თვალები
ამოუქარგავს მინდვრად.
იებს გულები ნაზამთრი
გადაუშლიათ შვებით,
ენძელა, კენტად ნაზარდი,
მზეზე კეკლუცობს ქებით.
რამდენი გაზაფხულია,
რამდენ ასეულ წლების...
ახლა სხვა სიხარულია,—
ცხოვრების განახლების.
მზე დაკაშკაშებს გარემოს,
გვატკბობს პირნაზი მთვარე,
ვიშ, რა კარგი ხარ, სოფელო,
მიწის დოვლათის მხარეე!

დღეს ესტუმრა სამშობლოს

ამ დილით მოფრენილა
ჩემი გიჟი მერცხალი;
და ჭიკჭიკებს, ჭიკჭიკებს
მზიურ შუქით დამთვრალი.

თავს ევლება ალერსით
მწვანედ ფოთლილ არესა,
და შეჰხარის კისკასით
მშობელ ტურფა მხარესა.

მას უსმენენ ყვავილნი
ტუჩებღია, ნარნარი,
გულში იკრავს მის ტკბილ ხმას
ველ-მინდორი, ბალნარი.

და ბორიო ნელ-ნელა
ფრთებს შლის, მოქრის ფშვენითა,
ილიმება ენძელა
ზეციური ლხენითა.

მზის კაშკაშა სხივები
ველს ეფრქვევა ცქრიალით,
იწვის ბროლის მძივები
მისი კოცნა-ტრფიალით.

ჩემი გიჟი მერცხალიც
აღარ დგება სიამით,
კვლავ ევლება მიდამოს
შურდულივით, სრიალით.

კვლავ ჭიკჭიკებს, ჭიკჭიკებს
ეს კუდრაჭა პატარა.
დღეს ესტუმრა სამშობლოს,
აი რამ გაახარა.

8 მარტი

დღეს ქალების ზეიმია,
მეგობრებო, ტაში... ვაშა...
აი, შეხეთ, პარაშუტით
როგორ ხტება ჩვენი პაშა!

ირას დედა პილოტია,
ვარსკვლავებში დაქრის ცაზე,
თინას დედა—კაპიტანი,
დააცურებს გემებს ზღვაზე.

ცუცას დედა—კოლმეურნე,
განთქმულია ვაშლით, მსხალით...
უჰ, ვინ მოთვლის, რამდენი ჰყავს
ჩვენს სამშობლოს გმირი ქალი.

ჩემო პატარავ

აპრილის მზე რომ შემოანათებს,
აბრჭყვიალდება მდელოზე ბროლი,
სხივები ჭალებს თეთრად აანთებს
ათასი ჯაჭვის ათასი რგოლით.

შენ თან აჰყვები პირველ ბორიოს,
შვებით ამართავ პატარა ხელებს,
მარდად გადირბენ სერებს გორიანს
და კრიმანჭულით მიარღვევ ველებს.

იქ გელოდება სკოლა და სწავლა,
სინათლის სხივი ჰფენია სოფლებს,—
ისე გიხდება ამ გზაზე გავლა,
ვით ნამის თქორი დასიცხულ ფოთლებს.

წინ გეფინება ხმაური ხალხის
და სურნელება ია და ვარდის,
მოხვალ და მოგაქვს შუქი სიახლის,
როგორც გაზაფხულს ყვავილი ატმის.

დ რ ო შ ე ბ ი

დროშები წითელი მაისის
მოეფინოთ ველ-მინდვრებს, ვახაროთ:
— გმირობით, სწავლით და ხალისით
მოვდივართ, სამშობლოვ ახალო!

მაისის დიღა

გულს ამღერებს ამ მაისის ელვარება,
ეს ფუსფუსა ნიავ-ქარი ამ დილის...
სილამაზევ, ისევ დგახარ ჩემს კარებთან
გაზაფხულის მოოქროვილ მანდილით.

ქართულ მიწის სიხარული მომაქვს კალთით,
მომაქვს გულით სიხარული ჩემი ხალხის...
სილამაზევ, შენს წინაშე კრძალვით თავს ვხრი:
მე სამშობლო მეხატება შენი სახით.

მ ა ი ს ი

სიცილით, კისკისით
მოვიდა მაისი,
იები, იები,
რამდენი სოსანი!

ქუჩებში დაცურავს
წკრიალა ხალისი,
ბაღები აივსო
ვერცხლისფერ შროშანით.

სიმღერა პირველ მაისზე

სად არის ქვეყნად მაისი,
ხალხს ასე სად უმღერია!
ქუჩაც ყვავილობს, ბაღებიც,
ვარდებიც ლალისფერია.

ცა—რძისფერ ატლასბროლება,
მიწა—ოქროს ტბა მღელვარე,—
ეს არის ჩემი სამშობლო,
კომუნის დროშით ელვარე.

ქალაქი—სასახლეებით,
ლხინით, გუგუნით, გრიალით...
სოფელი ფართე ყანებით...
მიყვარს მე მათი შრიალი.

ჩაჰკონებია ხელი ხელს
ყველა ცოცხალი ძალისა,
შეხეთ კლდეებში ნაკვერჩხლებს,
მთებიც ამდგარან ხალისად.

სად არის ქვეყნად მაისი
ასე ლაღი და ნარნარი!—
ეს არის ჩემი სამშობლო
შრომით და ბრძოლით გამთბარი.

გამარჯვების მაისი

გოგოვ, გოგოვ,
თვალეუეუნა, პირმთვარეევ,
მოციმციმდი,
მოდი, გამომიდარე,
ეგ ვარდები
თვალებში მომაყარე,
გამარჯვების
გაზაფხული მახარე.
ცელქო, ტუჩზე
ყაყაჩო რომ გიელავს,
მამას ელი,
გული მიტომ გიღელავს?
დახატულო,
ყვავილების ფერებით,
ყვავილებით
მამას მოეფერები!
დაფუსფუსებ,
სულ მხადებას უნდები,
გიხარია:
მამა დაგიბრუნდება.
ეგ ვარდები
თვალებში მომაყარე,
გამარჯვების
გაზაფხული მახარე.

თეთრო პეპელა

თეთრო პეპელა, ნაზო პეპელა,
მიყვარს მე შენი სითეთრე მინდვრად.
ამ მზიან დღეში,
ამ ლაჟვარდ ფერში
შენთან ფრენა და ფარფატი მინდა.

შენი დაია—ია-ბაია
და მეც შენსავით მაქვს გული წმინდა.
ამ მზიან დღეში,
ამ ლაჟვარდ ფერში,
შენთან ფრენა და ფარფატი მინდა.

შავი ზღვა

მიყვარს, როცა ყურს ვუგდებ,
შენს სიმღერას. შენს შრიალს...
იაგუნდის კალთები
ნზისკენ გადმოგიშლია.

ვინ თქვა შენზე, შავია,
შავ ფერს შენთან რა უნდა!
თავზე დაგცქრიალებენ
ვარსკვლავები გუნდ-გუნდად.

შენი ლაღი ტალღები
ნშობლიურ ცის ფერია,
საქართველოს სიტურფე
გულში ჩაგიფენია.

სალამი და მშვიდობა
შენს ნაპირებს მთვარიანს...
ქალაქში რომ დამცხება
შენთან მომიხარია.

ჩამოდი ჩვენთან

წერილი ქალაქელ მეგობარს

დადგა ივნისი, დაყვითლდა მსხლები,
ბალი აივსო იაგუნდებით.
ჩამოიყურსა ნწვანე ფოთლებში
ტკბილი თუთები და ალუბლები.

თხილმა კაპლები გამოამზევა,
ოქროცერცვებმაც დაისხეს პარკი,
ჩვენმა ლამაზამ ფური მოიგო,
გაგეხარდება, ისეთი კარგი.

ვთოხნით ბალჩებს და ვწმენდთ მავნე ბალახს,
და სიხარული უფრო დიდდება...
ჩვენს შრომას მზე და სიცოცხლე ახლავს,
ჩვენთან ცხოვრება არ მოგწყინდება.

ციცო პირველად ხედავს ზღვას

აქ შეჩერდნენ, თეთრ ნიშანზე
შეაჩერეს თვალი.
დღეს პირველად ჩამოსულა
ეს პატარა ქალი.
ჩაჰფრენია დედის კალთას,
ატუზვია წინა.
„ციცო, გოგოვ, ამ ზღვამ ასე
როგორ შეგაშინა?
აკი ამბობ, თითქოს გინდა
გახდე კაპიტანი...
ზღვიდან ზღვამდე ნავარდობდე,
როგორც ნიავ-ქარი...
ახლა?
შენი გულადობა,
გოგოვ, სადღა არი?“
ციცოს უცებ შერცხვა დედის,
ხელი უშვა კალთას,
და ზღვას ისე ეპარება,
როგორც მელა ქათამს;
კვლავ შედგება, კვლავ გახედავს,
ლურჯად ნაგვირისტებს,
ლურჯ ატლასზე გადმობნეულს
ციურ მარგალიტებს...
„ეს რა ბურთი ამოგორდა,
ცეცხლია თუ მთვარე?“
— გოგოვ, ციცო, ეს მზე ჩადის
დასავლეთის მხარეს.

ქ ვ ი შ ხ ე თ ს

ქვიშხეთო, ტურფავ, მზიანო,
სურნელნაფრქვევო მთიდან,
არ მინდა დავიგვიანო,
ჩქარა გეახლო მინდა.
შენკენ მოქრის და მოფრინავს
ჩემი გული და აზრი.
წუხელ მესიზმრა შენს მკერდზე
მტევნებდასხმული ვაზი.
ფიქვნარში შაშვი ჭახჭახებს,
სადღაც ტოროლა მღერის...
მინდვრად ყვავილი ჟუჟუნებს
ათასნაირი ფერის.
ტაშისკარში დგას ბანაკი
ძველი კლარჯეთის გზაზე,
წითელი დროშა ფრიალებს
ჩვენი ბანაკის თავზე.
მტკვარი დუდუნით ჩაუქრის
და მე შორიდან მესმის:
ტალღას ტალღაზე გადააქვს
ახალ-ახალი ლექსი.
სიხარულია ბანაკში,
სიმღერა, ჟრიამული...
მეც მათთან მომიხარია,
აღარ მიდგება გული!
ქვიშხეთო, ტურფავ, მზიანო,
სურნელნაფრქვევო მთიდან,
არ მინდა დავიგვიანო,
ჩქარა გეახლო მინდა.

საღამი ჩემს დედიკოს

(სანატორიუმიდან)

მე დღეს კარგად ვარ,
აღარა მღლის
ცელქობა ბევრი;
დავდევ პეპელებს,
ჩემს ტოლებში
ვცეკვავ და ვმღერი;
ვიპერ კალიებს,
ვკრეფ მარწყვებს და
ვმსჯელობ ეოლოზე,—
ეოლოც ხომ ჩქარა
დაბწიფდება
მინდვრის ბოლოზე!
შვენის აგარაკს
პანჭური და
შავი ქლიავი
და ეს ყანები,
როცა თაველს
არხევს ნიავი.
დედიკო, აქ მზეც
სხვანაირად
ანათებს არეს,
და ვერ აგიწერ,
რა კარგია
წაღვერში მთვარე!
მე დღეს კარგად ვარ,
გავჯანსაღდი
და მოვიკეთე,
ზუსტად ვასრულებ

ექიმების
ყოველ განაწესს.
მიელიან კარგად,
არ მაკლებენ
ზრუნვას, სიყვარულს...
გიგზავნი კოცნას,
დედიკონა,
და ბევრ სიხარულს!

ქ ვ ი შ ხ ე თ ი

კვლავ ქვიშხეთი, წყარო, მზე და მწვანე მთები,
მტკვრის საამო შარიშური ტაშისკართან,
კარ-მიდამო დახატული ვარსკვლავებით,
ბაღების და სამზირების ჭრელი კალთა.
ირიჟრაჟებს დილა ლურჯი, სამაისო,
დაუქროლებს მინდვრებს სიო გათენების,
გაკვირდებით, იტყვით: ნეტავ, სად არისო
ამდენ ხმაზე მოჭიკჭიკე ჩიტუნები?
ნაძვ-ფიჭვნარში, სახლებში თუ ეზოებში
ჟღურტულებენ, ვით მერცხლები ბუდის გარეთ.
განა მართლა ჩიტებია?— ბავშვებია,
ჩიტებივით ხმატკბილი და მოცქრიალე.
ყოველ მხრიდან, ჩვენი ქვეყნის ყოველ მხრიდან
მოფრენილან ეს ცელქები ცეკვით, ტაშით,
მიტომ არის აგარაკი ასე კარგი
ზაფხულობით ქვიშხეთში და ტაშისკარში.
ირიჟრაჟებს დილა ლურჯი, სამაისო,
დაუქროლებს მინდვრებს სიო გათენების,
გაკვირვებით იტყვით: ნეტავ, სად არისო
ამდენ ხმაზე მოჭიკჭიკე ჩიტუნები?

სიმღერა ყანაზე

(ხალხურ კილოზე)

მოვიდა წვიმა შხაპუნა,
ყანაო, გაიხარეო,
შენს საალერსოდ პირს იბანს
დღისით მზე, ღამით მთვარეო.

როცა გადიღებს ამინდი,
თავთავი გადმოხარეო,
აბიბინდი და აბრწყინდი,
ააზღვაურე არეო.

ჩემო ყანავ

მოქრის, მოცურავს ნელი ზეფირი,
მოქრის და არხევს აქოჩრილ ყანას,
სხივით ნაფენი ღელავს ნაპირი,
მას არემარე უმღერის ნანას.
ო, ჩემო ყანავ, შენს მსუყე ნაყოფს
გარს რაოდენი თვალი უცქერის...
ვინ ლექსებს გითხზავს, აქებს შენს სამყოფს,
ვინ საოცნებო ზღაპრებს გიმღერის...
დამწიფდი ჩქარა, მზიურ თავთავში
ქარვის მარცვლები აჩხრიალდება
და მაგ ოქროსფრად გაშლილ კალთებში
ელვის ნამგალი აპრიალდება.
ყველას თვალები გაუბრწყინდება,
მათ მიწის მადლი მოჰფენს სიხარულს
და სამუდამოდ გულს ჩაისახავს
შრომის დიდებას, შრომის სიყვარულს.

ღომის საკრეფად

დამწიფდა ღომის თავთავი,
საკრეფად ემზადებიან,
ბავშვები სიცილ-ხარხარით
ერთმანეთს ეჯიბრებიან.

ა, ეს კალათა ჩემია,
ეს მოკლე დანა ჩემიო,
აქ იდვას, არვინ გაბედოს,
არავინ ახლოს ხელიო,—

თქვა თინამ, მარდად გაიქცა,
დაკეტა სახლის კარები,
ნიკომ ულელში შეაბა
ლამაზი ნიშა ხარები.

დასხდნენ ბავშვები, წავიდნენ
სიმღერა-კრიმანჭულითა.
დედაც თან მისდევს მეურმეს
აღსავსე სიხარულითა.

რა კარგია შემოდგომა

რა კარგია შემოდგომა,
ქარის ნელი სრიალი,
სიმინდების კალოები,
ხმელი ჩალის შრიალი.

მზიარული განთიადის
სილაჟვარდე თვალებში,
„ჰარალო“ და „რაშორერო“
კოლექტივის ყანებში.

ნაპირების გაჩალვა და
შეღამება ზვინებთან,
ნამგალივით მთვარის შუქი,
დამსხვრეული მინებად.

ტაროების რბილ ფუჩეჩში
მასპინძლობა კვახებით,
მაჟარი და ცხელი მჭადი
ჰარმაღიან სახლებში.

რა კარგია შემოდგომა,
ქარის ნელი თარეში,
კალოებზე ჩაძინება
მოსადაფულ ღამეში!

შ ე მ ო დ გ ო მ ა

დაშაქრდა თეთრი მტევნები,
ნახეთ, რა გემრიელია.
ჭირიმე შენი, ჭირიმე,
რა სიხარულის რთველია!

ნიგოზი ბევრი მოსულა,
ვაშლი და კომში ბლომაა.
ჭირიმე, შენი ჭირიმე,
რა კარგი შემოდგომაა!

ოქტომბრის სიმღერა

ცეკვით. ტაშით, კისკისით,
ჟრიამულით, წკრიალით,
მოვდივართ, მოვიმღერით
წითელ დროშის ფრიალით.

გამარჯობა ოქტომბერს,
ლამაზს, ლალებიანსა,
ვარსკვლავებით მოფენილს,
მოკაშკაშეს, მზიანსა!

პატარა პიონერები

ჩვენ გვიყვარს დროშები
წითელი მაისის,
მომავლის მუშები
სავსე ვართ ხალისით.

ჩვენ, პიონერებმა,
არ ვიცით მოწყენა,
გვეძახის ცხოვრება,
შრომა და მოლხენა.

ქეთოს მერცხალი

გაფრინდა ქეთოს მერცხალი,
ალარ ჭიკჭიკებს ბანზედა,
ქეთო მოწყენით გაჰყურებს,
ცრემლი უბრწყინავს თვალზედა.

და ასე ამბობს: ნეტავი,
მეც რად არა მაქვს ფრთებიო,
რომ მისებრ გადავიქროლო
ცადაბჯენილი მთებიო.

ბავშვი და ბიღიღა

ახ, ვერ გაგატან შემოდგომის ქარს,
რა ვქნა, მიყვარხარ, ჩემო ბილილა!
ვერ დავივიწყებ მაისის სიზმარს.
თვალწინ მეხატვის ვარდების დილა.
და თუ დაჰქროლებს ნოემბრის ქარი,
ნაპრალებს იქით გადაგაცილებს,
მაშინ მე, როგორც შორი სიზმარი,
ჩემს წიგნში ჩავდებ შენს სათუთ ღილებს.

საღამო ციტრუსებში

ბილიკზე აცურდა
ნიავი ფრიალით,
სიმღერით მივყვებით
ფოთლების შრიალს,
მზე თითქოს დაიხრჩო,
სხივების ცალი
კანკალით ჩაეკრა
ზვირთების ჩხრიალს.
ქვიშა ჰგავს ჩუქურთმის
ბრეყვიალა ქალალდებს,
ლაქვარდში ვარსკვლავნი
კრთიან და ელავენ.
ზღვა შორს მიაქროლებს
მხიარულ ხომალდებს,
ჩვენი ციტრუსებიც
ზღვასავით ღელავენ.
რამდენი ფერია,
ნაზი და პრიალა,
ბილიკებს გავიცლით
დინჯი ნაბიჯებით,
კიდიდან კიდემდე
ლიმონ-ფორთოხლები...
ოქროს ზოდებივით
დგანან ნარინჯები.
საღამო ციტრუსებში
მეტად ლამაზია,
ჩვენ ისევ ვუცქერით
ზვირთების ჩხრიალს,

მთვარე გადმოხედავს
ბაღებს თავაზიანს,
სიმღერით მივყვებით
ფოთლების შრიალს...

ზამთარი სოფელში

ზამთარია, თოვს,
თეთრ ფანტელებს ყრის,
ზუ-უ, ზუ-უ, ზუ...
უჰ, რა ქარი ქრის.

შაშვი სუროს კენკს,
სცივა საწყალ ჩხიკვს,
მოუფუყავს ფრთა
ყელწითელა ჩიტს.

მამაჩემი „ჩახ“,
შეშებს მარდად სჭრის,
ზუ-უ, ზუ უ... ზუ...
უჰ, რა ქარი ქრის.

თ ო ვ ლ ი

თოვლი მოდის, უჰ, რა თოვლი —
თეთრი, თეთრი, ნარნარი,
თეთრად ბრწყინავს ეზოები,
თეთრად ელავს მთა-ბარი.
ლიას, გიას როდი ახსოვთ
ამისთანა ზამთარი.

დადგეს თოვლის ბაბუები,
კოშკი ცამდე მაღალი,
კოშკის გვერდით ააშენეს
სახლი ახალ-თახალი.
გია კარგი ხურო არის,
ლია კარგი მხატვარი.

გუნდაობენ, ყირაობენ,
თინაც, რეზოც აქ არის,
სხვა ბავშვებიც აქ მოსულან,
აგერ მოდის თამარიც...
ნეტავ მუდამ იქნებოდეს
ამისთანა ზამთარი.

თეთრად ბრწყინავს ყველაფერი

თეთრი ფთილა ტყეს და ქედებს
თეთრი ფარჩით ბურავს,
ხეებს თეთრად ნახავერდებს
თეთრი ქუდი ხურავს.
აღარა ჩანს არსად მდელო,
ღობე, ყორე, სერი...
თეთრად ბრწყინავს ყველაფერი,
ყველგან თეთრი ფერი...
მშიერ ჩიტებს, მობუზულებს,
დაუშვიათ ფრთები,
დათვებივით დაკუზულან
თოვლიანი მთები.
აგერ, ქალი მოდის წყალზე,
მხარზე კოკა უდევს,
გიგლა მოსდევს ფეხის კვალზე,
უშენს თოვლის გუნდებს.
მოუხედავს, გაუღიმებს
ეშხიანი ქალი,
გულზე შავი კაბის ღილებს
აზის თეთრი ხალი.
— ეხ, შე ცელქო, ცუგრუმელავ,—
ახლა ქალიც მღერის,—
მაშ გამოდით ერთად ყველა,
ჰერი, ჰერი, ჰერი!
გუნდაობენ, გორაობენ,
უმკლავდება ქალი,
კოკა ხრამში გადაგორდა,
ვეღარ ნახავს თვალი.

ბოლოს კოკა მოიკითხეს,
ყველგან ძებნეს ბევრი...
თოვლმა ფეხი მოიკიდა,
ჰერი, ჰერი, ჰერი!

ნაძვის ხე

დგას ტყის პირად ტანაყრილი
ნორჩი, პაწაწინა.
ხან ნიავი უალერსებს,
ხან შხაპუნა წვიმა.

დღით მზე უელის, სხივებს აქსოვს,
ღამით ვარსკვლავები,
სირმის ქსელით მოუქარგავს
კოხტა ნაწნავები.

მასთან ხშირი სტუმარია
ციყვი, ცელქი, თეთრი,
ხშირად ჩიტიც დაჰფრენს თავზე,
ფრთხიალებს და ეტრფის.

დგას პაწია ნორჩი ნაძვი,
თავს იწონებს ტყეში,
მუდამ მწვანე თბილ დარშიც და
ცივ თოვლიან დღეშიც.

რა ლამაზი ხარ, ნაძვის ხევ

რა ლამაზი ხარ, ნაძვის ხევ,
კეკლუცო, სირმის თმიანო,
დარბაზის უცხო სტუმარო,
პირმომცინარევ, მზიანო.

ვარსკვლავის თვლებით მორთული,
შემოქარგული ელვითა,—
მიყვარს მე შენი ქათიბი,
ნაქსოვი ჩემის ხელითა.

მოხვალ და გვამხიარულებ,
ლამაზო, ტკბილოხმიანო...
დარბაზის უცხო სტუმარო,
პირმომცინარევ, მზიანო!

საღამი ნაძვის ხეს

სალამი ნაძვის ხეს
ჩვენს ტურფა პირიმზეს,
რა თეთრი მანდილით
მორთულა ამ დილით!
ყაბა აქვს ატლასის,
ღილები ალმასის,
თვალების ციმციმით
გვიმზერს და გვიცინის.

ვ ი გ უ ნ დ ა ო თ!

ვიშ, ეს თოვლი, ვიშ, ეს თოვლი,
მოფარფატებს ბარდნის ეზოს.
მოთამაშებს თეთრი ბროლი...
გაიხარე, ბიჭო, რეზო!

გამო გარეთ, ვიგუნდაოთ,
ვისრიალოთ მარხილებით.
შევეჯიბროთ, ვიბურთაოთ,
მერე დავდგათ თეთრი მთები.

ციხე-კოშკი ავაშენოთ
თეთრ ცქრიალა ჩუჭურთმებით.
კარ-მიდამო დავამშვენოთ
მოლივლივე გედის ფრთებით.

წინ დარაჯად გამოვსახოთ
თოფ-ჩახმახით თეთრი ძია,
აბა ნახოს, მტერმა ნახოს,
შემობრძანდეს, თუ ბიჭია!

და რეზომაც ყური ცქვიტა:
ნიკოს ხმაზე გარბის გარეთ,
ორთავენი ხტიან ცქვიტად,
ახმაურდა არემარე.

საჩხერის საბავშვო სახლის ბავშვებს

დღეს ობლები აღარა ხართ,
აღარ გავხართ ქუჩის ბავშვებს,
ახალ ყოფის მზე და მთვარე
თქვენს თვალებში მოკაშკაშებს.

ეს ლამაზი მინდორ-ველი
თქვენ სალხენად მოგიმზადეთ,
მოიმაგრეთ ნორჩი წელი,
იხარეთ და დაიზარდეთ.

და მეც მეტი სიხარულით
მოგწერთ ლიქსებს შარბათნარევს.
სალამი და გამარჯვება
ჩემს პაწია კომუნარებს!

ჯერ პატარაა.

ჯერ პატარაა, აკვანში სძინავს
და ძილში ხშირად გაეცინება,
ხან თავს გაანძრევს და ისევ ისე
ტკბილი ღიმილით ჩაეძინება.

გეყოფა ძილი, ჩემო პატარავ,
გამოიღვიძე. გენაცვალები,
თავისუფლების წმინდა ნათელში
ალამაზდება შენი თვალები!

თავისუფალი ბავშვი

განთიადია, ლურჯთვალობს დილა,
ბროლ-მარგალიტით მორთულა ველი,
მინდვრად ყვავილი ეშხით გაშლილა,
მღერის, მუსიკობს ირგვლივ ყოველი.

დილავ, ლამაზო, შენთან მეც ვხარობ:
თავისუფალი შვილი ვარ ერის,
ხალხმა მაჩუქა სულის სინაზე
სასიხარულო ახალ სიმღერის.

მივდივარ მზისკენ... ჩემს წინ იშლება
ლალმოელვარე გზა სიხარულის,
მუსიკობს სული, ნათლდება გული,
დღეს ჩემი ხმაა ხმა სიყვარულის.

ნანა, ღამაზო, ნანა

ნანა, ლამაზო, ნანა,
ნანა, გენაცვალები,
დაიძინე, იზარდე,
მზე გიბრწყინავს თვალებში.
მზე გიბრწყინავს თვალებში...
ნანა, ლამაზო, ნანა...

ყვავილების სურნელი
მოგაფინა ნიავმა,
გაზაფხული გახარა
თვალჟუჟუნა იამა...
თვალჟუჟუნა იამა...
ნანა, ლამაზო, ნანა...

გაიზარდე, იხარე
შენს ბედნიერ მხარეში,
თავისუფალ სამშობლოს
მზე გიბრწყინავს თვალებში...
მზე გიბრწყინავს თვალებში...
ნანა, ლამაზო, ნანა...

ქართლის ველი

(პატარა მოგზაურის დღიურიდან)

თქვენ გინახავთ ქართლის ველი
გადაშლილი მცხეთის იქით?
იქით მიქრის ჩემი ფიქრი,
ავტობუსიც იქით მიქრის...
რა ველია, რა მინდვრები—
ოქროს ფარჩა დარხეული,
დახატული, დაქარგული,
ბროლ-ალმასად დაფრქვეული.
გიმზერ, გიმზერ, ქართლის ველო,
მოელვარეე ათას ფერად.
როგორ მინდა შენს კალთებში
გადავიქცე მთლად სიმღერად.
თაეს მოვეელო შენს ვენახებს,
შენს ბაღ-ბოსტანს, შენს ყვავილებს,
შენს ყანებში, ჩემს ტოლებთან
მეც მივდევდე კომბაინებს.

თინას ტურფა

დღეს ტკბილეულს ჩემმა ტურფამ
პირი არ დააკარა.
ავადა მყავს, ვერ დავტოვებ,
მოვლა უნდა პატარას.
ცალთვალაა ჩემი ტურფა,
მაინც მიყვარს, გენაცვათ!
სძინავს... სანამ გაიღვიძებს
ცოტა, ცოტა დამაცათ!
ვერ დავფარავ, რბენა, ხტომა
გულით მინდა ძალიან.
მაგრამ თქვენთან სათამაშოდ,
რა ვქნა, ჯერ არ მცალია!

ჩემი სუმბუღი

ხუმუმ თავებს
ათავთავებს,
ეღიმება ირგვლივ ყველას,
თავს მაბრალებს,
ნაბავს თვალებს:
„არ მოვწყვიტო, შენსა ლხენას!“
ჩემს ბალჩაში,
ვით ლურჯ ტბაში,
იხატება მისი სახე,
დილის მკრთალი მთვარის შუქი
მის ტუჩზე თვლემს... მოდით, ნახეთ!

უქმად ხეტიალში

დგახარ, დასცქერ ორიანებს,
გეძნელება მისვლა სახლში:
ცა პირქუშად გეჩვენება
და ცის რისხვად—მზის კაშკაში.

უნიჭო ხარ? არა, ვიცი
ნიჭიც გაქვს და დროც გაქვს დიდი,
მხოლოდ უქმად ხეტიალში
დაგიკარგავს სკოლის რიდი.

ო, სირცხვილო, წელს გამოცდებს
როგორ შეხვდი, ბიჭო, ასე?
მასწავლებლის დარიგება
რა უკულმა დააფასე.

ბავშვები მთვარიან ღამეში

შრიალებს ფოთლები, ხმაურობს მიდამო,
მიმოქრის ნიავი წყნარი და საამო,
ნარნარებს მთვარე და ვარსკვლავთა ციმციმი...
ბავშვები დარბიან კისკისით, სიცილით.
მღერიან ტკბილ ლექსებს, მწყობრსა და მხიარულს.
არა აქვს საზღვარი მათ დიად სიხარულს.
იმღერეთ, გენაცვათ, ერთხელ კვლავ მასმინეთ
ეს შვების ჰანგები, იმღერეთ, მალხინეთ...
იმღერეთ, გეთაყვა, თქვენი ხმის წკრიალი
ამ სოფლის ლხინია და ყოფნის ტრფიალი.

გოგონა კოლხიდის ბალში

მახსოვს, იყავ პაწაწინა
კატის კნუტისხელა,
ძველ ფაცხაში გქონდა ბინა,
საბნად—ნაპრის ძველა.

მამაშენი ლორს მწყემსავდა,
სხვისი იყო ყველა,
დედაშენი ქილსა სწნავდა,
ფაცხის დასაგველად.

ფეხქვეშ გედგა სველი მიწა,
ქარი გლეჯდა ჩინარს.
დედა წუხდა—რით შეგმოსოს,
რატომ გაგაჩინა.

დღეს გაზრდილხარ ამოდენა
გოგო—სოფლის თვალი,
მოგდგამს შნო და სიამაყე
კოლხიდელი ქალის.

ფორთოხლებით აგივსია
განიერი კალთა,
შენს თვალებში მინდვრის ჩიტებს
ლხინი გაუმართავს.

დედაშენი კოლექტივში
პირველობას ჩემობს,

ნაფაცხარზე მანდარინებს
გაუშლიათ ჩერო.

მამაშენი მებაღეა,
შრომის ჯილდოს ელის;
დღეს შენს გულში ზღვაც ღელავს და
ნარინჯების ველიც.

ცაცას წერილი სვანის გოგო ღამარასთან

კიდევ მოვალ, კიდევ ვნახავ
მთის ჭიუხებს, ნაქარგს ნამით,
ვიცი, თათებს შემინახავ,
შენთან დამრჩა იგი ღამით.
მახსოვს: ერთხელ ლერწამს ვთლიდი
ჩაცუცქული კოშკის კართან.
ქორამახვშის გრძელ ჩიბუხზე
რომ გავკარი უცებ კალთა.
შევკრთი, შემრცხვა ღრმა მოხუცის,
შევდექ, ხელი მოვიფშვენი,
თითქო მითხრა: „ქალიშვილო,
თავხედობა არ შეგშვენის!“
წამოველ და თან წამომყვა
ეს შემთხვევა გულის მწველი,
თუ ბოდიშით დააჯერო,
გთხოვ, მომწერო, პასუხს ველი.
ალბათ ახლა ცა-ფირუზი
შუქს მოაფრქვევს ხევს და ღელეს,
ჩვენი ზაზა ირემს უზის,
ან დარაჯობს დათვის ბელებს;
ან კერასთან ჩამომჯდარი
ქორამახვშის სიტყვას ელის:
როგორ უნდა ინადიროს,
როგორ უნდა მოჰკლას მგელი.
ხან გახედავს ჰაეროპლანს
არწივივით მოსრიალეს,
უკვირს: ბიჭი ახალგაზრდა
უშბას როგორ დაფრიალებს.

კიდევ მოვალ, კიდევ ვნახავ
მთის პიუხებს, მთის ჩანჩქერებს,
და თქვენს ლამაზ სვანურ შაირს
ჩემს ჩონგურზე დავამღერებ.

შოთას ხეივანში

წინ მიძევს წიგნი ძვირფას ჩარჩოში,
გული შეჰხარის მის ყოველ მარცვალს.
მამის სახლიდან დედამ ქალიშვილს
ეს წიგნი მომცა მზითევის ნაცვლად.

გადავშლი ფურცლებს, ცის მნათობები
თითქოს თითებში დაირხევიან.
რამდენიც სიტყვა—იმდენივე მზე
აჰკიდებია ლექსთა ხეივანს.

ბრწყინავს მინდვრები—ნაფირუზები,
ცა ლაჟვარდებად ფანტავს ალმასებს,
ლალ-იაგუნდით ფეთქს აუზები,
კრთის მინანქრები პირმოკასკასე.

ფრთა გაუშლია აქ ფარშავანგებს—
პეპლებს კალთები ფერად მძივებად,
შოთას ვარდებზე იადონები
შესტრფიან დილის გამოღვიძებას.

ფიქალ კლდეებში თვლემენ ლომები,
რაშები ჰქრიან ლელიან ველზე.
აგერ ისკუპა ვეფხვმა ტორებით
და შეტორტმანდა დაჭრილი მზეზე.

ჩემო სამშობლოვ, შენც ვეფხვის ბედით
მოგქონდა წიგნი გენიის მთქმელი.
გმირთა თაობებს დაისრულ მკერდით
უტარებიათ შოთას სახელი.

ხელოვან ქალებს ოქროს ყაითნით
გამოუკვეთავთ შოთას თითები—
ბატის ფრთის კალმით რომ უწერია
ნესტანის თვალთა ხრიზოლიტები.

მაგრამ დღეს სხვაა ხალხის ზეიმი,
შოთას სიმებიც სხვარიგ მღერიან:
დღეს მშრომელ ხალხის დიად სიხარულს
შერითმებია მგოსნის გენია.

წინ მიძევს წიგნი ძვირფას ჩარჩოში,
გული შეჰხარის მის ყოველ მარცვალს.
ალბათ, ხვალ ამ წიგნს მე ჩემს ქალიშვილს
კრძალვით მივართმევ მზითევის ნაცვლად.

ძია შიოს ხსოვნას

ზამთრის სუსხმა დაგვისუსხა
მოამაგე მგოსნის გული.
აღარ გვათბობს ძია შიოს
უნაზესი სიყვარული.
გაითოშა, ეზო, სახლი,
ყველგან თოვს და ყველგან ცივა...
ჩვენ უშენოდ ვზივართ თალხით,
მწუხარების ცრემლი გვცვივა.
შენ გიყვარდა თეთრი ზვარი,
შენ გიყვარდა თოვლის მოსვლა.
შენი ლექსის თეთრი პწკარი
დღეს შავებით შეიმოსა.
ეს ზამთარიც წავა ნელა,
მალე მოვა გაზაფხული,
გაიშლება მინდორ-ველად
სიმღერები სიხარულის...
და შენ, ძია, ამ სიმღერის
ბევრი ია-ვარდი თესე...
— დაიხსომე: შიოს მერცხალს
ქვებს ნუ ესვრი, ბიჭო სესე!

გურამიშვილის საფლავი

გაზაფხულს მოჰყვა ფერთა სიმწვანე,
უკრაინაში მზე და ლხინია.
ალბათ ნახავდი გზის პირას ყანებს,
პოლტავისაკენ თუ გაგივლია.
იქ სოროჩინცის ნაზ თაიგულებს,—
ნახავდი ბაღებს ოქროსფერ სხივით,
ველს ყვავილებით პირმოხატულებს
უკრაინული სარაფანივით.
აქ ჩაქრობია მგოსანს ვარსკვლავი,
შესცვლია ფერი მთვარეს მოვერცხლილს...
აი აქ თბება წმინდა საფლავი
ქართული სიტყვის დაუშრეტ ცეცხლით.
ისევ გაივლი შენ პოლტავის გზით,
ფიქრებს მოგახვევს ლექსი ქართული—
გაბრწყინებული უკრაინის მზით,
პოეტის ძეგლზე ამოქარგული.

გოჩას ღურჯა

თქვენ გინახავთ გოჩას ღურჯა?
რა კოხტაა და რა მარდი!
ზურგზე აზის ვაჟკაცივით
ერთი ციდა დარდიმანდი.

დეზებს ჰკრავს და მიაქროლებს,
მხედარია მეტად ფიცხი.
ღურჯა მიქრის, მიფრუტუნებს,
თოხარიკიც კარგი იცის.

გოჩა მღერის: „გასწი, ღურჯავ,
გადავთელოთ მთები, გზები,
შეხე, როგორ გადაშლილან,
ეს ჭალები, ეს მინდვრები!

გასწი, გასწი, გამაქანე,
ჩვენ ორნი ვართ გულით ერთი,
ჩვენი ტურფა სამშობლოა
საყვარელი საბჭოეთი!

გამაქროლე, გამაფრინე,
ავადინოთ გზებს, ქვებს მტვერი...
დედას ვფიცავ, ჩემს მამულში
თუ შევნიშნე სადმე მტერი,—

ომს ავუტეხ ისეთს, ისეთს,
დაუდგება ორთავ თვალი...
დე, გაიგონ: რომ შენს მხედარს
საკაძის უჭრის ხმალი.

ფისოს თათზე ბრჭყალები აქვს

ფისო, ფისო, ფისუნია
ცუგოს ეთამაშება,
მაგრამ ფისო ყოველთვის
გალახული დარჩება.

იმიტომ, რომ ფისუნიას
თათზე ბრჭყალი ჰქონია,
ცუგოს თვალს რომ უკაწრაეს
თამაშობა ჰგონია.

ღუღუ მქვია

პატარა ვარ, ნაზი ვარ,
შავთვალა და ცქრიალა,
მოშიკშიკე ჩიტი ვარ,
ენატკბილი, წკრიალა.

მამის გულის ლხინი ვარ,
დედის თვალის ალმასი,
ბებიკოს რომ ვუყვარვარ,
ამიტომ ვარ ლამაზი.

კურდღელი და ბავშვები

კურდღელო, ცანცალა,
ნუ გარბი, ნუ,
აქ დარჩი, გენაცვა,
ვიხტუნოთ, „სკუპ“!

დაგიდგამთ ოქროს ტახტს,
მაგიდას, სკამს,
დაქყიტე თვალები,
ყურები—„წკაპ“...

მოგართმევთ რძის ფაფას,
შეხვრიპე, „ხაპ“,
ბევრს გაკმევთ კომბოსტოს,
კბილები—„კნაპ“...

ნუ ცმუკავ, ჰირიმე,
ნუ ტირი, სუ...
ჩვენ ერთად მეგობრად
დავრჩებით სულ.

ხტუნია და პაწია

გიგამ ბოსტანში ნახა
კურდღლის ორი ბაჭია,
ერთს დაარქვა ხტუნია,
მეორეს კი—პაწია.

თქვა: „ორივეს დავიჭერ,
ბოსტნის კუთხეც აქვეა,
ძმა ძმას რომ დავაშორო,
რა საქები საქმეა.“

მაგრამ ახლა ვუყუროთ
გიგას გაწამაწიას:
აქეთ გარბის ხტუნია,
იქით გარბის პაწია...

გიგამ ბევრი იდარდა,
გიგამ ბევრი იტირა.
ორი კურდღლის მდევარმა
ერთიც ვერ დაიჭირა.

ჩვენი ნანა

კარგი არის ჩვენი ნანა,
ქკვიანი და ნაზი,
უყვარს მდელო, ბალჩა, ყანა,
ვენახი და ვაზი.
ახლაც აგერ დაფუსფუსებს,
რწყავს მარწყვსა და ხენდროს.
ხან საკენკით კალთასავსე
გადასძახის ეზოს:
—წია, წია, წიწილებო,
აქ მოგროვდით ყველა,
ვარიებო, ყვინჩილებო,
თეთრო, გულყვითელა!
მოგცემთ საკენკს, დაგაბუდებთ,
დაიძინეთ მშვიდად,
მზე გადასცდა ოდის სარკმელს
მთები დაიბინდა.
შენ კი, ჩემო თეთრო ბატო,
ღელეს რომ მიჰყვები,
სად მიდიხარ ასე მარტო,
სად არიან სხვები?
ამოირბენს ნანა სახლში,
ჰგვის და უვლის ოჯახს.
ხან ხბო მოჰყავს, ხანაც ბატი
გოგოს ხუთ-ექვს გოჯახ,
შემდეგ წიგნებს ჩაუჯდება
გაშლის კაბის კალთებს...
ამისთანა შვილის დედას
სიხარული მართებს.

ა ღ ე რ ს ი

მე ისე მიყვარს ჩემი ციცუნა,
ვით დედა ნუნუს, მკლავით ვატარებ,
ნურვინ შეხედავს შურიან თვალით,
როცა რძეს და პურს ვაჭმევ, ვახარებ.

ლექსებსაც ვეტყვი, ზღაპრებსაც ბევრსა,
წერა-კითხვასაც ვასწავლი თანა,
ბაღში წავიყვან... ჩემს ციცუნიას
გასეირნება არ უნდა, განა?

მეუბნებიან „მახინჯიაო,"
მე კი მის თვალებს ვარსკვლავს ვადარებ...
რა ვქნა, რომ ასე მიყვარს ციცუნა,
ვით დედა ნუნუს, მკლავით ვატარებ.

ჩემო ციცუნა

ნანა, ჩემო ციცუნა,
ნანა, გენაცვალები,
დაიძინე, გეთაყვა,
ნუ დაუყიტე თვალები.

როცა დაგეძინება,
ნახავ სიზმარს მშვენიერს:
მოგიმზადებ რძის ფაფას,
შაქრით ნამცხვრებს გემრიელს;

როცა გამოიღვიძებ,
ჩაგიტკბილებ ენასა...
ახლა კი დაიძინე,
ნანა, შენსა ლხენასა.

ცუცას ძაღლი

მოდით, ნახეთ ჩემი მურა,
ქუდი კოხტად რომ ახურავს.
— გამარჯობა, კაცო, შენი!
ვაჰ, ვაჰ, ვაჰ, ვაჰ, როგორ ჰშვენის!
ახლა ნახეთ ეს ბარათი,
ეს ფუთა და ეს კალათი
როგორ მიაქვს ხეივანში
ავსებული კომშით, ვაშლით.
მთელი ხალხი უმზერს მურას,
ქუდი კოხტად რომ ახურავს,
—გამარჯობა, კაცო, შენი!
ვაჰ, ვაჰ, ვაჰ, ვაჰ, როგორ ჰშვენის;

ბრიყვი ყურწკაპუნა

კურდღელს ჰყავდა ერთი შვილი,
მძიმე შრომით გამოზრდილი.

დედის გულის მოსალხენად,
რიკო ერქვა მას სახელად.

ცელქი იყო ეს პატარა,
გულთეთრი და კაფანდარა.

თუ დედიკო შინ არ იყო,
არ დგებოდა სახლში რიკო.

გაგულისდა ერთ დღეს დედა,
რიკოს კარი ჩაუკეტა.

და დაადგა შორს გზას მშვიდად
სანოვაგის მოსაზიდად.

რა ჰქნას რიკომ, რა იღონოს?
რამე უნდა მოიგონოს.

და ჰა, დაჰკრა თათი წინა,
ჩაამტვრია სარკმლის მინა.

მირბის ურცხვი, პაწაწინა,
შორს დატოვა დედის ბინა.

დაეკარგა გზა და კვალი,
ამოევსო ცრემლით თვალი.

სად იყო და სად არ იყო,
წინ შემოხვდა მელა რიკოს.

მოეფერა ცელქს, პაწიას,
თითქოს იყო მისი „ძია“.

„ნუ, ნუ სტირი, გენაცვალე,
შემაჯექი ზურგზე მალე!

კარგად ვიცნობ შენს დედიკოს,
სწორედ გუშინ ჩემთან იყო“.

მეტისმეტი სიხარულით
აუფეთქდა რიკოს გული.

შემოახტა ზურგზე მელას,
დედიკოსთან წასასვლელად.

მაგრამ ბრიყვი ყურწკაპუნა
მელამ ხვრელში შეახტუნა.

და მას აქეთ რიკოს დედა
კარზე ზის და ცრემლად დნება.

თვითმფრინავი

დედამ გვითხრა:—პატარებო,
ხვალ მე გავფრინდები,
მოდით, ნახეთ ჩემი ჩიტი,
რა დიდი აქვს ფრთები.

„შრრ-შრრ... შრრ-შრრ“—
აცოცდება ნელა,
„გრრ-გრრ... გრრ-გრრ“ —
გაფრინდება ხელად.

ჩვენც ამ ჩიტის ბარტყები ვართ,
დედი, შენსა ლხენას.
წაგვიყვანე. შენთან ერთად
ჩვენც ვისწავლით ფრენას.

„შრრ-შრრ... შრრ-შრრ“—
ავცოცდებით ნელა,
„გრრ-გრრ... გრრ-გრრ“—
გავფრინდებით ყველა.

ჩემი ბურთი

დიდი არის ჩემი ბურთი,
დიდი, ვებერთელა,
ოთხი ციდა მუცელი აქვს,
ჩემი მკლავის ხელა.
ხელს დავკრავ და ავარდება,
გაგორდება,—
როგორ?
გუშინ თავი გაუტეხა
მეეზოვის გოგოს.
ამაგლიჯეს ჩემი ბურთი,
დაახალეს მიწას,
მაგრამ იცით, როგორც გიჟი
წამოვარდა იმწამს.
გადმოგორდა, დაეძგერა,
დიდი ფანჯრის მინას
და ზედ ცხვირზე დაასკუპდა
ჩემს ბებიკოს მძინარს.
წამოვარდა ჩემი ბებო:
„ქურდი, ქურდი, ქურდი...“
ქურდის ნაცვლად ხელში შერჩა
ჩემი კოხტა ბურთი.

ნუნუს სათამაშოები

დაიჩემა: „უნდა გავხდე
ქალი—ჯარის სარდალი,
ჩემს სამშობლოს ვდარაჯობდე,
არვინ მყავდეს ბადალი!“

დაიჩემა და შეუდგა
ჯარისკაცთა შეკრებას,
რაც რამ ჰქონდა სათამაშო,
მოაგროვა უკლებლად:

ცუგები და ბაქიები,
იხვები და ბატები,
ჩიტუნები, ფისუნები,
ხატაველა კატები.

დარაზმა და დაამწკრივა,
სანახავი დიდია,
თოფის ნაცვლად ნუნუს გმირებს
მშვილდ-ისარი ჰკიდია.

წინ ბეკეკა მიუძღვებათ,
უკან ყურშა დიდყურა.
მამალი და მამლაყინწა
გაჰყივიან მაყრულად.

მამლაყინწებს სპილო მისდევს,
სპილოს დათვი—ბაჯბაჯით;
აგერ ლომი იბღვირება,
როგორც ციხის დარაჯი.

ნუნუ ლაშქარს დასტრიალებს,
სანახავი დიდია,
თოფის ნაცვლად ამ „ვაჟკაცებს“
მშვილდ-ისარი ჰკიდია.

დაიჩემა: „უნდა გავხდე
ქალი—ჯარის სარდალი!“
ერთი შეხეთ ამ კუდრაჭას,
მართლაც, ვინ ჰყავს ბადალი!

გამოცანი

ვის უმღერის დედა ტკბილ ჰანგს,
ტკილ ნანინას, ძილისპირსა?
ვის უცქერის ნეტარებით,
ვისით ელის შვება-ლხინსა?

ვინ შეადგენს მის თაიგულს,
ერთად დაწნულ ია-ვარდსა,
ვინ ახარებს მარად მის გულს,
ვისით იქრობს სევდას, დარდსა?

ნ ა ნ ა

დედის თვალო, დედის ნატვრავ,
ვარდფოთოლო ცვარნანამა,
მზე შენს ტუჩზე ცისკარს ხატავს;
ნანა, შვილო, ნანა, ნანა...

დილის ბროლი, მინდორ ველი
გაგფენია ფიანდაზად,
მყუდროა და უდარდელი
შენი ძილი, შენი გაზრდა.

მარგალიტის მძივი ვთესე,
შენთვის ვქარგე ოქროს ყანა,
გული შენთვის ვაალმასე,
ნანა, შვილო, ნანა, ნანა...

ადრე შენი ჯერიც მოვა...
ყური მიგდე, გეტყვი მართალს:
ჩვენი ტურფა სამშობლოა
საბჭოეთის ფართო კალთა.

ბრძოლის ცეცხლით მკერდგამთბარი,
ვარდ-ზამბახით მოქარგული,
სადაც მზეა თანაბარი
და სიამით ფეთქავს გული.

სადაც შრომა სხივდანათოვ
სიხარულის დროშად იქცა,
აქ სიკვდილიც ვერ შემაკრთობს,
შენს თავსა და შენს მზეს ვფიცავ.

გაიზარდე, ნატვრავ დედის,
გახდი ქვეყნის სასახელო.
საბჭოეთის დიად ბედით
ხარობს ჩვენი საქართველო.

მარგალიტის მძივი ვთესე,
შენთვის ვქარგე ოქროს ყანა,
გული შენთვის ვაალმასე—
ნანა, შვილო, ნანა, ნანა...

მზია და ფისო

(პოემა)

ყველამ მინდვრებს მიაშურა,
შეჰხარიან დილას მზიანს,
მხოლოდ სახლში ჯერაც ისევ
მარტოდმარტო სძინავს მზიას.

ძილში თითქოს ეცინება,
ეფინება ღიმი მთვარის:
ალბათ, დედამ თუ აკოცა
და ძილს უფრთხობს ეს სიზმარი.

მაგრამ როცა გაიღვიძა,
ნახა მასთან არვინ არის:
არც დედიკო, არც ბებიკო
მოალერსე-მომღიმარი.

ლოგინიდან გადმოხტა,
დაითრია ძირს ზეწარი...
„უჰ, რა უთხრა ჩემს ბებიკოს,
ჩაუკეტავს ოდის კარი!“

მიიხედა, მოიხედა,
აღარ, იცის რა ქნას ახლა,
აგერ უცებ ტახტის ქვევით
ფისუნია დაინახა.

—ფისო, ფისო, იქნებ იცი,
სად წავიდა ჩემი დედა?
—მიავ, ვიცი: კოლექტივში
ჩაის ბუჩქზე ფოთოლს კრეფდა.

—ფისო, ფისო, იქნებ იცი,
სად წავიდა ჩემი ბებო?
—მიავ, ვიცი: ბადრიჯანს რგავს,
ბოსტანი აქვს სანაქებო.

გარეთ დღეა, გარეთ მზეა
წითლად, ყვითლად მოკისკასე,
იქ—თუთები ტკბილი, ტკბილი,
ალუბლები საესე, საესე!

გარეთ დღეა, გარეთ მზეა,
ფართო ეზო, ფართო შარა.
შეხეთ, შეხეთ, ჭრელ პეპელებს
შთელი ბალი დაუფარავთ!

გარეთ მზეა... და ყვავილებს
მოუქარგავთ ტყის ნაპირი,
მზია ლია ფანჯარასთან
დგას და „ვეე“—ტირის, ტირის.

„მიავ. მიავ, მიავ, მიავ...
გამიგონე, მეგობარო,
იქ, ბუხარში, ქოთნით რძეა,
შევსვლიპოთ და გავიხაროთ.

ვიხტუნოთ და ვიკუნტრუშოთ,
არას გვარგებს თვალზე ცრემლი...
აგერ ჯორკო, აგერ სკამი.
დავსხდეთ, ქოთანს ვტაცოთ ხელი!“

კარგი არის, კარგი რჩევა,
სიტყვა ტკბილი, მეგობრული.
ვის არ უყვარს, ვის არ მოსწონს
კარგი ენა, კარგი გული.

და როდესაც მზიამ ფრთხილად
გადახადა ქოთანს ჯამი,
იმ მსუნაგმა ფისუნიამ
არ აცალა ერთი წამი.

ჩაყო თავი ქოთანში და
სულ შესანსლა რძე და ერბო
და გოგონას -იმ ტკბილი რძის
ერთი წვეთიც ალარ ერგო.

„ეს რა ქენი, ფისუნია?!—
გაიფოფხა ბრაზით მზია,—
შე ტუტუცო, შე მსუნაგო,
მეგობრობა ამას ჰქვია?

მაშ გაჩვენებ ისეთ სეირს,
თავზე მიწა დაგაყარო!“
დასწვდა ფისოს, მაგრამ ფისო
შემოახტა ბუხრის თაროს.

სკამი სკამზე, სკამი სკამზე,
და სულ ზევით მზია-ქალი
ფისო ზის და იბუზება,
ჩამოსტირის თითქოს თვალი.

კრუსუნებს და სალაქუცოდ,
აქნევს გრძელ კუდს, ფართიფურთობს...
ამ უმსგავსო საქციელმა
გააცხარა მზია უფრო.

„შე ფლიდო, შე არამზადა,
დამაცადე, რა დაგმართო!“—
წასწვდა კუდზე, მაგრამ უცებ
საქმე მოხდა სახიფათო:

გადმოვარდა დიდი ლამპა,
„ბრახ“—დაიმსხვრა ბროლი, მინა,
ფისომ „სკუპ“ და მაგიდიდან
უსირცხვილოდ შემოსცინა.

პაკი-პუკი,— ხის ქოშებით
უყვარს ბებოს სიარული,
კალთით მოაქვს კიტრები და
გულით ტკბილი სიხარული.

პაკი-პუკი, პაკი-პუკი,—
შემოაღო ოდის კარი.
„ვაი, ვაი, ჩემი ბრალი,
ეს რა მოხდა, ეს რა არის?!“

სკამი სკამზე, სკამი სკამზე—
და სულ ზევით მზია-ქალი,
ცალკე გდია ლამპის ფეხი,
აღარც რძეა ერთი ცვარი,

დამსხვრეული ბროლი, მინა,
ძირს ბალიში, ძირს ზეწარი,
და ბალიშზე ფისუნია
ტუჩს ილოკავს პირმცინარი.

ამ ამბავმა საღამოზე
სახლში ყველა გააცინა.
„არ გრცხვენია, ფისუნიამ,
გოგო, როგორ შეგაცდინა?!“

უალერსებს მამა მზიას
და უკოცნის ბზისფერ თვალებს,
ხან ყურს უწევს, თითქოს წყრება,
თან ტუქსავს და თან ხარხარებს.

ასე მოხდა ეს ამბავი
ამ გაზაფხულს ლაქვარდმზიანს.
იმის შემდეგ სახლში მარტო
აღარ რჩება ჩვენი მზია.

ყოველ დილით მიჰყავთ ბაღში
ეს კუდრაჭა, მუზმუზელა,
შენ კი, ფისო, ეგდე სახლში,
მსუნაგო და ღორმუცელა!

უ მ ა მ ო დ

(პოემა)

1

როგორ უყვარს მზეთამზისას,
როგორ უყვარს მამა!
ეს წითელი დიდი ბურთი
მამამ მოუტანა.
მაგრამ ახლა რახანია
მამა აღარ მოდის.
„სად წავიდა, ნეტა მამა?
როდის მოვა, რო-დ-ი-ს?
წითელ ვაშლებს, ფორთოხლებს და
რას მომიტანს კიდევ?“
და გახედავს მზეთამზისა
ქუჩებს კიდით-კიდე.
„—ალბათ, სულ რომ დაღამდება,
მამა მაშინ მოვა“...
ქარი ქრის და ჭადრის ფოთლებს
მიაქროლებს გროვად.
გარეთ ცივა, ყვავილნარებს
სცივათ ხეივანში.
ხეს ფოთლები ცვივა, ცვივა,
მოშრიალებს ქარში.
ლევანიკა ჩანთით მხარზე
შემოირბენს მარდი.
„დედა კიდევ არ მოსულა?“
ბებო ჯოხით დადის.
რა ჰქნას ბებომ, მოხუცია,
მასაც უნდა შველა,

დარეჯანი როგორ გასწვდეს,
როგორ გასწვდეს ყველას.

II

„დაიკონა, გამიგონე,
მამა აღარ მოვა,
შენ, თოვლმა აივანზე
როგორ შემოთოვა!“
ლევანიკას უყვარს დაი
და უყვება ამბავს,
ხან თმას უწნავს, ხან ღილს უბნევს,
ხან უსწორებს კაბას.
ბებო ისევ ჯოხზე ბჯენით
გამოაღებს კარებს,
გაულიმებს აივანზე
ფიფქებს მოკაშკაშეს.
„მოდი, შვილო, თეთრი ფიფქი
მონიტანე ჯამით,
შემდეგ ზამთარს ვინ მიაღწევს,
აღარა მაქვს ჯანი.“
ლევანიკამ სულ დატენა
თეთრი თოვლით ჯამი,
მზეთამზისას დააკიწყდა
ახლა მამის ჯავრი.
აივანზე ისევ თოვს და
ფიფქი თეთრად ბრწყინავს.
რას დააკლებს ამ კუდრაჭებს
თოვლი, ქარი, ყინვა.
გუნდაობენ, ბურთაობენ,
კისკისებენ, რბიან.
„დედა, ალბათ, კრებაზეა“...
„დედა მოვა გვიან“.

III

ბებო თვლემს და სასთუმალთან
უზის დიდი კატა,
მზეთამზისას ჩაეძინა,
ლევანიკა ხატავს.
ხატავს, ხატავს და დახატა

მზეთამზისას ცხვირი.
თვალიც ისე გაუკეთა,
გეგონებათ, ტირის.
„მერე რაა? მე ამ ნახატს
გავუგზავნი მამას.
წერილს მივწერ ისეთს, ისეთს,
რომ მოვიდეს ჩქარა“,—
გაიფიქრა ლევანიკამ
და შეუდგა წერას:
„ჩემო მამა, ვეღარ ვუძლებ
სულ ქუჩისკენ ცქერას,
ვფიქრობ: აბა, ახლა მოვა,
აბა, ახლა, ახლა...
მამიკონა, ხომ არ ხუმრობ,
როდის მოხვალ მართლა?
აი შეხე, როგორ ტირის
მზეთამზისა-ქალი,
სულ კარისკენ მოუღრიცავს
ცრემლიანი თვალი.
ამბობს: „სულ რომ დაღამდება,
მამა მაშინ მოვა...“
დაღამდა და აივანზე
თოვლმა შემოთოვა.“
მორჩა წერას ლევანიკა,
მაგრამ ეს ბარათი
სად წაიღოს, რომ არ იცის
მამის მისამართი?
ფიქრობს, ფიქრობს ლევანიკა,
ფიქრი ოთახს ავსებს,
და ბოლოს თქვა: „ასე ჯობსო,
ასე დავწერ, ასე:
ვინც ამ წერილს წაიკითხავს,
ვინც ამ ბარათს ნახავს,
თუ იცნობდეს, ვთხოვ გადასცეს
გობეჩია ბახას.“
ჩაირბინა სწრაფად კიბე
და ჩაუშვა ყუთში.
„რა ვქნა, დედამ არ ნახოსო,“
გაუელვა გულში.

ძლივს აასწრო კიბეზე და
გული აუფეთქდა:
აჰა, დედაც შემოვიდა
გაფიფქული თეთრად.

ლევანიკას წერილს გუშინ
კითხულობდა ყველა,
„კომუნისტმა“ თურმე იგი
გადაბეჭდა ხელად.

დარეჯანმა ეს გაზეთი
სალამოზე ნახა:
„ლევანიკას მინაწერი
გობეჩია ბახას.“

წაიკითხა, გაიღიმა,
გულში ჩასწვდა დედას
და თვალებში აუგორდა
მოგონების სევდა.
ეხუტება დედა შვილებს
და წამწამებს ნამავს.
„რა ვქნა, ბარემ მეც მინდოდა,
რომ გყოლოდათ მამა“.

გარეთ თოვს და ფიფქი ბრწყინავს,
თეთრი, ნაზი, წმინდა.
რამოდენა ბამბის ფთილი
მოფარფატებს ციდან!

გაზაფხულის სიხარული

(სცენა წარმოადგენს მინდორს. მოჩანს ბუჩქები, ტყე, ყველაფერი ამწვანებულია. სცენის გარეთ ისმის ბავშვების კისკისი, ჟრიამული).

ბავშვები—(შემოდიან სიმღერით)

მიყვარს, მიყვარს გაზაფხული,
ველი ტურფად მოქარგული...
რა ნაზია,
ლამაზია
ყვავილების თაიგული.

პირველი ბავშვი—ია არა ჩანს...

მეორე ბავშვი—ეს რა ყვავილია? შეხედეთ, როგორ ამოდის!

(ბავშვები შემოეხვევიან ყვავილს)

ენძელა —გამარჯობათ!.. ენძელა ვარ
ჩემთვის კენტად ამოსული.
ვინც მე მნახავს, შვებით იტყვის:
—აჰა, დადგა გაზაფხული...

პირველი ბავშვი—(ალერსით)

ვიშ, რა კარგი ხარ, ენძელავ,
გამხარებელო გულისა...

მეორე ბავშვი—ნუ შიშობ, ჩვენ ხელს არ გახლებთ,
მეგზურო გაზაფხულისა...

მესამე ბავშვი—(გაირბენს, ჩახედავს ბუჩქებს და დაიყვირებს)
ია... ია...

(ბავშვები ჟრიამულით შემოეხვევიან ბუჩქებს.
ერთი მათგანი წაიწევს მოსაწყვეტად, მაგრამ შეჩერდება.
ია მიმართავს მას):

ია—ნუ შემახებ პაწია ხელს,
ნუ, ნუ-მეთქი, ჩემო კარგო,
ის არა სჯობს, გავიზარდო
და ბალნარი მოგიქარგო?

მე პატარა ყვავილი ვარ,
გამახარებს შენი ცქერა.
ახლოს დაჯექ, გამაგონე
მხიარული შენი მღერა!

ბავშვები—(ჩამოეცლებიან იას და მღერიან:)
ამ სიმწვანეში მოვსულვართ,
სიცოცხლე რა კარგია...
მოგესალმები, თვალლურჯა,
ჩემო პატარა ია!

(ამ დროს პეპლები შემოფრინდებიან. დაინახავენ ბავშვები
და ასტეხენ ყვირილს:)

პეპლები... პეპლები...

(და აიდეევნებიან დასაპერად. პეპლები ასწრებენ კარებში გაფრენას.
ბავშვები მისდევენ ვაი-უით და ღრიალით. სცენის მეორე კარებიდან
შემოჰყავთ დაპერილი პეპლები).

პირველი პეპელა —ორი დღე ვცოცხლობ, დამაცათ,
სანამდე ჩემი ჯერია...
ვინც საწყალს ღონით დაჩაგრავს,
თავისუფლების მტერია...
ორივე პეპელა ერთად— ვინც საწყალს ღონით დაჩაგრავს,
თავისუფლების მტერია...
ბავშვები —(ალერსით) არა, არა, პეპელებო,
ჩვენ არ გვინდა თქვენი წყენა,
მხოლოდ ერთხელ ავფრიალდეთ
ამ მდელოზე ერთად ყველა!...

(ია მორბის. ენძელაც მორბის და შეკრავენ წრეს, ტრიალებენ
და მღერიან).

ყველანი — ჩვენ სიცოცხლის მომხრე ვართ,
გვიყვარს ლაჟვარდი წმინდა...
მზეო, მოგვფინე შუქი,
ჩვენ სიხარული გვინდა...

(მზე მოეფინებათ... გაისმის ტყიდან ჩიტების
ჭიკჭიკი. ერთი ბავშვი გამოეყოფა სხვებს)

ერთი ბავშვი —ჩვენი ხმით ტყე მხიარულობს,
იქ ჩიტუნები მღერიან...
მშვიდობა ეუთხრათ სამშობლოს,
მშვიდობა ყვავლაფერია...

ყველანი—(სიმღერით იმეორებენ)

ჩვენი ხმით ტყე მხიარულობს,
იქ ჩიტუნები მღერიან...
მშვიდობა ვუთხრათ სამშობლოს,
მშვიდობა ყველაფერია...





გიგა და მერცხალი

— ჭიკ... ჭიკ... ჭიკ... ჭიკ, ჭიკ, ჭიკ...—ჩამოსჭიკჭიკა ფანჯრიდან მერცხალმა.

გიგას ძილში ჩაესმა საამური ხმა, შეიშმუშნა და თვალები გაახილა. თენდებოდა. ის-ის იყო მზე ამოსვლას აპირებდა, გიგამ თავი წამოსწია და აქეთ-იქით ცქერა დაიწყო.

„ვინ გამაღვიძა, ნეტავი?“—ფიქრობდა გიგა.

ოთახში არავინ იყო. დედას ფანჯარა გაეღო და გარეთ გამოსულიყო.

— ვისი ხმა იყო ის, ნეტავი?—თვალების ფშვნეტით წარმოთქვა გიგამ.

— ჭიკ, ჭიკ, ჭიკ...—კვლავ ჩამოსძახა მერცხალმა,—ჭიკ, ჭიკ, ჭიკ... გამარჯობა, ჩემო ბიჭუნა! რა მიხარია, რომ ამოდენა გაზრდილხარ. შარშან პატარა იყავი. წელს ლაპარაკიც გისწავლია. გაზრდილხარ.

გიგა ლოგინზე დაჯდა.თვალები ფანჯარას მიაპყრო და შესძახა:

— საიდან მოფრინდი, საყვარელო ჩიტუნია... დიდი ხანია არ მინახიხარ. სად იყავი ამდენ ხანს? რა კარგად გალობ!..

— ცოტა დავიგვიანე. დაიცა, ყველაფერს გიამბობ. აქ მე ბუდე მქონდა...

— ის ერთმა ბიჭმა ჩამოშალა. მითხარი, საიდან მოფრინდი?

— შემოდგომაზე თბილ ქვეყნებში გავემგზავრე... აქ გამყინავდა ცივ ზამთარში. ჭია-ღუებიც დაიძინებდნენ და საჭმელს ვეღარ ვიშოვიდი.

— მე შაქარს გაჭმევდი...

— ჩვენ ჭია-ღუებით ვცხოვრობთ,—მხიარული ჭიკჭიკით უპასუხა მერცხალმა გიგას.—ინდოეთში ზამთარი არ იცის. იქ მუდამ თბილა და საჭმელიც ბლომად მოიპოვება. ზაფხულში კი იქ ძალიან ცხელა; ხშირი წვიმებია; აქ სასიამოვნო ჰავაა. შრომა უფრო გვიადვილდება, ბუდეს ავაგებთ, ბარტყებს გამოვჩეკთ და დავზრდით.

— შორს არის თბილი ქვეყნები?

— შორს, შორს, დიდ მთებსა და თვალგადაუწვდენ ზღვებს იქით.

— უჰ, რა შორს გიმგზავრია!—გაკვირვებით შენიშნა გიგამ.—მერე როგორ გადმოიფრინე ზღვები და მთები?

— ძალიან მოვიქანცე, ჩემო მეგობარო, ძლივს მოვაღწიე, მაგრამ მიხაროდა სამშობლოში დაბრუნება... მე ხომ აქ გამოვიჩეკე, პირველად ამ ფანჯრიდან შევხედე მზეს.

გიგა ლოგინიდან ფანჯრის მოაჯირზე შეხტა, რომ ახლოს შეეხედა მეგობრისათვის.

— ჩემო ლამაზო, როგორ გამახარე შენი მოსვლით. რა პატარა და მსუბუქი ტანი გაქვს. პაწაწინა ნისკარტით ამდენს როგორ ჭიკჭიკებ?

— ჰა, ჰა, ჰა... ნუთუ ვერ შემამჩნიე ამოდენა, განიერი პირი რომ მაქვს, აქეთ-იქით ბუტია ლაყუჩები? ამიტომაც ვმღერი ასე ტკბილად ჭ... ჭ... ჭ... ჭ... ბოლო გრძელი და ფრთები მაგარი მაქვს, შურდულივით დავსრიალებ ჰაერში, ერთ წუთში მიდამოს მოვივლი.

— ოჰ, რა ბედნიერი ხარ... ნეტავი მეც შემეძლოს შენსავით ფრენა, ნავარდი... აგერ, მზეც ამოვიდა.

— და მე კი დავიგვიანე...

— მოიცა, მოიცა, გენაცვალე, სადაც რას ნახავ, მერე მოდი და მიამბე ყველაფერი: რას აკეთებენ სოფლის ბავშვები, როგორ ცელქობენ მინდვრებში ბებლები, მომიკითხე მთის ნაკადულები და გაიგე, სად ერთობიან პატარა მწყემსები, სად აძოვებენ ცხვრებს. ნახე ყაყაჩო თუ აყვავილებულა: მიამბე ყველაფერი.

— ყველაფერს გიამბობ, ყველაფერს. აქ შენი ფანჯრის ზევით გავაკეთებ ბუდეს,—თქვა მერცხალმა, დასჭიკჭიკა და გაქროლდა ჰაერში.

შემოდგომა ჩემს სოფელში

ირიჟრაჟა თუ არა, ზეცამ ლურჯი თვალებით ჩამოხედა დედამიწას. ცელქმა სიომ ფრთები შეათამაშა და მხიარული შრიალით დაურბინა სოფელს.

აგერ მზე ალანძული ბურთივით გადმოგორდა მწვერვალზე, შემოკვართული კალთები გაშალა და ოქროს სხივები გადმომაყარა თავზე. ოქროს ყუნწებით დაიყურსა ჩემი სოფელი. ხის ტოტებს ოქროს ბიბილოები ჩამოეკიდა. მწვანე ხავერდი—მდელო ოქროს ყაითნებით მოიქარგა. ტყე ფერად ქსოვილებში გაეხვია. ყანები ქარვებში ჩაიძირა. და აი საგანთიადოდ მოფხიზლებული შარა შეიშმუშნა.

რა თბილი და სასიამოვნოა წელს შემოდგომის დღეები!

ჩემი სოფელი, რომელიც რამდენიმე კილომეტრის მანძილზეა გადაპიმული შავი ზღვის ნაპირიდან აზიდულ მაღლობზე, არაჩვეულებრივად ლამაზია. ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ყველა ერთი გულით შეჰპარის მზის აბრეშუმებში გახვეულ მომხიბლავ გარემოს.

შორიდან მოჩანს ცის კიდემდე მედიდურად გაშლილი შავი ზღვა. ლურჯად მოელვარე ლაჟვარდს თავისი ფერი მოუფენია ზღვისთვის. თავზე სომლიის ჰაღარა მწვერვალი დაჰყურებს.

რა თბილი და სასიამოვნოა წელს შემოდგომა ჩემს სოფელში!

— მოსასწრებია, ყველაფერი, მოსასწრები,—ამბობენ ქალები.

მართლაც მოსასწრებია ზამთრის მოლოდინში შემოდგომის დოვლათის მოწევა და დალაგება. ამიტომაც ასე დაუღალავად ფუსფუსებს ხალხი: ზოგი ყურძენს ჰკრეფს, ზოგი სიმინდს ტეხს, ზოგი საზამთრო შეშას ჩეხს, გოგობიქები პანტა მსხალს ჰკრეფენ და კალათებით ჭურში ჰყრიან. მაღალო ვაშლს ოდის ჭერში აგროვებენ. მოხუცებულები ჩელტებზე ახალ ღომს ხელავენ და ბეღელში ინახავენ. ღომის თაველში თეთრ კვახებს აწყობენ ფაფუკად. ლობიოს ჰკრეფენ და არჩევენ.

მწიფე მსხლით და ნედლი სიმინდით დანაყრებული ღორები დინჯად უვლიან ფიცრულს და მძიმედ ღრუტუნებენ, ნაჩალევში ძროხები ბღავიან, სათიბში ხბოები კუნტრუშებენ, გულმომსუყებული ქათმები კაკანით .მიფრინავენ სუროიან ხეზე, დილით მხიარულად შლიან ფრთებს და სასიმინდესაკენ მიცანცალებენ. ძაღლები წკმუტუნით მისდევენ პატრონებს. ისინი ურმის გვერდით იწვნენ მთელი დღე და ღრინავდნენ. ცხელი მჭადით და ჭყინტი ყველით სავსე კალათს უთვალთვალებენ, დიასახლისს შესცქერიან.

შრომაში და ფუსფუსში ღამდება.

მთვარის შუქზე ზანტად მიზოზინებს, მძიმედ მიპრიალებს სიმინდის ტაროებით და ჩალით დატვირთული ურმები, მიგუგუნებს სატვირთო მანქანები—ესენი კოლექტივის ყანებიდან წმომავალნი არიან. კოლექტივის ბეღელში მიაქვთ სიმდიდრე—მიწის დოვლათი. გათენებამდის ისმის გზაზე ნელი, მომხიბლავი „დელი-ოდელა", „რაშო-რერო" და ტკბილი, მხიარული შეძახილი...

რა თბილი და სასიამოვნოა წელს შემოდგომა ჩემს სოფელში!

ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

დილიდანვე ემზადებოდნენ ბავშვები თეატრში წასასვლელად.

— დაგვაგვიანდა, მასწავლებელო,—ამბობდა ერთი.

— მასწავლებელო, საუზმეს მერე ვჭამთ,—გაიძახოდა მეორე.

— სულ არ გვინდა საუზმე, არ გვშია,—ბუზღუნებდა მესამე.

რუსულ საბავშვო თეატრში დღეს ქონდრისკაცები გამოდიოდნენ და ამიტომ ეჩქარებოდათ ბავშვებს თეატრში წასვლა. ვერ ისვენებდნენ ცელქები. სიცილითა და ჟრიამულით აყრუებდნენ საბავშვო ბაღს. მათ მხიარულებაში არ ერეოდა მხოლოდ ბორია, ის ჯერ კიდევ ვერ შეჩვეოდა ახალ ამხანაგებს. საბავშვო ბაღის წესებსაც არ იყო შეჩვეული. თავისთვის იჯდა და კუბიკებით პატარა კოხტა სახლს აშენებდა. ერთ ფანჯარას გვერდით უკეთებდა, მეორეს წინ, სახლის გარშემო პატარა ეზოს ფარგლავდა, შუა ეზოში, პატარა ხესთან სკამს დგამდა. მერე დაშლიდა და ისევ შეუდგებოდა შენებას. ერთ დღეს მარო მასწავლებელმა შენიშნა, რომ ბავშვი ყოველთვის ერთი აღნაგობის სახლს აშენებდა, არც აკლებდა რაიმეს და არც უმატებდა. ეზოსაც ყოველთვის სახლის წინ აკეთებდა. ხეც და სკამიც ერთდაიმავე ადგილას იდგა.

— მოდი, ბიჭუნი, ახლა ორსართულიანი სახლი ავაშენოთ,—დაყვავებით უთხრა მასწავლებელმა და ახალი კუბიკებით სავსე ყუთი დაუდგა წინ. ბორიამ ოდნავი წყენით ახედა მასწავლებელს, მერე თავი ჩაღუნა და ნაღვლიანად თქვა:

— ეს ჩემი სახლია, ჩემი ეზო... იქ, შორს... ჩემ დედიკოსთან რომ ვიყავი....

მასწავლებელი გაჩუმდა. მიხვდა, რომ ბავშვი მშობლიურ სახლ-კარს იგონებდა. ბორია ხან ღიმებოდა, ხან თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა. ეტყობოდა, ეს მოგონება მას სიამოვნებას ჰგვრიდა.

დღესაც ბორია ტალანის კუთხეში მუხლებზე ჩაჩოქილი ჩვეულებრივად გულმოდგინედ აშენებდა „თავის სახლს“.

— ბორია, ბორია!—დაუძახა მასწავლებელმა და ბავშვები ჟივილ-ხივილით გავიდნენ ქუჩაზე, მწყობრად და წესიერად ჩამწკრივდნენ ხეივანში.

— შენ, ბიჭიკო, როდის ისწავლი სწორი ნაბიჯით სიარულს?—მიუალერსა მასწავლებელმა ბორიას და გვერდით ამოიყენა. ბორიას მართლაც არ ეხერხებოდა ზომიერი ნაბიჯით სიარული. ბორია არ იყო სხვა ბავშვებივით მხიარული. მას ხშირად აგონდებოდა დედისა და დის დაღუპვის ამბავი. თუ როგორ ააფეთქა მტრის ყუმბარამ მათი თეთრი სახლი, იმ დროს, როცა დედამისი პატარა დას აძინებდა ოთახში.

და აი, უცებ დაიგრიალა მტრის ყუმბარამ და ბორიას ლამაზი სახლი მტვრად იქცა. ახლა მწკრივში მიმავალ თეთრთმიან ცუგრუმელა გოგონას უცქეროდა ბიჭუნა და დაიკო აგონდებოდა. ამიტომაც იყო, რომ მწყობრის წესიერ სვლას არ ემორჩილებოდა ბავშვის ფეხები, ბორია ხან უკან რჩებოდა, ხან განზე გარბოდა.

ბავშვები მხიარულად მიდიოდნენ მზიან პროსპექტზე.

სტეფანე კოტლოვი შედგა, სიყვარულით გააყოლა ბავშვებს თვალი. დაკრილი არმიელი ორი დღეა გამოეწერა ჰოსპიტლიდან. განკურნების შემდეგ ბრძანება მიიღო: ფრონტზე უნდა დაბრუნებულიყო. მას მესამედ უხდებოდა ფრონტზე გამგზავრება.

სტეფანესათვის ფრონტზე წასვლა ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

საღამოს მატარებელს უნდა გაჰყოლოდა სტეფანე. გასტრონომიული მაღაზიიდან გამოვიდა. იღლიაში ათიოდე ფუნთუშა ამოედო ქაღალდში შეხვეული. ბავშვების ჟრიამულმა გაიტაცა კოტლოვი. მოაგონდა ოჯახი; ცოლი, შვილი. ხარკოვთან ბრძოლის შემდეგ წერილი აღარ მიეღო.

სტეფანემ ჩქარი ნაბიჯით გასწია წინ. ბავშვების მწკრივს რომ ჩაუარა, კოტლოვს შეუმჩნეველად დაუვარდა ერთი ფუნთუშა. ბორია უცებ მოსცილდა მასწავლებელს გვერდიდან, წინ გადახტა და ფუნთუშა აიღო. თუმცა არ შიოდა, მაგრამ ძალიან მოუნდა რბილი და ტკბილი ფუნთუშის შეჭმა. პირი გააღო საკბეჩად და უცებ გზაზე მიმავალ არმიელს გახედა. ბავშვს არმიელი მამა მოაგონდა. გაახსენდა, დედა როგორ აგროვებდა საჩუქრებს და უგზავნიდა მამასა და მის ამხანაგებს ფრონტზე. იმ საჩუქრებში ფუნთუშებიც იყო, ბორიას სულ დაავიწყდა ბავშვების მწკრივი და მარო მასწავლებელიც. შურდულივით გაქანდა წინ, დაეწია არმიელს და დაუყვირა:

— ფუნთუშა დაგივარდა, ბიძია, ფუნთუშა!

კოტლოვი შეკრთა, თითქოს ბავშვის ხმა ეცნაურა. მოიხედა და მისკენ ფუნ თუშით ხელგაწვდილ ბიჭუნას ჩააცქერდა. გაფითრდა სტეფანე, თვალში ცელი ამოისვა და ისევ ჩახედა სახეში ბავშვს.

— ბორია, ბორია, ჩემო ბიჭო!..

ბორიამ იცნო მამა, ფუნთუშა გააგდო, ფინია ძაღლივით შეახტა გულზე და კისერზე შემოეხვია.

— მამა!.. მამილო!..

მასწავლებელმა ბავშვები შეაჩერა. დაინახა, არმიელს როგორ დაუცვივდა ფუნთუშები მიწაზე. არმიელი ბავშვით იდგა ქანდაკებასავით, მერე თავი გადაუწია ბავშვს და ათრთოლებული ხმით ჰკითხა:

— დედა დაიღუპა? პატარა მუსიაც?

ბორიამ პასუხის მაგიერ საშინელი ბღავილი მორთო. ქუჩაზე მიმავალი ხალხი შეგროვდა. მასწავლებელი მივიდა არმიელთან, ფუნთუშები აკრიფა და მშვიდად ჰკითხა:

— თქვენ რა ხართ ამ ბავშვის?

კოტლოვი გამოერკვა.

— მითხარით, საიდან გაჩნდა თქვენთან ჩემი შვილი?

— ეს ბავშვი უკრაინიდან ჩამოიყვანა ერთმა ქართველმა ოფიცერმა. შვილივით მოგვაბარა.

— უპატრონო იყო უთუოდ... სიკეთე მისცეს ძმობის მადლმა, კაცი ის ყოფილა...—თქვა არმიელმა და ორი ცრემლი ყინულივით შეაცივდა თვალებზე.

მაშინ არავინ დამიშლის

დილაადრიან მოფრინდებიან ჩემი სტუმრები და თოვლით მოფენილ აივნის მოაჯირზე შემოსხდებიან.

ჭიკჭიკებენ და მიცდიან.

როცა გავახელ თვალს, პირველად სასთუმალთან მიკრულ ჩიტუნების სურათს შევხედავ. ეს მე დავხატე. სურათი მომაგონებს, რომ გარეთ მიცდიან მშიერი ჩიტუნები—ისინი ჩემი სტუმრები არიან.

სწრაფად წამოვიკრები ლოგინიდან, გადავწევ ფანჯარაზე ფარდას და მხიარულად მივესალმები.

— გამარჯობათ, ჩემო ჩიტუნებო, როგორა ხართ? ხომ არ გცივათ?

ნიშნად სიხარულისა ჩიტუნები შეიფრთხიალებენ, აფრინდებიან ზევით და ისევ შემოსხდებიან მოაჯირზე. ზოგი ხის ტოტებზე შესკუპდება.

აივანი გადათეთრებულია. თეთრად ბრწყინავს ქუჩები, სახლების სახურავები, ჩემი პატარა ხეც თეთრად მოკაზმულა და თეთრი მკლავები აუშლია ცისკენ.

ვიშ, რა ლამაზია გარეთ ყველაფერი: თეთრია ეზო, თეთრია ხე, თეთრია ქუჩები... ყველგან სითეთრე პირნაზობს.

შორიდან მოისმის ბავშვების ჟრიამული, ალბათ გუნდაობენ. ჩქარა ჩავიცვამ, მივდივარ კარებთან, მაგრამ დედა დამეწევა და არ მიშვებს.

— გარეთ ცუდი ამინდია, გაცივდები,—მეუბნება.

— აბა რა არის ცუდი? ბუმბულა ფანტელები ისე მოცეკვაობენ, მოიჩქარიან ზეციდან, თითქოს მე დავპატიჟე ისინი. აბა რა არის ცუდი?!.

— სიცივეა.

— დედიკო, გამიშვი, გენაცვალე, გარეთ მშიერი ჩიტუნები მელოდებიან. გუშინ მათთვის დავამზადე საკენკი.

— მაშ მოიხვიე თავზე და ჩქარა შემოდი.

— ახლავე, ჩემო კარგო დედა!

გახარებული ვშლი ქაღალდის სუფრას და მიმაქვს. ყველაფერია: ფეტვი, ხორბალი, ღომის მარცვალი, პურის ნამცეცები... მობრძანდით, რაღას უცდით!..

ისინი სულ ნაძვის ტოტებზე ხტიან და იქიდან მითვალთვალებენ. მე მიყვარს პაწია ჩიტუნები. მამამ მითხრა: კარგად გამოკვებე ჩიტუნები, არ დაიხოცონ ზამთარში, თორემ ზაფხულში ბუზები შეგვეამს; ჩიტუნები სპობენ მავნე მწერებსო. ამიტომ ყოველდღე ვაქმევ საკენკს. ჩიტუნები მაინც ფრთხიან და შორიდან მითვალთვალებენ, სანამ არ მოეშორდები მოაჯირს.

— ოო, რა ავები ხართ!..

მეც გავებუტე და დავბრუნდი უკან. ოთახში ჩუმად მივდივარ ფანჯარასთან.

— აა, თქვე ეშმაკებო...

ისე მიესიენენ საკენკს, რომ ერთმანეთს ეცილებიან,—აბა რომელმა მეტი შეეკამოს. ხარბებო... გაუმაძღრებო. როგორ მინდა მეც გავერიო ჩიტუნებში. დედამ კარი გადაკეტა.

— გამიშვი, დედიკო!—დავიყვირე.

დედა გამიჯავრდა ჯიუტობისათვის, მერე მომიალერსა და მითხრა:— დაწყნარდი, შვილო, ჯერ პატარა ხარ. გაიზრდები და...

— მერე თავისუფლად ვირბენ თოვლში?

— ჰო, აგრე იქნება...

— გივისხელა რომ ვიქნები?

მივდივარ ისევ ფანჯარასთან იმ იმედით, რომ გავიზრდები და თავისუფლად ვირბენ.

მაგრამ... ახლა, ჩიტუნებო,
რარიგ მინდა თქვენთან ფრენა!
დამაცადეთ, ლამაზებო,
გავიზრდები გივისხელა,
მაშინ არვინ არ დამიშლის
გუნდაობას, თქვენთან ლხენას.

ზ ა ზ უ ლ ი

მადიკოს ზაზული პატარა ბიჭუნა იყო და არასოდეს არ ენახა ხილის ბაღი, მინდვრები და არც ის ქარხანა, სადაც მისი დედა მუშაობდა. არასოდეს შუაგულ ქალაქს არ გაშორებია. ან ვის ეცალა მისთვის: დედა დილაადრიანად სამუშაოზე მიიჩქაროდა, საღამოს კი ოჯახის წვრილმან საქმეს უნდებოდა. ზაზული მთელი დღე ეზოში ბავშვებთან თამაშობდა, ხან დაკეტილი ოთახის კართან იჯდა, დედის დაბრუნებას ელოდებოდა, ლურჯ ცას უმზერდა და ასე ფიქრობდა:—რა არის, ნეტავი, იქ ასეთი ლამაზი, ასეთი მოკრიალე, ასეთი მშვენიერი, ბრწყინვალე ქოლგად რომ გაშლილა ჩვენს თავზე?! ან იქ, იმ გორებს იქით რა ქვეყანაა?

— ახ, ჩემო საყვარელო მერცხალო!—აღტაცებით შესძახა ერთ დღეს ზაზულიმ გაზაფხულის პირველ მახარობელს.

— ბრრრ... ბრრრრ...—მოულოდნელად დაიგრიალა ჰაერში ამ დროს თვითმფრინავმა. პირველს მეორე აედევნა, მეორეს მესამე და გაჩაღდა თვითმფრინავების შეჯიბრება.

— ახ, გენაცვალეთ... გენაცვალეთ...—ყვიროდა ზაზული და ხელებს ზევით აპოტინებდა.

თვითმფრინავები ღრუბლის თეთრ ქულებს შეუერთდნენ და გაქრნენ. ახლა ზაზულის ახალი საფიქრალი გაუჩნდა: ძალიან მოეწონა ფრენა.

— მომშორდით, დამანებეთ თავი!—ებუტებოდა ეზოს ამხანაგებს.—მე თვითმფრინავი უნდა ავაშენო და მთვარეზე გავფრინდე. უსათუოდ მთვარეზე უნდა გავფრინდე.

ყოველ დილით, დედა წავიდოდა თუ არა სახლიდან, ზაზული შეუდგებოდა მუყაოდან თვითმფრინავის კეთებას. გააკეთა ერთი, მეორე, მესამე, მაგრამ ვერც ერთი ვერ ააფრინა: რაღაცა მაინც დააკლდა.

დაღონებული ჩამოჯდა ალაყაფის კარზე. უკმაყოფილოდ უყურებდა

გამვლელ-გამომვლელთ. უცებ გამოუთქმელი სიხარული იგრძნო: მასავით პატარა ბავშვები დამწკრივებული მიდიოდნენ ფეხების ბაკუნით და სიმღერით. წინ მასწავლებელი მიუძღოდათ. ზაზულის ბევრი აღარ უფიქრია, გაძვრა და შეუმჩნევლად შეუერთდა ბავშვების მწკრივს. ხმებს ხმა ააყოლა და თვითონაც დაიწყო მხიარული სიმღერა.

ბავშვები მღეროდნენ:

ერთი... ორი... გასწით მწყობრად,
გადავაბათ ხელზე ხელი...
დილის მზე გვყავს დღეს მეგობრად,
მასპინძლად კი მინდორ-ველი.
ყვავილების თეთრი გროვა
გადაგვიშლის ფერად თვალებს,
პეპელებო, თქვენთან მოვალთ,
დაგიკოცნით ლამაზ ხალებს.

მადიკო სამუშაოდან დაბრუნდა, ბავშვი სახლში არ დაუხვედა. შეშინდა. მეზობლები შემოირბინა, ქუჩები დაათვალიერა, ნაცნობებთან მიიკრა, მაგრამ ზაზულის კვალი ვერსად აღმოაჩინა. მთელი დღე ნამუშევარი, დაღლილი ალაყაფის კარებთან მიეგდო. არც სადილი მოგონებია, არც შიმშილი უგრძვნია.

— ნუ გეშინია, ქალო, ბავშვი არ დაიკარგება,—ანუგეშებდა მეზობელი დედაკაცი.—დღეს აქ ჯამბაზები დადიოდნენ, არღანს აპიკუინებდნენ. ალბათ იმათ აედევნებოდა, მოსაღამოვდება და ისიც გამოჩნდება.

დედა არ მშვიდდებოდა.

აი, მოსაღამოვდა კიდეც. მზე გორებს გადაღმა გადაწვა. ქუჩებს ისევ მოეფინა ბავშვების აურზაური და მხიარული ერიამული. მადიკოს წინ ჩამოუარეს რიგრიგობით დამწკრივებულმა ბავშვებმა. აგერ ზაზული გამოხტა მწკრივიდან და გაფართქალებული ჩაუვარდა დედას კალთაში.

მადიკო სიხარულით კინაღამ დამუნჯდა. უსიტყვოდ ჰკოცნიდა ბავშვს და იხუტებდა გულში.

ზაზულიმ აღტაცებით უამბო დედას, სად იყო და რა ნახა. ერთხელაც არ დაფიქრებულა თავის დანაშაულზე...

— დედიკო, გენაცვალე, რა კარგი იყო მწვანე მინდვრები, მწვანე ყანები... წითელი ყაყაჩოები... პეპლები. უჰ!.. უჰ!.. გზა-გზა ვხედავდით ბაღებს, საიდანაც მოჩანდა შეწითლებული ალუბლები... და კიდევ... უუჰ... რამდენი რამ!..

— დედა, რა გვიჭირს, ჩვენც წავიდეთ სადმე შორს, სოფელში, სადაც იმისთანა მინდვრები და ბაღებია, სადაც ყველაფერი ლამაზია.

მადიკო გარინდებული უსმენდა ზაზულის ტიტინს. უნდოდა ეკითხა:

დედის უნებურად რად გაიპარა სახლიდან, რად ჩაიდინა ასეთი დანაშაული, მაგრამ მადიკო ვერ უძლებდა ბავშვის სიხარულს და თავისთვის ბუტბუტებდა:

— მე ვარ დამნაშავე, შვილო, თავის დროზე რომ ვერ მიგიყვანე საბავშვო ბაღში, მე ვარ დამნაშავე...

გულკეთილ დედას თავის თავზე გადმოჰქონდა შვილის დანაშაული.

დამშვიდების შემდეგ ზაზულიმ კიდევ უამბო დედას ერთი ახალი ამბავი: როგორ მოეფერა მასწავლებელი და როგორ დაჰპირდა, სექტემბერში უსათუოდ მიგიღებ სკოლაშიო.

მეორე დღეს მადიკომ ქარხანაში წაიყვანა ზაზული. ზაზული კალთაზე მიეკრა დედას და თვალდაჭყეტილი მიაშტერდა კბილებდაღრენილ, ბორბლების გაქანებულ ღრიალს. ვეებერთელა მანქანა ღრინავდა და გაბრაზებული აღებდა ხახას. მაღალ ანძებზე გადმოკიდებული ღვედები მძიმედ ტრიალებდნენ. ბორბლები გრიალებდნენ, ღრიალებდნენ, გუგუნებდნენ...

გამურული მემანქანე ძრავს უტრიალებდა. სხვა ოთახებშიაც გადიოდა მანქანის ფოლადიანი მკლავები, სადაც თითოეულ საქმეს მუშების თითო ჯგუფი განაგებდა: ერთი დაჭრილ თამბაქოს მიათრევდა დიდი ყუთით, მეორე გამზადებულ პაპიროსებს ალაგებდა პატარა კოლოფებში, მესამე გილზებს უთვალთვალებდა და ქაღალდის ბურბუშელებს აგროვებდა.

— დედა, გენაცვალე,—კრძალვით წარმოთქვა ზაზულიმ,—ვინ გააკეთა ეს მანქანა, რა ძალა უტრიალებს იმ ბორბლებს? როგორ ადიან და ჩამოდიან ღვედები? როგორ კეთდება პაპიროსები? საიდან მისრიალებენ გილზები?

მაგრამ აგერ ახალშემოსულმა ხნიერმა კაცმა მიიპყრო მუშების ყურადღება. ის რაღაცას ამბობდა მანქანის შესახებ. ზაზულიმ დედას წასჩურჩულა:

— დედა, ვინ არის ის კაცი?

— ის ინჟინერია, რომელმაც ეს ქარხანა ააშენა.

ამ დროს საყვირის ხმა გაისმა და მუშები ჩოჩქოლით გამოვიდნენ ქარხნიდან.

ახალი სანახაობით მოხიბლული ზაზული მხარდამხარ მისდევდა დედას შინისაკენ და ამბობდა:

— დედილო, მე უთუოდ ინჟინერი უნდა გამოვიდე. მე ისეთ მანქანას გამოვიგონებ, რომ ქვეყანას გავაკვირვებ... მე იმ ინჟინერს უნდა ვაჯობო. აბა ნახავ, თუ მართალს არ ვამბობ, ნახავ...

მადიკო ხშირად მოუთხრობს თანამგზავრ მუშებს მისი პატარა ბიჭუნას ასეთი დიდი ფიქრების შესახებ და სიამოვნებით იღიმება.

ს ა ხ ს ო ვ ა რ ი

ნელი მთელი საღამო ემზადებოდა დილით სკოლაში წასასვლელად. განსაკუთრებული სასიხარულო ამბავი მოხდა მის ცხოვრებაში: გუშინ ნელი კომკავშირში მიიღეს. ბავშვობის წლები უკან რჩებოდა. კომკავშირელის სახელწოდება საპასუხისმგებლო მოვალეობას აკისრებდა ნელის, ბავშვობიდან სიყრმის წლებში დგამდა ნაბიჯს. მას პიონერის ყელსახვევი უნდა მოეხსნა და კომკავშირელის ნიშანი მიებნია მკერდზე. ნელის დღეს სასკოლო ფორმაც შეუკერა დედამ. ნელი იდგა მაგიდასთან და გულმოდგინედ აუთოებდა ყავისფერ, ნაოქიან კაბას, შავ წინსაფარს და თეთრ საყელოს.

ხვალ ის ნამდვილი კომკავშირელი იქნება. სკოლაში მისი ამხანაგებიც ახალი იერით მოვლენ. „დიახ, ალისფერი ყელსახვევის მაგიერ ყველას თეთრი საყელო ექნება გაკეთებული“,—გაიფიქრა ნელიმ და გაიღიმა... რა გაუხარდა იმ წამს, რომ გეკითხათ, ვერაფერს გიპასუხებდათ, აღფრთოვანებული იყო იმით, რომ ის უკვე კომკავშირელი იყო...

— მერე ალისფერ ყელსახვევს ვის აჩუქებ, ნელი?—მხიარულა, ალერსიანი ხმით ჰკითხა ბებია მადუმ, რომელიც ღუმელთან იჯდა დაბალ სკამზე და ნელის ხელთათმანზე უკანასკნელ თვლებს აქსოვდა. ბებია მადუ ჩქარობდა ხელთათმანის დამთავრებას. ხვალ ყველაფერი ახალი უნდა ჩაეცვა ნელის. ფეხსაცმელიც ახალი მოუტანა მამამ... მართლაც ახალი ცხოვრება იწყებოდა ნელისათვის.

ნელიმ სკამის საზურგეზე გადადო გაუთოებული ყელსახვევი და ბებია მადუს უპასუხა:

— მე ეს ყელსახვევი ძალიან მიყვარს, არ ვფიქრობ, ვინმეს ვაჩუქო.

ბებია მადუს თვალები გაუბრწყინდა.

— მეც ეს მინდოდა გეთქვა, ჩემო გოგონავ, რომ შენ გიყვარს შენი

ბავშვობა. რაკი ასეა, აიღე ჩემი მაგიდიდან ის კაკლის ხის სკივრი, შენ ძალიან მოგწონს, ვიცი. ოღონდ გაუფრთხილდი, ნელი, არასოდეს არ გააჩუქო, თუ ბები გიყვარს. ძვირფასი ჩუქურთმებია ზედ ამოჭრილი... რაც რამ გიყვარს შენი ბავშვობის, შიგ ჩაკეტე და შეინახე.

ნელი სიხარულით გადაეხვია ბებია მადუს ძვირფასი საჩუქრისათვის, გახსნა სკივრი და პირველად ალისფერი ყელსახვევი ჩადო შიგ.

— ჩემო ბები,—ბავშვური აღტაცებით წარმოთქვა ნელიმ,—თავსავით მეყვარება ეს ორი ნივთი, რომელიც მუდამ მომაგონებს ჩემს ბების და ჩემს ბავშვობას.

ძვირფასი სახელი

1949 წლის 21 დეკემბერს, დილით, ბრაზილიის დედაქალაქის — რიო-დე-ჟანეიროს ქუჩებში საშინელი ყვირილი და განგაში ატყდა. პოლიციელები ქუდმოგლეჯილი დარბოდნენ აქეთ-იქით. არ იცოდნენ სად მოენახათ დამნაშავე. პოლიციის უფროსი ყვიროდა, ფეხებს აბაკუნებდა, დეზებს აჟღარუნებდა და მათრახით ემუქრებოდა ყველას.

ქალაქის მესვეურთ თმები ყალყზე დასდგომოდათ, ხელები იმ მთისაკენ გაეშვირათ, რომელზედაც საოცრად გაკეთებულ წარწერას ხედავდნენ.

ხალხს ზეცისკენ მიეპყრო თვალები და ყბების ცახცახით ამბობდნენ:— სასწაულია სწორედ... კაცი იყო თუ ჩიტი ამის მოქმედი?! ჩიტიც კი ვერ მოიკიდებს ფეხს ამ კლდოვან მთაზე! ვინ მოახერხა ეს?

რიო-დე-ჟანეიროს მახლობლად ზღვაში სამგზავრო გემი მოცურავდა. კაპიტანმა „ორი ძმის“ მთაზე მსხვილი ასოებით დაწერილ სიტყვას მოჰკრა თვალი, რომელიც თეთრად ბრწყინავდა. სახეზე კითხვა გამოეხატა. თვალი იქვე, გემის მოაჯირთან მდგომ შავკანიან ბიჭზე შეაჩერა. ყმაწვილს სიხარულით უბრწყინავდა თვალები, მაგრამ ახლა სერიოზული სახე მიიღო და სანამ კაპიტანი დურბინდს მოიმარჯვებდა, მოკრძალებით დაუკრა თავი და აჩქარებით მოახსენა: „ბატონო კაპიტანო, იქ წერია „სტალინი“. გულში უსაზღვროდ უხაროდა, რომ საშუალება მიეცა საყვარელი ადამიანის სახელი ხმამაღლა წარმოეთქვა.

ახლა კაპიტანიც კარგად ხედავდა მომარჯვებული დურბინდიდან საოცარ წარწერას: მან შუბლი შეიკრა, გაბრაზდა, ქორივით დაეძგერა ყმაწვილს. ხელი წაავლო და გემის ქვედა სართულში ჩაუძახა.

— საზიზღარო! არ გაბედო მანდედან ამოსვლა!

ნავსადგურის მუშები კი ღიმილით გასცქეროდნენ ქალაქის გვერდით ამართულ კაცთმიუვალ კლდოვან მწვერვალს, სადაც თეთრი, დიდრონი ასოებით გამოსახული იყო ძვირფასი სახელი—„სტალინი“. ვინ იცის, იქნებ ახლა მათ შორისაც იდგა ის გმირი, რომელმაც ქვეყნის სამაგალითოდ გაწირა თავი.

კარგი ამხანაგი

დარაჯმა ქალმა სკოლის კარებში შეაჩერა პატარა ბიჭი ყაყიტა და ჩვეულებრივი ღიმილით ჰკითხა:

— რამ მოგიყვანა, ბიჭუნი, ასე ადრე?

— დაგვიანებას ადრე მოსვლა არა სჯობს, დეიდა?

— რა თქმა უნდა, მაგრამ... ქუდი სად დაკარგე?

— ქუდი...

ყაყიტამ ხელი მოისვა თავზე და დარცხვენილი შეევიდა სკოლის დერეფანში.

დარაჯ ქალს ხშირად უნახავს ყაყიტა კარის უკან ატუზული. რისთვის, არ იკითხავთ? ხან წიგნი ავიწყდება სახლში, ხან კალმისტარი, ხან ფანქარი და ასე...

მთელი დღე ყირამალა გადადის ეზოში. საღამოს ძლივს მოასწრებს ხელ-პირის დაბანას და თვალები მოეხუქება. დილით შეშფოთებული წამოხტება ლოგინიდან. დედას არც კი აცლის საუზმის მომზადებას, საჩქაროდ ჩაულაპავს საუზმეს და ჩანთას წამოავლებს ხელს. ქუდი იშვიათად ახურავს. არ ახსოვს, სად დააგდო, სად ეძებოს. „შვილო, ხომ არაფერი გავიწყდება?“— ხმას დააწევს დედა, მაგრამ ყაყიტა უკან აღარ იხედება. ყაყიტას დედაც ჩქარა გამოკეტს სახლის კარს და სამუშაოზე მიიჩქარის.

გუშინ კლასში პირველი წერის გაკვეთილი ჰქონდა. დიდხანს აფათურა ყაყიტამ ხელი ჩანთაში, მაგრამ კალმისტარი ვერ ნახა და გაკვეთილი ვერ დაწერა. ყაყიტას დღიურში შენიშვნა ჩასწერა მასწავლებელმა. გუშინწინ ლექსი არ იცოდა, იმიტომ, რომ მთელი დღე ველოსიპედით ისრიალა. ამ რამდენიმე დღის წინ ანგარიში ვერ გამოიყვანა, ბურთის სათამაშოდ მიეჩქარებოდა. დღეს სახატავი ფერადი ფანქარი დაავიწყდა, ხატვის გაკვეთილზე სხვის რვეულში აკეთებდა თვალს.

ცუდი ნიშნებით აივსო ყაყიტას დღიური.

— როდის მოელება, ბიპო, შენს სიზარმაცეს ბოლო?—ჰკითხა ერთ დღეს კლასის დაბრიგებელმა და ბაგიდაზე დადებულ კალენდარს ფურცლები აახია,—იცი, დღეს რა რიცხვია?

ყაყიტამ კალენდარს დახედა და დაღონდა: სასწავლო წლის პირველი მეოთხედი მთავრდებოდა.

მასწავლებელმა იცოდა, რომ ყაყიტას დედა მთელი დღე მუშაობდა და სახლში ბავშვს მეთვალყურე არავინ ჰყავდა.

„რა ვუყოთ ამ ბავშვს?— ფიქრობდა მასწავლებელი,—უნიპო 'არ არის. როგორ გამოვასწორო ეგ უწესო?"—წუხდა მასწავლებელი და უცებ მოაგონდა რაღაც.

— გოგი, გოგი!—გადასძახა უკანა მერხზე მჯდომ ბავშვს.

მერხიდან წამოდგა მოხდენილი, ქკვიანი გამომეტყველების ბიპი. მაგრამ... მასწავლებელს კარგა ხანს ჰქონდა ბაგიდაზე თავი ჩაკიდებული და ფიქრობდა.

— აქ გახლავართ, მასწავლებელო.

— ვიცი, აქა ხარ!— ღიმილი გაბოეხატა მასწავლებელს ბაგეზე და კეთილი თვალი ფეხზე მდგომ მოწაფეს მიაპყრო,—გოგი, იცი, რა უნდა გთხოვო!?

ბავშვებმა განცვიფრებით შეხედეს გოგის.

— გისმენ, მასწავლებელო!

— ამ ბავშვის მეზობლად ცხოვრობ მგონი?— ყაყიტაზე მიუთითა მასწავლებელმა.

— დიახ, მასწავლებელო!

— მე გთხოვ, გოგი, ეგ ბიპი მიაჩვიო წესიერებას, ბეჯით სწავლას. მთელი დღე ბარტოა. არავინ ჰყავს ბეთვალყურე. შენ ხომ კარგი ბიპი ხარ. მოწინაველები უნდა დაეხმარონ ჩამორჩენილებს... უწესოები უნდა გამოასწოროთ წესიერებმა... გაიგე, გოგი?

— გავიგე, მასწავლებელო!—მკვირცხლად უპასუხა გოგიმ,—შეასრულებ დავალებას...—გაკვეთილის შემდეგ თვალებგაბრწყინებულ გოგის ხელიხელ ჩაკიდებული მიყავდა ყაყიტა შინ.

— დღეს ფერადი ფანქარი დაგრჩა სახლში?—ალერსით ეკითხებოდა გოგი.

— ჰოო...

— ქუდი სად გადააგდე?

— არ ვი-ცი.

— დღეს გაკვეთილები ერთად ვისწავლოთ. შემდეგ ყველაფერი ჩანთაში ჩავალაგოთ. ჩანთა და ქუდი ერთად დავკიდოთ. ბერე ვითამაშოთ, ვივახშმოთ და დავიძინოთ, ხომ?

— ხო-ო...

— ხვალ დილით უჩემოდ არ წახვიდე სკოლაში. მე გამოგივლი და ერთად წავიდეთ. გესმის?

— მეს-მის...— ლუღლუღებს ყაყიტა.

— მაშ ახლა ისადილე, მოიხვენე და შემდეგ მოდი ჩემთან. წიგნები წამოიღე, არ დაგავიწყდეს.

თანხმობის ნიშნად ყაყიტამ ფართე თვალები სიყვარულით მიანათა მეგობარს.

საგაზაფხულო გამოცდებამდე ყაყიტა გამოსწორდა კარგი ამხანაგის წყალობით. ახლა გოგისთან ერთად ყაყიტაც წესიერი და კარგი მოწაფეა. თუმცა არც ისე ადვილად დაუჯდა გოგის მეგობრის გამოსწორება. ბევრი ალერსი, შრომა და სიყვარული დასდო გოგიმ და ხალისით შეასრულა მასწავლებლის დავალება.

ამაზე იტყვიან: „კარგი ამხანაგი, კარგი ძმის ტოლიაო“.

პეპლები და დედოფლები

ზამთრის დღე იყო. გარეთ თოვდა.

ბაბუა ჯობა ცეცხლთან იჯდა და თამბაქოს აბოლებდა. ბუხრის მეორე მხარეს გივის პატარა ძაღლი, უკანა ფეხებზე დასკუპებული, ბაბუას უცქეროდა. თინა დაკეტილ ფანჯრიდან უმზერდა უფროს ძმებს—გივისა და ნიკას. ისინი მეზობლის ბავშვებთან ერთად თოვლში გუნდაობდნენ.

— ბაბუ, ბაბუ!—სიხარულით წამოიძახა თინამ,—ნახე, რა კარგია თოვლის ფარვანები! უი, როგორ ცეკვავენ... ჩემკენ მოფრინავენ... ნახე, ბაბუ, რა ლამაზია ეს თეთრი ქუდები. შეხედე, ხეებმაც თეთრი კაბა ჩაიცვეს. ეზოც გალამაზდა. ყველგან სითეთრე... ჰო, ყველგან სითეთრე,—გაიმეორა თინამ. —იქ თოვლი, აქ ბაბუა ჯობას წვერები...—და გადაიკისკისა.

ამ დროს ოთახში შემოვიდნენ გივი და ნიკა. მათ თოვლით გაფუმფლული, ხელებდაწითლებული მეზობლის ბავშვებიც შემოჰყვნენ, გაღვივებულ ცეცხლს მიაშურეს, გათბენ და იქვე ბუხართან ჩამოსხდნენ.

გარეთ საღამოს ბინდი ეშვებოდა.

ოთახში სიჩუმე იდგა.

— ბაბუა ჯობა,—თქვა ნიკამ,—ჩვენ დავიღალეთ თამაშით და ახლა ზღაპარი მოგვიყევი.

ბაბუამ ¹ჩიბუხი გამოიღო პირიდან—მას უხაროდა, როდესაც პატარებს ზღაპარს უყვებოდა.

— რომელი ზღაპარი გინდათ?

— ციკანი,— დაიძახა ნიკამ.

— კურდღელი,—უთხრა მეორემ.

— ბაბუა! პეპლები და ტყის დედოფლები,—წამოიტიტინა თინამ.

— პეპლები და ტყის დედოფლები? ჰო, კარგი,—თქვა ბაბუამ და დაიწყო:

— იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი კაცი. ბევრი შვილები ჰყავდა.

ზოგს წაღები არ ჰქონდა, ზოგს კაბა, ზოგს პერანგი. დადგა ზამთარი. ბავშვები მოგროვდნენ ცეცხლის პირას, მონახეს ძველი წინდები, ქალამნები, დააკერეს, ჩაიცვეს და წავიდნენ თოვლში საგუნდაოდ. კიკა და სარა შინ დარჩნენ. იმათ არ ჰქონდათ ფეხსაცმელები, დასხდნენ ცეცხლის პირას და დაიწყეს სიმღერა:

თოვლო, თოვლო, თეთრთვალაო,
მამამ შემოგითვალაო,
არ გეგონოს ხუმრობაო,
გვეყო შენი სტუმრობაო.
თოვლო, თოვლო, თეთრთვალაო,
დედამ შემოგითვალაო,
სცივა კიკას, სცივა სარას,
გაგვეცალე, წადი ჩქარა!
გაიღვიძებს გაზაფხული,
გაიხარებს ჩვენი გული.

თოვლმა გაიგონა კიკას და სარას თხოვნა, დახუჭა თვალები, გაწყალდა და გაქრა.

გამობრწყინდა გაზაფხული.

კიკამ და სარამ ჩაიცვეს ჭრელი პერანგები და მინდორში პეპლების დასაჭერად გაიქცნენ.

— აგერ ყვითელფრთება! — დაიყვირა გახარებულმა კიკამ.

ყვითელფრთება ჩაიმალა ყვავილებში და ბავშვებს დაუძახა:

— პატარებო, გენაცვალეთ! მე ახლა გავიღვიძე. ჯერ მზეზე არ გავმთბარვარ, მინდორში არ მიფრენია, ყვავილების სურნელებით არ დავმტკბარვარ... წადით ცოტა ქვევით, ჭრელ-ჭრელას ნახავთ და დაიჭირეთ, ის ჩემზე ლამაზია.

ბავშვები წავიდნენ. ნახეს ჭრელ-ჭრელა ყვავილებზე იჯდა. მიეპარნენ და დაიჭირეს. ჭრელ-ჭრელამ უთხრა:

— ბავშვებო, გამიშვით და ისეთ ლამაზ პეპელას გასწავლით, რომელიც მთელ მინდორს ხატავს. წითელლენტა ჰქვია. აი, იქ წევს. სანამ მიხვალთ, ისიც გაიღვიძებს.

ბავშვები გაიქცნენ. ნახეს წითელლენტა თეთრ ყვავილებზე ელავდა.

წითელლენტამ უთხრა:

— ბავშვებო, პაწაწინებო, ნეტავი თქვენსა მზერასა!.. რა ლამაზები ხართ, ოქროსთმიანებო! მე ახლა გავიღვიძე ზამთრის ძილისაგან. ჯერ თავისუფლად არ ამომისუნთქავს. დარჩით დღეს ჩემთან, წავიდეთ, გავფრინდეთ, ვნახოთ მთები, ჭალები, მინდვრები. იქ ტყის დედოფლები სუფრას გაგვიშლიან, ვიცეკვოთ და მოვილხინოთ.

ბავშვებს მოეწონათ წითელლენტას სიტყვა, გამოუარეს ჭრელ-ჭრელას, ყვითელფრთებას, დამეგობრდნენ და წავიდნენ ყველანი ტყის დედოფლებთან სტუმრად.

გადაირბინეს მინდვრები, ჭალები, ბროლ-მარგალიტებით მოქარგული კორდები და მივიდნენ ერთ მორაკრაკე რუსთან; დასხდნენ და წყალი დალიეს, რუ ქვიდან ქვაზე ხტოდა და მღეროდა. ბავშვებმა უთხრეს:

— რუ, მორაკრაკევ, გვითხარი რამე:

ღამით ვინ ხატავს შენს გულში მთვარეს?
დილით ვინ მღერის შენს ნაპირებთან?
ტყის დედოფლები მოდიან შენთან?

— ტყის დედოფლები? ახლაც აქ არიან,—თქვა რუმ რაკრაკით.—აგერ ენძელა ვერცხლის თმებჩამოშლილი, აგერ დაუვიწყარა ცისფერი თვალებით, აგერ ანწლი გიშრისფერ მძივებით. აი იები, გულღიები, ლურჯი ფერებით ხატავენ მდელოს და სხვა მრავალი ყვავილები არიან ტყის დედოფლები. გაზაფხულზე მოდიან აქ სტუმრად. ჩემს ნაპირზე ცხოვრობენ და იგრილებენ ფოთლებს ჩემი შხეფებით.

— ჩვენ მათთან მოვედით სტუმრად,—თქვეს პეპლებმა ფრთების წკაპწკუპით. რუ ახმაურდა და გააგებინა ყვავილებს უცხო სტუმრების მოსვლა. ყვავილებმა ერთმანეთს გადახედეს. მოგროვდნენ და გაშალეს ჭრელი სუფრა. ზოგს მარწყვი მოჰქონდა, ზოგს პანტა, ზოგს შვინდი, ზოგს კურკანტელა... „ყველაფერს მოგართმევთ, ოღონდ ჩვენ ნუ გვახლებთ ხელსაო“,—ფიქრობდნენ ყვავილები.

მართლაც სანამ ბავშვები ტყეში მივიდნენ, ყველაფერი დამწიფებულიყო.

— მობრძანდით, მობრძანდით!..—მხიარული კისკისით მიიპატიჟეს ყვავილებმა სტუმრები.

— თქვენ ვინ ბრძანდებით?—ჰკითხა ყვითელ პეპელას ენძელამ.

— მე ყვითელფრთება მქვია,—შენ?

— მე—ენძელა.

— ძალიან კარგი, მე დღეს შენთან დავრჩები. ძალიან მომწონხარ.

— შენ ვინღა ხარ?—ჰკითხა დაუვიწყარამ ჭრელ პეპელას.

— მე ჭრელ-ჭრელას მეძახიან... რა ლამაზი თვალები გაქვს. მე შენთან ყოფნა მინდა.

— დარჩი,—მხიარულად უპასუხა დაუვიწყარამ.

— შენი სახელი?—ჰკითხა იამ წითელ პეპელას.

— ჩემი სახელია წითელლენტა,—შენ რა გქვია?

— მე—ია.

— ია... გამიგონია სადღაც შენი ქება. მართლაც საქები ყოფილხარ: ლურჯი თვალები, ღია გული და მშვენიერი სურნელება...

იას გაეხარდა ქება, სტუმარი მიიპატიჟა.

კიკა და სარა მივიდნენ ანწლთან. დაათვალიერეს და დაიწყეს ჩურჩული. ანწლმა შესძახა:

— ვინ ხართ თქვენ, ჭრელპერანგიანებო? რისთვის მოსულხართ?

— ჩვენ ადამიანები ვართ. სტუმრად მოვედით.

— ჰოო, თუ სტუმრად მოხვედით, მასპინძლობა შეგვიძლია. — სუფრა გაშლილი იყო. მიუსხდნენ და დაიწყეს ნადიმი, სიმღერა, ცეკვა...

მოსალამურდა. ბავშვებმა მიიხედ-მოიხედეს, პეპლები აღარსად ჩანდნენ. მწვანე მდელოში ჩაიმალნენ და დაიძინეს. ბავშვები დაღონდნენ.

შინ დაბრუნების დრო იყო. ყვავილები გამოსათხოვრად მოემზადნენ.

— არა, არ გეთხოვებით, თქვენ ჩვენთან უნდა წამოხვიდეთ.

— როგორ!..—გაკვირვებით წამოიძახეს ყვავილებმა.

— ისე,—უთხრეს ბავშვებმა.

ყვავილები შეწუხდნენ... თვალი მოავლეს გარემოს.

— მშვიდობით, საყვარელო მინდვრებო, ძვირფასო კორდებო, მოპიკპიკე ჩიტუნებო, მოლივლივე ნაკადულებო! მშვიდობით!—ამოიკვნესეს ყვავილებმა.

ანწლი ამ დროს მედიდურად იყურებოდა.

— ჩემთან ვინ მობედავს,—ფიქრობდა ის,—ყველამ იცის, რომ მე მწარე ვარ.

ბავშვებმა ბოლოს ანწლსაც წაავლეს ხელი.

— ჩემთან რა გინდათ?—გაიკვირვა ანწლმა,—მე მწარე ვარ და თუ მომწყვეტთ, უფრო გაემწარდები.

— არა გიშავს!—გადაიხარხარეს კიკამ და სარამ,—შენგან მელანს გავაკეთებთ და დღევანდელ ჩვენს გასეირნებას ავწერთ. თუ ძალიან გამწარდები, ქვაბში ჩაგდებთ და არაყად გაქცევთ.

ბავშვებმა ბლომად დაკრიფეს ანწლი და ყვავილებთან ერთად მხიარულად წავიდნენ შინ.

მეორე დილით პეპლებმა რომ გაიღვიძეს, ყვავილების ცრემლები მდელოზე ციმციმებდნენ. მერე ის ცრემლები მზის სხივებმა ასწურეს. ასე დასრულდა ეს ამბავი. ტყის დედოფლები დამარცხდნენ. ანწლსაც არ უშველა სიმწარემ. მხოლოდ ეშმაკმა პეპლებმა ერთი დღის სიცოცხლე ძალად მოიპრვეს.

— რამდენ დღეს ცოცხლობენ, ბაბუა ჯობა, პეპლები?—იკითხა ნიკამ.

— სულ ორ დღეს...

დაამთავრა ბაბუა ჯობამ ზღაპარი.

გარეთ ისევ თოვდა და თოვდა.

ჩემი კლასის დამრიგებელი

ახლა ათი წლისა ვარ და ყველაფერი მახსოვს ჩემი პატარაობისა. ცელქი ბიჭუნა ვიყავი, მოუსვენარი. ჩემს სახლში ყველანი მიჯავრდებოდნენ.

— დაწყნარდი, ბიჭო...

— რა გიზის მაგ ფეხებში?..

— ერთი წუთი მოგვასვენე...

— ბავშვი ხარ თუ... გაგლახავ, გივიკო, იცოდე!—დამემუქრებოდა დედა. ყველაზე ბოლოს ბებიაჩემი მეტყოდა თავისი ლმობიერი და მოსიყვარულე ხმით:

— არ გრცხვენია, გივი? ნუ აჯავრებ დედას. ჩემთან მოდი, ბები გენაცვალოს, შენ ხომ ჩემი ბიჭი ხარ!..

ამის შემდეგ ერთ-ორ სკამს კიდევ წავაქცევდი და ჩქარა შევსკუპდებოდი ბებიკოს მუხლებზე. ბებია იყო ჩემი მფარველი, როცა სხვები მიწყრებოდნენ.

მახსოვს, დედას სკოლაში რომ მივყავდი, მაშინაც ამბობდა:

— ვინ დააყენებს ამ გიჟს სკოლაში!..

მამაჩემს არც თუ ძალიან აწუხებდა ჩემი ცელქობა. ის მხოლოდ იღიმებოდა ჩემს საქციელზე. როცა ჩანთა გადავიკიდე მხარზე და სკოლის ქუდი დავიხურე, ხელი ჩავიქნიე და ამაყად ვთქვი:

— ვის არ დააყენებენ სკოლაში, მე? ვინ მოგახსენათ? აღარ ვიცელქებ.

დედას გაუხარდა, „აღარ ვიცელქებ“ რომ გაიგონა.

მამამ თავზე ხელი გადამისვა და ღიმილით მითხრა:

— გივიკო, თუ ჭკვიანად იქნები სკოლაში, პიონერი რომ გახდები, ველოსიპედს გიყიდი, ორთვლიან ველოსიპედს.

სკოლაში მეორე მერხზე დამსვეს. ჩემს წინ ჩემსავით პატარა ბიჭუნები

ისხდნენ. გვერდით ერთი ისეთი ჩასუქებული ბიჭი მომისვეს, რომ გაკვეთილის დროს ფეხზე წამოდგომა ეზარებოდა. რამდენჯერ მითქვამს:

— ზვიად, ცოცხლად ადექი, ბიჭო, ავად ხომ არ ხარ?

მასწავლებელი რომ თვალს მოაცილებდა, ზვიადი ან კარგად გაიზმორებოდა ან დაამთქნარებდა. მე ვერ ვიტანდი ამხანაგის ასეთ საქციელს. ყოველ თავისუფალ დროს ჩემი მასწავლებელი—კლასის დამრიგებელი საინტერესო ამბებს მოგვიყვებოდა, ან ახალი წიგნიდან საინტერესო მოთხრობას წაგვიკითხავდა.

ერთ დღეს თავისუფალ გაკვეთილზე მასწავლებელი შემოვიდა, ახალი წიგნი მოიტანა და გვითხრა:

— ბავშვებო, გინდათ კარგი წიგნი წაგიკითხოთ?

— გვინდა, მასწავლებელო!

— აბა, ყური დამიგდეთ. მე წაგიკითხავთ „რა უნდა იცოდეს პიონერმა", მაგრამ,—მასწავლებელი შეჩერდა და თვალი მოავლო ბავშვებს,—ჯერ ეს მითხარით, იცით თუ არა, რას ნიშნავს სიტყვა „პიონერი"?

მე მინდოდა მეპასუხნა და უცებ უკანა მერხიდან დამასწრო ვიღაცამ:

— პიონერი ნიშნავს პირველს.

მასწავლებელმა გაიღიმა.

— დიახ, პიონერი ნიშნავს პირველ ადამიანს, მოწინავეს, რომელიც მაგალითი უნდა იყოს სხვებისათვის. პიონერები ძველ დროში—პირველი მეზღვაურები იყვნენ. პიონერი ერქვა იმ გემს, რომელმაც პირველად გადასერა ოკეანე. ახლა პიონერები არიან ჩვენი მოწინავე ბავშვები.

ამ მაისში მესამე კლასში უნდა გადავიდე. პიონერხელმძღვანელმა გამოგვიცხადა: ბავშვებო, ვინც მესამე კლასში ფრიადებით გადახვალთ, პიონერები გახდებითო.

— მაშ მე ჩქარა პიონერი გავხდები?—სიხარულით წამოვიძახე და უცებ გამახსენდა ის ორი „ეშმაკობა", რომელიც სასწავლო წლის უკანასკნელ მეოთხედში ჩავიდინე. მასწავლებელს შევხედე. მე მაშინვე ვიგრძენი, რომ მასწავლებელმა ორივე ეშმაკობაზე შემასწრო თვალი. დიახ, ახლაც ვგრძნობ ამას და ისიც ვიცი, რომ მოთმინებასაც ბოლო აქვს... თუმცა არც ისე დიდი დანაშაული ჩამიდენია. ერთხელ წინა მერხზე მჯდომმა ბიჭუნამ სულ უბრალო ამოცანაზე ვერ უპასუხა. იმწამსვე მეორე უფრო ადვილი ამოცანა ჰკითხა მასწავლებელმა, რომელიც პირველ ამოცანასთან იყო დაკავშირებული. რაღაც იმ დღეს, უგუნებობის გამო, ვერც მეორე ამოცანაზე უპასუხა. მაშინ მე სწრაფად მოვიმარჯვე საჩვენებელი თითი და ზურგზე მოვუხაზე ბიჭუნას—81. სიხარულით აღფრთოვანებულმა ბიჭუნამ წამოიყვირა:

— 81! მასწავლებელო, გამოვიყვანე!—ეს იყო ჩემი პირველი ეშმაკობა სკოლაში. მეორეჯერ მასწავლებელი გაზეთებიდან ამოკრებილ ამბებს გვიყვებოდა. რო-

გორ აწვალებდნენ ამერიკელი დამპყრობლები კორეელ ბავშვებს. მთელი კლასი დაძაბული ყურადღებით ვისმენდით.

„საზიზღრები... საზიზღრები...“ გაისმოდა აქა-იქ ბავშვების წამოძახილი. გული შურისძიებით მევსებოდა. ამ დროს ჩემს გვერდით ზანტი ზვიადი ისე თვლემდა, თავით მერხს ებჯინებოდა. ვეღარ მოვითმინე, გავაცოცე ხელი და ისე მაგრად ვუჩქმიტე გვერდში, რომ „უი“-ო შესძახა და ერთ მტკაველზე ავარდა მერხიდან. კლასში მოულოდნელი .შემთხვევით გამოწვეული სიცილი გაისმა. მე გატვრენილი ვიჯექი... დაფას მივჩერებოდი, რომელზედაც ცარცით წერდა მასწავლებელი კორეის ქალაქების სახელს—„სინიიჯუ... ხამსინი ჟონსან...“

მასწავლებელმა ჩემზე შეაჩერა თვალი, მერე მთელ კლასს გადახედა და ისევ განაგრძო საუბარი.

განა არ დამინახა?

მეორე დღეს ზვიადი ჩემთან აღარ იჯდა. მივიხედე და სულ უკანა სკამზე დავინახე. შემებრალა, თავი ჩავღუნე. გაკვეთილის შემდეგ მივედი ზვიადთან და ბოდიში მოვიხადე. ზვიადმა ისე გამიღიმა, როგორც ღიმებიან საერთოდ გულკეთილი ბავშვები. მისმა ღიმილმა დამარწმუნა, ზვიადი სამაგიეროს გადახდას ჩემთვის არ აპირებდა. გული სარკესავით გამიხდა. ამხანაგურად მოვხვიე ხელი და ვუთხარი:

— ბიჭო, ზვიად, მოდი, ერთად ვისწავლოთ გაკვეთილები. ერთმანეთს ვემეგობროთ. ჩვენ ხომ მეზობლად ვცხოვრობთ... ერთად ვითამაშოთ...

სადილის შემდეგ ზვიადი მართლაც მოვიდა ჩემთან, გამეხარდა, რაც შემეძლო, დავეხმარე. როცა მოვრჩით გაკვეთილებს, ეზოში გავედით სათამაშოდ. „ახლა კი იმდენს გახტუნებ, ჩემო ზვიად, შენს სიზარმაცეს დაგატოვებინებ,“—გავიფიქრე გულში. მართლაც ისეთი თამაში მოვიგონე, ერთი საათი სულ ვხტოდით და დავრბოდით. ამის შემდეგ ყოველდღე მოდიოდა ზვიადი ჩემთან. მე გადავწყვიტე: როგორმე, სხვების შეუმჩნევლად, უხმაუროდ, ეს გულკეთილი ამხანაგი გამომეყვანა სიზარმაციდან. ასეც მოხდა. მიდიოდა დღეები. ზვიადი ჩემთან ერთად ამხადებდა გაკვეთილებს. შემდეგ ეზოში ნიშანი დავდეთ. ორმოცდაათი მეტრი ყოველდღე უნდა გაგვერბინა. მე ხანდახან განგებ ჩამოვრჩებოდი მის წასაქეზებლად. მერე თოკზე ხტომა მოვიგონე და, ამრიგად, მთელი დღე ყირაზე გადავდიოდით ეზოში.

ზვიადს სიცოცხლის ნიშანწყალი დაეტყო. უმოძრაო კუნთები რამოდენიმედ ელასტიური გაუხდა. ფიზკულტურის ხელმძღვანელს უკვირდა კიდეც, როგორ გამოიცვალა ეგ ბიჭიო. ჩემი კლასის დამრიგებელი აღტაცებით ამბობდა:

— ზვიადმა გუშინ ოთხი მიიღო.

მართლაც ზვიადმა ყველა ორიანი ოთხებზე გადაასწორა. მიხარია: ჩემმა

შრომამ ნაყოფი გამოიღო. უფრო მსიამოვნებს ის, რომ ასე შეუმჩნევლად ზვიადი კარგი მოწაფის სახელით მიიწევს წინ. მე სულ ხუთიანები ჩავამწკრივე.

მამაჩემმა დაპირება შეასრულა. წინასწარ მიყიდა ორთვლიანი ველოსიპედი. ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს. ვვარჯიშობ ველოსიპედზე. ზვიადიც ჩემთან არის, ეზოს ბიჭებიც. ხან იმათაც ვუთმობ ველოსიპედს და კმაყოფილი ვარ, რომ ამხანაგები ერთად ვმხიარულობთ.

მაგრამ აი, მოახლოვდა ჩემი პიონერორგანიზაციაში მიღების დღე. ხვალიდან პიონერი უნდა გავხდე. ეს ჩემთვის დიდად საპატიო საქმეა. პიონერის სახელი მავალებს ვიყო მართალი და პატიოსანი. გულზე კი ლაქად მაჩნია ის ორი ეშმაკობა, რომელიც ჩავიდინე სკოლაში. ამის შესახებ მამამ და დედამ არაფერი არ იციან. ჩემმა მასწავლებელმა კი იცის და არაფერს ამბობს. მე ეს უფრო მაწუხებს, რომ არაფერს ამბობს. ჩემი მასწავლებელი დიდი მოთმინების ადამიანია. განა შეიძლება ასეთი აღმზრდელის წინაშე პირმიბრუნებული იდგე?

მთელი ღამე არ მიძინია. ფანჯარასთან ვწევარ. ბადრი მთვარე ამოვიდა. დავაკვირდი. რა წმინდა და კაშკაშა იქნებოდა სავსე მთვარე, ის ჩრდილი რომ ოდნავ არ ახლდეს. ჩემს გულსაც მთვარის ჩრდილივით აჩნია ის ორი ეშმაკობა. არა, არ შემიძლია... პიონერის ყელსახვევქვეშ მინდა წმინდა გული მქონდეს. ვეტყვი მასწავლებელს...

ფიქრს აღარ დავუბრუნდი. ამ გადაწყვეტილებით ჩამეძინა. დილით ადრე ავდექი.

მზემ სხივების კაშკაშით გამიცინა. ჩქარა გავქანდი სკოლისაკენ. სკოლის კარებში პირველი ჩემი კლასის მასწავლებელი შემხვდა.

— პატივცემულო მასწავლებელო,—ხმის კანკალით მივმართე,—თქვენ ორი ეშმაკობა მაპატიეთ... მე ეს არასოდეს დამავიწყდება... დღეს პიონერი უნდა გავხდე...

აქ ხმა გამიწყდა. მასწავლებელი შედგა, რაღაც უხერხულად მოისრისა შუბლი და მერე უცებ გაიღიმა.

— გახსოვდეს, გივიკო, იყავი მუდამ პატიოსანი და შენი საქმის ერთგული!—მითხრა და ჩქარა გამშორდა. ვიღებ პიონერის ყელსახვევს და ვიძლევი სიტყვას:

— ვიქნები მუდამ პატიოსანი და ჩემი დიადი სამშობლოს ერთგული.

ჩინურ ფანზაში

ეს იყო წინათ

პატარა ჩინურ ფანზაში უცნაურად გამხდარი, დანაღვლიანებული ვეი-ჩენი სუფრასთან იჯდა ცოლით და მცირეწლოვანი სამი შვილით და ბრინჯს შეექცეოდა.

ფანზაში ნახევრად ბნელოდა და ნესტის მყრალი სუნი იდგა. ვეი-ჩენმა მწუხარედ გადახედა ცოლს და ამოოხვრით წარმოთქვა:

— ჩემო ფუ-სი, ჩვენი მიწა კარგია, მაგრამ ისე პატარაა, მთელი მოსავალი ნახევარ წელიწადსაც არ გვეყოფა. რა უნდა ვქნათ?.. უნებლიეთ მოგვიხდება ბავშვების გაბარება სამუშაოდ.

სიტყვა გაახანგრძლივა ვეი-ჩენმა და ბავშვებს გადახედა. ისინი გაძვალტყავებულნი, ყბებჩავარდნილნი, სამარიდან ამომძვრალი ჩონჩხივით მისჩერებოდნენ მამას.

შეშინებულმა ფუ-სიმ მოაელო ბავშვებს თვალი, შემდეგ აიყვანა ყველაზე უმცროსი ბიჭი ჩენი და მაგრად მიიკრა მკერდზე.

— მხოლოდ ეს დარჩეს ჩემთან, მარტო ეს!—მშობლიური გრძნობით წამოიძახა მან.

— ამას ვინ წაიყვანს! ჯერ თაგვივით პატარაა და სუსტი,—თქვა ვეი-ჩენმა და თან დაუმატა,—სატირალი არაფერია, იქ საჭმელს მაინც აჭმევენ, აქ კი, შიმშილით სიკვდილი მოელის ყველას.

* * *

ვენ-კაი-შის და უცხოელ მისტერ სტრომს ფეხსაცმლის დიდი ფაბრიკა აქვთ იმ სოფლის მახლობელ ქალაქში, სადაც ვეი-ჩენი ცხოვრობს. ფაბრიკაში მუშაობა კარგად მიმდინარეობს და კარგ შემოსავალსაც იძლევა: მუშები იაფად

მუშაობენ, თითქმის სულ გროშის ფასად. მაგრამ უცხოელი მისტერ სტრომი და ჩინელი ვენ-კაი-ში მაინც ცდილობდნენ მოეგროვებინათ გაღატაკებული ოჯახებიდან გასაქირავებლად გამოყვანილი მცირეწლოვანი მუშები და სულ მუქთად ემუშავებინათ.

გაქირავებულნი ბევრნი არიან, ომმა ყველანი გააღატაკა. მაგრამ ვენ-კაი-ში და მისტერ სტრომი მაინც არ ქირაობენ მოზრდილ მუშებს, ბავშვების მუშაობას ამჯობინებენ. „ბავშვები მომთმენნი არიან, მათ ფული არ უნდათ. საქმელს რომ ვაქმევთ ისიც დიდია მათთვის“.

ასე შეთანხმებულად მსჯელობდნენ ჩინელი და უცხოელი მეფაბრიკენი. მხოლოდ საქირო იყო მოეძებნათ ქუჩებში ისეთი ღატაკი ბავშვები, რომლებიც რამდენიმე წლით გასაქირავებლად გამოჰყავდათ მშობლებს.

ვენ-კაი-ში ყოველდღე გამოდიოდა ქალაქში. გეგონებოდათ სეირნობსო, ისე ზლაზვნით ეიადგამდა ფეხს. ამავე დროს ყოველ კუთხეს და ყოველ კუნჭულს ათვალიერებდა, აგროვებდა სიკვდილის კარზე მიღწეულ ბავშვებს და მიჰყავდა სამუშაოდ. ერთ დღეს ვენ-კაი-ში ჩვეულებრივად გამოვიდა ქალაქში სასეირნოდ, გაიარ-გამოიარა მოედანზე, დაკვირვებით მიმოავლო ირგვლივ თვალი და გაიღიმა, კუთხეში იდგა ნახევრად ტიტველი, ჩამომხმარი ჩინელი. მას გვერდით მიჰკვროდნენ მთლად ტიტველი ბავშვები—ქალი და ვაჟი.

ვენ-კაი-ში მიუახლოვდა მათ დინჯად და განაგრძო გზა, თითქოს სრულიად არ ამჩნევდა ამ უბედურ ხალხს.

— ოხ, ბატონო,—მორცხვად მიმართა ვეი-ჩენმა ლიპაიან მეფაბრიკეს,—მოიღეთ მოწყალება.

ვენ-კაი-შიმ ალმაცერად გადახედა ჩინელს.

— რა გინდათ?—ჰკითხა მან.

— დიდო ბატონო, იქნებ პატარები გინდათ?

— არა, არ მინდა!—ცბიერი ღიმილით მიუგო ვენ-კაი-შიმ და უფრო ზლაზვნით გადადგა ნაბიჯი.

— დიდო ბატონო,—წაიბუტბუტა ჩინელმა,—მე ცოტას გთხოვ.

— სულელო ადამიანო, ჩვენს ლაპარაკს გაიგებენ, ჩუმად ილაპარაკე. წამოდი ჩემთან ეზოში... მაგრამ არა, ჯერ სთქვი: როგორ მომაქირავებ ბიჭს?

— ოხ, ბატონო, მხოლოდ ხუთი დოლარი...

— ხუთი...

— ქალი კი ორი დოლარი ეღირება.

ვენ-კაი-შიმ ისევ ალმაცერად მოიხედა და ორპოფულად თქვა:

— თუ გინდა ხუთი დოლარი ორივეში და ხუთი წლით ხელშეკრულება... ხმა აღარ გამაგონო... წამოდი იქ ეზოში... კანტორაში დაგიწერ პირობას.

და ვენ-კაი-ში უკანმიუხედავად გაუდგა გზას.

ფეხსაცმლის ფაბრიკის კანტორაში მისტერ სტრომი დიდხანს სინჯავდა

ბიჭს, ბოლოს მიუბრუნდა ამხანაგს და ცივად თქვა:

— არა უშავს, ბიჭი გამოდგება, გოგო კი არ არის საჭირო.

— მერე რა, გოგო ხომ უფასოდ გრჩება?—შეუტია ვენ-კაი-შიმ ვეი-ჩენი-სათვის გაუგებარ ენაზე.

— სულ ერთია, ის რამდენსაც შეჭამს, იმდენს ვერ გააკეთებს.

— მაშ, კარგი, გოგოს მე წავიყვან, სულ ერთია, ის მაინც მუქთად მოდის. ჩემს ძაღლზე მეტს ხომ მაინც ვერ შეჭამს.

პირობას ხელი მოაწერეს. ვეი-ჩენმა მიიღო სრული ანგარიში, უსიტყვოდ მოეხვია ბიჭს, გოგოს თავზე ხელი გადაუსვა და გამოვიდა კანტორიდან.

საწყალი ფუ-სი თვალცრემლიანი იდგა ფანჯის კარებთან და მოუთმენლად მოელოდა ვეი-ჩენის დაბრუნებას.

ხარატის შვილი

ცელქი ბიჭია ზურიკო. სკოლაში ისე იქერს თავს, თითქოს ამხანაგებში ყველაზე დინჯი ის იყოს. შინ რომ ბრუნდება, ყველაფერს იკლებს.

— რა ამბავია, ზურიკო, გეყოფა ცელქობა! ახლა მეტი ქკუა გმართებს. ხვალ-ზეგ უკვე თორმეტი წლისა გახდები,—ამ სიტყვებით მიმართა დედამ ფანჯარასთან მდგომ ზურიკოს, რომელიც თითებს დაუწყნარებლად აკაკუნებდა რაფაზე, დედასაც აწუხებდა და მეზობლებსაც.

ღამდებოდა. თოვდა. ეზო თეთრად იმოსებოდა.

ზურიკოს მამა—ჯუმბერი ჯერ არ დაბრუნებულიყო ქარხნიდან. ხვალ ქარხანაში კრება გვაქვსო,—ამბობდა გუშინ. ზურიკო არასოდეს დაინტერესებულა მამის სამუშაოთი, არ ყოფილა ქარხანაში და არ უნახავს, თუ ბისი მამა რას აკეთებს იქ. ამის მიზეზი ალბათ ისიც იქნებოდა, რომ ქარხანა ძლიერ შორს იყო ზურიკოს ბინიდან. სკოლაში კარგა ხანია ემზადებოდნენ მოსწავლეები ქარხანაში წასასვლელად. აი მოაღწია კიდეც დანიშნულმა დღემ.

— კიროვის სახელობის ქარხანაში ვაპირებთ წასვლას, პატივცემულო მასწავლებელო?—ჰკითხა ზურიკომ მასწავლებელს ამ დილით.

— დიახ, სწორედ იქ მივდივართ, ძალიან საინტერესო ქარხანაა.

ზურიკო ახლა სწორედ ხვალინდელ ექსკურსიაზე ფიქრობდა. ყმაწვილი უხერხულობას გრძნობდა იმის გამო, რომ მასწავლებელი და მოსწავლეები ქარხანაში ნახავდნენ მამას მაზუთით, ნახშირით და რკინის ჟანგით მოსვრილს, სწორედ ისეთს, როგორიც მუშაობის შემდეგ ბრუნდება ხარატი შინ. ზურიკოს უნდოდა კვირადღეს გასცნობოდნენ ამხანაგები ახალ კოსტიუმში გამოწყობილ მამას, პროსპექტზე ზურიკოსთან ერთად. მაშინ სულ არ ჰგავს მამა დაზგაზე მომუშავე ხარატს. კულტურაზე და ხელოვნებაზე ბაასობენ, თეატრის აფიშებს ათვალიერებენ...

„არა, ხვალ არ წავალ ექსკურსიაზე,—გაიფიქრა ზურიკომ,—უჩემოდ ვინ იცნობს მამას“. ზურიკოს აზრით მამა უხერხულ მდგომარეობაში ჩადგე-

ბოდა მასწავლებლის და მოსწავლეების წინაშე, სპეცტანისამოსით, ყანგიანი ხელებით.

ამ ფიქრებში იყო ზურიკო, ახლა თითებს უხმაუროდ და რიტმულად ათამაშებდა.

— წადი, ზურიკო, აბაზანას ცეცხლი შეუკეთე, სადაცაა მამაშენიც მოვა, —უთხრა დედამ ალერსიანი ხმით და ელექტრონის უთო ჩართო. ზურიკომ უკმაყოფილოდ შეხედა დედას, ზანტად მოშორდა ფანჯარას. ძალიან ეზარებოდა, როცა დედა აბაზანის გასათბობად გზავნიდა.

ქარხანას, სადაც ჯუჯბერი ნუშაობს, საკუთარი აბანო აქვს, ყველა საამქროს თავისი შხაპი აქვს. მაგრამ ჯუმბერმა სახლში გაიკეთა აბაზანა, სახლში ურჩევნია მშვიდად გამოიცვალოს თეთრეული. ქარხნის ეუკყით მოსვრილ ხარატს მუშაობის შემდეგ შეჩვეული აქვს სხეული თბილ წყალში ბანაობას. ბანაობის შემდეგ თავს მსუბუქად გრძნობს, სიყვარულით ულიმის ცოლ-შვილს, ენერგია ემატება.

„ვეტყვი მამას, ხვალ ახალი კოსტიუმით წავიდეს ქარხანაში. არ შეიძლება, ფაქიზად იმუშაოს? დიახ, შეიძლება“!—გაიფიქრა ზურიკომ და აბაზანას ცეცხლი შეუკეთა. ამ აბაზანამაც ძალიან მოაბეზრა თავი. არც ის სპეცტანისამოსი მოსწონს, რომელსაც მამა საღამოობით შუშაბანდში ჰკიდებს. სიამოვნებს, როცა ბანაობის შემდეგ ოთახში სუფთა, ზოლებიანი პიჟამოთი შემოდის. „რაღა მაინცდამაინც ქარხანაში მუშაობს მამაჩემი?“—წაიბუტბუტა ზურიკომ თავისთვის და დედას შეხედა:—დედა, მამამ რომ სხვაგან იმუშაოს სადმე არ შეიძლება?

— სად უნდა იმუშაოს, შვილო? მამაშენი ხარატია, ხარატმა ქარხანაში უნდა იმუშაოს... რაო, არ მოგწონს მამაშენი?!

ზურიკოს შერცხვა, თავი დახარა.

— მე ეს არ მითქვამს... მე მინდა მამაც ყოველთვის სუფთად იყოს ჩაცმული, ისე, როგორც ჩემი მასწავლებელია, პატივცემული დავითი. ან ისე, როგორც უქმე დღეებში თვითონ იცვამს, როცა ჩვენ ყველანი კინოში მივდიოართ, ან სტუმრად ბიძია ნიკოსთან. ხელებიც ისე რბილი... მამას მაგარი ხელები აქვს. ცოდვაა.

— ჰოო, ეს გინდოდა გეთქვა? მაგარ ხელებს რა უშავს, იმიტომაც მაგარ საქმეს აკეთებს.

ამ დროს ზურიკოს მამამ შემოაღო კარი, ჩვეულებრივად მოავლო თვალი სახლობას.

—თოვლი ფეხს იკიდებს...—სიცილით თქვა მან.

* * *

საამო სანახავია ქალაქის გარეუბანი. თოვლით გადაბარდნილა პატარა სახლები, ეზოები, ბაღები. სხვა პიონერებთან ერთად ზურიკოც მი-

ქრის ქარხნისაკენ ავტობუსით. უახლოვდება ზურიკო ქარხანას და გული უცემს. არ იცის ზურიკომ, რა პირობებში ნახავს მამას სამუშაოზე, ისიც ამდენ ხალხში. უფროსი კლასებიდანაც არიან მოსწავლეები ექსკურსიაზე. მანქანა ქარხნის კარებთან შეჩერდა. ბავშვები ერიამულით გადმოვიდნენ. ბავშვებს მასწავლებელი მიუძღვის წინ. ყველას ფანქარი და რვეული უჭირავს ხელში, ზოგი მოხსენებისათვის აგროვებს მასალას,ზოგი კედლის გაზეთისათვის, ზოგი ქარხნის დახატვას აპირებს გამოფენისათვის.

აი წინამძღოლიც მოვიდა.

— ყმაწვილებო,—მიმართა მან ბავშვებს მისალმების შემდეგ,—ჩვენი ქარხანა დიდ დახმარებას უწევს კომუნიზმის დიად მშენებლობას. სად არ იგზავნება ჩვენი დაზგები, ვოლგა-დონზე, შუა აზიის არხის მშენებლობაზე, წარმოიდგინეთ—ჩინეთშიც!

— ჩინეთშიც?!—წამოიძახეს გაკვირვებით ბავშვებმა.

— ბევრი ადგილებიდან ვიღებთ მადლობის წერილებს კარგი ხარისხის დაზგებისათვის. ამას წინათ სწორედ ჩინეთიდან მივიღეთ ასეთი წერილი,—თქვა წინამძღოლმა და ყველანი შენობისაკენ გაემართნენ. ზურიკო ყოველ მხარეს იცქირებოდა გაფაციცებით, მაგრამ მამას ვერსად მოჰკრა თვალი. „იქნებ დღეს სხვაგან წავიდა მამა?“—გაიფიქრა ზურიკომ და ჩქარა უფრო დიდმა ამბებმა მიიქცია ზურიკოს ყურადღება: ფოლადის სადნობ ქურიდან უშველებელი ცეცხლის ენები ამოდიოდა. გახურებულ რკინას მჭედელი ეროს ურტყამდა. იქით უამრავი დაზგები მიგრიალებდნენ. მაგიდებზე სხვადასხვა ფორმის დეტალები დაგროვილიყო. დაზგების წინ გუნდად დახვეული ბრწყინვალე ბურბუშელები მოქუჩებულიყო, მუშები დაძაბული იდგნენ დაზგებთან. ზურიკომ თვალი ვერ გადააწვდინა შენობის კიდეგანს. „აქ ვინ ნახავს მამას“, ჩააქნია ხელი და მშვიდად მიჰყვა ამხანაგებს.

მეორე შენობაში შესვლისთანავე პირველ დაზგასთან შეჩერდა წინამძღოლი, ბავშვებიც ამ დაზგას შემოეხვივნენ.

— ეს ხარატი,—ხმამაღლა წარმოთქვა წინამძღოლმა,—ორ დაზგაზე მუშაობს.—შეხედა ზურიკომ დაზგასთან მდგომ ფართოსათვალებიან კაცს, შეკრთა, სახე აენთო,—სწორედ ეს ხარატია ზურიკოს მამა. ჯუმბერმა ბავშვებში თავისი ბიჭუნა შენიშნა, გაუხარდა.—ზურიკო, შენც აქა ხარ?—გაუცინა შორიდან შვილს და თვალები ისევ დაზგაზე დახარა. არ სცალია სტუმრებისათვის ჯუმბერს. მხოლოდ ხანდახან გამოხედავს. ხან წინ გადადგამს ნაბიჯს მეორე დაზგისაკენ. იმავე წამს პირველს უბრუნდება, თვალით სინჯავს ორივე დაზგის ნამზად დეტალს. წინამძღოლი უხსნის ბავშვებს თუ რა არის სიტყვა „კონვეიერული“, ან რას ნიშნავს „განუწყვეტელი დენი“...

— ეს ხარატი ახლა ორმოცდახუთმეტი წლის ანგარიშში მუშაობს. სამი წლის ნორმა გამოიმუშავა.

ბავშვებმა ტაშით და „ვაშას“ ძახილით დააჯილდოვეს ზურიკოს მამა

და ქარხნიდან ერიამულით გამოიშალნენ ქუჩაში. ყველას მიჰქონდა სამახსოვროდ რკინის ანასხლეტი ბრეკვიალა ბურბუშელები.

* * *

ექსკურსიის შემდეგ ზურიკო გვიან დაბრუნდა შინ. ლამაზი ბურბუშელა თავის სამუშაო მაგიდაზე დადო და ღიმილით დააცქერდა.

ზურიკო არასოდეს დაივიწყებს იმ ქარხანას, სადაც მამა მუშაობს. ის არ ჰგავს მის მყუდრო ბინას, არც სკოლას. სულ სხვაა ქარხანა. ზურიკოს გაახსენდა როგორი ტაშის გრიალით დააჯილდოვეს მისმა ამხანაგებმა მამა, როგორი სიყვარულით შესცქეროდა მასწავლებელი მამას, როცა ხელს ართმევდა.

საათმა ექვსი დარეკა. ზურიკო მარდად წამოხტა. გაახსენდა, აბაზანა უნდა გაეთბო. ახლა თვითონ გასძახა:

— დედა, აბაზანა გავათბო?

როგორ გაუხარდა დედას, რომ მისმა ბიჭმა თვითონ მოინდომა აბაზანის გათბობა. აგერ მამაც მოვიდა. ძლიერ მოქანცულია. ზურიკომ სწრაფად მოუმზადა მამას საბანაო ნივთები, სპეცტანისამოსიც თვითონ დაჰკიდა შუშაბანდში.

დღეს პირველად შეიგნო ხარატის შვილმა, თუ რა საპატიო მოვალეობა აწევს სამშობლოს წინაშე მამა ჯუმბერს. „თუჯში და ფოლადში იქედება ჩვენი ქვეყნის მშვიდობაო“,—კიდევ გაახსენდა მასწავლებლის სიტყვა.

საღამოს ზურიკომ დიდხანს იფიქრა, თუ როგორ შეედგინა დღის განაწესი, როგორ გაენაწილებინა საათები, და ამ ფიქრში ჩაეძინა. დილით ადგა, დღის განაწესი ჩამოწერა და თავის მაგიდასთან დაკიდა.

როცა ზურიკო სკოლაში წავიდა, დედამ თვალი გადაავლო განაწესს და სახე გაუბრწყინდა. კარგად იყო შედგენილი განაწესი. რამდენიმე ახალი მუხლი შეეტანა ზურიკოს, მათ შორის ერთი ასეთი: „6 საათზე აბაზანის გათბობა“...

ბუბა და ლელა

გრძელი ზამთრის შემდეგ

ჩამოთავდება ზვავი, ჩამოიშრიტება ნამქერი და ვარდობის თვიდან დაიწყება მთებში გაზაფხული.

გრძელი ზამთრის შემდეგ უხარიათ ბავშვებს თბილი და სასიამოვნო დღეები.

ქედებს ჯანღი გადასცლოდა.

მოყრიალებულ ცისქვეშ სარკესავით ბზინავდა აქოჩრილი კორდები და ნამიანი ბილიკები.

ზექობების ქვევით ისმოდა მწყემსი გოგონების მხიარული ტკარცალი, ერთმანეთს დასდევდნენ და რბილ მდელოზე გორაობდნენ. ხელსაქმე დაეყარათ, ჰეპლებს იკერდნენ და ნემსიკით მახვილი ბალახით ჭადრის ფოთოლზე ამაგრებდნენ, ხან ბუჩქებში დაძვრებოდნენ და საღამოს შინ წასაღებად ხმელ წიწკარს აგროვებდნენ.

მხოლოდ ბუბა არ იღებდა მონაწილეობას ამხანაგების მხიარულებაში, განმარტოებით იჯდა და მისჩერებოდა პიტალო კლდეს. ბუბას აბრაზებდა ამხანაგების დაუსრულებელი რიალი. დღეს მის თვალში ყველაფერს დაჰკარგოდა წინანდებური მიმზიდველობა. მზითა და ყვავილებით ახავერდებული მინდვრები ვეღარ ათბობდენ ბუბას გულს, გუშინდელი საყვარელი ბეკეკებიც კი სძულდა დღეს.

ამ დილით, რიტრატზე, სამი თვითმფრინავი გადაფრინდა ბუბას თავზე, კავკასიონის მწვერვალი გადალახეს და გაჰქროლეს. ეს არ იყო არწივის ფრთების შრიალი. არ ჰგავდა არც ფურირემის ბღავილს, არც ბებერი „კინდოლის"[1] ღმუილს, არა. ეს სხვა იყო, ბუბასათვის მიუწვდომელი. მხოლოდ აპარეკას წიგნში ნახა ბუბამ დახატული. ზღაპარი ეგონა, აპარეკამ წაუკითხა, რომ

---

[1] კინდოლი ბებერი ფოცხვერია ხევსურულად.

ფრთებიანი თვითმფრინავით კაცები დაფრინავენ. არა თუ კაცები, თურმე ქალიც კი დაფრინავს.

სამი დღის წინ მასწავლებელი ქალი კვლავ ამოვიდა სკოლიდან მწყემს გოგონებთან, მზიანი დღე იყო. დიდხანს იჯდა ბუბასთან. თან გაზეთები ამოიტანა. ლენინის სურათი აჩვენა ბუბას. გაზეთში მფრინავი ქალის სურათიც იყო დახატული. სამი დღეა ბუბას თვალიდან არ შორდება იმ ქალის სახე. სახელი? „ნინო... ნინო...“—წაიჩურჩულა ბუბამ და ცას შეაშტერა თვალები.

ოცნებამ გაიტაცა: საცაა მოფრინდება ნინო, ჩამისვამს თვითმფრინავში და გამაფრენსო,—ფიქრობდა გოგონა. მაგრამ ჩქარა ისევ მასწავლებელი მოაგონდა. რამდენი კარგი რამ უამბო მასწავლებელმა, რამდენი, უჰ, რამდენი.

რა კარგი ქალია, ნეტავ მართლა გაგზავნიდეს ბუბასა და ლელას თელავში! ახლა თელავზე ფიქრმა გაიტაცა და რაც ქალაქების სახელი გაუგონია ქვეყანაზე, ყველაზე ულამაზეს ქალაქად წარმოიდგინა იგი.

ბუბა კარგა მოზრდილი გოგონაა. ის თოთხმეტი წლისაა, მაგრამ ჯერ მთებს არ გასცილებია. მის თვალებში მუდამ მყინვარქედებია ამართული, თექაწამოსხმული გორებია აყუდებული, ატლასივით ლამაზი სერებია გაშლილი, დაბლა ღვიებითა და პირიმზეებით ამოქარგული არაგვის წარმტაცი ნაპირებია გაფენილი.

ამაზე ულამაზესი რა უნდა ნახოს თვალმა გაზაფხულზე!

გრძელი ზამთრის შემდეგ ტყუილად კი არ იტყვიან ხევსურები: „გაზაფხული ყვაოდეს და ქალს რა აწუხებდესო.“ აიღე საგზალი და გარეკე ცხვრები, ძროხები, ბეკეკები, ხბოები და იგორე მოლზე, ქსოვე წინდები და უმზირე მზეს. მართლაც, ბუბა და ლელა ყოველდღე მირეკავენ ცხვრებსა და ძროხებს მთაში.

— ჰაუუ... ჰო-ჰო-ჰო!—გასძახის სერიდან სერს ბუბა და მხარზე დიდი კომბალი აქვს გადებული! უკან რუხი მგელია მისდევს.

— ჰაუუ... ჰო-ჰო-ჰო! გამოეხმაურება ეხოსავით ლელა მეორე მხრიდან. მაგრამ მთებში მარტო მზე როდი აფრქვევს ზაფხულობით სხივებს. უეცრად გაიელვებს, დაიქუხებს, დაიტეტებს—და წამოვა წვიმის თქეში. მაშინ ყვავებივით გაწუწული ბუბა და ლელა მოიბუზებიან რომელიმე ხის ძირში. სხვა ცხოვრება ჯერ არ უნახავთ, სხვა ცხოვრება მხოლოდ წიგნებში სწერია, რომლებიც აპარეკას დააქვს სკოლაში ჩანთით.

აი, ახლაც ამაზე ფიქრობს ბუბა!

ბუბა ისევ გარინდებული გაიყურებოდა სადღაც. საწყალი გოგონა! აბა რა იცოდა „მამილა“[1] ჯოყოლამ, რამდენი ოცნება ტრიალებდა ბუბას თავში. კიდევ კარგი, რომ არ იცოდა, თორემ თანაგრძნობის ნაცვლად, ორივე ყურს აუწევდა და ჩქარა გამოაფხიზლებდა. „წიწკარი აგროვე, წიწკარო!“— დაუგუგუნებდა ყურებთან.

---

[1] „მამილა“, „დედილა,“ ასე ეძახიან მშობლებს ბავშვები მოფერებით.

ხევის გაღმა კუს ზურგივით მოჩანდა პატარ-პატარა სახლები. ეს ბუბასა და ლელას სოფელი იყო. იქ ცხოვრობდა „მამილა“ ჯოყოლა და „დედილა“ ხორა.

ბოსლის წინ მგლის ტყავზე მოკეცილიყო და მზეზე თბებოდა ოთხმოცი წლის ბებია სანათა. აპარეკას ჯერ არ ამოეღლო სკოლიდან, ლელა წყაროზე ჩასულიყო, ღვიას ფოთლებს აკოწიწებდა. თავზე იფხატავდა და წყაროში იხედებოდა. ლელას არაფრის დარდი არ აწუხებდა. მისთვის ჩვეულებრივი იყო ყველაფერი, რასაც ირგვლივ ხედავდა. ის ჯერ პატარაა—თერთმეტი წლისა, გამხდარი, ნაზი და მეტად მოსიყვარულე: ლელას უყვარს ყველაფერი, რასაც ამ გაზაფხულის მზეზე ხედავს. ასე აქვს წარმოდგენილი, თითქოს იმ ბატკნებთან დაიბადა, იმ ყვავილებთან გაიშალა, იმ ფოთლებთან გაიფურჩქნა. ეს პატარა ნიავი რომ დასისინებს აგერ და ბალახებს არხევს, ეს მისი გულიდან ამოფართქალებს. იქ ჩიტები რომ ჭიკჭიკებენ—ეს ლელას სიმღერაა. ეს ჭადარიც იმიტომ გაზრდილა ამოდენა, რომ ლელას მოუჩრდილოს: მამა ჯოყოლა იმიტომ არის მრისხანე, რომ ოჯახის უფროსია. ბებია სანათა იმიტომ ზის მუდამ, რომ ბებერია. ეს სალამური იმიტომ უყვარს ლელას, რომ თითქოს მისი გულიდან არის ამოკრილი. ეს ყველაფერი ასე უნდა იყოს, სხვანაირად არ შეიძლება, მაგრამ იმავე დროს ლელა ძალიან მშიშარაა: როცა თვითმფრინავების გრიალი შემოესმა, ბუჩქებში შეძვრა და მიწაზე გაერთხო.

ბუბას ეს ამბავი გაახსენდა და გაეცინა, ლელას გადახედა და გადასძახა:

— ლელა, ამოდი, რამე უნდა გითხრა!

ლელა ამოვიდა და დას მათარით წყაროს წყალი ამოუტანა. ბუბამ გვერდით მოისვა და სიყვარულით დააშტერდა. ბუბას ყოველთვის უყვარდა ლელა, მაგრამ ახლა ეს სიყვარული ერთიორად იზრდებოდა მის გულში.

— ლელა, რაღაც უნდა გითხრა და, იცოდე, პირი არ გამიტეხო.

— პირი რა არის? დანა ხომ არ დაგეკარგა?

ლელას გულუბრყვილობით ბუბამ უნებლიეთ გადაიხარხარა.

— არა, დანა არ დამკარგვია. დაიფიცე, რომ არ გამამხელ!

— ჩემი სალამური გამიტყდეს და აპარეკა მომიკვდეს, თუ გაგამხილო.

— მაშ, გეტყვი. ლელა! მე თელავში მივდივარ სასწავლებლად. უნდა გავიპარო. შენ რას იტყვი? შენ არ გინდა სწავლაი?

— რას ამბობ, ბუბა?!—შეჰყვირა ლელამ.—ხომ მოგკლავს მამა ჯოყოლა?! არა, არა, არ წახვიდე, ბუბა, არა! —დაიღრიჯა ლელა და შეშინებულმა მოავლო თვალი ყოველ მხარეს, არავის ესმოდეს ჩვენი საუბარიო. საუბარს ვინ გაიგონებდა, მათ ირგვლივ მარტო მთები იყო აყუდებული.

მზე შუბის ტარზე იდგა.

ფრინველები ჟივჟივობდნენ და დასაბუდებლად ემზადებოდნენ. ბუბას არ გაუგია, როგორ დაღამდა დღევანდელი დღე. მზეს შეხედა—უკვე გვიანი იყო.

— ჰაუუ, ჰო-ჰო-ჰო, თქვე მგლის კერძებო!—ბრაზით შეუტია ბუბამ

ცხვრებს. კომბალს ხელი წამოავლო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაჯიუტებულ დეკეულს მოარტყა გავაზე. ლელა გატვრუნული უმზერდა ბუბას. არასოდეს ასეთი ანჩხლი არ ენახა დაია: ყოველთვის მშვიდი, გონიერი და მუყაითი, ახლა მაკე დეკეულს ურტყამდა. ლელას უკვირდა დის ასეთი საქციელი და ჩუმად მოაბოტებდა.

მგელიასაც ისე წაელესა თვალები, თითქოს ამ ყურცქვიტა ქოფაკსაც ესმოდა ბუბას გულისწყრომა.

— ჰაუუუ... ჰო-ჰო-ჰო!—გასძახოდა ბუბა სერიდან სერს.

ჯოყოლას ოჯახი

ბებია სანათა ისევ მოკეცილი იჯდა გარეთ და ხარბად იყნოსავდა გრილ ჰაერს, როცა ძროხები და ცხვრები ბღავილითა და პეტელით შეჯგუფდნენ ბოსლის წინ.

ნამგალა მთვარე მხიარულად დასცქეროდა ჯოყოლას ოჯახს. ჯოყოლა ბანზე იჯდა და მშვიდად აბოლებდა გრძელტარიან ჩიბუხს. ისვენებდა. მან შორიდან დაინახა მომავალი ბუბა და ლელა. გოგონები ხელცარიელი ბრუნდებოდნენ შინ, დღეს ერთი მკლავი წიწკარიც არ მოეგროვებინათ. დღეს ბუბას სრულიად არ უფიქრია წიწკარის მოგროვებაზე. ლელა პეპლების ჭერას მოუნდა და სულ დაავიწყდა მისი მოვალეობა.

— ჰეი, თქვე ლეკვებო! რამდენი კონა წიწკარი მოაგროვეთ დღეს?—განგებ შეეკითხა ჯოყოლა ბავშვებს, თუმცა კარგად ხედავდა, არც ერთი ღერი წიწკარი არ მოჰქონდათ. მუყაით ჯოყოლას შეშა ყოველთვის საკმაოდ ჰქონდა ოჯახში, მაგრამ მისი აზრით, ბავშვები უნდა შეჩვეოდნენ შრომას და ზრუნვას.

ლელამ დედას მიაშურა, რომელსაც ამ დროს ბაკნები გამოჰქონდა სახლიდან და ძროხის და ცხვრების მოსაწველად ემზადებოდა. ბუბამ ისე ამაყად შეუბრუნა ზურგი ჯოყოლას, თითქოს მამის სიტყვა არ გაუგიაო.

„უყურეთ ამ ყოტს, პასუხსაც არ მაძლევს!"—გაკვირვებით გაიფიქრა დინჯმა ხევსურმა. ეუცხოვა „ქალას" ასეთი საქციელი, მაგრამ, სანამ შემდეგ სიტყვას მოიფიქრებდა ჯოყოლა, ბუბა უკვე წყაროზე იყო ჩასული. გაპირვებით მოათრევდა მხარზე შედგმულ კოკას და გულამოვარდნილი ამოდიოდა აღმართზე. უკანასკნელი ჩაკიბული ბილიკი უნდა ამოეევლო, უცებ ფეხი დაუსხლტა და ყირამალა გადაგორდა დალმართში, თეძო ქვას დაჰკრა და საშინლად ეტკინა. როცა წამოდგა, ბრაზით დაარტყა ფეხი გატეხილ კოკას და ხმამაღლა წაიჩურჩულა.

— გატყდი! გატიალდი!

ჯოყოლა უცქეროდა ამ სურათს და მშვიდად აბოლებდა ჩიბუხს, თან ფიქრობდა: ასეთი დიდი დანაშაულისათვის კარგად გაეჯორა ვახშმობის დროს.

ვახშმობის დროს ბუბა ბებიას კალთას ეფარებოდა. ბუბას უყვარდა ბებია სანათას კალთა: ის ხშირად იფარავდა ბავშვებს, როცა ჯოყოლა ჯავრობდა. ლელა მობუზული იჯდა და გულით იზიარებდა დის დანაშაულს.

ჯოყოლამ და აპარეკამ დროზე ივახშმეს და ჭერხოში ავიდნენ დასაძინებლად. ჭერხოს დაბლა სართულში—საკვამურში ქალები ვახშმობდნენ. ჯოყოლას ცოლი ხორა, ქმრის მორჩილი და ოჯახის ერთგული დედაკაცი, მოკრძალებით უსხამდა წვნიან შეჭამანდს ოთხმოცი წლის ბებია სანათას და მწუხარებას გამოთქვამდა ბუბას დანაშაულის გამო. ხორა ამბობდა, კოკა ძალიან შორიდან ჰქონდა ჯოყოლას მოტანილიო. ლელა კი ახლა გაბედულად ჰყვებოდა, თუ რამდენი პეპელა დაიჭირა დღეს და რამდენ კალიას მოსწყვიტა ფეხები, რამდენჯერ დაუკრა სალამური გორაკზე და რა ლამაზები იყვნენ დღეს მათი ბატკნები, როცა ხარბად სძოვდნენ ქორფა ბალახს.

ნავახშმევს ბუბამ შეამჩნია, ხორა უნაგირს სწმენდდა და ჭრელ ხურჯინში რალაცეებს აწყობდა. გოგონას გული აუტოკდა. მან გაიგო, ჯოყოლა დუშეთში აპირებს წასვლას და ერთ კვირას არ დაბრუნდებაო. ამაზე უკეთესი დრო როდისღა უნდა ვნახოო?—გაიფიქრა ბუბამ.

როცა ხორა საქმეს მორჩა და დასაძინებლად მოემზადა, ლელას უკვე ეძინა. ბებია სანათა საბანში ეხვეოდა. ბუბა ლელას გვერდით იჯდა გარინდული. პატარა თუნუქის ჭრაქი ბჟუტავდა და ეს მიბჟუტული სინათლე ყვითლად ლიცლიცებდა. ბუბა ყველაფერს დაკვირვებით უცქეროდა. არც სიყვარული და არც სიძულვილი არ წვავდა ახლა მის გულს. ის ცდილობდა სახლის წვრილმანიც კი არ დავიწყებოდა წასვლის შემდეგ. ბუბას რომ წერა სცოდნოდა, აიღებდა ფანქარს და ასე ასწერდა: გრძელი და განიერი საცხოვრებელი საკვამი, ერთ მხარეს კედელზე მიშენებული განიერი ფიცრის საწოლი, ზედ დაფენილი ბებია სანათას ხელით მოქსოვილი გახუნებული ზოლებიანი ფარდაგი; სახლის შუა ჭვარტლიან ოჯინჯალაზე დაკიდებული ჯაჭვი, კერაზე დაყრილი ნამწვავი მუგუზლები. კერის გარშემო დაბალფეხებიანი ფიცრის სკამები, ცოტა მოშორებით—ბაბუასეული საკარცხლური, რომელიც ახლა ოჯახის საპატიო საჯდომად არის მიჩნეული; საკარცხლურის წინ გაფენილი რუხი მგლის ტყავი და ოთხკუთხი დაბალი სუფრა-მაგიდა. ზევით, კუთხეში ქსელია გაბმული. იქვე მატყლი და საჩეჩელი. კედელზე მიკრული შინაური და გარეული თხის დიდრონი, ლამაზი, მოგრეხილი რქები, ირმის ვეებერთელა ჯიღები, ჯიხვის თავები და დათვის ტყავები, კერასთან—სპილენძის თუნგი და ჯაჭვზე დაკიდებული ქვაბი. აი, ასე ჩამოთვლიდა ბუბა ყველაფერს (დააკლდებოდა მხოლოდ კოკა). არა თუ დაწერდა, რომ შეძლებოდა, დახატავდა კიდეც. არ დაივიწყებდა არც ოთხმოცი წლის ბებია სანათას. მისი ხელსაქმის კალათით—მურგვითა და საქსოვი წინდებით, მაგრამ რაკი წერა არ იცოდა, გულში იწერდა ყველაფერს.

ბებია სანათამ ერთი პირი ძილი მოითავა; უცებ თვალები გაახილა და გაუკვირდა: ბუბა ისევ დაკუზული იჯდა და ქრაქი ისევ ლიცლიცებდა.

— ავად ხომ არა ხარ.—შეშინებული შეეკითხა მოხუცი ბუბას. ბუბას ახლა მოაგონდა, ქრაქის ჩაქრობა იყო საჭირო.

* * *

ჯოყოლას ოჯახის სიმდიდრე მარტო საკვამში როდი იყო: ოჯახის საპატიო ნივთები სახლის მეორე სართულში—ქერხოში ელაგა ხევსურთა ჩვეულებისამებრ: ფარდაგები, ქეჩები, ნაბდები, ჩოხის შალები, სპილენძის ქურქელი, ძველი და ახალი იარაღები,—შუბი და ჩაჩქანი, უნაგირი და ლაგამ-აბჯარი, და მთელი წლის სარჩო ხორბალი. ყველაფერს, რაც შეადგენდა ჯოყოლას ოჯახის საცხოვრებელს, ქერხოში ინახავდა ხორა, უფრთხილდებოდა თითოეულ ნივთს. ყველაფერი ეს ხორასა და სანათას ხელით შექმნილი სიმდიდრე იყო.

ჯოყოლა სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ ჩავიდოდა დუშეთში, სწორედ მაშინ, როცა ოჯახში ცხვარი მოუჯარდებოდა, რამდენიმე ცხვარს წაიყვანდა გასაყიდად.

მას დუშეთიდან მოჰქონდა მისი საყვარელი სამუშაო იარაღები: თოხი, ბარი, ცული, ლომი, წერაქვი და ცხენის ნალები, ჯაქვები და ტყვია-წამალი, რითაც მთიელები ებრძვიან მკაცრ ბუნებას.

ჯოყოლას შვილებს დაბადებიდანვე შალის უხეში პერანგები აცვიათ, ჩოხა და ქუქუმოები; თავზე პატარა ქუდი, ფეხზე—ქალამნები და შალის წინდები. როცა ამ უხეშ ტანისამოზე მასწავლებელმა აბრეშუმის მსგავსი სატინის ყელსახვევი გაუკეთა აპარეკას, ის არ ჰგავდა ჩვეულებრივად ჩაცმულ პიონერს. მაგრამ ლელას მაინც ძალიან მოეწონა წითელი ყელსახვევი.

— მაძე, ბიპო, ერთ წუთს გავისინჯო!—ემუდარებოდა მთელი დღე ლელა.

— თავიდან მამწყდი... მამშორდი...—უჩაჩხანებდა აპარეკა. კეთილ ლელას ჩქარა დაავიწყდა ძმის ასეთი საქციელი, ხოლო ბუბას ახლაც ძილში მიჰყვებოდა ეს ამბავი. ბუბას ყველაფერი წვრილმანის მოგონება აღიზიანებდა ამაღამ. გული სწყდებოდა გოგონას, რომ ბევრი უხეშად გამოთქმული სიტყვა მიაცილებდა ოჯახიდან. დღეს „მამილა“ ჯოყოლა თითქოს მრისხანე ეჩვენებოდა ქალიშვილს.

დილით ადრე გარეკეს ცხვრები და ძროხები ბუბამ და ლელამ. ჯოყოლამ ცხენს მათრახი მოუქნია და ბავშვებს მიაძახა: „ყოველდღე თითო კონა წიწკარი მააგროვეთო“, და გაეშურა გზას.

— მააგროვეთ... მ�გროვეთ...—გააჯავრა ბუბამ სერიდან. ლელა მეზობლის გოგონებთან დატოვა მთაში და ჩიტივით გაფრინდა მასწავლებელთან.

მასწავლებელი აღფრთოვანებით შეხვდა ბუბას გადაწყვეტილებას, ბედნიერად თვლიდა ამ წუთში თავს. ის ხედავდა თავისი პროპაგანდის ნაყოფს.

„აი, რა შეუძლია აღმზრდელობით სიტყვას“,—ფიქრობდა მასწავლებელი და ჩასცქეროდა ბავშვის გაბრწყინებულ თვალებს.

— უსათუოდ გადაწყვიტეთ წასვლა?—კიდევ დაბეჯითებით ჰკითხა მასწავლებელმა.

— უსათუოდ!—გადაპრით უპასუხა ბუბამ.

— მაშ ნურაფერზე სწუხხარ, ხვალ დილით თიანეთამდე წახვალთ მარტო, ხომ არ შეგეშინდებათ გზაზე? საშიში რა არის! ღამეს თიანეთში გაათევთ, იქიდან კი სკოლის დარაჯი ქალი წაგიყვანთ ახმეტაში. ახმეტიდან ავტომობილით წახვალთ თელავში.

ბუბას სიხარული გამოუთქმელი იყო,. მაგრამ ის მაინც დინჯად იდგა მასწავლებლის წინ და ფიქრობდა: „ეს ის გზა ხომ არ იქნება, ჯოყოლა რომ წავიდა?“

— რად დაფიქრებულხარ? წადი და მოემზადე.

— მასწავლებელო, დუშეთის გზაზე უნდა წავიდეთ? დუშეთში მამა წავიდა.

— არა, ივრის ხეობით წახვალთ. ივრის ხეობიდან საცალფეხო გზა მიდის თიანეთში. ორწყალს, მერე მაღაროს კარს გაივლით და თიანეთში ჩახვალთ. თუ შემოგაღამდებათ, მაღაროს კარშიაც გაათევთ ღამეს. თიანეთიდან ახმეტაში მიხვალთ.

ბუბა ჩქარა დაბრუნდა ლელასთან.

— ჩვენი საქმე კარგადაა, ლელა! ყველაფერი ისე ეწყობა, როგორც ჩვენ გვინდა!

ბუბამ სიყვარულით სტაცა ხელი დაიას და სწრაფად ჩამოაშორა გოგონებს. დიდხანს ისხდნენ განმარტოებით დები. ბუბა მრავალფრად უხატავდა ლელას განზრახულ მგზავრობას.

— ლელა, იცი? ახმეტიდან ავტომობილით წავალთ. აპარეკას წიგნში რომ ავტომობილია დახატული, ისეთი ავტომობილით. ჩვენც გვექნება წიგნები, ფერადი ფანქრები, ვისწავლით, ბედნიერი ვიქნებით,—გულით ჰყვებოდა ბუბა მასწავლებლის ნაამბობს, თითქოს ყველაფერი წინასწარ იცოდა, რაც მოელოდა.

— მეც მავდივარ,—ძლივს წარმოთქვა ლელამ. ბუბამ დაია გულში ჩაიკრა და აღტაცებისგან კინაღამ ატირდა. ბუბასაც უნდოდა ლელა მასთან წასულიყო. ბუბაზე უფრო ბედნიერი არავინ იყო ქვეყანაზე.

ახლა მხოლოდ გეგმებს აწყობდნენ—სახლიდან როგორ წასულიყვნენ.

— მავიფიქრე!—წამოიყვირა ლელამ:—ჩავიდეთ სახლში თუ არა, მამიდასთან წასვლა ავიჩემოთ.

— კარგი მოფიქრებაა!—წამოიძახა ბუბამ და უფრო მაგრად ჩაიკრა დაია გულში.

გამარჯვებას კიდევ გამარჯვება მოჰყვა: დედა ხორა დაეთანხმა ბავშვებს

ორი დღით წასულიყვნენ მამიდასთან მეორე სოფელში, რაკი ჯოყოლა შინ არ იმყოფებოდა.

აპარეკასაც ძალიან უხაროდა ბუბასა და ლელას მამიდასთან წასვლა: თეთრი ლეკვი უნდა გამოეგზავნა მამიდას მისთვის. ძნელი ასაწერია, თუ რა აღტაცებით ელოდა აპარეკა ამ ლეკვს.

დილისთვის ყველაფერი მოიმზადეს: ახალი ჰერანგები, რუხი წინდები, ახალი ქალამნები, მოსასხამი, ქუდები. ბუბამ ძაფზე ასხმული ფლარაფულები ყელზე შეუკრა ლელას. ისეთი მბიარული იყო ამწამს ლელა, რომ აღარ იცოდა—აპარეკას წითელი ყელსახვევი სჯობდა თუ ეს ფლარაფულები.

— არა, წითელი ყელსახვევი უფრო მამწონს,—წაუჩურჩულა ლელამ ბუბას ყურთან.

ვახშმის შემდეგ, ძილის წინ უკანასკნელად სთხოვა ბუბამ ბებია სანათას ეამბნა „შანშეს ქალის ლელა ბაჩლითას“ საგმირო ამბავი. ბუბას და ლელას პატარა გულები გმირული სურვილებით ევსებოდათ, „ნეტა მე ვყოფილიყავი ბაჩლითაი“,[1]—ფიქრობდა ბუბა. ბუბას აღელვებდა ბაჩლითას ცხენი და მისი გაქროლება კახეთის ველზე. არანაკლებ აღელვებდა ოთხმოცი წლის ბებია სანათასაც ჯიშიანი ცხენის მოგონება.

მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ჰკლავდა სანათას ცხენზე შეჯდომის სურვილი და ეს სურვილი ახლაც აკრთობდა ძვლებად გადაქცეულ დედაბერს. ბუბა ისევ „ლელა ბაჩლითას“ ცხენის ნატერფალზე ფიქრობდა, გოგონა იმ ღამის სინამდვილეში თითქოს განიცდიდა ბებია სანათას ნაამბობს.

— მაჰკლეს... მაჰკლეს... „ბაჩლითაი“,— წაიჩურჩულა ბუბამ, თითქოს ასე უნდა მონახდარიყო.

— მაჰკლეს, მაჰკლეს... ყეენის ციხის კარებში მაჰკლეს... ჩვენი ჯარის გამარჯვებისათვის გასწირა თავი... ამიტომ დარჩა უკვდავი სახელი...—ჩიფ-ჩიფებდა ბებია სანათა და ამ ჩიფჩიფში ჩაეძინა.

ბუბას დღევანდელ სიხარულს მხოლოდ დედა ხორას მშობლიური სიტყვა აკლდა. წასვლის წინ ეს გრძნობა სწვავდა ქალიშვილის გულს. ბუბას უნდოდა ყველაფერი გაემხილა დედისათვის და მისგან მიეღო მშობლიური დარიგება, მაგრამ ეს გულახდილობა არ გამოადგებოდა. დედა ხორაც მამა ჯოყოლას აზრისა იყო. ბუბა მთელი საათი განაბული უსმენდა მძინარე დედის მშვიდ სუნთქვას და ხვალინდელ მგზავრობაზე ფიქრობდა.

პატარა ქალიშვილს დიდი ადამიანივით აწუხებდა სინდისი და მშობლების სიყვარულის გრძნობა.

„დედა ძალიან მიყვარს, ასე ფარულად როგორ გავცილდე“?—ფიქ-

---

[1] ბაჩალი—სოფლის სახელია და ბაჩლითა ნიშნავს ბაჩლელს.

რობდა ბუბა. მაგრამ როცა მამალმა გათენების იყივლა, ბუბას ეს ფიქრები-სულ დაეფანტა: ახლა კი გაბედული ნაბიჯი უნდა გადაედგა.

ბ ზ ა

მთებს გადაღმიდან ცეცხლად ანთებული მზე ამოდის. შორს გაშვერილ ქიმებს იქით მოჩანს სოფლის საცალფეხო გზა, რომელიც გადადის სოფლიდან-სოფელზე და ჩადის ივრის ხეობაში, აქ ის უერთდება თიანეთისაკენ მიმავალ გზას. ციცაბო კლდეზე სირბილით დაქანცულნი კორდზე ჩამოსხდნენ ბუბა და ლელა. ლელამ ნაღვლიანი თვალებით გახედა ცამდის აყუდებულ მთებს.

მოაგონდა საყვარელი ბატკნები როგორ პეტელობდნენ ამ დილით, როცა ბუნება დიდებულად იღვიძებდა, ფოთლები შარიშურობდნენ და ბოსლის ლაფაროში მერცხლები ჭიკჭიკებდნენ.

— ბუბა, ახლა ვინ გარეკავს ჩვენს ცხვრებს მთებში? დედას ხომ ფეხი სტკივა!?—მზრუნველობით წარმოთქვა ლელამ.

— აპარეკამ გარეკოს,—ცივად უპასუხა ბუბამ.

ბუბას ორი პური ჰქონდა იღლიაში ამოდებული, ნამალევად წამოიღო სახლიდან. ერთი გამოიღო და მეტნაკლებად გატეხა. უფრო დიდი ნაჭერი ლელას მიაწოდა.

— აპარეკა ხომ ჩვენი ძმაა, ბუბა! ის სკოლაში დადის, მას ჰშვენის წითელი ყელსახვევი.

— კარგი, გეყოფა, ლელა, შენც კარგად მოგიხდება წითელი ყელსახვევი.

— აპარეკასათვის ხომ თვითონ მასწავლებელმა შეაკერინა წითელი ყელსახვევი.

— შენ მზა შეკერილს შემოგახვევენ. გავწიოთ, ვიჩქაროთ. ჯერ კიდევ გზა დიდი გვაქვს გასავლელი.

— ხვალ საღამოს რომ არ დავბრუნდებით შინ, რას იფიქრებენ?

— იფიქრებენ, მეორე ღამესაც მამიდასთან დარჩნენო.

— მესამე ღამეს რომ აღარ მივალთ?

— კარგი, ნულარ იგონებ, ახლა დაღმართზე უნდა ვირბინოთ და ვიჩქაროთ—გზაში არ დაგვაღამდეს. დღეს ღამე თიანეთში უნდა გავათიოთ.

— აპარეკა ხვალ მთელი დღე წყაროსთან დაგველოდება: მამიდა თეთრ ლეკვს დაჰპირდა, გუშინ მთელი დღე აჯავრებდა: „ამ... ამ... ამ...“ ასე დაიყეფებს ჩემი ლეკვიო. საწყალი ბიჭი, ხვალ არავინ არ მიუყვანს ლეკვს, ლოდინით დაებრიცება თვალები.

— დედამ რომ იმდენი ამბავი დაგვაბარა მამიდასთან?

— არც ერთი სიტყვა არ მახსოვს, რას მეუბნებოდა დედა: თვალი გზისკენ მეპირა.

— უჰ, რა ამბავს დააწევს მამა! მეშინია, არ გაგვირისხდეს!

— ლელა, გაჩუმდი, ახლა უკან დაბრუნება სირცხვილია, ხმა აღარ გამაგონო, ჩვენ სწავლა გადავწყვიტეთ და უნდა შევასრულოთ!—ლელა გაჩუმდა და ნაბიჯს აუჩქარა. ბუბას ერთი ფეხის გადადგმა ლელას ორ ნაბიჯს უდრიდა. ბუბა ძვალმაგარი, ჯმუხი გოგოა. თავი ჯეირანივით მიაქვს და მხნედ მიაბიჯებს. თითქოს ბუჩქებიც მის სიმამაცეზე ჩურჩულებენ, ხეები ტოტებს უხრიან და ჩანჩქერებიც მის სიმღერას მღერიან: „მთაო, გადმიშვი... გადმიშვი...“

— ჰა, მამყევი, ლელა, ვიმღეროთ, ვიმხიარულოთ. ჩვენ ხომ დღეიდან სხვანაირი ცხოვრება უნდა დავიწყოთ. წითელი ყელსახვევები უნდა გავიკეთოთ. ჩვენი ადათ-წესები უნდა დავიწყოთ.

— რა ადათ-წესები, ბუბა?

— რა ადათ-წესები და, შე სულელო, ხომ გახსოვს, სოფელში სკოლა რომ გახსნეს, მამაჩემმა აპარეკა შეიყვანა სკოლაში. მასწავლებელმა რომ უთხრა, ქალიშვილებიც შემოიყვანეო, მამაჩემმა ხანჯალზე დაიკრა ხელი და შეჰყვირა:

„ქალას რად უნდა სწავლაი. ქალამ ცხვარი უნდა მომწყესოს, შალი უნდა მოქსოვოს, წიწკარი უნდა მოზიდოს. ბოსელს უნდა მოუაროს!.. ვის გაუგონია ქალას სწავლაი?!“—აი, ჩემო დაიკო, ეს ადათ-წესები უნდა მივატოვოთ. ამიტომ გაგვაგზავნა მასწავლებელმა თელავში და არა ბარისახოში. ბარისახოში ისევ მთიელთა წეს-ჩვეულებია. ბარისახოდან ყურით ამომიყვანდა მამა ჯოყოლა სახლში. თელავში კარგი დამცველები გვეყოლება. ასე მითხრა მასწავლებელმა.

— ჰა, მამყევი, ვიმღეროთ: მთაო, გადმიშვი...

— გადმიშვი...—მხიარულად შეაკაკანა ლელამაც და მოსიყვარულე დები ხელგადახვეულნი დაეშვნენ დაღმართზე თიანეთისაკენ.

სულმოუთქმელად მირბოდნენ.

ღამდებოდა. მთელი დღე სირბილით მოქანცულ ლელას მუხლები ეკეცებოდა. ბუბა კვლავ მედგრად გაჰყურებდა გზას. სადაცაა გამოჩნდება თიანეთიო,— ფიქრობდა ბუბა. შარაზე ჩქამი არ ისმოდა. მხოლოდ ხანგამოშვებით ჩიტების შეფრთხიალება არღვევდა დუმილს. ტყე დიდი ხანია უკან დარჩა და ახლა ოღროჩოღრო გორებს და წამოშვერილ ქიმებს უტრიალებდა შარა, უკანასკნელი შუქიც ქრებოდა და ბუბას გულშიც უნებლიეთ ეონავდა შიშის ერუანტელი. მარჯვენა ხელი მაგრად შემოაჭდო ლელას წელზე და ნახევრად აყვანილი მიჰყავდა დაია. ლელა ისე იყო დაღლილი და გაბრუებული, რომ ხმის ამოღება ეძნელებოდა, მთელი სხეულით მინდობოდა ბუბას.

უცებ შეკრთნენ, გული საშინლად აუფართქალდათ, ყური დაუგდეს ცხენის ფლოქვების თქარათქურს: ეგონათ მდევარი მოსდევდათ. ცხენს კი ხაბდიანი ფშაველი მოაჭენებდა. მგზავრს არ შეუნიშნავს ბავშვები. სწრაფად შემოურბინა ქიმს და გაჰქროლა. ჰატარა მგზავრებმაც ჩქარა შემოურბინეს დიდ ქიმს და შვებით ამოისუნთქეს:

— თიანეთი, თიანეთი, ლელა! - წამოიძახა ბუბამ და ლელამაც მხიარულად დააქუიტა თვალები.

გამოჩნდა მსუბუქ ბურუსში გახვეული სახლები, ვიწრო სარკმლებიდან ციმციმებდა მიბეუტული შუქი, შარაგზის ახლოს მწყემსებს ცხვრები მიერეკათ და მინდორზე აგოგმანებდნენ, „პე-ე... პე-ე...“—საამურად გაისმოდა ბატკნების პეტელი. „ა-ამ... ა-ამ...“—დინჯად ჰყეფდნენ ქოფაკი ძაღლები... ლელას თმები აებუძგა ძაღლების შიშით და მთლად მოიკუნტა.

— ჰაი, შე მხდალო!—მხიარულად და დინჯად წარმოთქვა ბუბამ,— მწყემსი ძაღლები გზაზე არ გამოდიან, ცხვრებს დარაჯობენ. გაიმართე, ჰა, მივედით!

სინათლე ძლიერ ახლოს მოჩანდა, მაგრამ მიხვეულ-მოხვეული გზა გაგრძელდა. დაღამდა.

ჩვენი მგზავრები საკმაოდ დაიქანცნენ. ბუბამ წინასწარ იცოდა, თუ სად უნდა გაეთიათ ღამე. თან მოჰქონდა ბარათი, რომელიც მასწავლებელმა გამოატანა თიანეთის სკოლის დარაჯ თალაშასთან. სკოლის შენობაც იცოდა და არ უგრძვნია შემოღამების შიში, პირდაპირ მივიდა სკოლის გვერდით, სადაც დარაჯი ქალი ცხოვრობდა და გაბედულად დააკაკუნა კარებზე. როცა ბარათი გადასცა დარაჯ ქალს, ისიც უთხრა ვინ უგზავნიდა. დარაჯმა კითხვა არ იცოდა. ბუბამ და ლელამაც არ იცოდნენ კითხვა. მასპინძელმა ბარათი გაშალა, სინათლესთან მიიტანა და დახედა. სულ რამდენიმე სტრიქონი იყო.

ბუბამ აუხსნა წერილის შინაარსი.

— ახმეტამდე როგორ გაგაცილოთ, შვილებო?—შეწუხდა თალაშა. თალაშას ფეხი ეღრძო ამ კვირაში და სტკიოდა, შეხვეული ჰქონდა ნაბდის ნაჭრებით და ღამღამობით მრავალძარღვას მოშუშულ ფოთოლს იდებდა ფეხზე. თალაშამ სიამოვნებით გაუღო უცხო გოგონებს სკოლის კარი, სინათლით შეუძღვა შიგ და რაღაც ძველი ფარდაგისმაგვარი და ჭუჭყიანი მუთაქაც შესთავაზა სტუმრებს. ლელა მეტად დაქანცული იყო და ჩქარა ჩაეძინა, ბუბა კი ფიქრობდა, რადგან თალაშას ფეხი სტკივა, დილით ჩვენ თვითონ წავალთ ახმეტაშიო. ასე გადაწყვიტა კიდეც, ხელნათური აიღო, ახლოს მიიტანა მძინარე დაიასთან და სახეზე დაანათა. გული შეეკუმშა: ლელას წარბები მოღუშა და პატარა მოკუმულ ტუჩებზე უსიამოვნო ღიმილი გადაჰკვროდა. ბუბამ ხელნათური დაბლა დადგა, თავი დახარა და ფრთხილად აკოცა მძინარეს. ბუბას ამ წამს დანაშაულად მოეჩვენა, რომ უმცროსი და ოჯახს მოწყვიტა და გვერდით ამოიყენა ამ უცნაურსა და უცხო გზაზე, მაგრამ სხვანაირად არ შეეძლო მოქცეულიყო. პური ამოიღო, ლუკმა მოტეხა და ისევ ჩადო ჩანთაში: ხვალ კიდევ დიდი გზა ჰქონდათ გასავლელი, შეეშინდა, ლელას პუ-

რი არ დააკლდესო. სინათლე ჩააქრო, მაგრამ ძილი მაინც არ ეკარებოდა, არც დაღლილობა ეტყობოდა მის ჯანსაღ სხეულს. ახლა თავში რაიკომის უცნობი მდივანი უტრიალებდა. არ იცოდა როგორ დაბოლოვდებოდა ეს მგზავრობა. ეშვი ებადებოდა: „ეაი, რომ არ მიმიღონ, მაშინ რა ექნა, რა ვუყო ლელას“. შეშფოთებული და გაბრუებული დიდხანს იდგა სარკმელთან.

სახლების ჭუჭრუტანებიდან სინათლე აღარ ბეუტავდა. მხოლოდ მოკრიალებული მთვარის შუქი ადგა თიანეთის მიდამოს.

შუალამე გადასულიყო. ჰა, მამლებმაც იყივლეს გათენებისა. ბუბამ ცას გახედა. ცა მტრედისფერი იყო.

ვარსკვლავები წარმტაცად კრთოდნენ და ციმციმებდნენ.

— ნეტავი ჩქარა გათენდეს,—წაილუღლუღა ბუბამ და ლელას გვერდით მოიკუნტა. ძილი მოერია. საშინელი სიზმარი ნახა: მდევრები გამოდგომოდნენ, მოსდევდნენ, ემუქრებოდნენ, ხანჯლებს მზეზე აპრიალებდნენ.

აჰა, ერთი მათგანი დაეწია, ხანჯალი მოუქნია და... ბუბამ შეჰკივლა, შეკივლებაზე ლელამაც გაახილა თვალები.

სარკმელში რიეკრაეის შუქი შემოჭრილიყო. ბუბა და ლელა საჩქაროდ წამოდგნენ. ქუდები გაისწორეს თავზე და ის იყო სირბილით უნდა დადგომოდნენ გზას, რომ ამ დროს თალაშა შემოეგება ბავშვებს. ორი ერბოწასმული ქადა შემოუტანა პატარა სტუმრებს.

— ახლა რომელი გზით უნდა წავიდეთ, დეიდა?— ჰკითხა ბუბამ თალაშას.

თალაშას ამ დილით უფრო სტკიოდა ფეხი. ის წუხდა, რომ ვერ ასრულებდა მასწავლებლის თხოვნას. სინდისი ქენჯნიდა, ბავშვებს მარტო რომ უშვებდა შორ გზაზე.

— გზა ერთია, შვილებო,—თქვა თალაშამ,— მხოლოდ ნურც ერთ ბილიკზე ნუ გადაუხვევთ. მაგრამ...—თალაშა შეჩერდა. უცებ მოაგონდა: ალდამანს, სასაუზმე დუქანში, მისი მოკეთე ილო მუშაობდა.

— ალდამანი...—გაიმეორა ბუბამ.

— ჰო, შვილო, ახმეტამდე შეგხვდებათ ალდამანი. იქ სასაუზმეა და შემოღამებული მგზავრებისათვის ღამის გასათევიც არის. იქ მუშაობს ჩემი კარგი მოკეთე ილო. მოხუცი კაცია. ამაღამ იმასთან დარჩებით და ხვალ დილით ის პირდაპირ გაგაგზავნით თელავში. ალდამანს ყოველდღე დადის თელავიდან ლინეიკები, ეტლები, ურმები და ათასი მგზავრი. ნუ გეშინიათ, არ ირბინოთ გზაზე, ალდამანს სულ ადრე ჩახვალთ.

თალაშა ისევ შებრუნდა ბინაში, ორი ქადა კიდევ გამოიტანა და უთხრა გოგონებს:

— ეს ორი ქადა, შვილებო, ილოს მიუტანეთ და უთხარით, თალაშამ გამო-

გვატანა-თქო, გასწით ახლა, დარდი ნუ გაქვთ, ხვალ საღამოს თელავში. იქნებით.

გოგონებმა მადლობა გადაუხადეს და მხიარულად გაუდგნენ გზას. თია. ნეთის მცხოვრებნი ჯერ კიდევ არ იყვნენ კარგად გამოფხიზლებულნი. მხოლოდ აქა-იქ მუყაითი დედაკაცები აღებდნენ კარს და ქათმები კაკანებდნენ.

დილიდან სამხრობამდე გზაში იყვნენ ბუბა და ლელა. გადირბინეს მწვანე მინდვრები და დაადგნენ ხშირი ტყით დაბურულ გზას. ბევრი მგზავრი შემოხვდათ ბუბასა და ლელას, ბევრიც წამოეწია და გაუსწრო კიდეც.

მშვენიერი დარი იდგა. ოქროსფერი მზე ალამაზებდა ფერადი ყვავილებითა და ქორფა მცენარეებით დახატულ ალდამანის ტყეს. ფოთლებში ჩამოფანტული სხივებით იქარგებოდა არემარე. ჟყიოდნენ და ჟივჟივებდნენ ჩიტები.

ხის ტოტზე დაცოცავდა ციყვი.

ნიავი არხევდა ფოთლებს. გეგონებოდათ უამრავი შავი და ყვითელი პეპელა დახვევია ალდამანის მიდამოსო. მაგრამ ჩვენი პატარა მგზავრები ვერ ტკბებოდნენ ლამაზი ბუნების მშვენიერებით: ყოველი მგზავრი მდევარი ეგონათ და გულისფანცქალით მირბოდნენ და მირბოდნენ.

დაღალვას ვერ გრძნობდნენ. ოღონდ ჩავიდეთ თელავში და მერე თუნდაც ათი მდევარი გამოგვიდგესო,—არ კარგავდა იმედს ბუბა, რადგან უძნელესი გზები გაიარეს.

ტყის პირას გამოჩნდა ნაცრისფერი დუქანი, ძველისძველი ციხის ნანგრევები. შორიდან მოესმათ რაღაც სიმღერისმაგვარი ხროხინი. უსმენდნენ საკვირველ სიმღერას, მაგრამ ადამიანის ხმას არ ჰგავდა. როცა ახლოს მივიდნენ, გაოცდნენ: ეს სიმღერისმაგვარი ხროხინი პატარა ყუთზე მობმული წითელი თუნუქის პირფართო მილიდან ამოდიოდა. დანჯღრეული გრამოფონი ხრიხინებდა ხრინწიანი ხმით. დუქნის წინ იდგნენ მტვერში ამოგანგლული ეტლები და ლინეიკები. კვირადღე იყო. ექსკურსანტები ხმაურობდნენ დუქანში. ხეების ჩრდილშიაც გაეშალათ სუფრა და გულიანად მხიარულობდნენ.

მგზავრი გლეხებიც ბლომად შემოიკრიბნენ. ზოგი მათგანი მთებიდან მოდიოდა ბარში,—ზოგი ბარიდან მთაში. ორი მთიელი ბიჭი ბუბასა და ლელასავით გაკვირვებული იდგა გრამოფონთან შორიახლოს.

კახურით შეზარხოშებული მეეტლები თიანეთში მიმავალ ექსკურსანტებს სტოვებდნენ და ახმეტაში მიმავალი მთიელებით ტვირთავდნენ ეტლებს.

ყველას ყურადღება მიიქციეს პატარა გოგონებმა, ყველა ეკითხებოდა მათ:

— სადაურები ხართ?

— საიდან მოდიხართ?

— საით მიდიხართ?

ბუბას არავისთან გასაუბრება არ უნდოდა, გაფაციცებით ეძებდა ილოს.

ჰა, ნახა კიდეც. პატარა ტანის ჭაღარა კაცი, ჟინჟღილა ლოყებით, სამზარეულოს უკან დიდ ქვაბს ხეხავდა. თალაშას სახელის ხსენებაზე გაიბადრა ილო. განსაკუთრებით ეამა ერბოწასმული ქადები.

— ნუ გეშინიათ, — უთხრა ბავშვებს ილომ. — ხვალ მანქანები მოვა და პირდაპირ გაგიშვებთ თელავში, ახმეტაში აღარ დაგჭირდებათ დაცდა.

მართლაც, მეორე დღეს, საღამოს, ჩვენი პატარა გმირები უკვე თელავში იყვნენ და მშვიდად საუბრობდნენ რაიკომის მდივანთან.

რაიკომის მდივანთან

— თქვენი სახელი, გოგონებო? — შეეკითხა რაიკომის მდივანი ბავშვებს.

— ბუბა და ლელა.

— ბუბა და ლელა... კარგი სახელებია, — მოეწონა მას. — მარტია, — გასძახა მეორე ოთახში თანამშრომელს, — ეს ხევსური გოგონები დააბინავე ამაღამ სადმე. ჩვენ უნდა ვუპატრონოთ ამათ. მთიდან გამოქცეულები არიან. ჰო, მარტია, სამი დღეა ბავშვები გზაში მოდიან, თბილი შეეამანდი აეამე, ჩაიც დაალევინე, სასადილოში წაიყვანე! — კიდევ მიაძახა მდივანმა კარებში, — დილით ფოტოგრაფთან წაიყვანე და სურათი გადააღებინე, ასე, როგორც არიან ჩაცმულნი და დახურულნი.

კარებში რომ გავიდნენ, ბუბა უცებ შედგა, შემობრუნდა და შეეკითხა მდივანს.

— მართლა, ჩვენს თავს არ დაანებებთ მამაჩვენს?

— ნუ გეშინიათ, წადით, დამშვიდდით, არავის არ დავანებებ თქვენს თავს.

— არც გაამხელთ, რომ წერილი მასწავლებელმა გამოგიგზავნათ? ეს რომ გაიგონ, მასწავლებელი ხიფათში ჩავარდება და მეც პირის გამტეხს დამიძახებენ.

— არა, არავინ გაიგებს ამ წერილის შესახებ, ნუ სწუხხართ, — კვლავ მოეფერა მდივანი ბუბას.

გოგონები მშვიდად აედევნენ მარტიას და გაფაციცებით იცქირებოდნენ ყოველ მხარეს.

უმთვარო ღამე იყო. ვარსკვლავებით მოქედილი ცა ოქროსფერი ყვავილებით მოქარგული, ვეებერთელა მუქ ქოლგასავით ეხურა თავზე კახეთს. ქუჩებში გამწკრივებული ელნათურები უცნაურად ბზინავდა და ლიცლიცებდა. მარტია ეუბნება ლელას:

— გოგონავ, ამდენი ოქროს ნათურა გინახავს ერთად?

— ცაზე ბევრი ვარსკვლავია, მაგრამ ასე ვერ გვინათებს გზას. მერმე მთვარე ამოვა და ყველაფერი გაბრწყინდება.

— ძია, აქ იცის მთვარემ ამოსვლა?

— მთვარე, ბიძია, ყველა ქვეყანაში ერთნაირად ამოდის.

ბუბას არ მოეწონა ლელას სულელური შეკითხვა და ყურში უჩურჩულა:

— გაჩუმდი, სირცხვილია.

ლელა გაჩუმდა.

მარტიამ სასტუმროში დააბინავა პატარა მთიელი ქალები. თბილი და მსუბუქი ვახშმის შემდეგ მშვიდად ჩაეძინათ სუფთა ლოგინში. ახლა აღარ ესიზმრებოდა ბუბას მდევრები, გათენებამდე ერთ მხარეზე ეძინათ. დილით მშვიდად გამოიღვიძეს.

ფანჯრებს ბრწყინვალე მზე შემოსდგომოდა და ფართო მინები წითლად ბრეწყვიალებდა.

— ხედავ, ბუბა? მზე აქაც ლამაზი ყოფილა,—სიხარულით წამოიძახა ლელამ. კიდევ უფრო გაოცდა, როცა თვალები ამოისრისა და ფანჯარაში გაიხედა: მთელი ქალაქი ყვავილებში ჩამალულიყო. ყველა ეზო სავსე იყო ხეხილით, ვაზებით, ათასნაირი ვარდით, ალუბლებით, თხილნარით, ვაშლებით.

ქუჩებში ხალხი მოძრაობდა. სკოლებში მოწაფეების კისკისი ისმოდა, დარაბებში ხელოსნები მუშაობდნენ, სამეედლოში მეედლები ეედდნენ და რკინის ეახაეუხი მთელ კუთხეს აყრუებდა, სამკერვალოში საკერავი მანქანები ხრიალებდა. იქით კოლმეურნეთა ბაზარი ხმაურობდა და ყველგან სიცოცხლით ამოძრავებულ ქალაქში სიხარულს გამოეჩინა ქათქათა კბილები.

ლელა ბავშვური გარინდებით უცქეროდა ყველაფერს. უხაროდა და მოსწონდა ყველაფერი. მაგრამ მაინც აგონდებოდა მთებში გარეკილი ბატკნების პეტელი „პე-ე-პე-ე-ს“ რომ გასძახოდნენ ცხვირჩამონგრეულ კლდეებს.

ბუბა უფრო დინჯად უმზერდა თელავის ცხოვრებას. ის არ ჰგავდა მთების გამოქვაბულებს, არწივის ბუდეებივით მიკრულებს ქედებზე, მიწით გალესილ ბანებს და აბეტუტებულ ჭრაქებს. მოსწონდა ბუბას ახალი, ლამაზი შენობები და ეს ცხოვრება, სადაც გოგო-ბიჭები ერთად შრომობდნენ, ერთად სწავლობდნენ, ერთად მხიარულობდნენ. წუხელ ერთად ივახშმეს მარტიასთან ერთ სუფრაზე და ამან უფრო გაახარა ბუბა. მოაგონდა: ქალები ხევსურეთში უცხო მამაკაცებთან ერთად არ სხდებიან სუფრაზე და არ სვამენ ჭურს.

— ლელა, დღეიდან ჩვენც ასე ვიცხოვრებთ. ხომ მოგწონს?

— აპარეკაც რომ აქ იყოს, მაშინ უკეთესი იქნებოდა,—ნაღვლიანი ხმით წარმოთქვა ლელამ.

— ახლა ცხვრებიც ხომ არ გინდა მოგიყიდეთ? მერმე ძაღლები მოგინდება, მერმე კატები, მერმე სანათა მატყლით და საჩეჩელით... — აკისკისდა ბუბა.

— ჩემი სალამური?—იყვირა ლელამ, ახლა მოაგონდა საბრალო გოგონას, რომ სალამური სასთუმალქვეშ დარჩა.

ატირდა ლელა. მან თითქოს გადაწყვიტა ცხვრებსაც მოშორებოდა, აპარეკასაც, მინდვრებსაც, მაგრამ სალამური... მისი პატარა გულის მესაიდუმლე სალამური რომ დაავიწყდა?

ჩუმად სლუკუნებდა ლელა.

მესამე დღეს თელავის მცხოვრებნი, დიდი და პატარა, ყველანი ბუბასა

და ლელაზე ლაპარაკობდნენ. თელავის გაზეთში დაბეჭდილი იყო ბუბასა და ლელას სურათი. სურათის ქვევით აღნიშნული იყო მშობლების საყურადღებოდ, რომ ბუბა და ლელა თელავის რაიკომში იყვნენ და რაიკომი აღზრდიდა მათ. იქვე მოყვანილი იყო უფროსი დის—ბუბას საუბარი გაზეთის რედაქტორთან:

— რად გამოიპარეთ მშობლების ოჯახიდან? ცუდად გეპყრობოდათ დედ-მამა?

— არა, ცუდად არ გვეპყრობოდნენ. ჩვენ სწავლა გვინდა.

— ხომ გაიხსნა თქვენს სოფელში სკოლა?

— იქ ჩემი ძმა აპარეკა შეიყვანეს.

— რამ გამოიწვია თქვენში სწავლის სურვილი?

— სოფელში სკოლის გახსნამ. ჩვენც გვინდოდა სკოლაში შესვლა, მაგრამ „ვის გაუგონია ქალაის სწავლაო", გაწყრნენ სახლში. ჩვენი სოფლიდან მხოლოდ სამი ბიჭი დადის სკოლაში.

— კითხვა იცით?

— არა.

— რამდენი წელიწადი გინდათ ისწავლოთ?

— სანამ არ შევძლებთ სხვებსაც ვასწავლოთ...

— შემდეგ?

— მთებში დავბრუნდებით და ქალიშვილებს ვასწავლით იმას, რასაც ჩვენ ვისწავლით. არ მოგვწონს მთებში ქალების წესი.

— ვინ ჩაგაგონათ ეგ?

ბუბა გაჩერდა, რაიკომის მდივანს შეხედა და თავი დახარა.

— ეს თქვენ არ გეხებათ,—უპასუხა ოდნავი დუმილის შემდეგ ბუბამ და სახე წამოუწითლდა.

—შენი პატარა და ლელაც შენი აზრისა არის?

— ჩემი აზრის არის. ლელას ძალიან მოსწონს წითელი ყელსახვევი.

ბუბა და ლელა თელავის საბავშვო სახლში მოათავსეს. იმდღე ვე მიუტანეს ქიშმირის კაბები, კოხტა ფეხსაცმელები და ღიაფერის წინდები, თბილსა და სასიამოვნო აბანოში აბანავეს და პერანგები ჩააცვეს.

— ახლა თქვენ ხევსურის ქალებს აღარა ჰგევხართ,—გაიცინა მასწავლებელმა, როცა წითელ ყელსახვევს ახვევდა ბავშვებს ყელზე.

ხარობს და ლაღობს ბუბა ამხანაგებში. თვალებში მზე უბრწყინავს და გულში ჩიტები უფრთხიალებს. სწავლობს წერას, კითხვას.

— მასწავლებელო, როდის მეცოდინება კარგი კითხვა?

— მალე, სულ მალე,—უპასუხებს მასწავლებელი.

— მასწავლებელო, ამ დიდ წიგნებში რა სწერია?—ეკითხება ბუბა მასწავლებელს.

მასწავლებელი იცინის.

— ეგ წიგნები ძია ლენინმა დაწერა. ძია ლენინი ჩვენი დიდი მასწავლებელია. ამ წიგნებში წერია, როგორ უნდა ავაშენოთ ახალი სოციალისტური ქვეყანა, ამ წიგნებში წერია, ბუბა, ყველაფერი, რაც ეხება ადამიანის ყოფაცხოვრებას, და იგი ყველამ უნდა ვიცოდეთ—მე, შენ და ყველა შენმა ამხანაგმა. გაიზრდები და ისწავლი...

— მერმე მთებში წავალ და ჩვენი სოფლის ქალიშვილებს ვასწავლი! —სიხარულით ამბობს ბუბა და უნდა ერთი გაკვეთილის მაგიერ ხუთი გაკვეთილი ერთად ისწავლოს.

ლელა ხშირად ჩამოჯდება განმარტოებით რომელიმე ხის ძირში და ნაღვლიანი თვალებით გასცქერის მთებს.

დაბლა ალაზნის ველია გაშლილი, მაღლა — კავკასიონის ქედები ცამდის მიბჯენილი, ბევრი სილამაზე და ბევრი ოცნება... და როცა ლელას ოცნება გაიტაცებს მთებისკენ, პირველ ყოვლისა, პატარა გულში ერთი დიდი სურვილი აისხამს ფრთებს: თითქოს ლელა გაკრიალებულ ავტომობილში ზის და მიქრის, მიქრის და მის წინ იშლება მშვენიერი შარა, რომელიც პირდაპირ ბარისახოში მიდის, მაგრამ უცებ ბუბა მოირბენს, ხელს წაავლებს ლელას,—და მშვენიერი ოცნება გაქრება. თვალწინ. გამოეხატება მიკიბულ-მოკიბული საცალფეხო ბილიკები, რომელსაც ყოველწლიურად რამდენჯერმე წალეკავს ზვავი და მეწყერი.

ბუბასა და ლელას სოფელი ბარისახოსთან ახლოს მდებარეობს. ბარისახოში აღმასკომია, ამბულატორია და სკოლა. მაგრამ არ არის ავტომობილები: ნეტა ჩვენს სოფელში არასოდეს არ მივა ავტომობილი?—ფიქრობს ლელა. და განა მარტო ლელა? ბუბაც ხშირად ფიქრობს ხევსურეთის უგზოობაზე. ხანდახან კიდეც წამოსცდება ბუბას თავის ტოლ-ამხანაგებთან: ინჟინერი უნდა გავხდე და ეს გზა უნდა მივიყვანო მამაჩემის ჭერხომდეო.

ახლა ბუბას ოცნება „ხევსურეთის გზის“ შესახებ კარგა ხანია განხორციელებულია — ბარისახოში მიდის მშვენიერი გზატკეცილი.

კახეთის ცა

მთელი ორი კვირა მზიანი დარები იდგა კახეთში. ალაზნის ველზე ახალგათხრილ არხებში გომბეშოები ბუდობდნენ. ზუზუნებდნენ კოღოები და გაწყარებულნი იკბინებოდნენ. გლეხები არხებს თხრიდნენ და სახე პირბადეებით დაეფარათ.

იხვრეოდა კოღოების საბუდარი.

კამეჩები ძლივს მიათრევდნენ ლაფში ჩაფლულ ურმებს, ბუზები მისეოდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ მსხვილტანიან დინჯ პირუტყვებს. გლეხები თხრიდნენ არხებს და მძიმე ოხშივარი ასდიოდა ალაზნის ველს. მდინარე ალაზნის ნაპირებზე რამი შრიალებდა, ალაგ-ალაგ მოუხვნელ მიწაზე, ბალახებში მწყერჩიტები ფრთხიალებდნენ.

ორმოებში ჩამდგარ მღვრიე პატარა ტბებს მზე ახურებდა. გადახედავდით თელავიდან—და გეგონებოდათ უძრავად დგას იისფერი ზღვაო. ოხშივარი მსუბუქ ორთქლად ადიოდა ზევით, ჰაერში იფანტებოდა, და კახეთის ლურჯ ცაზე ჩნდებოდნენ თეთრი, ბამბასავით თეთრი ქულები, რომელნიც ცის გუმბათში იყინებოდნენ და წყლადქცეულნი ეშვებოდნენ დაბლა. წვიმა ეონავდა და მსუბუქი თქორით იეღინთებოდა ჰაერი, მდელოზეც ცვივოდა წვრილი მარგალიტები.

კვამლისფერ ნისლს დაებურა გომბორის მთები და ციცი მთაც მშვიდად გახვეულიყო ნისლში.

მუქი ფარდები ჩამოეშვა კავკასიონის ქედებს, გეგონებოდათ, რუხი გაცრეცილი ნარმა შემოხვევიაო თელავს.

ბავშვებს უხაროდათ ზაფხულის თქორი, ტიტველი ფეხებით დასრიალებდნენ მდელოზე და მღეროდნენ:

„ეუეუნა წვიმა მოვიდა,
მთელი მინდორი დანამა...
დანამა, დანამა, დანამა....
ალაზნის ველი დანამა...“

მღეროდნენ და ცელქობდნენ ბავშვები. ბუბა დათვის ბელსავით დაძუნძულებდა ჩია ბავშვებში. მისი სიარული არ ჰგავდა სხვა ბავშვების სიარულს: ჯერ კიდევ ვერ შესჩვეოდა ბუბა ბარში სიარულს, მისი ფეხები თითქოს მუდამ მთების ხრამებსა და ღრანტეებს ებრძოდა. ბუბა რომ დაძუნძულებდა ბავშვებში, მასწავლებელი ხარხარებდა, საბავშვო სახლის ექიმი ქალიც გულიანად იცინოდა, ხოლო რაიკომის მდივანს უხაროდა ბუბას სირბილის ცქერა, მისი მძლავრი მუხლების მოძრაობა...—ბუბამ მთის სიმამაცე ჩამოიტანა ჩვენს ბავშვებშიო,—ამბობდა ის.

ყველას უყვარდა ბუბა.

* * *

ლელა ფანჯრის რაფაზე დაბჯენილი უმზერდა კავკასიონის დაშვებულ კალთებს. მას ისევ მთებისკენ იტაცებდა ოცნება. წვიმიანი დღე აგონებდა მთებში ნიაღვრის გრიალს და ადიდებული არაგვის ტალღების ღრიალს, ზვინისოდენა ქვებს რომ მოაგორებს ხანდახან. ბევრჯერ უნახავს არაგვი ადიდებული, წისქვილების წალეკილი სათავეები და დანგრეული ხიდები პატარა ნაკადებზე. ლელას ისე უყვარს მოლუღლუღე ღვარში ტიტველი ფეხებით ტყაპუნი, ჭექა და ქუხილი, როგორც მზიანი მდელო და არწივის ფრთების საამური შრიალი. დღეს განსაკუთრებით აგონდებოდა ლელას მამის სახლკარი, პაწია ძმა და ბებია სანათა.

„ნეტა რატომ არ მომიკითხეს?“—უკვირდა ლელას და ბოლოს ასე დაასკვნა:—„ალბათ ჯერ ჯოყოლა არ დაბრუნებულა დუშეთიდან“. დედაც მოი-

გონა ლელამ და ბოლოს მძიესავით ორი წვეთი ცრემლი შეაცივდა გრძელ წამწამებზე.

წვიმამ გადაიღო და ალუჩის ყვავილებივით აიფეთქა კახეთის ცა. ისევ გამოჩნდა ლურჯი გუმბათი ჩამავალი მზის სხივებში.

ლურჯი კოშკივით მოჩანდა გომბორი.

წვიმით გადარეცხილ სუფთა ქედებზე შარიშურობდა მსუბუქი ნიავი, შრიალებდნენ სველი ფოთლები და ფოთლებზე შერჩენილი წვიმის წვეთები მარგალიტებივით ცვიოდნენ მდელოზე.

ფანჯრის რაფაზე დაბჯენილი ლელა კვლავ გარინდებული ტკბებოდა ბუნების სილამაზით. ქუჩას გახედა და განცვიფრდა: შორს, ქუჩის ბოლოს თვალი მოჰკრა შუახნის ხევსურს, დინჯად მომავალს და უნებლიეთ წამოიძახა: „მამა ჯოყოლა“, მაგრამ თვალს არ უჯეროდა, სანამ ჯოყოლამ ახლოს არ ჩაუარა ფანჯარას. ახლა კი დარწმუნდა, რომ ის ხევსური მართლაც „მამა ჯოყოლა“ იყო. წინ ჯოყოლა მოდიოდა, ხევსურთა ჩვეულებისამებრ, ორი ნაბიჯით უკან მოსდევდა ცოლი. ლელა ამრეზილი და აკანკალებული გავარდა დერეფანში ბუბასთან, ხელი მოჰკიდა, გააცალკევა ამხანაგებისაგან და ყურში ჩაუჩურჩულა:

— ბუბა, მამა ჯოყოლა და დედა ხორა ჩამოვიდნენ. რა უნდა ვქნათ ახლა? ხომ მოგვკლავს მამა! ბუბა, შევეხვეწოთ, გვაპატიონ დანაშაული... შევეხვეწოთ...

— არა, ტყუილად ფიქრობ, ლელა, მე უკან აღარ დავბრუნდები; შენც ნუ დაბრუნდები, ჩემო დაიკო, ნუ დაბრუნდები... ლელა, ორივემ მტკიცედ ვთქვათ, რომ არ გვინდა მთებში დაბრუნება. შენ ხომ ჩემი დაია ხარ! მე მინდა შენც ისწავლო ჩემთან ერთად და ნასწავლი ქალები გავხდეთ. ხომ გაიგე გუშინ რომ წაგვიკითხა მასწავლებელმა ძია ლენინის სიტყვები: „სწავლა, სწავლა და სწავლა“. შენ კი უსწავლელი დარჩები მთებში.

— არა, არ დავბრუნდები... — გაბზარული ხმით წარმოთქვა ლელამ, ისევ ფანჯრის რაფაზე გადაეყუდა და გაფითრებულმა გახედა გზას.

ხორა დიდხანს იდგა გაქვავებული რაიკომის კარებთან, ფეხზე სველი ქალამნები ეცვა თასმით შემოქერილი. თავსაკრავი ჩამოწუწული და მხრები სველი. კოპებშეკრული მისჩერებოდა კარებს, საიდანაც ჯოყოლა უნდა გამოსულიყო. ჯოყოლა ოთახში იდგა მაგიდასთან და რაიკომის მდივანს ელოდებოდა. ქუდსა და მხრებზე ორთქლი ასდიოდა.

მეორე ოთახიდან მარტია გამოვიდა. კარებთან უცხო ქალი რომ შენიშნა, ჰკითხა:

— თქვენ ვინა ბრძანდებით? ფშავიდან ჩამოხვედით?

— არა,—ამაყად უპასუხა ხორამ,—თუ ქართველი ხარ, უნდა იცოდე ფშავ ვარ, თუშ, თუ ხევსურ!

მარტია მიხვდა: ასეთი პასუხი მხოლოდ ხევსურმა ქალებმა იციან.

— რისთვის ჩამოსულხართ?—შეეკითხა ბოლოს მარტია.

— ჩემი შვილები უნდა წავიყვანო.

მარტია მიხვდა: ეს ქალი ბუბასა და ლელას დედა იქნებაო.

— შემობრძანდით, შემობრძანდით, მოვილაპარაკოთ, თქვენი შვილები ჩვენთან არიან.

— დიახ, ჩემი შვილები...—დინჯად წარმოთქვა ხორამ და აღარ დაფიქრებულა, გაბედული ნაბიჯით შევიდა ოთახში. ჯოყოლა მაგიდასთან იჯდა. ხორა თავს წაადგა ჯოყოლას და ორი ნაბიჯით უკან გაჩერდა.

— ახლავე მოვიყვანთ თქვენს შვილებს,—ღიმილით უთხრა რაიკომის მდივანმა.

ამ დროს კარებში მარტიამ შემოალაჯა. მას ბუბა და ლელა შემოჰყვნენ, აგრეთვე მასწავლებელი და განათლების განყოფილების გამგე. ჯოყოლას ბრაზი მოერია, ფეხზე წამოიჭრა და უნებლიეთ უშველებელ ხანჯალზე დაიკრა ხელი, რომელიც ფართო ღვედის ქამარზე ეკიდა და არწივივით აწურა მხრები.

— მავკლავ მაგ ლეკვებს, მავკლავ! ქალამ როგორ უნდა გაბედოს ამისთანა ამბები?—აყვირდა ჯოყოლა, ხორა მოთმინებით უმზერდა სახეგაფითრებულ ბავშვებს.

— მოკვლის ნებას არ მოგცემთ, ამხანაგო,—მტკიცედ უპასუხა მდივანმა.—ეს ბავშვები ჩვენთან მოვიდნენ და დღეს ჩვენ ვართ ამათი პატრონი.

ჯოყოლა უფრო გაცეცხლდა.

— როგორ? თქვენ... მე...—დაიბნა ჯოყოლა... აღარ იცოდა ამ წამს ვის ეკუთვნოდა მისი შვილები.

— დიახ, ჩვენ,—განაგრძო განათლების განყოფილების გამგემ,—ჩვენ გავზრდით ბავშვებს, ვასწავლით და ნასწავლს დაგიბრუნებთ. ახლა წაბრძანდით შინ და მოისვენეთ, ბავშვებს ვერ გაგატანთ.

ჯოყოლას თითქოს სახეზე ცეცხლი წაეკიდაო, თვალები აუწითლდა.

— როგორ? მაშ, მე არ ვყოფილვარ ჩემი შვილების პატრონი? რად უნდა ქალას სწავლაი? ცხვარი ვინ მომწყესოს, შალი ვინ მოქსოვოს, ბოსელს ვინ მოუაროს... ქალამ უნდა იმუშაოს, მზითევი მოამზადოს, ვაჟაი აირჩიოს... ქალა სახლში უნდა იჯდეს. ქალამ როგორ უნდა !გაბედოს ამისთანა ამბავი?! მავკლავ მაგ ლეკვებს!—თავისას გაიძახოდა ჯოყოლა და ღრიალებდა—„მავკლავ, მავკლავო.“

ბავშვები გაფითრებული მისჩერებოდნენ მშობლებს. ბუბა ცდილობდა არ დაბნეულიყო. ლელა შიშისაგან თრთოდა. ამრეზილი იდგა და ვერ გადაეწყვიტა ბუბას ჩასჭიდებოდა მკლავში, თუ დედისაკენ გაეშვირა ხელი. ამ წუთში უცნაური გრძნობა ბობოქრობდა ლელას გულში. ჯოყოლას მრისხანე შეძახილი ხომ თავბრუს ახვევდა გოგონას.

— დაწყნარდი, ამხანაგო, მოვილაპარაკოთ,—მშვიდად მიმართა რაიკომის მდივანმა.

ახლა ხორა წამოდგა.

— მოლაპარაკება რა საჭიროა: ჩემი შვილები მთას უნდა წავიდნენ. ერთი ვაჟი გვყავს და ის სწავლობს. ქალას სად სცალია სწავლისათვის, მთებში ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. ქალას რა უნდა სხვაგან, სახლი ხომ არ დაგვწვია!

— ეს სულ ბუბა არის დამნაშავე!—იყვირა ჯოყოლამ და ნაბიჯი გადადგა ბუბასაკენ, ყელში მომდგარი ბრაზისაგან აირია, უცებ გადაავიწყდა, რომ იგი რაიკომის მდივნის წინაშე იდგა, მაგრამ მსწრაფულ წამოვარდა ხორა და წინ გადაუდგა გააფთრებულ ქმარს. ჯოყოლა დაწყნარდა და ¡დაჯდა. ბუბას და ლელას ხუთი დამცველი ადგა თავზე და ჯოყოლა დარწმუნდა, რომ ყვირილით ვერაფერს გახდებოდა.

— დაწყნარდით, ამხანაგო!—კვლავ მიმართა რაიკომის მდივანმა ხევსურს, —დაწყნარდით და ვკითხოთ ბუბასა და ლელას. თუ უნდათ, წამოვიდნენ თქვენთან, თუ არა და აქ დარჩებიან. აბა გოგონებო, თქვენ გადაწყვიტეთ, როგორ გირჩევნიათ.

— ჩვენ მაშინ გადავწყვიტეთ, როცა წამოვედით სახლიდან. ახლა უსწავლელი არ დავბრუნდებით მთებში. ჩვენ სწავლა გვინდა. მამა ჯოყოლა, სწავლა... ახლა შენ თქვი, ლელა, შენც ხომ გინდა სწავლა?

— ჰო, მეც მინდა ¡სწავლა,—წამოილუღლუღა ლელამ და დედას ისე მიაპყრო თვალები, თითქოს გული კვლავ მთებისკენ ეწეოდა.

— მაშ, მშობლების სიტყვა აღარ არის თქვენთვის სავალდებულო?—შეუტია ბოლოს ხორამ შვილებს.

ბუბამ ხელი სტაცა ლელას და დარცხვენილმა უსიტყვოდ შეუბრუნა ზურგი მშობლებს. ხორა გაოგნებული დააშტერდა შვილებს,—ეუცხოვა „ქალას“ ასეთი მოქცევა მამის წინაშე, წამოდგა, ორივე ხელი მიუშვირა ბუბას და აღელვებულმა წარმოთქვა:

— წყეული იყავ, შე გომბეშოვ, და შენც, ლელა! არასოდეს აღარ ამოხვიდეთ მთას.

შებრუნდა ხორა კარებისაკენ და ჯოყოლაც უძლურად ხელებდაშვებული გაჰყვა ცოლს.

გარეთ უკვე ღამე იყო, წვიმის შემდეგ მოწმენდილ კრიალა ცაზე ვარსკვლავები ელავდნენ, ქუჩებში ელნათურები ლიცლიცებდნენ.

ხორა ბაღში შევიდა და გულშეწუხებული ჩამოჯდა დიდი ცაცხვის ძირში. ჯოყოლა მგზავრების მოსაძებნად წავიდა. მგზავრები თიანეთიდან იყვნენ: ჯოყოლასთან ერთად ჩამოსულიყვნენ თელავში და ამაღამ ბრუნდებოდნენ თიანეთში.

ხორა დიდხანს იჯდა გარინდებული, ღელავდა და იკრუნჩხებოდა დედის გული, შვილებს დაკარგულად თვლიდა. სოფელში თვალის გახელა რცხვენოდა. მეზობლები იტყოდნენ: ქალიშვილები გაექცა სახლიდანაო. შფოთავდა ხორა. ცალკე შვილების დაკარგვას ტიროდა, ცალკე სირცხვილს ჩიოდა. ხორამ გუ-

ლი თითებით მოისრისა და უცებ ლელას სალამური მოხვდა ხელში. სალამური ლელასათვის წამოეღო: იმდენად უყვარდა ლელას სალამური, რომ დედასაც ვერ წარმოედგინა ლელა უსალამუროდ. გული აუდუღდა, ამოიღო სალამური და ცრემლიანი თვალებით დააშტერდა. „ეს მაინც დამეგდო ლელასათვის“, გაიფიქრა გულშემოყრილმა დედამ.

საბავშვო სახლში ბავშვების ერიამული იდგა. მხიარულობდნენ ბავშვები და ვახშისათვის ემზადებოდნენ. მხოლოდ ბუბა და ლელა იყვნენ მოწყენილნი. ბუბა დერეფანში მიმალულიყო კარის უკან, ჩუმად ტიროდა, რომ ლელას არ დაენახა. ბუბასაც უდუღდა გულში მშობლების სიყვარული. მეტად ეძნელებოდა უხმო განშორება საყვარელ დედასთან. ებრალებოდა შვილისაგან შეურაცხყოფილი მამა, მაგრამ ბუბა ხომ არ იყო დამნაშავე? „მამა ჯოყოლა, მე სწავლა მინდა...“ ახლაც ეხვეწებოდა თავის გულში მამას და ჩუმად იწმენდდა ცრემლებს. ლელა ისევ ფანჯრის რაფაზე ეყუდა და გარინდებული გაჰყურებდა გზას, რომელზედაც ჯოყოლას და ხორას უნდა გაევლოთ. ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ფერმკრთალ ღაწვებზე და კანკალით მოელოდა ჯოყოლას და ხორას გამოჩენას, „მამა ქუჩაშიც ხომ არ იქნება, ნეტა, მრისხანე. იქნება დედა მადგეს ფანჯარასთან და მაშეფეროს?..“—ფიქრობდა ლელა და დაქედილივით იდგა. უცებ შეკრთა გოგონა, პატარა გული ჩიტივით აუფრთხიალდა, თავისი სალამური ძოაგონდა!

ლელა სალამურზე ხშირად ოცნებობდა. მისი სალამური ვერცხლის რგოლით იყო შემოსილტული. ეს ბებია სანათამ აჩუქა. ბებიას კი მზითევში მოჰყვა, როგორც მწყემსი ქალის უძვირფასესი ნივთი. ეს სალამური მთელ თავის სიცოცხლეში დაკეტილ სკივრში ჰქონდა ბებია სანათას შენახული. გათხოვების შემდეგ მწყემსობას თავი დაანება და მის თითებში სალამურის მაგიერ წინდისჩხირები იყო მუდამ გაჩხირული. ორი წლის წინათ გახსნა ბებია სანათამ თავისი საიდუმლო სკივრი, სადაც სხვა ნივთებიც ჰქონდა შენახული—ხევსურთა უძველესი ცხოვრების სახსოვარი. მან ამოიღო სკივრიდან თავისი ბავშვობის საყვარელი სალამური და უთხრა ლელას:

— შენთვის მიჩუქნია ეს სალამური, ლელა, რადგან ამქვეყნად უფრო შენ მიყვარხარ.

ამ ფიქრში იყო გართული, რომ უცებ თვალი მოჰკრა ხორას, რომელიც ბაღში იჯდა და ელექტრონის შუქი უნათებდა დაღონებულ სახეს. მთელი არსებით ათრთოლდა ლელა. რაღაც საშინელმა ციმა ერუანტელმა დაურბინა მთელ სხეულში.

თითქოს ვილაცამ ხელი წაავლო, აიწია და ფანჯარაში გადახტა, ბაღის კარები გაირბინა და დიდი ხისკენ გაიქცა.

— დედა!—შეჰკივლა ლელამ და გულში ჩაეკრა.

მთვარე ფოთლებში ამოიყვერცხლა.

ლელა, ხორა და ჯოყოლა მგზავრებთან ერთად გაუდგნენ გზას მთისაკენ. ხორა ჩუმად ბუტბუტებდა ლოცვის სიტყვებს. ვილაცას მადლობას უძღვ-

ნიდა, რომ ერთი შვილი მაინც დაუბრუნა ოჯახს. ვარსკვლავივით კაშკაშებდა ლელას თვალები. პატარა მკერდით აწვებოდა აღმართს და გული სიხარულით ევსებოდა, რომ ხვალ ნახავდა აპარეკას, ბებია სანათას და თავის ქორფა ბატკნებს. დედა ცხვარს ზურგზე შეახტებოდა და აჰყვებოდა მწყემსი გოგონების რიალს. მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა ახლა. მისი ფოლაქებიანი ქუქუმოები, შალის პერანგი, წინდები და ახალი ქალამნები რომ დარჩა თელავში და ახლა მთებისათვის უჩვეულო ტანისამოსით ბრუნდებოდა შინ—ქიშმირის კაბით, ფეხსაცმლით და წითელი ყელსახვევით. კიდევ კარგი, რომ წითელი ყელსახვევის ქვეშ ფლარაფულები მაინც შერჩა კისერზე.

ახლა აღარ აწუხებდა ლელას ნატვრა,—ამ გზაზე პრიალა ავტომობილით გამოევლო. სრულიად აღარ ფიქრობდა თელაველ ამხანაგებზე. ადიოდა ზევით, ზევით, ციცაბო კლდეებზე და ჩიტივით მსუბუქი და თავისუფალი ხდებოდა ლელას გული.

ბუბა დაღვრემილი იდგა იმავე ფანჯარასთან, საიდანაც ლელა გადმოხტა, ბუბას დარდი უდაგავდა გულს. ახლა იმაზე წუხდა, რომ მასწავლებელი არ გაეცა „შერცხვენილ" ლელას და არ გაემხილა წერილის ამბავი.

ლელას წერილი ბუბას

ჩქარა გაიარა ზაფხულმა მთებში. ფერი ეცვალა მინდვრებს. დამუქდა ჭალები. არაგვი დაიწმინდა, დაპატარავდა, ბროლივით გამჭვირვალე გახდა და მეორე მთვარე გამოჩნდა მის ფსკერზე.

აქა-იქ ქერის ნაყანევი ყვითელი ატლასივით ეფინა სერებს.

მზეს სითბო აკლდებოდა და ჭადრის ყვითელ ფოთლებს ნაპრალებისაკენ მიაქროლებდა ქარი. ტყეებს ყვითელი ფარჩა შემოსწეწოდა და კუნელებზე შერჩენილი ფოთლები ოდნავ ირხეოდნენ. ციცაბო კლდეებზე ფრთებდაშვებული ისხდნენ არწივები და ცეცხლივით თვალებს აბრიალებდნენ ჩამავალ მზეზე.

ჯოყოლა კვირიდან კვირამდე აღარ ჩანდა სახლში, მონადირეებს მიჰყვებოდა, ჯიხვსა და არჩვზე ნადირობდა. ხანდახან მგელსაც მოჰკლავდნენ მონადირეები, ირემსაც წააწყდებოდნენ, დაბობღავდნენ მიუვალ კლდეებში, ნაპრალებში, დაეხეტებოდნენ ორწოხებში.

მოხუცი სანათა ლოცულობდა სანადიროდ წასული შვილისათვის, რომ მშვიდობით დაბრუნებოდა შვილი, ბლომად მოეტანა ჯიხვის მარილიანი ხორცი და მელიების ძვირფასი ბეწვეული. ხორა ზამთრისათვის ემზადებოდა, ქერის ძნებს ზვინავდა, ნაყანევში ხმელ ბალახს აგროვებდა და ზამთრისათვის ინახავდა, ტყის ხილს ეძებდა. შინდისა და მოცვისათვის დაეხეტებოდა ათი კილომეტრის სიშორეზე მეზობლის ქალებთან ერთად. მცენარეების ფოთლებს, ტყის ყვავილებსა და ძირტკბილას აგროვებდა წამლისათვის. მრავალძარღვას კრეფდა დამწვარი ფეხისათვის ან ხელისათვის.

გრძელი ზამთრისათვის ემზადებოდა ჯოყოლას ოჯახი. აპარეკა სკოლაში

დადიოდა... ახლა მარტო ლელა მწყემსავდა ცხვრებსა და ძროხებს. ახლა ბუ-ბას საქმეც ლელას აწვა კისერზე. ლელას ხასიათი გამოეცვალა. აღარ მხია-რულობდა, წინანდებურად აღარ თამაშობდა გოგოებში. ვერ ივიწყებდა საყვა-რელ დაიას—ბუბას და წყაროსავით ჩამოსდიოდა თვალებზე ცრემლები. მაგრამ ოჯახში ვერ ახსენებდა ბუბას სახელს. ბუბას უკვე ამორიცხულად თვლიდნენ ჯოყოლას ოჯახიდან. ლელა როცა ცხვრებსა და ძროხებს გარეკავდა საბა-ლახოზე, ჩამოჯდებოდა ხის ძირში და ხანდახან მთელი დღე აკვნესებ-და სალამურს, სალამური ტიროდა ისე, როგორც ლელას პატარა გული. სალამურის კვნესაში მუდამ ბუბას სახელი მოისმოდა: „ბუბა... ბუ-ბა-ა“... და კეთილი გოგონა ხშირად წარმოიდგენდა, თითქოს ბუბას ესმოდა მისი სალამურის ტკბილი ძახილი, და ჰა, ბუბა მოჰყვებოდა- ციცაბო კლდეების ბილიკს, ამოდიოდა ხევებიდან ზევით, ზევით და უახლოვდებოდა ლელას. ენა-ტრებოდა დაია, სიტყვებს აწყობდა ლელა და იზეპირებდა. ეხვეწებოდა აპა-რეკას: ჩუმად დაეწერა წერილი და მიეცა მასწავლებლისათვის ბუბასთან გა-საგზავნად.

ბუბას ტყუილად ეგონა ლელა გასცემდა მასწავლებელს. ლელამაც გა-მოიჩინა ხევსური ქალის სიმტკიცე და მასწავლებლის შესახებ ერთი სიტყვაც არ უთქვამს. დიდი ხვეწნის შემდეგ აპარეკა დაეთანხმა ლელას და როცა ხორა ქსელს მიუჯდა, ბავშვები ჩამოსხდნენ გრძელ ტახტზე და შეუდგნენ წერი-ლის წერას.

აპარეკა წერდა წერილს.

ლელა უკარნახებდა:

„წერილსა მაგწერ ბუბასა,
ჩიტს გამოვაბამ ფრთასაო,
მაგიკითხავ და გაკოცებ
ჩემს საყვარელსა დასაო.
უშენოდ ყოფნა მაწყინდა,
აღარ ვახტები ცხვარსაო,
მთას შემოდგომა აყვითლდა,
ფოთლები მიაქვს ქარსაო.
ნეტა შინ ამახვიდოდე,
გაგიხსნი გულის კარსაო...
ბუბა, დაია, მამწერე,
რა ნახე კარგი ბარსაო.“

ბუბას პასუხი ლელას

ბუბა ჯერ კიდევ არ იყო გამორკვეული ზაფხულის სანახაობიდან. მის შეხსიერებაში მიგრიალებდნენ მატარებლები, მიკიოდნენ ორთქლმავლები, მიბ-

ღაოდნენ ავტომობილები, მისრიალებდნენ ტრამვაის ვაგონები, რეკდნენ სადგურები... იშლებოდა თბილისის ქუჩები ათასნაირი ხალხით, ათასნაირი ვიტრინით, თეატრებით, კინოებით, კლუბებით, ესტრადებით, ორკესტრებით, ქარხნებით, სამკერვალოებით, ფართო ქუჩებით... და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი რამ აგონდებოდა ბუბას. განსაკუთრებით მოეწონა ბორჯომის შუშის ქარხანა. ზღაპრული სილამაზით ეხატებოდა ცერის სიმსხო გრძელ სასულე რკინებზე წამოცმული ცეცხლის პატარა ბუშტები, უცებ რომ იბერებოდნენ, ცეცხლის ბოთლებად მიქროდნენ ხელიდან ხელში. მრავალ სანახავზე ფიქრობდა ბუბა. როცა ლელას წერილი მიიღო, სიხარულის ცრემლებით დაეინამა ბუბას წამწამები. ყველა ამხანაგს წაუკითხა წერილი. მასწავლებელსაც წააკითხა და გულში ჩაიკრა. ყოველ საღამოს ძილის წინ გაშლის ბუბა აპარეკას რვეულიდან ამოფხრეწილ ქაღალდზე დაწერილ წერილს და კითხულობს:

„ბუბა, დაია, მამწერე,
რა ნახე კარგი ბარსაო.“

გული დაწყდა ბუბას, მისმა საყვარელმა დაიამ ვერ ნახა ის, რაც თვითონ ნახა ზაფხულის ექსკურსიებზე. და უფრო აუჩუყდა გული: მიხვდა, რომ წერილი აპარეკას ხელით იყო ნაწერი. „ლელას ვინ მოაცლის სწავლისათვის“,— გაიფიქრა და დიდი ხნის დუმილის შემდეგ დაჯდა და დაწერა საპასუხო წერილი:

„მივიღე ლელას წერილი,
გულმა დამიწყო ძგერაო.
მე ამ წერილში მამესმა
ნაკადულების ჩქერაო.
მამესმა ირმის ბღავილი,
ბარად ჩამოაქვს ზვავსაო...
ნეტავი შენი ტკბილი ხმა
ჩემკენ მაჰქონდეს ქარსაო,
გისურვებ ახალ ცხოვრებას,
მთაც გაუღებდეს კარსაო.
გნახავდე სკოლის დაფასთან
პირმცინარს ლელა-ქალსაო.
იმღერე პიონერულად,
გვერდს მაისვამდე ძმასაო,
ეტყოდე ლექსებს ტკბილხმიანს:
მთები გაძლევდეს ბანსაო,
გოგო-ბიჭები მწყემსავდეთ
კოლექტივების ცხვარსაო!“

ბუბასაგან წერილის მიღების შემდეგ დღე და ღამ ფიქრობდა ლელა სკოლაში შესვლაზე და ეღოდებოდა—როდის გა დირეკდა ნისლს და ბურუსს ჯოყოლას თვალები. ეეედრებოდა დედას, „ლელასაც უნდა სწავლაიო“.

სალამოს, როცა უფროსები ოჯახში შეიკრიბებიან, ლელა განმარტოვდება ბანზე და სევდიანად არაკრაკებს საყვარელ სალამურს, უმზერს მთვარეს და უხარია ცაზე ხომლის დანახვა, მეგობრებსავით რომ ზის ერთად შვიდი ვარსკვლავი. თვალებზე მსუბუქი რული ეკიდება და სიზმარში ხედავს ბუბას, რომელიც წინანდებურად ჩაცმული, მხარზე დიდი კომბლით, უახლოვდება სახლს, სიცილით გადმოიღებს მხრიდან კომბალს, ეს ვრის ლელას და ლელა შეხტება...

სიზმარი გაქრება.

დედა ხორა დადგომია თავზე და აღვიძებს: შემოდი, ლოგინზე დაიძინეო. ლელა დაბარბაცებული წამოდგება, თვალებს ამოიფშვნეტს... ისევ მთვარე და ვარსკვლავები დაჰქათქათებს ქვეყანას.

* * *

„აი, რა შეძლებია ბოლშევიკურ შეუპოვრობას,“—ფიქრობდა მასწავლებელი, როცა მოწინავე ხევსურები თავისით ჰკიდებდნენ წითელ დროშებს სკოლისა და საექიმო პუნქტის კარებზე და თავის ხელით აკრავდნენ ახალ ლოზუნგებს კედლებზე:

„სინათლე... სინათლე... სინათლე...“—რეკდა სკოლის წკრიალა ზარი, დერეფნის ჭერში ჩამოკიდებული.

„ტრა-ტა-ტა-ტაა“! — გასძახოდა პიონერების განგაში უდაბურ მთაგორებს.

მესამე სასწავლო წელი იწყებოდა.

აგერ სკოლის წინ ხევსურები მოგროვილან. მსჯელობენ და მასლაათობენ მორიგ საქმეებზე: ყაზბეგში ანდეზიტის აღმოჩენაზე, ნარზანის სარგებლიანობაზე, კოლექტიურ მესაქონლეობაზე... ექიმი თავისას ლაპარაკობს, ის აცნობს საზოგადოებას, ჩქარა დამთავრდება საავადმყოფო. აგერ ახალგაზრდა ხევსურმა განაცხადა, დუშეთის გზა ერთი კილომეტრის მანძილზე გვიახლოვდებაო. სკოლის დირექტორი ლაპარაკობს, თუ რამდენი ფული გადადო მთავრობამ მთებში კულტურული ცხოვრების მოსაწყობად.

საკითხია დასმული:

გოგონებმაც უნდა ისწავლონ სკოლაშიო.

რამდენიმე დაინტერესებული ქალიც მოსულა კრებაზე და შორიდან უგდებს ყურს მამაკაცების მსჯელობას. აგერ მოშორებით ხორაც ატუზულა კედელთან.

— რაო, რას ბრძანებთ თქვენ, მამუკა?—ეკითხება მასწავლებელი მოხუც ხევსურს.

— იმას მოგახსენებდით, ოჯახი დაგვენგრევა-მეთქი, თქვენმა მზემ, თუ ყველა ქალამ მოინდომა სწავლაი, ოჯახში აღარავინ გვრჩება. მამილას მზემ. მოხუცებულებს მუხლები გეღალატობს და ვინღა მიხედავს-მეთქი საქონელს.

— ჰა, მეც ამას ვამბობდი, სხვას არაფერს,—განაგრძო მამუკას სიტყვა ალუდამ, ქვაზე ჩამომჯდარმა, გამოიღო ჩიბუხი პირიდან და ხელისგულზე დაიბერტყა.

საკვირველია, ზოგიერთი ხევსური წინანდებურად აღარ ცხარობდა, ახლა უფრო შეგნებულად მსჯელობდნენ ქალიშვილების სწავლაზე. ზოგიერთებს ვაჟებიც არ შეეყვანათ სკოლაში, სულ თორმეტი ბიჭი სწავლობდა და თორმეტივეს წითელი ყელსახვევი ჰქონდა. ახლა სკოლის ზევით გორაზე ასულიყვნენ და იქიდან ტეხდნენ განგაშს—კრებაზე ეძახდნენ დიდს და პატარას—ყველას... ყველას...

— მეც შამომყავს ჩემი მზია სკოლაში, მასწავლებელო,—განაცხადა ჯოყოლას ბიძაშვილმა გულჯამ, რომელიც დღეს თავისი ხელით აკრავდა ახალ ლოზუნგებს კედლებზე.

უფროსი ექიმი ლეო სიამოვნებით უმზერდა შეგროვილ ხევსურებს, რომლებიც ახალგაზრდობის სწავლის აუცილებლობის შესახებ საუბრობდნენ.

მასწავლებელი განაგრძობდა შეკითხვებს.

ჯოყოლამ თვალები მოიფშვნიტა, წამწამებზე შემოლამებული ნისლი ჩამოიბერტყა და ერთ წამს თავი ჩაღუნა.

— აბა, ბრძანე, ჯოყოლა, რა აზრისა ხარ, ბრძანე, შენი ქალიშვილი შემოგყავს სკოლაში თუ არა?—უკანასკნელად შეეკითხა მასწავლებელი ჯოყოლას.

ჯოყოლამ ცალი თვალი გადაჭკრა მეზობლებს და ყველასათვის მოულოდნელად წარმოთქვა:

—შამომყავს, მასწავლებელო, რა ვქნა, ქალასაც უნდა თურმე სწავლაი, მარტო ლელაი ხომ არ დარჩება უსწავლელი?!

* * *

ბუბას სახლიდან წასვლის შემდეგ გავიდა ორი წელი. დადგა ისევ ზაფხული. ხევსურეთის ცის ქვეშ ახალი ცხოვრება გაიშალა: საავტომობილო გზატკეცილი მიადგა ბარისახოს, საავადმყოფო გაიხსნა, ბიბლიოთეკა მოეწყო, კინოთეატრი გაიმართა, მოვიდა მედიკამენტებით, წიგნებით და კინოსურათებით დატვირთული მანქანები, გამოჩნდნენ ექიმი ქალები და ბიბლიოთეკაში მომუშავე ქალები. ხევსურები დაეწაფნენ ახალ კულტურულ ცხოვრებას.

ჯოყოლამ მიმოიხედა გარშემო, ახალი ცხოვრების შუქმა მიანათა „არწივის ბუდეების შორის" შცხოვრებ ხევსურის თვალს.

მზე ჩადიოდა მთებს გადაღმა. ჯოყოლა დაფიქრებული გადაჰყურებდა ერდოდან. აგონდებოდა ბუბას შინ ყოფნის უკანასკნელი საღამო. მამა ვერ

შერიგებოდა ბუბას ოჯახიდან წასვლას. მრისხანე მთიელის გულში სათნოება დასადგურდა. „ქოყანა გამოიცვალა,—ფიქრობდა ჯოყოლა,—ბევრი ნასწავლი ქალი მოვიდა ხევსურეთში, ალბათ ჩემს საწყალ ყოტსაც სწავლაი უნდოდა!!"

გასცქეროდა ჯოყოლა ჩამავალ მზეს. შეღამების მოლიბრო ბინდბუნდში თითქოს ბუბას ხმა მოესმოდა: „აუუ... ჰო-ჰო-ჰო!!" ცრემლი არ სჩვეოდა ხევსურის თვალს, მაგრამ ჯოყოლას გულში ამ საღამოს რაღაც ცრემლივით ფოფინებდა. შვილის დანაშაული თითქოს თავის თავზე გადმოჰქონდა მამას. მწვავედ გრძნობდა ოჯახში შექმნილ დანაკლისს. ორი წელიწადია ხორას წარბი არ უნახავს გახსნილი ჯოყოლას. მოხუცი სანათა მუნჯივით იჯდა ფეხმორთხმული და ჩერიის ბზრიალას აყოლებდა გულს, ცხვრები უნდა გაერეკა საძოვრებზე და ახლა ეგ აღონებდა მამას. იცოდა ბუბას ძლიერ უყვარდა მთების იალაღები.

იდგა ჯოყოლა ერდოზე დაფიქრებული და რაღაცას სწყვეტდა თავის გულში.

* * *

ჯოყოლა ჩავიდა თელავში, რაიკომში შევიდა დინჯი ხევსური, მორცხვად შედგა კარებში და მდაბლად დაუკრა თავი რაიკომის მდივანს. რაიკომის მდივანმა მაშინვე იცნო ბუბას მამა.

— უთუოდ შვილის სანახავად ჩამობრძანდებოდით მთიდან,—ღიმილით მიაგება სიტყვა მდივანმა.

ჯოყოლამ წარბები შეარხია, სახე ჩამოიწმინდა ზოლებიანი ფართო ცვირსახოცით და დინჯად თქვა: — რა ვქნა, ბატონო, მამა ვარ... მამა ხან შერისხავს შვილს და ხან შეიცოდებს. ასე ყოფილა, ბატონო, მშობლის გული.

— მართალი ბრძანდებით, ამხანაგო ჯოყოლა,—სიცილით თქვა რაიკომის მდივანმა,—მაგრამ ახლა რას ფიქრობ?

— რას იფიქრებს, ბატონო, მამა, მთის იალაღები უყვარს ბუბას და საზაფხულოდ წავიყვან-მეთქი, თუ თქვენი ნება იქნება.

— მერე?

— მერე ჩამოვიყვ ან, თქვენმა ლხენამ, რა ვქნა, ქოყანა გამოიცვალა... ამბობენ ქალასაც უნდაო სწავლაი. ახლა ცხვარი უნდა გავრეკოთ საძოვრებზე.

— ძალიან კარგად გიფიქრია, ნამდვილ მამას რომ შეფერის,—მოიწონა რაიკომის მდივანმა ჯოყოლას გადაწყვეტილება.

მეორე დილით სიხარულით ფრთაშესხმული მისდევდა ბუბა მამას შინისაკენ. თვალწინ ეხატებოდა მშობლიური საყვარელი ოჯახი, მთების მობიბინე იალაღები.

ვარდისფერი სახლი

დილის მზემ ვარდისფერ სახლს მიანათა.

მსუბუქმა ნიავმა ყვავილები შეაკრთო და მაღალი ცაცხვის ფოთლები ააშრიალა. მეორე სართულის ღია ფანჯრებს ცისფერი შუქი მოეფინა.

ლურჯი დილის სილამაზეში გამოეღვიძა ესმას, ლოგინზე წამოჯდა, თვალებში ხელი ამოისვა და მიმოიხედა. წუხელ ღამით მოიყვანეს აქ ეს გოგონა. ამ დილით ყველაფერს ინტერესით უცქეროდა. უმალ ფანჯარაში გაიხედა. თვალი წარსტაცა მშვენიერი აგარაკის მდებარეობამ. დაბლა სართულს ჩახედა. ჯერ არავის არ ეღვიძა. მხოლოდ ბორია კროტკოვი დადიოდა ყვავილებით სავსე ეზოში. ალბათ იმ დღეს ეს ბიჭი იყო მორიგე. მასზე უფრო დიდი „ბურკა“ ეჭირა ხელში ჯაჭვით, დასაბმელად მიჰყავდა. ძაღლი მორჩილად მიჰყვებოდა პატარა პატრონს.

ესმას ოთახში კიდევ სამი საწოლი იდგა ნიკელით მოპირკეთებული და ლამაზად დაუთოვებული თეთრეულით. ერთ ლოგინზე სიმა კრივლიაკოვა იწვა, ესმაზე უფრო დიდი გოგო—ქერა, ხუჭუჭთმიანი, მეორეზე—სედა, ჩამკვრივებული, ლოყაწითელი თექვსმეტი წლის ქალიშვილი, მესამეზე—შავყვითელა გოგონა, ესმაზე პატარა. ისიც-მგონი ამ დღეებში მოსულიყო აქ.

ნეტავ სადაურია?—გაიფიქრა ესმამ. შავყვითელა გოგონამ თავი წამოყო ლოგინიდან, ესმას დააკვირდა სახეზე და ჰკითხა:

— შენ წუხელ ღამე მოდი? დიდხანს დარჩები ჩვენთან?

სიმა კრივლიაკოვამ ლაღად გაიზმორა და ღიმილით გადმოხედა უმცროსებს:

— შენ, აზერბაიჯანელო თაგვო, რად იღვიძებ ასე ადრე?

— მე თაგვი არა ვარ, მე ხალა ვარ,—თქვა პატარამ სიცილით და ესმას შეხედა, თითქოს ეუბნებოდა:

— ჰა, გაიგე, მე ხალა მქვია. შენ, შენ, რა გქვია სახელი!

— ესმა,—ჩუმად წაიჩურჩულა ახლადმოსულმა.

სედა ზანტად გადაბრუნდა ლოგინზე და ისევ ჩარგო თავი ბალიშში. ათი წელიწადი ამ ბალიშზე და ამ ლოგინზე ეძინა სედას. დღეს სამუდამოდ უნდა მიეტოვებინა ბავშვობის თბილი ლოგინი.

სიმა კრივლიაკოვამ ისევ ღიმილით გაუმეორა შავყვითელა გოგონას:

— ხალა, თუ ასე იხმაურებ ყოველდღე დილაადრიან, იცოდე ჩვენი ოთახიდან გაგაძევებ.

ხალა აკისკისდა. მხიარულმა გოგონამ ღია ფანჯარას მიაშვირა ხელი და წამოიძახა:

— მერცხლებმა დიდი ხანია გაიღვიძეს. ბორია კროტკოვმა დიდი „ბურკა“ დაობა, ანძაზე დროშა ასწია, აი, გაიხედეთ, დირექტორი მანქანაში ჯდება, ალბათ ქალაქში მიდის.

ბავშვები ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ.

ესმას ეჩქარებოდა იმ გოგონების გაცნობა, რომლებიც მეორე ოთახში იწვნენ. პატარა ხალამ ჩამოუთვალა იმათი გვარები, არც ერთი ქართველი არ აღმოჩნდა. დაღონდა ესმა, ფანჯარას აეტუზა და გარეთ დაიწყო ცქერა.

ვარდისფერი სახლის ირგვლივ დიდი ბაღია, ერთ მხარეს ჩახრამული. იქ, ანძის წინ ხაზია გავლებული. ის ბავშვების დასათვალიერებელი ადგილია. ზაფხულია, დასვენების თვეა, ბავშვები მხოლოდ საღამოობით იკრიბებიან ხაზზე. ხაზს იქით ფართო მინდორი სასპორტოდ არის განკუთვნილი. დიდრონ ბოძებზე რგოლები და საქანელები ჰკიდია. ცოტა იქით თოკებია გამართული, ბადეებია გაქიმული. კიდევ ზევით ფეხბურთის სათამაშო ფართობია. ეს ყველაფერი ახალ განწყობილებისათვის იწვევდა ესმას.

ახლა ესმამ მეორე ფანჯრიდან გადაიხედა. მწვანით მოხავერდებული ეზოა, მაღალი ხეებით, ქუჩის პირამდე გაწეული. ჩახრამულთან სამი პატარა ცხვარი სძოვდა ბალახს, ცხვრები კრივლიაკოვას და კროტკოვის თხოვნით მოიყვანა დირექტორმა. თივის ზვინებთან გრძელი თოკით წაბლა იყო მიბმული, მას რძით სავსე ცურები ჩამოსტიროდა. ჩქარა მწველავი უნდა მოსულიყო. ხალა ცხელ რძეს ელოდებოდა საუზმეზე. სიმამ ლოგინი გაასწორა და ცხვრებთან გაიქცა. ცხვრების მოვლა სიმამ იკისრა, ძროხის—ბორიამ. გოგონამ ხელი გადაუსვა ცხვრებს, მატყლი მოსინჯა. „ხვალ გავკრეჭ ჩემს ბატკნებს,— გაიფიქრა სიმამ,—მათი გაკრეჭის დრო დადგა. მატყლით ძაფს დავართავ, ხალას პატარა ფეხზე თბილ წინდებს ჩავაცმევ ზამთარში. ერთ წყვილს კროტკოვს მოვუქსოვ, ჩემთვისაც... სწავლის დაწყებამდე მოვასწრებ წინდების მოქსოვას. მოვასწრებ...“

სიმა ახლა კროტკოვთან გაიქცა. წაბლას კისერზე მოეხვია და ნაზად წარმოთქვა რუსი სოფლელი ქალების საყვარელი ლექსი: „მუუ... კორეუშკა მაია...“ სიმა კრივლიაკოვას და კროტკოვს გადაწყვეტილი აქვთ საბოლოოდ სოფელში დარჩნენ, კოლექტივში შევიდნენ და მეურნეობას მოჰკიდონ ხელი. „ბოსტანი, ყანა, ტყე და ყვავილნარი... თბილი მიწა და ლურჯი ცა“... მათი

აზრით უკეთესი ცხოვრება არსად არ მოიპოვება სოფლის გარეშე.

წელს კურსდამთავრებულები საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელში აპირებდნენ შესვლას. მხოლოდ სედა უნდა გაეგზავნათ კონსერვატორიაში. ამიტომ წავიდა ამ დილით დირექტორი ქალაქში. პიონერრაზმეულის ხელმძღვანელი ფედია კოვალენკო გუშინ გაგზავნეს მეზღვაურების სკოლაში.

როცა სიმა და ბორია ბაღში ძროხასთან და ცხვრებთან ტრიალებდნენ, ესმა ისევ ფანჯარასთან იდგა, ხალა ბაღში დაცქრიალებდა, სარწყავი ეპირა ხელში და ყვავილებს წყალს აპკურებდა.

სედამ ლოგინი გაასწორა და ესმას მიუბრუნდა:

— რად დაღონებულხარ, დაიკო, მშობლები არა გყავს? უპატრონო ხარ? არა, უპატრონო არა ხარ! ჩვენ ყველაზე კარგი პატრონი გვყავს. ჩვენ მთავრობა გვზრდის. რა გაღონებს? ჩვენ ყველანი დები და ძმები ვართ... რამდენი სიხარულია ჩვენს სახლში... ამ დღეებში ექსკურსიაზე მიემგზავრებიან ბავშვები. იქნები ჭკვიანი და კარგი, ყველგან გზა ფართო გექნება... მე კონსერვატორიაში მგზავნიან. ჩვენზე კარგი პატრონი არავის არ ჰყავს... ეს წინდები რატომ ჩაგიცვამს. ფეხზე ტყაპუჭები გეყოფა. ზაფხულია. სარაფანი არა გაქვს? ჩქარა შეგიკერავენ. რა თეთრი და უსუსური წვივები გაქვს, ჩქარა გაჯანსაღდები და ასეთი-წვივები გექნება შენც...(სედამ მზით გარუჯული სპილენძისფერი წვივები მიუშვირა ესმას)—აგარაკის მზემ სიშავე იცის, აგარაკის თოვლმა სიჯანსაღე. ამიტომ ააშენეს ჩვენი სახლი აგარაკზე, რომ სუფთა ჰაერზე გავიზარდოთ, ჯანმრთელები გავხდეთ. ეს ყველაფერი მთავრობამ გააკეთა ჩვენთვის. ჩვენ მთავრობა გვზრდის.

სედამ სიმღერა დაიწყო. ესმა უცებ გამხიარულდა. გოგონები მხიარულად ჩაცქრიალდნენ კიბეზე. ბორია კროტკოვმა საყვირი გაახმიანა და ბავშვები ერიამულით მოგროვდნენ სასაუზმე დარბაზში. მარტო ხალა დადიოდა ისევ ყვავილებში სარწყავით. როცა სუფრაზე თბილი შეეპამანდი შემოიტანეს, ეზოდან საშინელი წივილი მოისმა. ბავშვები ჩქარა წამოხტნენ სუფრიდან და გავარდნენ კარში. ეს ხალა წიოდა. ყვავილებიდან ბზიკი წამოფრინდა და სველი შხეფებით გაბრაზებული ლოყაზე მივარდა ხალას. მწვავეა ბზიკის ნაკბენი. ხალა ხელს ისვამდა გაწითლებულ ლოყაზე და ცრემლები ჩამოსდიოდა. სედამ ხელი მოხვია ბავშვს და საექიმო ოთახში წაიყვანა. აგერ ექიმიც მოიჩქაროდა, ესმაც თან მისდევდა ხალას, სუფთა ცხვირსახოცით ცრემლებს უწმენდდა, ეფერებოდა.

სიმა კრიველიაკოვამ უკმაყოფილოდ წაილაპარაკა:

— მაგ ცინდალს დისციპლინა არ ესმის. დროზე რომ მოსულიყო საუზმეზე, ეგ არ დაემართებოდა. დისციპლინა არ არსებობს ამ თაგვისათვის.

ბავშვები ისევ მოუსხდნენ სუფრას.

როცა ესმა და ხალა დამშვიდებული თავიანთ კერძს შეექცეოდნენ, სედამ ნივთები ჩაალაგა ჩემოდანში. მანქანა ეზოში იდგა. დირექტორი კაბინეტ-

ში რაღაცას აკეთებდა. სედა ბედნიერების გზაზე მიეშურებოდა. ბრწყინვალე მომავალი მოელოდა მომღერალ ქალიშვილს, მაგრამ... სედას ჩუმი ცრემლები უსველებდა გრძელსა და ხშირ წამწამებს. ვარდისფერი სახლის ირგვლივ ყველაფერი თბილი და ბზობლიური სახით ეხატებოდა. ახლა საბოლოოდ ტოვებდა თბილი კუთხის მშობლიურ კალთას. შორს გზაზე მიეშურებოდა. მოსკოვში მზად იყო მისთვის სტუდენტების საერთო საცხოვრებელში ბინა. კონსერვატორიის კარი ღია იყო მისთვის, დირექტორს უკვე მოეგვარებინა ყველაფერი. „იყავი კარგი და ყოველი მხრიდან მზე გაგიცინებს ჩვენს ქვეყანაში.“ მზე უცინოდა სედას. გული კი ეკუმშებოდა. მისი ტოლი ბავშვები ქალაქში მიემგზავრებოდნენ სწავლისათვის და საშუშაოდ. უმცროსები აქ რჩებოდნენ. ყველაზე პატარა ხალა იყო, რომელსაც დასავით უვლიდა სედა, „ჩემს დედოფალას“ ეძახდა, ებრალებოდა. სიმა კრივლიაკოვა ხშირად უწყრებოდა ხალას. სედა ყოველთვის მფარველის კალთას აფარებდა მართლაც თაგვისოდენა გოგოს. სედას ცრემლები ჩამოუგორდა სახეზე. ამ დროს ესმა შემოვიდა ოთახში.

— ესმა,—ტკბილი ხმით მიმართა სედამ შემოსულს,—დღეიდან ხალას შენ გაბარებ. არავინ დაუშაოს რაიმე. შენ უფროსი ხარ, უფროსმა უმცროსს უნდა მოუაროს. ხალას ჩახრამულებში უყვარს ხეტიალი, შეხედე, არ გადაიჩეხოს. იყავი კარგი. ნუ გეშინია, უპატრონო არა ხარ!

ესმამ თავი ჩაღუნა. ხმაღალა ტირილი მოუნდა. დილიდანვე სედა იქცევდა მის გულისყურს და... ახლა ის უკვე მიდიოდა ვარდისფერი სახლიდან... ის არასოდეს აღარ დაბრუნდებოდა აქ.

საუზმის შემდეგ ბორია კროტკოვმა ისევ გაახმიანა საყვირი. ბავშვები ხაზზე დადგნენ. ესმა და ხალა ანძის გასწვრივ გაჩერდნენ. დროშის იქით ჯგუფად იდგნენ მასწავლებლები და აღმზრდელები. ეს შეკრება წამსვლელი ამხანაგების პატივსაცემად იყო მოწვეული.

დირექტორმა გამოსამშვიდობებელი სიტყვა უთხრა ახალგაზრდებს. თორმეტამდე ახალგაზრდა სათითაოდ კოცნიდა აღმზრდელებს და უმცროს ამხანაგებს. ეთხოვებოდნენ ვარდისფერ სახლს. სედამ უკანასკნელად ჭაღარა მასწავლებელი ქალი გადაკოცნა. ახლა კი ვეღარ დამალა სედამ ცრემლი. იწმენდდა თვალებს, მაგრამ მაინც მოგორავდა წამწამებზე ცრემლები. ხალა ესმას მიჰკვროდა და ხმამაღლა ტიროდა.

— სედა, გვიმღერე გამგზავრების წინ!—ღიმილით მიმართა დირექტორმა სედას. სედამ თვალები მოიწმინდა და გაისმა მომღერალი ქალიშვილის წკრიალა ხმა... სედა ნელ-ნელა დაშორდა ვარდისფერ სახლს...

კიდევ რამდენ უპატრონო ბავშვს აღზრდის ვარდისფერი სახლი და ადამიანის უფლებით შემოსილი ახალგაზრდები მადლობით შეუდგებიან ახალ ცხოვრებას.

სიხარული დაუბრუნდა

რუსუდანი მხიარულად გამოვიდა სკოლიდან, ფართო ქუჩა გამოიარა, მშვიდად ჩაისუნთქა საღამოს მსუბუქი ჰაერი და ტროლეიბუსში ჩაჯდა. ბოლო გაჩერებაზე რომ ჩამოვიდა, სიამოვნებით მოავლო თვალი მოედანს. ახლადმორწყული მოედანი ელექტრონის .შუქზე მუქი ატლასივით ელავდა. ირგვლივ გაშუქებული ვიტრინები ბრჭყვიალებდა. რუსუდანს თვალი მოსტაცა მშვენიერმა თვალხუჭუნა დედოფალამ, რომელსაც იასამნისფერი კაბა ეცვა. მაღაზია ღია რომ ყოფილიყო, შეიძლება კიდევაც ეყიდა, მაგრამ ვისთვის! უცბად გული შეეკუმშა: საყვარელი შვილი მერცხალა მოაგონდა. „ეხ, ვისთვის მინდა დედოფალა...“ ხელი ჩაიქნია რუსუდანმა და ვიტრინას მოშორდა.

ხალხი მუსაიფით და სიცილით მოსეირნობდა. ვის არ დაატკბობს თბილი გაზაფხულის საღამო. რამდენი ნაზი გრძნობა შეიძლება აღმოცენდეს და გაიფურჩქნოს ადამიანის გულში ამ დროს! რუსუდანი ფიქრებში გართული გაჰყვა ერთ-ერთ ქუჩას, მოსწავლეების მშობლებმა დღეს მადლობა გადაუხადეს, როგორც კარგ აღმზრდელს. რა დიდი სიხარული განიცადა დღეს მისმა ზზრუნველმა და მოსიყვარულე გულმა. სკოლა და მოსწავლეები, ეს რუსუდანის ცხოვრების შინაარსია.

მიდის რუსუდანი, ირგვლივ აკაციები შრიალებენ. მოედანი, ვიტრინები, ლამაზი დედოფალა და მოსეირნე ხალხი შორს მოიტოვა მან; მთვარემ თვალებში მიანათა. დაიღალა, შედგა, მიმოიხედა, ფიქრებში გართულს ვერ შეემჩნია, თუ როგორ გასცილებოდა რამდენიმე ნაბიჯით თავის ბინას. შემობრუნდა, მიუახლოვდა ეზოს და სწრაფად აირბინა კიბე. ოთახში შეეიდა. შუქი აანთო, თვალი მოავლო ყველაფერს. ჩვეულებრივი დუმილი სუფევდა. ქუდი მოიხადა და კარგა ხანს იდგა კარადის წინ უაზროდ. ნელ-ნელა დაშორდა დღევანდელ ფიქრებს. ფართო მოედანი და მთვარიანი ღამის ლამაზი ოცნებები თვალს მოეფარა. ლოგინზე მიწვა. სასთუმალთან დაკიდებულ სურათს დააცქერდა.

„შენ გენაცვალოს დედა, ჩემო გოგონა!“—წაიჩურჩულა და ფერმკრთალ ღაწვებზე ცრემლები გადმოუგორდა. მაშინ სხვა იყო რუსუდანის ოთახი, როცა მერცხალა ცოცხალი ჰყავდა, უსაზღვრო ბედნიერება და სიხარული სუფევდა აქ. კედლებიც მხიარულობდნენ. მაგრამ უდროოდ დაიხუჭა მისი თვალები და რუსუდანის ოთახიც დადუმდა:—„ორი წელი სრულდება უკვე, ნეტავ სულ არ იყოს საჭირო ამ ოთახში შემოსვლა...“

ისევ ოთახის გარეთ გაიწია რუსუდანის გულმა. ისევ ქალაქგარეთ გაიფრინა ფიქრებმა, ისევ შემოესმა ასობით წკრიალა ხმა.

რუსუდანს უყვარს სიცოცხლე, შრომა, ცხოვრება, საზოგადოებრივი საქმიანობა. მაგრამ როცა სახლში ბრუნდება, გული სევდით ევსება, ყველაფერი დაღვრემილი ეჩვენება. ორი წელიწადია პიანინოს კლავიშებს მერცხალას თითები არ შეხებია, ორი წელიწადია მერცხალას მამის, ლევანის საყვარელი ადრაკი არავის გაუხსნია. ან კი ვის რად უნდა?! პატრონი ჯარში დაეღუპა. მერცხალა კი, პატარა მერცხალა აღარ თამაშობს ფიგურებით, აღარ ჩხუბობს, აღარ კისკისებს. ახლა ჭადრაკი დადუმებული დევს მაგიდაზე, დილით დეიდა სიდო თუ გადასწმენდს მტვერს, მიალაგებს ოთახს და გავა.

რუსუდანის მეუღლე—ლევანი ომში დაიღუპა. ლევანისაგან უკანასკნელი წერილი მიიღო რუსუდანმა შორეულ საავადმყოფოდან, სადაც რამდენიმე სიტყვა ეწერა: „დავიქერი... საავადმყოფოში ვწევარ... გული არ გაიტეხოთ... მერცხალა არ მომიწყინოთ. შენი ლევ...“—აქ სიტყვა აღარ იყო დამთავრებული. „ალბათ კალმისტარი გაუვარდა ხელიდან“,—გაიფიქრა რუსუდანმა. ახლა ლევანის სურათს დახედა ლოგინის წინ მაგიდაზე დადგმულს. წამოდგა რუსუდანი, შეეცადა ფიქრები გადაეყარა გულიდან, ფანჯარა გამოაღო. ისევ ნათელი მთვარე, ისევ ფოთლების შარიშური. აკაციის ყვავილების ნაზი სუნი. ქუჩაზე ხალხი ხმაურობს, რადიო მღერის... იქით, რუსუდანის ოთახის იქით ყველაფერს „სიცოცხლე“ ჰქვია. რუსუდანს რაღაცა მოაგონდა. შუშაბანდში გამოვიდა. ფანჯრიდან გადაიხედა. ეს ხომ თათიას ოთახია, მასაც ფანჯარა გამოუღია, უკვე შუაღამეა, მაგრამ თათია მაინც ზის და კერავს. ნანას კი სძინავს, თეთრ ბალიშზე უდევს თავი. შავი ხუჭუჭა თმები შუბლზე დაჰფენია. ბავშვი დახატულსა ჰგავს. ტუჩებს მოკუმავს, თითქოს ვიღაცას ებუტებაო: ნანა მართლაც ლამაზი ბავშვია. შავი, ცქრიალა თვალები და გრძელი წამწამები აქვს ნანას. თათია საბანს უსწორებს, დასცქერის, ჩუმად კოცნის, კიდევ უნდა აკოცოს, „გამოულეველია სიყვარული დედის გულში“,—გაიფიქრა რუსუდანმა.

ერთი წლისა და ორი თვისა არის ნანა. თათიამ იგი საბავშვო ბაღაში მიიყვანა, თვითონ კი სამკერვალოში მოეწყო. როცა რუსუდანი თათიას კარებთან ჩაივლის, ბავშვს ეფერება და ტკბილეულს აძლევს. ნანა მადლობის ნიშნად თავს აქნევს. თუ ცარიელი ხელით მოეფერა, იმწამსვე „კაკას“ სთხოვს. „კაკა“, ეღურტულებს იგი. ამიტომაც ყოველთვის აქვს რუსუდანს ჩანთაში

ტკბილეული. ამგვარმა ფიქრებმა დაღალა რუსუდანი და მოქანცულს ღრმად ჩაეძინა.

დილით ადრე გამოეღვიძა რუსუდანს, ფანჯარა გამოაღო და აღმოსავლეთს გახედა. ქალაქს ვარდისფერი შუქი გადაჰკვროდა, ცა ფირუზისფრად გაბრწყინებულიყო. „სადაცაა მზეც ამოვა. რა ლამაზია, რა წარმტაცია ყველაფერი. დიდება შენ, მშვენიერო ბუნებავ“,—წარმოთქვა რუსუდანმა.

საყვირის გუგუნი გაისმა.

„შენ რაღას უცდი, რუსუდან, რას იზმორები? სული ხომ არ ჩაგქროობია?“—შესძახა თავის თავს რუსუდანმა, სწრაფად ჩაიცვა, ისაუზმა, ჩქარი ნაბიჯით ჩაირბინა დალმართი. ისევ ფართო და სწორი მოედანი გაიშალა მის თვალწინ, მაგრამ ახლა რუსუდანს არ ეცალა სილამაზის საცქერად. სირბილით მიასწრო ტროლეიბუსს. მიქრის სკოლისაკენ.

რუსუდანის კლასის რამდენიმე მოსწავლე უკვე მოსულიყო. მოუთმენლად იცქირებოდნენ ქუჩისაკენ. მასწავლებელი დაინახეს თუ არა, გამოეგებნენ. რუსუდანმა ყველას ალერსით გაუცინა.

— აა, ეთერი, უკვე ადექი?—თავზე ხელი გადაუსვა ერთ ფერმკრთალ მოსწავლეს, რომელიც რამდენიმე დღეა სკოლაში არ დადიოდა ავადმყოფობის გამო.

რუსუდანი გეოგრაფიის მასწავლებელია და მეექვსე კლასის დამრიგებელი.

მასწავლებელმა და მოსწავლეებმა გრძელი დერეფანი გაიარეს; რუსუდანი გეოგრაფიის კაბინეტში შევიდა, ეს ოთახი საინტერესოდ აქვს რუსუდანს მოწყობილი. მარჯვენა კედელზე გაკრულია რუკები. იგი ისეა განლაგებული, რომ ყველა კლასის მოსწავლეს შეუძლია ადვილად ნახოს ის, რაც მას აინტერესებს. მარცხნივ—გამოფენილია ბავშვების ნამუშევრები გეოგრაფიაში, ნახატები, ნახაზები. იქვე დგას წითელმატერიაგადაფარებული მაგიდა, მაგიდაზე წიგნები აწყვია. ეს წიგნები გამოჩენილი მოგზაურების თავგადასავალს მოგვითხრობენ.

რუსუდანი თავის მაგიდასთან დაჯდა, გარშემო მოსწავლეები შემოისხა. ესენი ჩამორჩენილები არიან და დახმარება ესაჭიროებათ. იგი ხან ერთს ჰკითხავდა, ხან მეორეს. თუ პასუხს ვერ მიიღებდა კითხვებზე, კვლავ უხსნიდა და შემდეგ კი ნათქვამს ამეორებინებდა.

* * *

სკოლაში საგაზაფხულო არდადეგები დაიწყო.

შაბათი დღე იყო, მარტის მზე საამოდ ათბობდა თბილისს. რუსუდანი სკოლის ეზოში გავიდა. აქ თავი მოეყარათ მოსწავლეებს, თან აუარებელი ნერგები მოეტანათ: კვიპაროსები, დაფნები, ვარდები, იასამნები და ნაირნაირი

ყვავილები. ხვალ კვირაა, მოსწავლეები რუსთაველში წასასვლელად ემზადებოდნენ.

მოსწავლეები ნერგებს დასტრიალებენ, ასწორებენ, რომ არც ერთი შტო არ დაზიანდეს. აგერ სკოლის დირექტორიც დინჯი ღიმილით ჩაერია საუბარში. მოიწონა მოსწავლე გოგონების მშვენიერი განხრახვა რუსთაველის გამწვანებაში მონაწილეობის მიღების შესახებ.

— მაგრამ იცოდეთ, ბავშვებო, რაკი საქმე დაიწყეთ, სასახელოდ უნდა შეასრულოთ,— ღიმილით თქვა მან.

— დიახ! პატივცემულო დირექტორო, ვეცდებით, რომ ჩვენი სიტყვა და საქმე ერთი იყოს.

სკოლის კარებთან მანქანა გაჩერდა. მებაღე თომამ ყვავილებით სავსე თაბახები მოიტანა. თაბახებზე თავისივე მიწით ეწყო ლურჯთვალა იასამფერა, ეს ყვავილი გაზაფხულს პეპელასავით მოსდევს, დასხდებიან ჯგუფ-ჯგუფად კვლებში იასამფერები, აციმციმებენ მომხიბლავ თვალებს და ამშვენებენ რუსთაველის გამზირს... ბავშვები ხმაურობდნენ, რუსთაველში წასასვლელად ემზადებოდნენ.

რუსუდანი იმ დღეს გვიან დაბრუნდა სახლში, თათიას ოთახის კარებთან შედგა, უნდოდა „კაკა“ მიეცა ნანასათვის. კარი დაკეტილი იყო. ფანჯარაში შეიხედა, ოთახში ყველაფერი უწესრიგოდ იყო მიყრილ-მოყრილი. „რა დაემართა თათიას?“— გაიფიქრა რუსუდანმა. მაღლა სართულში ავიდა, შუშაბანდში დეიდა სიდო შემოხვდა ბავშვით. ნანა ეჭირა ხელში.

— სად წავიდა თათია?— იკითხა რუსუდანმა,— ბავშვი ხელში აიყვანა, აკოცა და „კაკა“ მისცა.

— გულის დამბლა მოუვიდა, საავადმყოფოში წაიყვანეს.

რუსუდანი ძლიერ შეწუხდა.

— ამ ბავშვს რა ეშველება?— გულისტკივილით თქვა სიდომ.

რუსუდანი დაფიქრდა, სიდო უკვე მოხუცია, თვითონ მოსავლელია, „მუხლები აღარ მომდევსო“, ჩიეის ხოლმე. და აბა ბავშვს როგორ მოუვლის? თათიას რომ რამე დაემართოს, რა ეშველება ნანას, მაგრამ ახლა ამის დრო არ იყო.

რუსუდანმა ბავშვი ოთახში შეიყვანა. სასწრაფოდ დატრიალდა.

ნანასთვის საპმლის მომზადება დაიწყო. ბავშვი ხალიჩაზე დასვა და ჭადრაკი გაუშალა, ბავშვმა ქვები აარაჩხუნა, ხან ერთმანეთზე აწყობდა, ხან აქეთ-იქით ისროდა. ახმაურდა ოთახი.

დეიდა სიდო შემოვიდა.

— შენ ბავშვი ათამაშე, საპმელს მე მოვამზადებ,— უთხრა რუსუდანს.

რუსუდანმა პიანინო ახადა, ნანას თითები დაადებინა კლავიშებზე. ნანა გაოცებული ისმენდა პიანინოს ხმას. რუსუდანს დიდი ბურთიც გაახსენდა, სკამზე შედგა, კარადიდან ჩამოიღო. მტვერი გადასწმინდა. ორი წელიწადია-

ამ ბურთისათვის ხელი არ უხლია, მაგრამ ახლა მხიარულად გამოაგორა ნანას წინ. ნანამ ბურთი დაინახა, ჭადრაკის ქვებს თავი გაანება, ძლივძლიობით წამოდგა და ბურთს ბაჯბაჯით აედევნა, თან კისკისებდა, ეტყობოდა ძლიერ მოსწონდა ბურთი. რუსუდანი უკან მისდევდა ბავშვს, ეშინოდა არ წაქცეულიყო. ბურთი საწერი მაგიდის ქვეშ შეგორდა და თვალს მოეფარა, ნანა შედგა, აქეთ-იქით მიიხედა; ხელები ლამაზად გადაატრიალ-გადმოატრიალა და „ფაფუ"—თქვა. რუსუდანმა სიყვარულით აიყვანა ბავშვი ხელში, მაღლა შეისროლა, ნანა უფრო აკისკისდა. რუსუდანი თავის თავს არაფერს აღარ ჰკითხავდა, ისე აკეთებდა ყველაფერს, რაც ბავშვს სიამოვნებდა. ის გრძნობდა. რომ ამ წუთში უმწეო ბავშვი ეჭირა ხელში, უმანკო არსება...

— ნანა, ჭუპაჭუპა გინდა?—ნანას ძლიერ უყვარდა თბილ წყალში ბანაობა. ნანამ დასტურის ნიშნად თავი დაიქნია. ჩასვეს იგი ტაშტში. ნანა ბანაობის დროს ხელებსა და ფეხებს აპყაპუნებდა, სულ მოწუწა ოთახი.

„ახლა ფაფა უნდა ნანას და მერე კი ნანა",—ეტიკეტიკებოდა რუსუდანი ბავშვს. ნანა დეიდა სიდოს შემოტანილ ფაფას მადიანად შეექცა და მალე დაიძინა, რადგან მთელი დღის დაღლილი იყო.

რუსუდანმა მოქანცულობა იგრძნო. ბავშვი თავის ლოგინში ჩააწვინა ნაშუალამევს გამოეღვიძა რუსუდანს, ბავშვს დახედა. „რა ტკბილად სუნთქავს, რა უმანკო სახე აქვს..." ბავშვი გულზე მიიკრა. ნანას ხშირი ბავშვური სუნთქვა ჰქონდა. საოცარი სითბო და სიამე იგრძნო.

გათენდა კვირა დილა. მზემ შემოიხედა ფანჯარაში, დეიდა სიდო უკვე ამდგარიყო, ფანჯარა გაეღო, ნიავმა რუსუდანს თმები შეურხია. რუსუდანმა თვალები მოიფშვნიტა. ნანას დახედა და სწრაფად წამოხტა ლოგინიდან. ბავშვს ისევ ეძინა. უდარდელად და უზრუნველი სახით იღიმებოდა ძილში.

— დეიდა სიდო, ხვალ-ზეგ ალბათ თათია გამოვა, როგორმე მოვუაროთ ბავშვს, მე რუსთავში მივდივარ, ნერგები მიგვაქვს დასარგველად და დღესვე დავბრუნდები,—ამ სიტყვებით გამოვიდა რუსუდანი სახლიდან.

სკოლის ეზოში ნერგებით დატვირთული მანქანა მზად იყო წასასვლელად. მებაღე თომაც მოსულიყო ბავშვების დასახმარებლად. მასწავლებელს ელოდებოდნენ და აი, რუსუდანიც მოვიდა, ბავშვებს მიესალმა.

დაიძრნენ მანქანები რუსთავისაკენ. მანქანებს გვერდზე ეკრა წითელი ნაჭერი წარწერით: „სალამი მეტალურგიულ ქალაქს!"

საღამომდის დარჩნენ რუსთავში. რუსუდანი ღელავდა. სულ ბავშვზე და დეიდა სიდოზე ფიქრობდა. მზე ჩასულიყო, როცა რუსუდანი რუსთავიდან დაბრუნდა, სახლისაკენ გაეჩქარა. „დავიგვიანე, ვინ იცის, როგორ არის თათია, ან სიდომ როგორ მოუარა ბავშვს",—ფიქრობდა რუსუდანი. მაღაზიების წინ გაიარა, თვალს ისევ მშვენიერი დედოფალა მოხვდა, მაღაზია ღია იყო. აღარ დაფიქრებულა, შევიდა და ნოქარს თვალხუჭია დედოფალა გადმოაღე-

ბინა. ამას წითელი ფაჩუჩები, წითელი წინდები, კაბა და ლენტი დაუმატა და სიხარულით გაემართა სახლისაკენ.

მიიჩქაროდა რუსუდანი სახლისკენ და ფიქრობდა: „რამდენი რამე შეუკერავს თათიას ჩემთვის. ერთხელ მის გულსაც გავახარებ, ყაყაჩოსფრად გამოვაწყობ ნანას, ძლიერ მოუხდება“. კეთილი ფიქრით აირბინა კიბე რუსუდანმა. შუშაბანდიდან კარი რომ შეაღო, სახტად დარჩა. ყველგან დუმილი სუფევდა, ოთახში შეავიდა, დეიდა სიდოს პიანინოზე შალითა გადაეფარებინა, ბურთი ისევ კარადაზე შეეგდო, ჭადრაკი ჩაელაგებინა და კარი გამოეხურა. რუსუდანი შუშაბანდში გავიდა, იქიდან კი სიდოს ოთახში. სიდო ტახტზე წამოწოლილიყო და ჩასძინებოდა.

— დეიდა სიდო, დეიდა სიდო!—ჩასძახა რუსუდანმა მიძინებულ ქალს.

დეიდა სიდო შეკრთა და თვალები გაახილა. რუსუდანი რომ დაინახა, გულდაწყვეტით უთხრა:—თათია მოკვდა, გაიგე?

რუსუდანი გაფითრდა. „საწყალი თათია!..“—წამოიძახა და ისევ ჩაეკითხა:

— მერე ბავშვი რა უყავი?

— რა მექნა, შვილო, ნათესავებმა ბავშვი უდედმამო ბავშვთა სახლში წაიყვანეს, იქ ჩვენზე კარგად მოუვლიანო.

რუსუდანს ეწყინა. თითქოს რაღაც ძვირფასი მოგლიჯეს გულიდანო. ერთ წუთს დაფიქრდა, შემდეგ კი მიბრუნდა კარებისაკენ და ქუჩაში გავიდა. პირველ შეხვედრილ მანქანაში ჩაჯდა. ღელავდა რუსუდანი. ნაყიდი ნივთები ხელში ეჭირა. „დავუტოვებ... თუ არ მომცეს ბავშვი... ამას მაინც დავუტოვებ... მისთვის ვიყიდე...“—ნაწყვეტ-ნაწყვეტად ბუტბუტებდა რუსუდანი. როდესაც საბავშვო სახლის ეზოში შეავიდა, შორიდან დაინახა ხეხილის ქვეშ გაფენილ ხალიჩაზე დამსხდარი ბავშვები, ნაირნაირი სათამაშოები ეწყოთ წინ. ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ, ამიტომ რუსუდანმა ნანა ვერ გაარჩია.

მზე ჩასული იყო. სასიამოვნო საღამო იდგა ვაკის მიდამოებში. რუსუდანი შედგა, „იქნებ აქ ჯობდეს ნანასათვის?“—გაუელვა ფიქრმა. ყველაფერი ლამაზი ეჩვენა—ეზო, სახლი, ბავშვები... მაგრამ გული მაინც თავისას მოიითხოვდა: „არა, ის ჩემია, რაკი თათია აღარ არის, მე უნდა ვუპატრონო,“—გადაწყვიტა და თამამად შეავიდა დირექტორის კაბინეტში. აღელვება ემჩნეოდა: „ვაითუ აქ არ არის“, ფიქრობდა, გული უთრთოდა.

— პატივცემულო დირექტორო,—მიმართა რუსუდანმა,—დღეს თქვენთან ბავშვი მოიყვანეს, ნანა ჰქვია სახელად, წლისა და ორი თვისა არის, მეზობლის ბავშვია, დაობლდა. არც დედა ჰყავს და არც მამა. მიყვარს... მებრალება...—ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა რუსუდანი,—მე მინდა ის ბავშვი ვიშვილო.

— თქვენ ვინა ბრძანდებით?—ჰკითხა დირექტორმა. რუსუდანმა პასპორტი ამოიღო ჩანთიდან.

— მე მასწავლებელი ვარ.

დირექტორი დაფიქრდა და მერე უცებ მიუბრუნდა ექიმს,—რაკი ასეა, წაიყვანეთ ბავშვთან, გაუფორმეთ.—რუსუდანს კი გადაჭრით უთხრა,—დღეიდან თქვენ იქნებით იმ ბავშვზე პასუხისმგებელი, თქვენ იცით.

ექიმმა ქალმა ხელი მოჰკიდა რუსუდანს და ბავშვთან წაიყვანა. ნანა იჯდა ხალიჩის ერთ კუთხეში და თამაშობდა.

— ნანა, ნანუკა!—დაუძახა რუსუდანმა შორიდან. ნანამ თავი აიღო, რუსუდანის დანახვაზე თვალები გაუბრწყინდა, გაიცინა, წამოდგა და ბაჯბაჯით გაქანდა მისკენ.

— ნანა, ჩემო გოგო!..

რუსუდანმა ბავშვი აიყვანა და გულში ჩაიკრა. ბავშვმა ხელები შემოხვია კისერზე, ლოყა ლოყაზე მიადო და ისე მაგრად ჩაეკრა, რომ რუსუდანმა ცრემლები ვეღარ შეიკავა.

— ნუ გეშინია, აღარ დაგტოვებ, ნანუკა, ჩემო პატარა გოგონა, არ დაგტოვებ, არა; ჩემი შვილი ხარ!—ტიროდა რუსუდანი და ბავშვს გულში იკრავდა; დირექტორი და ექიმი იდგნენ და ვერ ახერხებდნენ სიტყვის თქმას. ამ სურათმა მათზედაც ძლიერ იმოქმედა.

მანქანა გაჩერდა რუსუდანის სახლის კარებთან. თათიას ოთახის კარი სევდიანად გამოიყურებოდა. „საწყალი თათია!..“ ჩაილაპარაკა რუსუდანმა და კიბეზე ხმაურით ავიდა. ხელში ბავშვი ეჭირა. ოთახის კარი რომ შეაღო, მოეჩვენა, თითქოს ლამაზ დედოფალასთან ერთად ოთახის კედლებიც იცინოდნენ. გაზაფხულის სიმწვანე და სიხარული ოთახშიაც შემოქრილიყო. ბამბის ქულებივით გათეთრებული იდგნენ აკაციები ფანჯრების იქით. რუსუდანმა ბავშვს წითელი ფაჩუჩები და წითელი კაბა ჩააცვა, თავზე წითელი ლენტი გაუკეთა. ნანა მართლაც ყაყაჩოს დაემსგავსა.

ახმაურდა რუსუდანის ოთახი, გაისმა პიანინოს ხმა, ჭადრაკის ფიგურების ჩხარაჩხური. ბურთი და ლამაზი დედოფალა განუწყვეტლივ იცვლიდნენ ადგილს, რუსუდანმა დიდ სარკესთან მიიყვანა ბავშვი. ნანა თავის ორეულს წაეპოტინა; კოცნა დაუპირა და გაუცინა. მერე ფანჯარაში გაახედა რუსუდანმა ბავშვი. ქუჩაში ბავშვები ხმაურობდნენ. საღღაც რადიო მხიარულ ვალსს გადმოსცემდა. რუსუდანმა ფეხი ააყოლა მუსიკას, ბავშვი დაატრიალა. ოთახში ნანას კისკისი გაისმა. ნანას ხმაზე მეზობლის ბავშვები მოგროვდნენ. რუსუდანმა ყველა ოთახში შეიპატიჟა.

სიცოცხლე და სიხარული დაუბრუნდა რუსუდანის მიყრუებულ ოთახს.

საბამშვო სახლში

სცეოდა პატარას. დეკემბრის ქარს გაეთოშა მისთვის გამხდარი და ჭუჭყიანი თითები.

კვნესოდა პატარა გოგონა, მაგრამ არავინ ეკითხებოდა, რა აწუხებდა მას,—თავმობეზრებული გამვლელები ხან პურს წაუტეხდნენ, ხან ფულს გადაუგდებდნენ. ზოგი სრულიად გულცივად აუვლიდა მას გვერდს.

პატარა გოგონა კი კვნესოდა, არც დედა აგონდებოდა, არც მამა. საიდან გაჩნდა ამ ქუჩაზე, რომ გეკითხათ, ვერაფერს გიპასუხებდათ. მის გულს სიამე არასოდეს მოჰკარებია, არც დედის ნანა სმენია.

როცა სამხედრო მუსიკის ხმას გაიგონებდა, ველურივით გაახელდა თვალებს. დარაზმული ჯარისკაცების მწყობრი ფეხის ბრახუნი, მათი ჩამწკრიალებული ხიშტიანი თოფების ცქერა კიდეც ახარებდა პატარას. მხოლოდ რისთვის იყო საჭირო იმდენი ხიშტიანი კაცი, ამისი არა გაეგებოდა რა. მისდევდა ჯარს უკან და მოქანცული მიეგდებოდა „ტრამვაის“ რომელიმე მოსახვევში.

— ქალბატონო, ღმერთი იყოს შენი შემწე... ქალბატონო! —ეს ორი სიტყვა, დასახიჩრებულ მათხოვრებისგან განაგონი, გაზეპირებული ჰქონდა გოგონას. ამ სიტყვებით მიმართა ერთ სალამოს ჩვეულებრივად რუსთაველის გამზირზე მოსეირნე დარბაისელ ქალს პაწია მათხოვარმა.

— ძალიან მომაბეზრებელი გახდნენ ეს მათხოვრები,—დინჯად წარმოთქვა თბილ მოსასხამში გამოხვეულმა ქალმა.

— უნდა მოგახსენოთ, ქალბატონო, მეც ძლიერ მძულს ეს მათხოვრები, არასოდეს მათთვის გროში არ ამომიღია ჯიბიდან,—მიუგო მასთან მიმავალმა კაცმა და ორივემ გულგრილად გაიარა.

მათხოვარი ისევ უყურადღებოდ დარჩა.

ღამის სუსხი ქუჩებს უფრო მძლავრად ეკიდებოდა.

ქარი სისინებდა.

საშინლად იტანჯებოდა პატარა მათხოვარა გოგონა. დარბაისელი ქალი ალარ ჩანდა ქუჩაზე. გამვლელებიც კანტიკუნტად მოჩანდნენ.

— ქალბატონო, ქალბატონო!..—გაყინული ბაგიდან ძლივს ისმოდა ჩურჩული.

აგერ მოულოდნელად შედგა ჩქარი ნაბიჯით მომავალი ჭაღარა ქალი და გოგონას დააცქერდა.

— სადაური ხარ?—ჰკითხა მან.

— არ ვიცი...—მოისმა დასუსტებული ხმა.

— წამოდი ჩემთან!... შენისთანა უპატრონო ბავშვებს დაველ ებ, წამოდი!—უთხრა ქალმა. დაავლო ხელი, ჩაისვა ეტლში და სადღაც გააქროლა.

* * *

განვლო ორმა წელმა. მაისის დღე იყო. განახლებული ცხოვრება ქუჩებს ახალისებდა. თავისუფალი ხალხის ხმა ბრწყინვალე დღის აღტაცებასთან ერთად დაქროდა და ყოველი ადამიანის გულს ესალმებოდა.

დღეს საბავშვო სახლში აღსაზრდელების ნამუშევრების გამოფენაა,—ამბობდა ხალხი და დასათვალიერებლად მიდიოდა. სტუმრები იწონებდნენ.

— ბავშვების დაწნულ კალათებს, ნაქსოვებს, ნახატებს და სხვა ხელსაქმეს

— მშვენიერი დახატულია „თაიგული ვაზაში"...— თქვა ერთმა სტუმარ-თაგანმა და მიუბრუნდა ჭაღარა ქალს. ჭაღარა ქალი საბავშვო სახლის გამგე იყო.

— მაჩვენეთ ის ბავშვი, ვინც ეს დახატა,—სთხოვა სტუმარმა. გამგემ მაშინვე მოიხმო პატარა ცქრიალა გოგონა.

— გაგიკვირდებათ, რომ იცოდეთ ამ ბავშვის ისტორია,—თქვა საბავშვო სახლის გამგემ,—ამ ორი წლის წინათ, როცა პირველად გახსნა საბჭოთა მთავრობამ უპატრონო ბავშვთა სახლი, ეს ბავშვი ქუჩის მათხოვარა იყო. ახლა ჩვენს სახლში ბედნიერად ცხოვრობს. ნიჭიერი მოსწავლეა.—სტუმარს სახეზე სიამოვნების ღიმილმა გადაუქროლა. ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— რომ გაიზრდები, ჩვენთან მოდი,—სამხატვრო აკადემიაში!

შორეულ სადგურზე

დილიდანვე სადგურში გროვდებოდნენ მსუბუქად დაქრილი ჯარისკაცები ზოგს ხელი ჰქონდა შეხვეული, ზოგს ფეხი, ზოგს თავ-ყური შეეფუთნა ბამბით და თეთრი მარლით შეეკრა მაგრად. მეტი ნაწილი იმ დღეს გამოწერილიყო მახლობელი ქალაქის ჰოსპიტლიდან.

ჩვენი დიდი ქვეყნის ყოველი კუთხის შვილნი შემოკრებილიყვნენ ამ პატარა შორეულ სადგურში. სკამლოგინი აღარ ჰყოფნიდათ, ფეხზე იდგნენ.

შემოდგომა მიწურულიყო. საშინელი ქარაშოტი ქროდა გარეთ, ხეებიდან გლეჯდა ფოთლებს და ჰაერში აფორიაქებდა, სადგურის თუნუქის სახურავს ახმაურებდა, მილებში ჩასწიოდა, არ ისვენებდა, გააფთრებული დაქროდა ვრცელ ტრამალზე.

სადგურს ხეივანი ეკვროდა, შემდეგ თვალუწვდენი ტრიალი მინდვრები გადაქიმულიყო.

ყოველ საათში ემატებოდნენ დარბაზს ჯარისკაცები. იატაკზე ყრიდნენ ჩანთებს და იქვე სხდებოდნენ...

ნახევრად ბნელ კუთხეში ჯარისკაცების ერთი ჯგუფი შექუჩებულიყო და საუზმობდა. ისინი მდინარე ვოლგის ნაპირების მცხოვრებნი იყვნენ, არაყს ერთმანეთს სთავაზობდნენ სასმისით და რომელიღაც ხალხურ ვოლგისპირულ სიმღერას მღეროდნენ.

შუაღამე გადასულიყო. ყველას ეძინებოდა. ზოგნი ერთმანეთზე მიჯრით მსხდომნი მუხლებში თავჩარგულნი უკვე ხვრინავდნენ. შემოსავალთან კედელზე მიდგმულ სკამლოგინზე ერთი შუახნის შავგვრემანი ჯარისკაცი იჯდა მარტოდ. მუხლს ქვევით მარცხენა ფეხი არ ჰქონდა. ქართველი იყო, სიმონ ლოლაძე. სანდომიანი სახე ჰქონდა, ყურებთან ოდნავ შეეერცხლოდა თმები.

სიმონი მძიმე ფიქრებს შეეპყრო, გული ეთანაღრებოდა: დიდი ხნის უნახავ საქართველოში სურდა დაბრუნება. ცოლ-შვილთან შერიგება ენატრებო-

და. „თხუთმეტი წელი ცოტა როდია,—ფიქრობდა იგი,—ჩემი ნოდარი ახლა ალბათ ფრონტზე იქნება!“

სიმონმა არ იცოდა, სად იყო მისი ვაჟკაცი, რომელ ფრონტზე ებრძოდა მტერს. იქნებ კიდეც შეხვდა სადმე ჯარში, მაგრამ არ იცნობს შვილს. „სამი წლის იყო მაშინ... არა,—გამოითვალა სიმონმა,—ოთხ წელს ცოტა აკლდა“. ნოდარიც არ იცნობს მამას. ახლა მაინც რად მოენატრა ასე შვილის ნახვა? გული აუჩუყდა სიმონს. ახლა ცისმარეც ისე ახალგაზრდა წარმოიდგინა სიმონმა, როგორიც დატოვა იგი თხუთმეტი წლის წინათ, რაც იგი ფრიდას, მოცეკვავე რუს ქალიშვილს წაჰყვა მოსკოვში. ახალგაზრდა იყო მაშინ სიმონი. უზომოდ უყვარდა ცეკვა. ამან მოხიბლა და ოჯახი მიატოვებინა.

დიდხანს ცეკვავდა სიმონი ცეკვის საღამოებზე ფრიდასთან ერთად, მაგრამ გავიდა დრო და ნელ-ნელა ბეზრდებოდა სიმონს ცეკვა, ბოლო ხანებში ფრიდა მარტო დადიოდა ცეკვის საღამოებზე. სიმონი სინანულით გაიყურებოდა საქართველოსკენ, მძაფრად იღვიძებდა მის გრძნობებში მამის ოჯახში დაბრუნების სურვილი, ოჯახური სითბო, ცისმარე. აი, ის ცაცხვის ხე, ის კუნძი, სადაც ცისმარე იჯდა სიმონის წასვლის წინ, შავი ნაწნავები მკერდზე გადმოეწყო და პაწია ბიჭუნა გულში ჩაეკრა. ცრემლები ღაწვებზე ჩამოღვროდა ცისმარეს. ჩამავალი მზე მწუხარედ იხედებოდა მის ფართოდ გაღებულ თვალებში, მიმავალი სიმონის ზურგს რომ მისჩერებოდა. ჭიშკრიდან რომ მოიხედა სიმონმა უკანასკნელად, ეს სურათი ჩარჩა ხსოვნაში. თხუთმეტი წლის შემდეგ ისევ გაცოცხლდა ეს სურათი სიმონ ლოლაძის ხსოვნაში. იგი კიდევ უფრო შორს წავიდა თავისი მოგონებებით. ცისმარე უფრო პატარა წამოდგა მის წინ, თორმეტი წლის, ფეხშიშველა, შავთვალწარბა გოგონა. ფარვანასავით ეტრფოდა იგი სინათლეს. ზაფხულის ლიბრ ღამეში დასდევდა ციცინათელებს. არასოდეს მზის ამოსვლას მძინარე არ შეხვდებოდა. მთელი დღე დობილოში ხბოებს აძოვებდა, ანაბანას იზეპირებდა. გავიდა დრო, სასწავლებელი დაამთავრა ცისმარემ, დავაჟკაცდა სიმონი.

მერე სიმონი დაქორწინდა ცისმარეზე... და შემდეგ მოსკოვში გაატარა თხუთმეტი წელი ფრიდასთან. ახლა ფრიდა თანდათან შორდებოდა გულიდან. უკანასკნელ ხანებში ხშირად ფიქრობდა ლოლაძე საქართველოში დაბრუნებაზე, პირველ ცოლ-შვილზე. ამ დროს ომი გამოცხადდა. ომის პირველ დღიდანვე სიმონ ლოლაძე ფრონტზე წავიდა. ვაჟკაცურად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად. ვაჟკაცობისათვის მედალიც კი მიიღო, მაგრამ მარცხენა ფეხი დაკარგა ფრონტზე.

ჰოსპიტალში ყოფნის დროს სიმონს მაინც უზომოდ მოენატრა საქართველო, იმერეთის მოჰხიბლავი მიდამოები, თავისი ეზო და ის ცაცხვის ხეც კი, რომლის ჩრდილში დატოვა ცისმარე. ახლაც, ამ შორეულ სადგურზე მყოფ სიმონს, საქართველოსაკენ მიუწევს გული. ტკბილად აგონდება ცისმარესთან გატარებული მშვიდი დღეები; მაშინ პატარა ნოდარი ახლა ცხრა-

შეტი წლის ვაჟკაცი იქნება, მაგრამ თხუთმეტი წელი ჩატეხილი ხიდივით ძევს სიმონსა და მის ოჯახს შორის. შეუნდობს ცისმარე ამდენი ხნის გულ-ციერობას? ნოდარი მიიღებს მამას?!

ეს კითხვები აწვალებს სიმონს. საკვირველია, რამდენი მიძინებული გრძნობა გამოაღვიძა სამამულო ომმა. სხვა პირობებში შეიძლება ამდენი არ ეფიქრა სიმონს საქართველოში დაბრუნებაზე. ახლა შვილის ამბავი უწიწკნიდა გულს. უნდა გაიგოს—სადაა მისი ვაჟკაცი, რომელ ფრონტზე ებრძვის მტერს? ან ცისმარემ თუ დაიმსახურა სამამულო ომში გმირი დედის სახელი? ან რას ფიქრობენ სიმონზე ნათესავები? დეე, გაიგოს ყველამ, რომ მან წმინდად მოიხადა სამშობლოს ვალი!

ფიქრებში წასული სიმონი ორ მატარებელს ელოდება—თბილისს მიმავალს და მოსკოვს მიმავალსაც. ვერ გადაუწყვეტია, რომელს გაჰყვეს. ან ფრიდას რად უნდა ახლა სიმონი და ან ცისმარეს. მაგრამ სიმონს მაინც ჰგონია, ცისმარე აპატიებს დანაშაულს... გარეთ ისევ ქრის ქარი და ხმაურობს თუნუქის სახურავი.

დარბაზში მთვლემარე კატის თვალებივით ბეუტავდა ფარნები.

სიმღერა მიწყდა. ჯარისკაცებს ძილი დაეუფლა. სადგურის უკანა კარებთან ავტომანქანამ დაიგუგუნა. დარბაზში შემოვიდა ახალგაზრდა ლეიტენანტი. მკერდზე მედალი უბრწყინავდა. მარცხენა ხელი თაბაშირში ჰქონდა და თეთრი მარლით გულზე ეკიდა. ახალგაზრდა ლეიტენანტი მაინც მხიარულად გამოიყურებოდა. მაღალსა და მხრებგაშლილს, შავგვრემანი სახე და მოცინარი თვალები ჰქონდა. კარებში ვილაცას გაესაუბრა. მერე კუთხეში ჩამომსხდართ გადასძახა:

— კრავჩენკო, კოტლოვ!

ეს ბიჭები მისი თანამებრძოლნი უნდა ყოფილიყვნენ, მძინარე ჯარისკაცებს გადმოაბიჯეს და ლეიტენანტს გადაეხვივნენ.

შუა დარბაზში ვილაც ბრგე ჯარისკაცი ყვინთავდა. გაიგონა თუ არა ნაცნობი ხმა, გამოცოცხლდა და ახალშემოსულს შესძახა:

— ლეიტენანტო, ძმაო...

ლეიტენანტმა იქით მიიხედა. იცნო მისი ნაწილის სერჟანტი ოლენკო. გაუხარდა. ოლენკო მოსული ვაჟკაცი იყო, ღონიერი, ბრძოლის კარგი ოსტატი. გაახსენდა ლეიტენანტს მისი გმირული ბრძოლა ფრონტზე. ოლენკო ფეხში იყო დაჭრილი.

— ამხანაგო ოლენკო, შინისკენ აპირებ, არა?—ჰკითხა მისალმების შემდეგ მოსულმა.

— თუ ცოლმა არ გამომაგდო,—გადაიხარხარა ოლენკომ და მერე სერიოზულად თქვა:

— ჩემი ცოლი პატრიოტი ქალია, ამხანაგო ლეიტენანტო. ჰოსპიტალში

ყოფნის დროს წერილი მივიღე. მწერდა, პარტიზანი გავხდიო, სიკვდილამდე შენად მიგულეო, ოღონდ გამარჯვებული დამიბრუნდი და ფეხმა შენი ჭირი წაიღოსო. და აი, გამარჯვებული ვბრუნდები. ჩვენი ჯარები, ამხანაგო ლეიტენანტო, ყოველდღე მიერეკებიან მტერს—ჩვენი მიწა თავისუფლდება... თქვენ საით აპირებთ?—ჰკითხა ბოლოს ოლენკომ და თაბაშირში ჩადებულ მკლავზე შეხედა.

— საქართველოში მივდივარ დედასთან. მკლავი დამიზიანდა. გავჯანსაღდები და მერე ისევ ფრონტზე დავბრუნდები.

— კარგია!—გაიღიმა ოლენკომ.

ლეიტენანტს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა ოლენკოსათვის, მაგრამ მახლობელი სკამლოგინიდან ქართული სიტყვა შემოესმა. „ოხ, დედა!“

ეს ხმა სიმონ ლოლაძის ამონაკვნესი იყო. ლეიტენანტმა ოლენკოსთან საუბარი შეწყვიტა, მიუახლოვდა უცნობ ქართველს, იქვე ჩამოჯდა და დაყვავებით ჰკითხა:

— რა გაწუხებს, ბიძია, მოკვეთილი ფეხი ხომ არ გტკივა? იქნებ სახლიდან მიიღე ცუდი ამბავი?

სიმონმა ცხვირსახოცით თვალები მოიწმინდა, ყავარჯენზე დაებჯინა, იატაკზე ფეხმორთხმულ ჯარისკაცს გადასწვდა და პაპიროსს მოუკიდა. შემდეგ მოსაუბრეს ჩააშტერდა თვალებში. მოაგონდა თავისი ბიჭუნას მერცხალივით თვალები.

— დიდი ხანია ქართული სიტყვა არ მსმენია, მეამა, რომ შეგხვდი... რა გვარი ხარ?

— ლოლაძე გახლავარ.

— სახელი?

— ნოდარი.

— ლოლაძეებს ვიცნობ, მამაშენი რა კაცია?

— არ ვიცი... მამა არ მახსოვს.

— ადრე გარდაიცვალა?!

— არა... შეიძლება ცოცხალია.

სიმონი დაფიქრდა. გულში რაღაც ტკივილი იგრძნო.

— მაშ, მიგატოვა?!—მღელვარებით და ჩურჩულით წარმოთქვა უკანასკნელი სიტყვა სიმონმა.

— მგონი აგრეა...

სიმონს ნაძალადევად გაეღიმა.

— ცოცხალი რომ იყოს და შინ დაბრუნდეს, არ მიიღებ?

— არასოდეს!—მწყრალად წამოიძახა ნოდარმა,—მამა, რომელიც უსუსურ შვილს მიატოვებს, რა მამაა იგი.

— ჰო, მართალი ხარ!—ჩაიბუტბუტა სიმონმა თავისთვის და უიმედოდ

ჩაჰკიდა თავი. თხუთმეტი წელი ისევ ჩატეხილი ხიდივით გაიშალა მის წინ.

დუმდა სიმონი. შორს გაფრენილიყო იგი ოცნებით, ცისმარეს შესცქეროდა სათნო თვალებში. „ნეტა ცისმარე რომ იყოს ახლა აქ, რას იტყოდა? ცისმარე უთუოდ აპატიებდა დანაშაულს. ცისმარე ალერსით გაათბობდა შვილსა და დაკარგულ მეუღლეს“.

გაქვავებული იჯდა სიმონი. იატაკზე დაბჯენილ ცალ ფეხს დასცქეროდა. გვერდით ყავარჯენი ედო.

ნოდარმა თაბაშირში ჩადებული მკლავი გაისწორა და სკამლოგინს მიაწვა ზურგით.

— ძალიან გამახარე, ბიძია, ამდენ ჯარისკაცებში ფასკუნჯის კვერცხივით რომ გამოერიე ერთი ქართველი და ქართული სიტყვა გამაგონე. ეს ბიჭები მოსკოვის მატარებელს გაჰყვებიან. კარგები არიან, ძმებივით მიყვარს ყველანი, მაგრამ ქართული სიტყვა სხვანაირად ემსჭვალება გულს, ბიძია. მიხარია, როცა ქართველ მებრძოლს შევხვდები.

— საქართველოში მიდიხარ, არა?—ჰკითხა ნოდარმა.

— არა, ვერ წავალ... ჩემი შვილი...—ასლუკუნდა სიმონი.

ლეიტენანტი გააკვირვა სიმონის მოულოდნელმა ცრემლმა.

— რად სტირი, ბიძია, რა შეემთხვა შენს შვილს?

— ნუ მკითხავ!—ისეთი ხმით წამოიძახა სიმონმა, რომ ნოდარს შეებრალა.

— საქართველოში რატომ არ წამოხვალ?

— არავინ მყავს.

ნოდარი გაყუჩდა, ერთხანს ჩაფიქრდა და მერე დაბალი ხმით თქვა:

— ჩემთან წამოდი, ბიძია, სტუმრად. დედაჩემი კეთილი ქალია, სათნო და სტუმართმოყვარე. გადაგახალისებს მშობლიური მხარე.

— მერე, შენ მაძლევ სიტყვას, რომ დედაშენი შემირიგდება?

ნოდარი შეკრთა, ფეხზე წამოიჭრა, დაჭრილ ჯარისკაცს თვალებში ჩააშტერდა.

— თქვენ იცნობთ დედაჩემს?

— ვიცნობ,—ლუღლუღით თქვა სიმონმა,—ი კეთილ ქალს ცისმარე ჰქვია.

ნოდარს თითქოს ალმური მოეკიდა, ჯარისკაცს მისწვდა მარჯვენა ხელით და მძაფრი ჩურჩულით უთხრა:

— ნუ გამაგიჟე, სთქვი ჩქარა, ვინა ხარ?

სიმონს ნოდარის ხელის შეხება ეამა. არ შეშფოთებულა, მშვიდად ამოიღო სამხედრო ბილეთი უბიდან და ლეიტენანტს გაუწოდა.

სანამ ნოდარი სამხედრო ბილეთს ათვალიერებდა მბეჟუტავი ფარნის შუქზე, სიმონი იჯდა თავჩაღუნული. არც ცრემლი მოეპოვებოდა ამწამს სიმონს და არც სიტყვა!

ნოდარმა სიმონის პროფილს გახედა, გულში მშობლიური სახე შეეპრა, მოაგონდა მამის სურათი, დედის სასთუმალთან რომ ეკიდა. სიმონი საგრძნობლად ჰგავდა იმ სურათს.

ნოდარს ხელი აუკანკალდა, გული აუთრთოლდა.

მამის თვალებიდან გამომკრთალი სითბო იგრძნო.

უეცრად რაღაც, ჯერ არგანცდილი გრძნობა დაეუფლა ვაჟკაცს. უნდოდა, მოხვეოდა მამას, მაგრამ შეჩერდა. თითქო უკანიდან „ვიღაცის“ ხელმა მოსწია. ეს „ვიღაცა“ მამისაგან მიტოვებული ბავშვის შელახული გრძნობა იყო, რომელიც დღემდე არ შორდებოდა ნოდარს გულიდან. საბუთები უკანვე დაუბრუნა და მკაცრად შეტრიალდა.

— მე მამა არ მყავს...—წაიჩურჩულა სიმონის გასაგონად და ბაქანზე გავიდა. ცრემლები გადმოცვივდა ნოდარს. გული ამოუჯდა, მეომარი ვაჟკაცი უეცრად ბავშვივით აქვითინდა. ამ დროს სიბნელეში გაისმა ზარის წკარუნი. მალე სადგურში თბილისისაკენ მიმავალი მატარებელი უნდა ჩამომდგარიყო. ბაქანზე სადგურის უფროსი გაჩოვიდა. ფარანი ეჭირა ხელში. ნახევრად მძინარე დარბაზი ახმაურდა. უნდოდათ, თუ არ უნდოდათ, ყველა კარებს მიაწყდა.

ნოდარმა თვალები მოიწმინდა. ორმა გრძნობამ გაუელვა გულში: დატოვოს მამა თუ წაიყვანოს? ერთ-ერთი უნდა გადაწყვიტოს. დრო აღარ ითმენს. ნოდარმა ხელი ჩააქნია ვაჟკაცურად. „დე, ნუ იქნება მამა... ქართველი მებრძოლია... ვალდებული ვარ!..“ ნოდარი მიტრიალდა, ბაქანი გაირბინა და დარბაზში შევარდა, მამასთან მიიჭრა და ყურთან წასჩურჩულა:

— მამავ, წავიდეთ... ჩქარა წავიდეთ... თბილისის მატარებელი მოვიდა.—სიმონი არ იძვროდა, გაშტერებული იჯდა და უაზროდ ჩასცივებოდა ყავარჯენს. ნოდარი მოეხვია მამას და ცალი ხელი წელში ჩასჭიდა.

— მამავ, წავიდეთ! წავიდეთ, მამავ!..

ჯარისკაცი წამოდგა, ყავარჯენს დაებჯინა და გაშტერებული თვალებით დაუწყო ცქერა თავის შვილს.

როცა ბაქანზე გავიდნენ, სიმონმა სიბნელეში წაიჩურჩულა: „შვილო, სიზმარია თუ ცხადი.“

გარეთ ქარი მიწყნარებულიყო, განთიადი იღვიძებდა. თბილისში მიმავალი მატარებელი წასასვლელად ქშინავდა.

ავთანდილის ახალი მეგობარი

იური ავსიანიკმა ჩაქინდრული თავი წამოწია, თვალები მოისრისა და მიმოიხედა. ვაგონი ახალი მგზავრებით ავსებულიყო. ძველ მგზავრთაგან ვაგონს მხოლოდ ერთი ქალიღა შერჩენოდა. სხვები, დაღლილ-დაქანცულნი და გაწამებულნი, ღამით გზადაგზა სადგურებზე გადასულიყვნენ. აღარ ისმოდა მგზავრობით მობეზრებული ბავშვების ტირილი. ახლად შემოსული დამშვიდებული მგზავრების ხილვამ და ვაგონის ფანჯრებში შემოჭრილმა მზის შუქმა გაახალისა იური. ყმაწვილი ძლიეს წამოდგა, კელავ მოაველო თვალი ვაგონს და იკითხა:

— სადა ვართ?!

ფანჯარასთან მდგომი შავგვრემანი ქალი მიუბრუნდა და ღიმილით უთხრა ყმაწვილს:

— თბილისს ვუახლოვდებით.

— თბილისს?—წამოიძახა იურიმ და სწრაფად გადაახტა ხურჯინებს, კალათებს, აბგებს და ვაგონის კარებისაკენ გაეშურა.

მატარებელი სადგურში ჩამოდგა. ახმაურებულმა ხალხმა იური მხარდამხარ გაიტანა სადგურიდან. იურიმ თავისუფლად ამოისუნთქა, მზეს შეხედა და მოზღვავებულ ხალხს გაჰყვა. მიდის ხალხი და მისდევს იური ავსიანიკი, არ იცის სად გაჩერდება, სად მოეღება ბოლო ხალხის დენას. აგერ ტრამვაის ვაგონები ივსება ხალხით. იქ ავტომანქანები მიქრიან. იურის ტრამვაიში ჩაჯდომა მოუნდა, ჯიბეზე მოიკრა ხელი, არც ერთი კაპიკი არ აღმოაჩნდა. ხელში პირადობის მოწმობა მოჰყვა, გადაფურცლა წიგნაკი და დააცქერდა: „მინსკის საავიაციო საშუალო სკოლის მერვე კლასის კურსანტი—იური ავსიანიკი“. თვალები ცრემლით აევსო, ყელში ბოლმა მოაწვა, ხალხს ჩამოშორდა და მაღალ კედელს მიეყრდნო. ცრემლიანი თვალით გახედა ქალაქს, ხალხი ირეოდა: ზოგს სანოვაგით საესე კალათა მიჰქონდა, ზოგს თონის პურები.

პურის სუნი ეცა ყმაწვილს და შიმშილი იგრძნო. ხელები მოისრისა და გზა განაგრძო. მიდიოდა პლეხანოვის განიერი ქუჩით. უცებ შეკრთა: რომელიღაც სკოლიდან ზარის ხმა მოესმა. ტანში თბილმა ერუანტელმა დაურბინა. რამდენი ხანია ეს ტკბილი ხმა არ სმენია. მარცხნივ მიიხედა, დიდი შენობიდან ერიამულით გამოდიოდნენ მოსწავლე ყმაწვილები, ისეთივე ტანისამოსით მორთულნი, როგორიც ამ ორი თვის წინათ იურის ეცვა. ორი თვე... ხანგრძლივი ეჩვენა ეს დრო. თითქო ორმა წელმა განვლო, ასე ეგონა სადგურებში ხეტიალით მობეზრებულ იურის.

მოსწავლე ვაჟებს ხუთქიმიანი ვარსკვლავები უბრწყინავდათ ქუდებზე. გაფითრდა იური. მის წინ ამაყი და მხიარული კურსანტები მიდიოდნენ. იურიც ასე გამოდიოდა მინსკის საავიაციო სკოლიდან. ახლა? ქუდი სადღაც დაეკარგა, საყელოზე ფორმის ნიშნები დაეკმუკნა და მაზუთისაგან გაუკუკყიანდა, ფეხსაცმელს ძირი გავარდა, ხელებისა და კისრის კანი გაუსქელდა და გაუუხეშდა, თმა გაბურძგნული აქვს. ვის ეჩვენოს ასე?! სკოლაში ასე როგორ შევიდეს? რას იფიქრებენ. მაწანწალა ვეგონები ყველას. დაფიქრდა ყმაწვილი და გადაწყვიტა: ერთ-ერთ კურსანტს გაუმხილოს თავისი დარდი, უთხრას, რომ ისიც კურსანტია. ჯიბიდან ისევ ამოიღო პირადობის მოწმობა, რომელიც მინსკიდან გამოქცევის წინადღეს მისცა საავიაციო სკოლის უფროსმა. ავსიანიკი წინ გადაუდგა ერთ მაღალ ბიჭს და მორიდებით ჰკითხა:

— ამხანაგო, საავიაციო სასწავლებლის კურსანტი ხართ?

— დიახ.

— სასწავლებლის უფროსის ნახვა როდის შეიძლება?

— ყოველ დილით,—უპასუხა კურსანტმა და ფეხს აუჩქარა.

— მომისმინეთ!— წამოიძახა ავსიანიკმა და უცებ ხმას დაუდაბლა,— მომისმინეთ, ამხანაგო. მეც კურსანტი ვარ, მინსკიდან ვარ... არ ვიცი, იქ ჩვენები ცოცხლები დარჩნენ თუ დაიხოცნენ...

მაღალი კურსანტი შემობრუნდა, დაკვირვებით აათვალიერ-ჩაათვალიერა მოსაუბრე.

— აქ ნათესავი გყავს? ვისთან ჩამოხვედი?

იურიმ უეცარი სითბო იგრძნო მოსაუბრის მიმართ.

— აქ ნაცნობიც არავინ მყავს.

— მაშ სად გაათევ ღამეს?

— არ ვიცი.

მაღალი კურსანტი დაფიქრდა.

— წამოდი ჩემთან,—თქვა მან,—დედაჩემი მასწავლებელია, მოგაწყობს სადმე, ნუ გეშინია.'

ავსიანიკს სახე გაუბრწყინდა, სიხარულით ათრთოლდა. უცხო ამხანაგს თვალებში შეხედა და მოკრძალებით უთხრა:

— როგორ შეგაწუხოთ!

— არა უშავს, ნუ გერიდება... დედაჩემი კეთილი ქალია.

— თქვენი სახელი?—ჰკითხა იურიმ.

— ავთანდილი.

— რომელი კლასის კურსანტი ხარ?

— მეათესი.

— კომკავშირელი იქნები.

— მაშ,—უპასუხა ავთანდილმა.

— ეეხ,—ამოიკვნესა ავსიანიკმა,—ამხანაგო ავთანდილ, შენ არ გინახავს ომი. იცი რა საშინელებაა?! ბანაკად ვიყავით, მინსკიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებული, როცა ვერაგულად თავს დაგვესხნენ გერმანელი ფაშისტები. ეს იყო მტრის ჩვენს მიწაზე შემოკრის პირველი დღე. სკოლის უფროსმა გამოგვიცხადა, თავს უშველეთო, მე დედაჩემთან გავიქეცი. როცა ბანაკიდან სირბილით მინსკში ჩავედით მე და ჩემი ამხანაგი, მინსკი სრულიად დანგრეული და განადგურებული დაგვიხვდა. აღარ იცნობოდა ჩემი უბანი. ხალხი გარბოდა. მე შინისაკენ მივრბოდი. გავირბინე ქუჩები, დედა არსად ჩანდა. ხალხის ტალღამ უკან შემომაბრუნა. მირბოდა ზღვა ხალხი უგზოუკვლოდ. გრიალებდნენ ზარბაზნები. ტყვია ქვიშასავით გვაცვიოდა თავზე. ჩემს გვერდით მიწაზე საცოდავად ეცემოდნენ დაჭრილები, მკვდრები... არავინ რჩებოდა მათთან. ცოცხლები გავრბოდით. სატვირთო მატარებელს მოვკარი თვალი. გავიქეცი, გზა გადავუჭერი. დავუხვდი მატარებელს. ძლივს მოვახერხე ვაგონზე შეხტომა, ფეხი დამიცდა, ჩამოვებლაუჭე საფეხურს. ძალა გამომელია, ის იყო უნდა გადავჩეხილიყავი ხრამში, ამ დროს ვიღაც მადლიანი გადმომწვდა, ჩამჭიდა ხელი და ამათრია ვაგონში ცოცხალმკვდარი. შემდეგ არ მახსოვს, როგორ მოვსულიერდი. როცა გონს მოვედი, ვიღაცამ პური მომაწოდა. მიდამოს მოვავლე თვალი. ჩემი ვაგონი უცნობ ადგილებში მიქროდა.

— საით მივდივართ?—ვკითხე ვაგონის გამცილებელს.

— სმოლენსკისაკენ.

— ბევრი რამ გადამხდა თავს, ორი თვეა სადგურიდან სადგურში დავეხეტები. მოხარული ვარ, რომ თბილისში მოვედი ცოცხალი. რა ბრწყინვალე მზეა, რა კრიალა ცა, მხიარული ქუჩები. ოცამდე წერილი დავწერე სადგურებში და დავგზავნე სხვადასხვა ქალაქში. გაზეთებს ვთხოვდი, მილიციას ვეხვეწებოდი, იქნებ დედის პოვნაში დამხმარებოდნენ. ვერაფერი გავიგე.

ასლუკუნდა იური. ცხელმა ცრემლმა ერთხელ კიდევ ჩამორეცხა მური მისი სახიდან. ავთანდილს შეებრალა ავსიანიკი, ხელი მოჰხვია და მეგობრულად დაუყვავა:

— ნუ ტირი, ძამია, ცრემლი ვაკაციისათვის რა საკადრისია!

იურიმ ჩქარა მოიწმინდა თვალები.

ავთანდილმა განაგრძო:

— სკოლის დამთავრების შემდეგ ჩვენც წავალთ ფრონტზე. ეს მხეცს შაინც მოვკლავ და მერე მშვიდად გეტყვი: აბა, ამხანაგო ავსიანიკ, ახლა შენი ჯერია!

ავსიანიკი უცებ შედგა და მტკიცედ წარმოთქვა:

— თანახმა ვარ.

ავთანდილმა და იურიმ მაგრად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს. გზა განაგრძეს.

ავთანდილი სახლის კარებს მიადგა. იურიმ უკან დაიხია.

— ვერ შემოვალ,—თქვა დარცხვენით,—რას იტყვის დედაშენი ასეთ მოთხუპნულს რომ დამინახავს?!

ავთანდილი მარტო შეევიდა ოთახში. ცოტა ხნის შემდეგ კარი გაიღო, მაღალი ქალი გამოვიდა და ალერსით უთხრა იურის:

— შემოდი, შვილო, შემოდი,—და მკლავში მოჰკიდა ხელი. ეს ქალი ავთანდილის დედა იყო.

იური გათამამდა და ქალს უხერხულად შეჰყვა ოთახში. შესვლისთანავე შეეამანდის სუნი იგრძნო. მთელი დღე-ღამის უქმელს თავბრუ დაეხვა, მუხლები მოეკეცა. როცა გონს მოვიდა, ავთანდილის დედა, მარიამი, იდგა მის წინ, ეფერებოდა და თბილი წვენით ბაგეს უსველებდა.

ავთანდილის უმცროსი ძმა—ირაკლი დააცქერდა გაუუჭყიანებულ ავსიანიკს და სიბრალულით წამოიძახა:

— დედა, დედილო, ჩემი ხალათი ჩავაცვათ!

— ჩავაცვათ, მაგრამ ჯერ დავბანოთ,—თქვა მარიამმა და სამზარეულოში გავიდა.

უკვე შეღამებული იყო. იჯდა ავსიანიკი და ათვალიერებდა მზრუნველ ოჯახს. ავთანდილის დედას რომ უცქეროდა თვალებში, სახლის კედლებიც თბილი ეჩვენებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ავსიანიკი მარიამის მზრუნველობის შედეგად მოკეთდა, ადამიანს დაემსგავსა. ავთანდილს ახლა უფრო მოეწონა ძმობილი.

ერთ დღეს, როცა ავთანდილის დედა, მარიამი, სკოლიდან მოვიდა, იურის თავზე ხელი გადაუსვა და დაყვავებით უთხრა:

— იური, სკოლაში მოგაწყვე.

ყმაწვილს ფერი ეცვალა და მდუმარედ თქვა:

— სულ ერთია, ვერ ვისწავლი... არა, ჯერ ვერ ვისწავლი!

— რატომ?

— გადავწყვიტე, ფრონტზე წავიდე, დედის ლანდი არ მასვენებს, ყოველ ღამით ბელორუსიის მიწაზე დავბორიალობ. ჩემი სახლის ნანგრევებს ვთხრი. დედის საფლავს ვეძებ. ხან მესიზმრება, თითქოს დედა ცოცხალია, მეძახის, ხელს მიქნევს, ხან ნანგრევებზე დგას და ტირის.

მარიამს გული აუჩუყდა. ჩუმად მოიწმინდა ცრემლი.

— პატაკი უკვე მივართვი შტაბის უფროსს,—განაგრძო იურიმ,—პატაკში ასე დავწერე: „სროლაში ფრიადოსანი ვარ, გულადი ვარ, ვაჟკაცის

ძალა მაქვს, მინდა თავი შევწირო სამშობლოს...“

1942 წელს, იანვრის ბოლოს, იური ავსიანიკი ეშელონთან ერთად გაემგზავრა დასავლეთის ფრონტზე; ქალაქ გომელიდან გამოუგზავნა უკანასკნელი წერილი ავთანდილს და დედამისს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ავთანდილიც წავიდა ფრონტზე, როცა ომგადახდილი ავთანდილი საქართველოში ბრუნდებოდა, ბელორუსიის მიწაზე მოუხდა გამოვლა. მოაგონდა იური ავსიანიკი და გულში სურვილი აღეძრა გაეგო მეგობრის და მისი ოჯახის ამბავი. მინსკში შეჩერდა. დაათვალიერა მტრის მიერ დანგრეული ქალაქი, ინახულა სკოლა და უბანი, სადაც იური სწავლობდა და ცხოვრობდა (არა ერთხელ აუწერია იურის მისი სკოლა და უბანი ავთანდილისათვის). გაიხსენა ყველაფერი.

იქ, სადაც წინათ ავსიანიკის კოხტა სახლი იდგა, ახლა ამოთხრილი მიწა და დანგრეული საძირკვლის ქვები ეყარა. ხალხი გაცხარებული მუშაობდა დანგრეული უბნის აღსადგენად და ახალი ცხოვრების მოსაწყობად. ავთანდილმა ერთ გოგონას ჰკითხა ავსიანიკების ოჯახის ამბავი.

— კარგს ვერაფერს გეტყვით,—უპასუხა ახალგაზრდა გოგონამ, რომელსაც განვლილი ომის სიმწარე საკმაოდ დაჩენოდა სახეზე.—იურის დედა მტრის ყუმბარამ ჩამარხა მიწაში. პატარა ყმაწვილმა კი სასახელოდ შესწირა თავი სამშობლოს თავისუფლებას.

ავთანდილი გულდაწყვეტილი [გამოეთხოვა პატარა, მაგრამ გულადი მეგობრის სამშობლოს.

პირველი ყვავილი

მთიელი გოგოა ზარა. სამგორში ჩამოსახლდნენ მისი მშობლები. ზარას არ მოსწონს გვალვით გადამწვარი მინდვრები. „ერთი ჩრდილი არსად მოიპოვება... — ბუტბუტებს ზარა თავისთვის და გაჰყურებს თვალუწვდენ ველს,— არც ერთი ყვავილი... არც ერთი ფოთოლი...“

ზარას მამამ—გიორგიმ მთელი სამი წელიწადი იმუშავა სამგორის არხის გათხრაზე.

„დაჰკარით, ბიჭებო, დაჰკარით, მთაც ჩვენი სამშობლოა და ბარიც,“— აქეზებდა გიორგი ამხანაგებს და არხეინად მოჰყვებოდა ღიღინს. სიხარულით, სიყვარულით და სიმღერით გაითხარა არხი. როცა იორი ჩქრიალით გაემართა მლაშე ტბებისაკენ, გიორგიმ თვალი ვერ მოწყვიტა ვერცხლივით მოლაპლაპე წყალს. გულში ახალი სურვილი გაუჩნდა, ახალ მიწაზე დასახლება მოუნდა. გახედა მინდვრებს და წარმოიდგინა არხის ნაპირებზე ჩამწკრივებული კიპარისები და ალვის ხეები, შრიალა ფოთლები, ზღვასავით მღელვარე პურის თავთავები, დახუნძლული ხეხილები, ბოსტნები და ვენახები. თვალები გაუნათდა. ტყუილად არ ჩაივლის გიორგის შრომა. „რაკი ამ გამოგვალულ მიწაზე იორის წყლის ჩქრიალს მოვესწარი, ბაღებსაც მალე მოვესწრები. რა არის ხუთი-ექვსი წელი, ან ათი, დახუქე თვალი და გააღე,“— თქვა გიორგიმ და განზრახული აასრულა კიდეც.

გიორგი შეუდგა ახალ ცხოვრებას.

ოჯახს იორის წყალი მიეპკურა. ძროხა ზმუილით მიადგა ანკარა წყალს. გოჭები აღრუტუნდნენ. ბატები და იხვები მთელი დღე ფრთას შლიდნენ და ცურაობდნენ.

პირველად გაისმა სამგორის მიწაზე დიასახლისის ხმა. გიორგის მეუღლე—ზარას დედა, ჯარასავით დატრიალდა ახალ მიწაზე. კოხტა სახლი კოხ-

ტად მორთო. ეზო დააწკრიალა. მინდვრებს გახედა, სამუშაო ბევრია!—გაიფიქრა შვილების დედამ.

ძაღლებმა ღამის ლანდებს შეჰყეფეს.

გიორგი მხიარული დაბრუნდა სამუშაოდან. გაეგო, სამგორის მახლობელი სოფლები ნერგებს ამზადებენო სამგორელებისათვის საჩუქრად. ყველა მხიარულობდა ოჯახში. ცინდალიც კი სიამოვნებით იბანდა პირს დილის მზეზე. არ მხიარულობდა მხოლოდ ზარა. ის მუდამ გაბუტული გაიყურებოდა სადღაც. ისევ აგონდებოდა მთის ყვავილები, თმებში რომ იკეთებდა კონებს. მოწყენის დროს გადაირბენდა, გადადგებოდა არხზე და გასცქეროდა შორიდან მოლივლივე ანკარა წყალს. აგონდებოდა მთიელი გოგონები და მღეროდა იმ ბების სიმღერას, რომელიც მთებში დარჩა,—ერთი ბები აქ ჰყავს ზარას, მეორე ბები მთებში. ორივე უყვარდა გოგონას. როცა მდინარის პირას ჩამოჯდებოდა, მთებში რომ ბები ჰყავს, იმის საყვარელ სიმღერას წამოიწყებდა: „წყალსა ნაფოტი მოჰქონდა, ალვის ხის ჩამონათალი, დადექ, წყალო, და მიამბე მოყვრისა შემონათვალი...“ ო, როგორ ტკბილად ახსოვს ზარას ბების სიმღერა!

— დადექ, წყალო, დადექ, და მიამბე ჩემი ბების შემონათვალი!.. რაო? მოდიო? მომწყინდა უშენოდო?

გული ამოუჯდა გოგონას, წამოხტა და დედასთან გაიქცა.

ერთხელ დილით, როცა მზე მწვერვალიდან აბნევდა სხივებს სამგორის ველზე, ზარა წამოდგა ლოგინიდან, ჩვეულებრივად გადირბინა მდინარეზე და რა ნახა: არხის ნაპირზე მწვანე მოლი ამოსულიყო. მწვანე მოლში ერთი ყვითელი ხუქუჭა ყვავილი ოქროს თვალივით იჯდა. ზარამ თვალები დააქყიტა, აღარ იცოდა რა ექნა. დაიკუზა და ფრთხილად აკოცა ყვავილს. გახარებული დაბრუნდა გოგონა სახლში, მაგრამ სიხარულის მიზეზი არ გაამხილა. პატარა ძმა გოჩა ნახავს და მოწყვეტსო, გაიფიქრა.

მეორე დილით ზარამ ჩქარა ისაუზმა და გაიქცა ყვავილის სანახავად. ზარას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ერთი ოქროს თვალის მაგიერ ორი ოქროს თვალი დახვდა დამჯდარი. დიდხანს უცქირა, დიდხანს ეალერსა. ბოლოს მიიხედ-მოიხედა, რაიმე უნდა დააფაროს თორემ... იქ, შორს თვალი მოჰკრა გაცრეცილ თუნუქს, მოარბენინა და დააფარა. დაბრუნდა შინ. ზარამ ამ დღესაც არ გაამხილა საიდუმლო.

მესამე დღეს ქალაქში წაიყვანა დედამ. მთელი დღე ყვავილებზე ფიქრობდა გოგონა. ყვავილებიანი საზაფხულო კაბა იყიდა. როცა დედამ ელექტრონის უთო გადმოაღებინა ნოქარს, ზარამ ვაზებს შეხედა თაროზე ჩამწკრივებულს.

— დედა, დედიკო, აი, ის ყვავილებიანი ვაზა მიყიდე!—სთხოვა დედას.

— რად გინდა, გოგოვ, ვაზა? სადაური ყვავილები გაქვს სამგორში?—ცოტა კიდეც გაწყრა დედა, ყველაფერი როგორ ვუყიდოო. მაგრამ ვერ გაუტეხა შვილს ხათრი.

შინ რომ დაბრუნდნენ, მზე ჩადიოდა. ზარას დედამ გახარებულმა შესძახა:

— გამარჯობა, ვანო! უთოს ჩასართს უკვე მიკეთებ?

— აკი დაგპირდი...

— იხაროს შენმა მარჯვენამ.

გოჩამ ახალი უთო რომ დაინახა, საკუჭნაოდან ძველი უთო გამოათრია ნახშირით სავსე და შეჰყვირა დედას:

— ეს უთო ვის მივცეთ, დედიკო?

— ეს ხომ ბების სახსოვარია. ხელი გაუშვი!—დაუჩაჩხანა ძმას ზარამ, ვაზა მაგიდაზე დადგა, შეხედ-შემოხედა და შურდულივით გავარდა გარეთ, აქოშინებული მიირბინა მის ყვავილებთან, თვალები აუკაშკაშდა: ორი ყვავილის ნაცვლად მთელი კონები ამობურთულიყო. ამ სიხარულის დაფარვა აღარ შეეძლო ზარას. პეპელასავით გაფრინდა სახლისკენ. სამუშაოდან დაბრუნებული გიორგი სახლის წინ იჯდა, თამბაქოს ეწეოდა. მუხლებზე გოჩა ეჯდა. ზარა მიეკრა მამას და ხალათის სახელოში ხელი სტაცა:

— მამა, წამოდი, წამოდი, რაღაცას გაჩვენებ... ჩქარა წამოდი!..

— რას მაჩვენებ, გოგო!—იკვნეულად გაიღიმა გიორგიმ.

— გაჩვენებ, გაჩვენებ,—ეუბნოდა ზარა.

გიორგი დინჯად წამოდგა. გოჩაც მამას მიყვა. გაოცებული ზარას დედაც მათ აედევნა. მონტიორმა ვანომ ხელი უშვა სამუშაოს და მათ გაჰყვა. ზარას ბებიამ რომ დაინახა, ყველა საღლაც გარბოდა, ვერ მოითმინა და ჯოხის ბიჯებით მიყვა შვილის კვალს, აგერ ცუგრიაც კუდაბზეკილი მისდევს ბებიას.

რა სიცილი, კისკისი და მხიარულება გაისმა არხის ნაპირზე. მთელმა ოჯახმა გაიხარა ყვავილებით. ზარამ ხელი გადაუსვა ამწვანებულ ბალახს და უეცრად შეჰკივლა. შეშინებული გოგონა მამას მიეკრა. ბალახებში თურმე პაწია ბაყაყი იყო მიმალული. ბაყაყმა ისკუპა და ზარას ფეხებში ჩაუვარდა.

— აი ეშმაკი... ამან შეგაშინა, გოგო?—სიცილით წარმოთქვა გიორგიმ,—ყვავილიც და ბაყაყიც ბედნიერების ნიშანია; იორის წყალს ჩვენთან მოაქვს სიცოცხლე და ბედნიერება.

ამის შემდეგ გავიდა ორიოდე წელი. გიორგის გვერდით გაჩნდნენ ახალი მეზობლები. ჩამწკრივდა კოხტა სახლები. ზარას დედასთან ერთად სხვა დიასახლისებიც გაფაციცებით შეუდგნენ კოლექტიური ცხოვრების მოწყობას, ოჯახის გალამაზებას.

გაიფურჩქნა ხეხილები, აშრიალდა ყანები. გაიშალნენ ყვავილები.

ზარას შემოუმრავლდნენ ამხანაგები.

ზარა ახლა მოზრდილი ქალიშვილია. აგერ სკოლიდან მოდის, შემოირბენს ეზოში, დაჰკრეფს ვარდებს, აწყობს მის ვაზაში და აგონდება „პირველი ყვავილი.“

ბედნიერების ღიმილი ეფინება.

პატარა ამბავი

გუშინ დაასაფლავეს ჯაჯუს დედა. პატიოსანი ხალხი აღმოჩნდა მეზობლები. გარდაიცვალა თუ არა საცოდავი ფეფიკო, საჩქაროდ შეუკოწიწეს ფიცრის კუბო და წაასვენეს ეკლესიისაკენ. მღვდელი წარბშეკრული მიუძღოდა კუბოს. იცოდა დღეს გასამრჯელოს ვერ აიღებდა, რადგან მიცვალებულს არაფერი გააჩნდა. დიაკვანიც უგულოდ ბუტბუტებდა ლოცვანიდან გაზეპირებულ სიტყვებს. ასე მიაცილეს სასაფლაომდე ფეფიკოს ცხედარი გულშემატკივარმა მეზობლებმა და მიაბარეს მიწას.

— მადლობა ღმერთს, მოისვენა საცოდავმა ფეფიკომ,—ამბობდნენ მეზობლები; ხალხი რომ წავიდ-წამოვიდა, მღვდელი და დიაკვანი ჩვეულებრივად ჩამოსხდნენ ეკლესიის კიბეზე. ვინ იცის, იქნებ ერთმანეთს უზიარებდნენ დღევანდელ უკმაყოფილებას.

ჯაჯუ ეზოს მიუახლოვდა. ჩამავალ მზეს ზღვის სარკეზე დაეყარა ცეცხლივით სხივები. მან დამნაშავესავით ჩაუარა ქუჩაზე მოთამაშე გოგო-ბიჭებს და დაღვრემილმა შეაღო ქოხის კარი; ჩამქრალ კერას მიაპყრო თვალი. მიწაზე ამოყვანილ ქოხის თითოეულ ფიცარს ფეფიკოს ხელით დანაქედი ლურსმანი აჩნდა. შეშის ნაპობზე გადაქედილი ფიცრის ტახტი, ფიცრის თარო, ოთხკუთხი სუფრა,—ყველაფერი ფეფიკოს ხელით ნაწვალები, მინჯღრეულ-მონჯღრეული, ნაოხარივით ეყარა კუთხეში. ფეფიკოს ხელით ამოყვანილი აგურის კერა ჩუმი სევდით გამოიყურებოდა. ვინ იცის, რამდენი ოფლი და ცრემლი დაუღვრია საცოდავ ფეფიკოს ამ კერასთან, რამდენი მთრთოლვარე გრძნობა ჩაუფერფლავს აქ.

დიდხანს უცქეროდა გარინდებული ჯაჯუ ჩაფერფლილ კერას; მერე ცრემლიანი თვალები ირგვლივ მიმოავლო. ღამის ბინდბუნდს უკვე გაეშალა თალხი კალთები. ათასი მოჩვენება აირია ჯაჯუს თავში. კუთხისაკენ მიიხედა, გაძარცულ ლოგინზე დედა მოეჩვენა. აგერ კუბო... ჯაჯუს გულში ტყვიასავით შეიჭრა შიში; საჩქაროდ გატრიალდა უკან და ქოხის კარი მაგრად გაიკეტა.

იმ დღის შემდეგ ჯაჯუ ქალაქ ფოთში აღარავის უნახავს. ყველამ დაივიწყა ის. არ ივიწყებდა მხოლოდ მეზობელი ქვრივი ციბული მის შვილებთან გაზრდილ ჯაჯუს და როცა მიტოვებული ქოხის წინ ჩაიცლიდა, მწუხარედ ჩაირტყამდა გულში ხელს.

* * *

მგზავრები მთელი ღამე მოელოდნენ ნავსადგურიდან გემის გასვლას. რომანოვების საგვარეულოს ვეებერთელა გემი ბაქანთან იდგა. მოქანცული მგზავრები იატაკზე გაშხლართულიყვნენ. ზოგი მათგანი ნამძინარევ თვალებს იფშვნეტდა. ზოგი თავმობეზრებული დადიოდა ბაქანზე და მეზღვაურების მოძრაობას თვალს ადევნებდა. ბაქანს ხალხი ემატებოდა. მოისმოდა დანჯღრეული ეტლებისა და თვლებზე შემდგარი კონკის რახრახი, რომელსაც ლურჯი ლაფშა მძიმედ მიათრევდა ლიანდაგზე. რამდენიმე წუთის შემდეგ ბაქანზე ტევა აღარ იყო. სადგური აივსო წელზე ქვაბებმიბმული ჯარისკაცებით, თავშეხვეული სპარსელებით, კურტნიანი ქურთებით, ყაბალახწაკრული მეგრელებით, ლურჯხალათიანი გურული მუშებით და მოვაჭრე ბერძნებით.

განთიადმა მოატანა. ნავსადგურის დარაჯმა ფარნები ჩააქრო. გურიაჭარის მთებმა მზის ცეცხლის კალთა წამოიხურა, ნავსადგურს თეთრმა შუქმა დაათოვა. დილის სიო აფუსფუსდა და ზღვის კრიალა სარკე დატყდა, ტალღებმა ქოჩორი წამოშალეს და თოლიებდაფენილ ნაპირს მიაშურეს. თოლიები ვერცხლის ფარატინებივით აფრიალდნენ ლაჟვარდ სივრცეში.

— ძინ... ძინ... ძინ...—მძიმედ გაისმა პირველი ზარი. გემზე მეზღვაურები ამოძრავდნენ. ბაქანზე ხალხი აწრიალდა.

— აქეთ, ბიჭუნი, აქეთ შემოდგი ფეხი!—აფრთხილებდა მოხუცი მეზღვაური ჯაჯუს. ჯაჯუ გულისფანცქალით ადიოდა გემზე და მთელი ღამის უძინარ თვალებს ირგვლივ აცეცებდა. არ უნდოდა, რომ მისთვის ვინმე ნაცნობს თვალი მოეკრა და მისი წასვლის ამბავი ღარიბთა უბანს მოჰფენოდა.

— მშვიდობით, ჩემო ძამია!..

— მშვიდობით მაჩვენოს ღმერთმა შენი თავი...

— იმედია, არ დამივიწყებ...

— დედაშვილობას, წერილი მოიწერე...

ეთხოვებოდნენ მოკეთეები მგზავრებს და შინისკენ ბრუნდებოდნენ.

— ძინ... ძინ... ძინ...—მეორედ გაისმა ზარის ზუზუნი. გემი ზლაზვნით მოშორდა ნაპირს და ნელი ზოზინით გაემართა შუაგულ ზღვისკენ.

მოხუცი მეზღვაური მშვიდად მოვიდა რაფაზე დაყრდნობილ ჯაჯუსთან და ალერსით ჰკითხა:

— ბიჭუნი, რას უცქერი ასე დაფიქრებული? ვინღა დაგრჩა საფიქრებელი?

— თოვლიანი მთები!—ათრთოლებული ხმით მიუგო ჯაჯუმ კეთილ მეზღვაურს.

ჯაჯუს თვალებს იმწამს, მართლაც, ქაღარა მთები იზიდავდა, ხოლო მისი ფიქრი ისევ ქალაქ ფოთის ღარიბთა უბანში დაბორიალებდა; ქვრივმა ციბულიმ, ალბათ, მოიკითხა წუხელ ჯაჯუ. შინ რომ აღარ დაუხვდა, მეზობლებს გადასძახა, მაგრამ ჯაჯუ მეზობლებშიც არ აღმოჩნდა... მისმა ბიჭმა ბესიამ, ალბათ, ფურნე და დუქნები შემოირბინა.

„ჯაჯუ, შვილო, ჯა-ჯუ-უ-უ...“—თითქოს მართლაც მოესმა ჯაჯუს ციბულის ძახილი.

ახლა ქალიშვილი ძიბაც მიბაძავს ციბულის, ისიც დაუწყებს ჯაჯუს ძახილს. ამ დილითაც რომ ვეღარ იპოვნიან, ალბათ, მთელი ფოთი შეიტყობს ჯაჯუს დაკარგვის ამბავს. ჭებში დაუწყებენ ძებნას... აქ უნებლიეთ გაეცინა ჯაჯუს, მაგრამ წამსვე მოიღრუბლა. მოაგონდა ამ რამდენიმე წლის წინ ფურნის ღია დერეფანში შეგროვილი გოგო-ბიჭები მინდორში სათამაშოდ რომ აპირებდნენ წასვლას და საშინელი შეურაცხყოფა იგრძნო: მეფურნის ჩასუქებულმა შვილმა „ნაბუშარა“ დაუძახა ჯაჯუს და სხვა ბავშვებთან შეკრა წრე. ჯაჯუს ასე დამცირებისათვის ბესიაც გამოეთიშა წრეს და ჯაჯუსთან ერთად გულნატკენი დაბრუნდა შინ. „მადლობა ღმერთს,—გაიფიქრა ჯაჯუმ,—აწი ვეღარ დამცინებენ“. გაუხარდა, გაიღიმა.

მეზღვაურმა წელიდან დურბინდი ჩამოიხსნა და ნახევრადმოხუქული თვალებით გახედა თეთრად მოჩუქურთმებულ გურია-აჭარის მთებს, საიდანაც მაისის მზეს უხვად გადმოებნია სხივები ვრცელ დაბლობზე. სამხრეთის მკერდზე მილეული თეთრი მთვარე გაფითრებული უცქეროდა მოგუზგუზე მზეს და გურია-სამეგრელოს დაბებსა და სოფლებს.

მოხუცი მეზღვაური მიხვდა, რად გაჰყურებდა ჯაჯუ ასეთი ნაღვლით ნაცნობ ველ-მინდვრებს, მოაგონდა თავისი ბავშვობა, როცა პირველად მიემგზავრებოდა უცხოეთში სასწავლებლად და უკან ტოვებდა ახლობელსა და საყვარელ მიდამოს.

— არაფერია, ყველაფერი გაივლის,—მიუალერსა კეთილმა მეზღვაურმა ჯაჯუს. ჯაჯუ მანამ გასცქეროდა აღმოსავლეთს, სანამ გემი უზარმაზარ ქედს არ მოეფარა. საღამოთი გემი ჩქარა მიქროდა ჩრდილოეთისაკენ. ბუნების სურათებიც იცვლებოდა.

ჯაჯუ ისევ იდგა გემბანზე. ახლა წარსულზე აღარ ფიქრობდა; ფართოდ გაღებული თვალებით გასცქეროდა წყნარ ზღვას, ოდნავ ატეხილი ტალღებით ლასლასით რომ მოარხევდა კალთებს. არ ჩანდა ნაპირი. ჩამავალი მზე პეშვით ყრიდა სხივებს. ჯაჯუ თვალს არ აშორებდა ცის კიდურზე გამწკრივებული ღრუბლის ნაგლეჯებს, თეთრი ვარდებივით რომ გაფანტულიყვნენ ჩამავალი მზის ანთებულ ცეცხლში, ის ახლა უცნობ ქვეყანაზე ოცნებობდა. უცნობი ქალაქები ეხატებოდა თვალწინ. უცნობი ადამიანები ირეოდნენ ჯაჯუს თავში.

მოხუცი მეზღვაური თავის საქმეებს მორჩა და ისევ ჯაჯუსთან გამოვიდა, ხბრებზე ხელი მოჰხვია, მოეფერა და ჩვეულებრივად ჰკითხა:

— რაზე ოცნებობ, ბიჭიკო, მოგწონს ზღვაზე მგზავრობა?

ჯაჯუმ თავი დახარა, სახე წამოუწითლდა და მორცხვად წარმოთქვა:

— ნეტა, იმ ღრუბლებს იქით რა ქვეყანაა?

მეზღვაურს გაეღიმა.

— ჩვენ ხომ ერთად მოგვიხდება მგზავრობა... ნუ ჩქარობ, ყველაფერს გეტყვი... შეიძლება იმ ქვეყანაშიც მიგვიყვანოს ჩვენმა გემმა.

ჯაჯუმ უკმაყოფილოდ მიაპყრო მოხუცს თვალი, ეწყინა, „რატომ ახლა არ მეუბნებაო."

სამი-ოთხი დღე მიცურავდნენ, მაგრამ ნავსადგურში შესვლას კიდევ არ ფიქრობდნენ. მოხუცი მეზღვაური ყოველ თავისუფალ დროს ესაუბრებოდა ჯაჯუს მეტად საინტერესო ამბებზე, სხვადასხვა ქვეყნებზე, მშრომელი ხალხის სიღატაკეზე და მდიდრების გაუმაძღრობაზე. ჯაჯუ გულმოდგინედ უსმენდა. მოხუცის თითოეული სიტყვა ბეჯითად იწერებოდა მის გულში.

— ჭრელია ქვეყანა, ბევრი შრომობს და შიმშილით კვდება. ბევრი კი არ შრომობს და სუქდება. ხელმწიფე მაძღარს წყალობს და ღატაკებს ყვლეფს. ქვეყანა ბოროტებით არის სავსე, მაგრამ არიან კარგი ადამიანებიც, რომელნიც იბრძვიან სამართლიანობის დასამყარებლად. აღრე თუ გვიან შეიქმნება, ჩემო პატარავ, შრომისა და სოლიდარობის ქვეყანა, სადაც აღარ იქნებიან მდიდარნი და ღარიბნი... სადაც შეძლებისამებრ იშრომებს ყველა და იცხოვრებს კარგად, მაგრამ მანამ ასეთი ცხოვრება არ შეგვიქმნია, უნდა ვისწავლოთ და ვიბრძოლოთ მის შესაქმნელად.

ასე დააბოლოვა მოხუცმა ჯაჯუსთან საუბარი. ჯაჯუს თვალები გაუბრწყინდა.

— მერე რატომ თქვენსავით არ ხედავენ სხვებიც ასეთ მშვენიერ ქვეყანას?—გაკვირვებული მიაშტერდა ჯაჯუ მოხუცს.

— იმიტომ, ბიჭუნი, რომ ხალხი სიბნელეში იხრჩობა.

ჯაჯუს ისევ მოაგონდა დედის გაჭირვებული მდგომარეობა და თვალებზე მსხვილი ცრემლები ჩამოუგორდა.

აგერ, ზღვის ქაფში ისევ გამოეხატა ჯაჯუს ავადმყოფი დედა, მისი ქოხი, ჭაობიანი ეზო, ციბული, ბესია, ძიბა და ღარიბთა მთელი უბანი პატარა ქოხმახებით, ბოძებზე შემდგარი ოდებით, ჭაობიანი ეზოებით და აქა-იქ მბეჟეტავი ფარნებით. მაგრამ ახლა ჯაჯუს თვალებს არ გამოეპარა ქალაქის მცხოვრებთა სხვა უბნებიც: თეთრად შეღებილი სასახლეები, ძვირფასფარდებიანი ფანჯრები, ბრწყინვალე ჭაღები და...

ჯაჯუსთვის ახლა სავსებით გასაგები გახდა, რად მუშაობდა საცოდავი ფეფიკო მთელი დღე მდიდრების ოჯახში. „იმიტომ, რომ დედაჩემი ღარიბი იყო..."—დაასკვნა ჯაჯუმ.

და... ჯაჯუს კიდევ მოაგონდა თევზის მრეწველი ივანე. აი, ივანეს ამალ-

ლებული, სუფთა ეზო, მწვანედ შეღებილი ოდა, წითელი ხავერდის სკამები, თეთრი ლოგინები, სარკეები... აი კაკლის ხის ტოტებზე გაბმული საქანელა.

ფეფიკო ჭასთან დგას და თეთრეულს რეცხავს, ჯაჯუ ივანეს პატარა ქალს აქანავებს, უფრთხილდება, არ გადავარდეს, არ ატირდეს, ივანეს ცოლი აივანზე ზის და გულხელდაკრეფილი გასცქერის მზიან ეზოს, თითქოს მის სასიამოვნოდ გაშლილა ბაღის ვარდები და მინდვრის ყვითელი ბაიები... მუშაობის შემდეგ ფეფიკო და ჯაჯუ ივანეს სამხარეულოში სადილობენ. ივანეს ცოლი უკანა კარებში უთვლის ფეფიკოს გროშებს!

„არა, მე ისევ დავბრუნდები ჩემს ქოხში და ვეტყვი ყველას: ძიბას, ბესიას და მთელ ღარიბთა უბანს,—გაიფიქრა ჯაჯუმ,—რომ მდიდრები მათ ჩაგრავენ, რომ მდიდრები ქვეყნად ბოროტებასა ქმნიან“.

მაგრამ ჯერ უნდა ისწავლოს ჯაჯუმ. ჯერ კარგად უნდა შეიგნოს, დაინახოს, უნდა გამოიკითხოს ამბები...

ჯაჯუს უცებ რაღაც მოაგონდა, ფიქრებში ჩათვლემილი მოხუცი გამოაფხიზლა და მოკრძალებით ჰკითხა:

— ნეთუ არ მოისპობიან მდიდრები!

— ეხ, შე თაგვო, რას ჩამომეკიდე? ხომ გითხარი, გეტყვი თავის დროზე-მეთქი. ყველაფერს თავისი დრო აქვს...

ჯაჯუ მოიღრუბლა... მოხუცმა შეატყო, რომ ჯაჯუს მისი პასუხი ეწყინა და მშვიდად გაიღიმა.—მოისპობიან, მოისპობიან.

— როდის?

— სოციალიზმის და კომუნიზმის ხანაში.

— სოციალიზმი, კომუნიზმი!!—დიდხანს იზეპირებდა ჯაჯუ ახალ სიტყვებს, მაგრამ მოხუცმა დაარიგა, რომ ამ სიტყვების გახმაურება არ შეიძლებოდა, რომ ამისათვის დასჯიდნენ ჟანდარმები.

გემი მიცურავდა. ჯერ კიდევ შორს იყო ნაპირი.

ჯაჯუს ახალ-ახალი ფიქრები უტრიალებდა თავში.

თბილი საღამო იყო, მგზავრები გემიდან ამოდიოდნენ, ახალამოსულ მთვარეს უცქეროდნენ, თავისუფლად სუნთქავდნენ და მასლაათობდნენ.

* * *

რამდენიმე წელმა განვლო.

ფეფიკოს ქოხი ჩამოლპა, მესერშემორღვეულ ეზოს ღორები ჩიჩქნიდნენ და ჭენჭყოში ბატები ყიყინებდნენ. აღარავის აინტერესებდა ამ ოჯახზე საუბარი.

მხოლოდ ქვრივი ციბული თუ მოიგონებდა ათასში ერთხელ ბესიასთან და ძიბასთან შეზრდილ ჯაჯუს.

ასე მიდიოდა დრო.

პოლიციელები წუნკალ ძაღლებივით დათარეშობდნენ, ცხრაას ხუთი წლის მოძრაობის მონაწილეებს იქერდნენ და ქუთაისის საგუბერნიო ციხეში აგზავნიდნენ.

ქალაქს ვაჭრები, მღვდლები და მოხელეები მეთაურობდნენ, ხალხი თავ-ჩაქინდრული დადიოდა. სიმართლის თქმას ვერავინ ბედავდა.

მხოლოდ ნავსადგურისა და ხე-ტყის ქარხნის მუშებში ისევ ღვიოდა რევოლუციის ნაპერწკალი.

მუშები ელოდნენ მეფის ტახტის დანგრევას. კითხულობდნენ გაზეთებს, დეპეშებს და თვალყურს ადევნებდნენ პირველი ომის ამბებს. მოლოდინი ახდა, ტახტიდან ჩამოაგდეს ნიკოლოზ მეორე, მეფის ბატონობას ბოლო მოეღო. დღემდე თავჩაქინდრული ხალხი აგუგუნდა, ახმაურდა. ზღვის აგორებულ ტალღებს დაემსგავსა ჩვენი პატარა ქალაქი ფოთი.

საჩქაროდ შედგა რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც გადააყენა მთავრობის გენერლები, პოლიციის მოხელეები და ყველა ძველი მეთაური.

დაატყვევეს ჯაშუშები, შეიარაღდა მებრძოლი რაზმი.

მაგრამ ქალაქის ერთფეროვანი ცხოვრება არაფრით არ შეცვლილა. მხოლოდ ხალხის ერიამული არღვევდა ნესტიან ჰაერს და სიცილის ნიაღვარი მზიურ კისკასით ეფინებოდა შავი ზღვის ნაპირებს.

ამ პატარა პროვინციის მცხოვრებთ ვერ შეეგნოთ, რომ რევოლუცია ჯერ კიდევ დიდ ბრძოლებს მოითხოვდა...

ქვრივი ციბულის ბესია მენშევიკების კომიტეტში იჯდა და მშვიდად ასრულებდა პარტიის წვრილმან დავალებებს.

* * *

საღამო ხანი იყო.

მზე თანდათან ტოვებდა ცის ჰორიზონტს და უცხო მხარეს სთავაზობდა საგანთიადო სხივებს.

ქალაქი ღამის ბინდბუნდში ეხვეოდა, ქუჩებში გაბნეული ფარნები საცოდავად ბეუტავდა.

ზაფხულის შეხუთული ჰაერი მძიმედ აწვებოდა ზღვის პირის დაბლობს.

აო იძვროდა ბორიო. ხალხი ოფლში იწურებოდა.

ღია ფანჯარასთან იჯდა ბესია და ადგილობრივ წვრილმან საქმეებზე ფიქრობდა. სამუშაო მაგიდაზე დაწეული ლამპა ოდნავ კრთოდა. სინათლეს აუარებელი კოღო ეხვეოდა, გულის შემზარავად ირეოდა და ბესიას სასტიკ ომს უცხადებდა.

შორიდან ისმოდა ზვირთების ნელი შრიალი.

— ნიკოლოზი ხომ ჩამოვაგდეთ, სხვა რაღა გვინდა? შინაურ საქმეებს მოვაწყობთ, ყველა ძმები ვართ.

ასე ლაპარაკობდნენ ხალხის ახალი მესვეურები, რომელნიც მაშინ განაგებდნენ ქალაქს.

„რუსეთში ყველაფერი ძველი ინგრევა,—ფიქრობდა ბესია,—საქართველოში არაფერი შეცვლილა, რევოლუციური კომიტეტის წევრი ვარ მეც, საბახტარაშვილიც და ჟვანიაც... როდის ვიბრძოდით ერთად? რა გვაქვს საერთო ვაჭარს, ხე-ტყის მწარმოებელს და მუშას?

ამას წინათ საკითხი იყო დასმული ღარიბთა უბანში ქუჩების გაშრობის შესახებ.

საბახტარაშვილი და ჟვანია თავგამოდებით ლაპარაკობდნენ, უსათუოდ საჭიროა გავაშროთ ღარიბთა უბანიო, მაგრამ როცა გიორგიმ თქვა, ქალაქს თანხა არა აქვს და საკუთარი წარმოებიდან გაიღეთ ცოტა ხარჯებიო, ისინი შეშფოთდნენ: სად გაგონილა ამისთანა ამბავიო!“

ყველაფერი ნათლად გაიშალა ბესიას თვალწინ: კაპარჭინაზე გავლებული ჯებირები, იქვე დადგმული ხერხის ქარხნები, ციებით ჩაყვითლებული ქარხნის მუშები, ტომრებით ნაფოტებწამოკიდებული მუშების ცოლ-შვილი, და იქვე საბახტარაშვილის ორსართულიანი ქვის სახლი, სადაც უზრუნველ და ლაღ ცხოვრებას მოეკალათებინა.

აქ კი, ბაზრის თავში, ჟვანიების სავაჭროები.

ღღეს ისინი ამხანაგს ეძახდნენ ბესიას! განახლებული ქალაქის თვითმმართველობაში მუშაობდნენ...

„მოდი და ნუ გაგეცინება,—ფიქრობდა ბესია,—როდის იყვნენ ესენი ჩვენი ამხანაგები? რა რევოლუციაა ეს? რას მოუტანს ამისთანა რევოლუცია ხალხს? თითქოს ყველა სოციალისტია... მამა გიცხონდათ!..“—ბრაზით წამოიძახა ბესიამ. ცხვირზე დამჯდარი კოღო მოიცილა და ლამპას აუწია.

მენშევიკების კომიტეტში ამ საღამოს მის შეტი არავინ იყო.

კარი გაიღო და ბესიას წინ მოულოდნელად გამოიჭიმა ახალგაზრდა კაპიტანი.

„მეფის მოხელეები თუ შემოგვესიენ,“—გაუელვა ბესიას აზრმა, მაგრამ წამსვე გაუქრა უეცარი ეჭვი; უცხო სტუმარი მშვიდად იღიმებოდა და სიხარულით აღგზნებული თვალებით ჩასცქეროდა ბესიას.

— რისთვის გარჯილხართ?—მცირე პაუზის შემდეგ ჰკითხა ბესიამ.

— მე ორი თვეა ზღვაზე ვებრძოდი თეთრებს. წინ გზა გადამიჭრეს და გემი საქართველოსაკენ შემოვაბრუნე, ერთი დღით ჩემი ქალაქის ნავსადგურში. დიდი ხანია, ძალიან დიდი, ბავშვობის აქეთ აღარ ვყოფილვარ აქ, მენატრება, მინდა დავათვალიერო ყოველი კუთხე, კუნჭული. აქ ვარ დაბადებული. დედაც აქვეა დასაფლავებული... ჩემი ქოხიც...

ბესია შეკრთა, გული აუჩუყდა, სტუმარში მონათესავე ადამიანი იცნო. სიმშვიდე მოიკრიბა და სტუმარს ჰკითხა:

— თქვენი გვარი?

— ფეფიკოს ბიეს მეძახოდნენ მეზობლები, მახსოვს ბესია, ძიბა...—ველარ მოასწრო სტუმარმა წინადადების დამთავრება.

— ჯაჯუ, ძმაო!—შეჰყვირა ბესიამ და ბავშვობის ორი მეგობარი, 15 წლის შემდეგ, ისევ ბავშვური გატაცებით გადაეხვივნენ. ჰკოცნიდნენ, ანჯღრევდნენ ერთმანეთს და ბავშვებივით ქვითინებდნენ. დამშვიდების შემდეგ მოიგონეს თავიანთი ბავშვობა და ძველი ამბები.

— მაშ, ძიბა არ გათხოვილა, ციბული ცოცხალია?—იმეორებდა ჯაჯუ. მოაგონდა მას დედის დასაფლავება, წარსული მწუხარება.

საუბარი შეუმჩნევლად საერთო საქმეებზე გადავიდა. ჯაჯუ ბესიას რუსეთის ამბებს მოუყვა, თვალწინ გადაუშალა დენიკინელებთან ბრძოლის ეპიზოდები. მერე სევასტოპოლის მეზღვაურებზეც უამბო.

— ბიეს! ვაჟკაცებიც თქვენ ყოფილხართ!—გაკვირვებით ამბობდა ბესია.

— საქართველოში რევოლუცია ჯერ არ დაწყებულა,— დინჯად თქვა ჯაჯუმ,—აქ მხოლოდ მზადებაა რევოლუციისათვის. ბესია, ჩემო ძმაო, ჩვენ უნდა დაეხმაროთ რუსეთს თეთრებთან ბრძოლაში. შენ, მე და მილიონობით ჩვენისთანები—ძმები ვართ, რა გვაქვს ჩვენ საერთო ნაციონალისტებთან, კერძო მესაკუთრეებთან, ვაჭრებთან და მწარმოებლებთან?

ბესია ყურს უგდებდა ჯაჯუს ლაპარაკს და გულს ხვდებოდა ჯაჯუს სიტყვები.

— ვფიქრობ ამაზე... დღეს, ხვალ... ვიმსჯელოთ კიდევ... ვნახოთ, იქნებ შენ დარჩე ჩვენთან,—იხუმრა ბესიამ,—ახლა წავიდეთ შინ. დედაჩემი გადაირევა შენს დანახვაზე. ბიეო, ბავშვობის თვალები შეგრჩენია მხოლოდ, აბა ვნახოთ, თუ გიცნოს დედაჩემმა. აბა წავიდეთ! შენი ქოხი კი დიდი ხანია ჩამოლპა, ჯაჯუ, გული არ გეტკინოს, ძმაო!

ჯაჯუმ გაიღიმა და ხელი ჩაიქნია.

— ახლა უფრო დიდი საკითხები გვაქვს გადასაწყვეტი, ბესია, ქოხზე ფიქრისათვის არ გვცალია.

ციბული თვალებს არ უჯეროდა.

— ნანა, შენი ჭირიმე... ჯაჯუ რავა იქნება ამხელა ვაჟკაცი! ნუ მატყუებთ!

არ იქნა ციბულის დაჯერება, სანამ თავიდან ფრჩხილებამდე არ შეავლო ხელი, არ გასინჯა... სანამ არ მოიგონა, როგორი თმა ჰქონდა, როგორი თვალები, ხელები.

— ნანა, შენი ჭირიმე,—აღარ ათავებდა ციბული ქვითინს. ძიბა დატრიალდა. ვახშამი შეამზადა. ისხდნენ ღარიბულ ქოხში გაშლილ თეთრ სუფრასთან, ვახშმობდნენ, ხუმრობდნენ და იცინოდნენ.

ძიბა უკვე დაქალებულიყო, კუნაპეტივით შავი თვალები დინჯად გამოიყურებოდნენ ხშირი წამწამებიდან. გიშრისფრად მბზინავი კულულები გრძელი საყურეებივით ჩამოშლოდა თეთრ, ციებისაგან ჩაყვითლებულ ღაწვებზე, ჭაობის ციებისაგან ხელის თითებიც კი დაგრძელებოდა ძიბას.

სახესაც დამჩნეოდა მალარიის შხამი.

ხუტუ და სეფეც ჩაყვითლებული თვალებით იცქირებოდნენ. ესენიც ჯაჯუს მეზობლები იყვნენ.

მხოლოდ ჯაჯუ იჯდა სპილენძისფრად გატრუსული ამ ფერმკრთალ ხალხში და მის ძარღვებში ჯანსაღი სისხლი დუღდა.

ძიბას ახარებდა ახალგაცნობილი სტუმრის თამამი და მეგობრული განწყობილება. მას ბავშვობის ჯაჯუ სრულიად არ ახსოვდა.

ციბულის ჯაჯუს დედა, ფეფიკო აგონდებოდა.

— ვაი, შენს დედას, ნანა!!—უნებლიეთ ამბობდა ის.

მთელი ღამე არ დაუძინიათ ბესიას და ჯაჯუს. მილულავდნენ თუ არა თვალს, ისევ გამოფხიზლდებოდნენ და განაგრძობდნენ შეწყვეტილ საუბარს.

— ჰო, იმას ვამბობდით. რით შეიცვალა ხე-ტყის წარმოების მუშების მდგომარეობა? არაფრით. წარმოება ისევ საბახტარაშვილის ხელშია, მუშები იმავე მდგომარეობაში არიან, როგორშიაც იყვნენ წარსულ წლებში. მოგება კერძო მესაკუთრის ჯიბეში გროვდება. მითხარი, ბესია, რა მოუტანა მუშებს რევოლუციამ? ასეთია პალიასტომის ტბაზე მომუშავე მეთევზეების მდგომარეობაც: მოგება მოიჯარადრეს მიაქვს, მუშები კი წელამდე წყალში ცურავენ და ციებით იხრჩობიან. რით შეიცვალა მათი მდგომარეობა? აბა... მითხარი, ძმაო!

ბესია უსმენდა ჯაჯუს და ვერ მოეძებნა საწინააღმდეგო სიტყვა.

— აბა, ამხანაგებო! ერთხელ მაინც გავისეირნოთ პალიასტომზე,—უთხრა ჯაჯუმ მეორე დღეს ბესიას და ძიბას,—ვინ იცის, ცოცხალი დავბრუნდები თუ არა ბრძოლიდან.

ძიბა გამოცოცხლდა. საჩქაროდ მოემზადა, თეთრი კაბა ჩაიცვა და ჩალისფერი შარფი კისერზე მოიხვია.

რამდენიმე წუთის შემდეგ ბესია, ჯაჯუ და ძიბა სარკესავით მოკრიალებულ პალიასტომზე მიცურავდნენ.

მზე ჩასულიყო.

უზარმაზარ ქოლგასავით გაშლილ ლურჯ ჰორიზონტზე მკრთალი ვარსკვლავები ციმციმებდნენ, დღის სინათლე ჯერ კიდევ საცვლებით არ ჩამქრალიყო.

გურიის მთებიდან პირთეთრი მთვარე ამოგორდა, სალამოს ნიავი მსუბუქად შლიდა ძიბას მბზინავ კულულებს და ჩალისფერი შარფის გრძელ ყურებს მიაფრიალებდა.

სამივე მეგობარს ხმა გაეკმინდა, თითქოს მათი გრძნობები ბუნების სილაღეს და სილამაზეს შესტკბოდა.

შეცურეს შორს, მიუახლოვდნენ მეორე ნაპირს, სადაც ხმელი ლაქაშები ყვითლად შრიალებდა. ყველა საკუთარ ფიქრში გართულიყო.

ბესიას აგონდებოდა პალიასტომზე დაშლილი ტივი. მისი წარმოდგენით,

ნინოშვილის ივანე და ნიკო გაცოცხლებულიყვნენ და პალიასტომის ტალღებს ებრძოდნენ.

ჯაჯუ გაჰყურებდა სივრცეს და ფიქრობდა ტბის ყელის გაღრმავებაზე, რიონის კაპარჭინასთან შეერთებაზე და პალიასტომში ხომალდების შემოსვლაზე.

როცა ნავი ლაქაშებს მიუახლოვდა, ბესია გამოფხიზლდა, წუმწუმა გააანათა, უბიდან გაზეთი ამოიღო, წაუკიდა და ნაპირზე გადააგდო.

ზენა ქარით გამხპარ ლაქაშებს ხელად მოედო ცეცხლი. ალი აბრიალდა, ფერფლი აფარფატდა და ჰაერში გაიფანტა.

— ჰა, ჯაჯუ, დიდი ხანია არ გინახავს პალიასტომის ტბაზე ცეცხლი.

ჯაჯუმ ნავი უკან შემოაბრუნა და გაბრწყინებული თვალებით ჩააშტერდა პალიასტომის ტბაზე გაჩენილ ცეცხლს.

* * *

ჯაჯუ ჩქარა დაბრუნდა ციბულისთან გამოსათხოვებლად.

ციბულის გული დაწყდა.

— ერთი შენი ამბავი მაინც გეთქვა, ნანა,—უსაყვედურა ციბულიმ ჯაჯუს.

ჯაჯუს, მართლაც, ბევრი რამ დარჩა უთქმელი, რომელიც ყველაზე ძალიან ციბულის აინტერესებდა: მისი ფოთიდან გაპარვის ამბავი, მერე სად იზრდებოდა და როგორ გახდა მეზღვაური.

ჯაჯუ დაჰპირდა ციბულის, ჩქარა დავბრუნდები რუსეთიდან და მაშინ ყველაფერს დაწვრილებით გეტყვიო.

ძიბამ და ბესიამ ჯაჯუ ნავსადგურში გააცილეს.

გრილი ღამე იყო, ხალხი ბაქანზე ირეოდა.

მთვარის სხივებით გაბრწყინებული ზვირთები მარგალიტივით იბნეოდა ნაპირზე და შარიშურით არღვევდა მძიმე მყუდროებას.

მოსეირნე ხალხი უცხო გემს შორიდან ათვალიერებდა. რომანოვების გვარეულობის წარწერა ჯერ კიდევ შერჩენოდა.

ჯაჯუმ ნავსადგურის უფროსს აცნობა გემის გასვლის შესახებ.

— ახლა კი, მშვიდობით, ძმაო ბესია!—ჯაჯუმ გულწრფელად გადაკოცნა ბესია,—აბა შენ იცი, როგორ იბრძოლებ, იცოდე, სიმართლე გაიმარჯვებს!

— უსათუოდ, ჯაჯუ, უსათუოდ!—მეგობრულად დაუდასტურა ბესიამ.

ჯაჯუ გამოეთხოვა მეგობრებს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ხალხი ბაქნიდან გაჰყურებდა ჯაჯუს გემს, რომელიც ფრთებშესხმული მიფრინავდა ჩრდილოეთისაკენ. გემზე ამაყად ფრიალებდა წითელი დროშა.

დედის საფლავი

როდესაც ეკლესიის გალავანში შეეედით, ღამდებოდა. მზის სხივი ძლივს აშუქებდა მთის მწვერვალებს. მყუდროებით მოცული სასაფლაო იმქვეყნიურ ცხოვრებას გვაგონებდა. ის იყო ნაბიჯი გადავდგით, ჩემმა მეგობარმა მაგრად ჩამავლო მკლავში ხელი და თქვა:

— იცი, დაიკო?! მე მაშინ ძლიერ პატარა ვიყავი, მე ვიცნობდი დედას, მე მხოლოდ ის მყვარდა. არ ვიცოდი რა იყო სიძულვილი, ან რად უნდა სძულებოდათ ადამიანებს ერთმანეთი.

ერთხელ დედამ სააგარაკოდ წამიყვანა სურამში. გრილი, სასიამოვნო საღამო იყო. მზე ნაღვლიანად ეფინებოდა სურამის ციხის ნანგრევებს; ნიავი წყნარად შრიალებდა და საამურად არხევდა ხის ტოტებს და ბუჩქებს.

ჩვენ ვისხედით მწვანით დაფენილ გორაზე, საიდანაც პირდაპირ გავყურებდით გაღმა მხარეზე მდებარე ციხის ნანგრევებს. მე კი მეგონა, რომ იქ სახლს აშენებდნენ და დედას ვკითხე, თუ ვის უნდა ეცხოვრა ისეთ დიდ სახლში. დედამ ჩემკენ მოიხედა, მე შევკრთი: არასოდეს არ მენახა დედის სახე ასე დაღვრემილი. ლამაზი, მსხვილი ცისფერი თვალები ცრემლით ავსებოდა. თითქოს ღიღინებდა რაღაცას, მაგრამ ის ღიღინი მოთქმას უფრო ჰგავდა. მე ვუცქეროდი და სიტყვას ვერ ვახერხებდი. ამ მდგომარეობაში რომ ვიყავი, დედამ მომხვია ხელი, მუხლზე დამისვა და ალგრსით მითხრა:

— იქ, შვილო, სახლს როდი აშენებენ, იქ ძველი ციხის ნანგრევებია. მე ახლავე წაგიკითხავ ერთ პატარა მოთხრობას, სადაც აღწერილია იმ ციხის ამბავი.

მან გამოიტანა სახლიდან დანიელ ჭონქაძის წიგნი—„სურამის ციხე“ და წამიკითხა. თანაც მიხსნიდა ყოველ წინადადებას და მესაუბრებოდა ბატონყმობის დროინდელი ცხოვრების ამბებს. მე გაოცებული ვუსმენდი დედას. მისი სიტ-

ყვები შიშს მგვრიდა. როდესაც საუბარი დაასრულა, დედამ მაკოცა და გრძნობით ჩამიკრა გულში.

— ჩემო ბიჭიკო, ჩემო კარგო, შენ ხომ ვეშმარიტი სიმართლის მაძიებელი კაცი იქნები? შენ ხომ ასახელებ შენს მშობლიურ მხარეს? — მეკითხებოდა დედა და ისე მომჩერებოდა, თითქოს ჩემს თვალებში უნდოდა ამოეკითხა პასუხი.

მე მხოლოდ პირველად მივხვდი, თუ როგორი იყო სიძულვილის გრძნობა ძალმომრეობის წინააღმდეგ.

მას აქეთ გავიდა ოცი წელი და ბედმა პირველად მარგუნა დღეს დედის საფლავის ხილვა.

აქ შეწყვიტა საუბარი ჩემმა მეგობარმა და თავდახრილი დაეშვა დედის საფლავზე.

— ფაქიზია დედის სიყვარული და მტკიცეა დედის სიტყვა... — ჩურჩულებდა ის და ცრემლები გადმოსდიოდა.

ეკლესიის გალავანში კვლავ მყუდროება სუფევდა.

ბუნების ბალში

(ესკიზი)

დედამიწა ჯერ კიდევ ძილით იყო მოცული, როცა აღმოსავლეთის კარი შემოქმედის უხილავმა ხელმა შეარხია, ქვეყანას შავი მანდილი შემოაძრო და ცის უხილავ სამრეკლოზე ცისკრის ზარი აამღერა.

ბუნება შეკრთა...

განთიადის სიცილმა თეთრი კალთა გაშალა; მას უკან მოსდევდა სიცოცხლის მზე, მზე, რომელსაც თან მოჰქონდა სიამე და სიხარული.

— მადლობა გამჩენს!..—წაიჩურჩულა ბუჩქის ძირას განაბულმა იამ და სატრფიალოდ გაღეღილი გული მზეს მიუშვირა.

— ससससს...—ნელი რხევით დაჰქროლა მთაზე ნიავმა, ატოკდა ბუნება: სიცოცხლის ძალა იგრძნო. ტყე ახმაურდა, ფოთლები აშრიალდნენ, ტოროლა წკრიალ-წკრიალით შესრიალდა აკამკამებულ ლაჟვარდ სივრცეში.

მორაკრაკებს მთის ანკარა წყარო, კლდის ყვავილებს გულში იხუტებს და მიქრის, მიქრის გამალებული, ზვირთზე ზვირთს მიათამაშებს.

— მოიცა, დადექ, სად მიეჩქარები?!—მოსძახიან ჭალები.

— რისთვის დავდგე, უფერული უძრაობა გულს დამიხავსებს... მე მინდა სულ წინ მივქროდე, – გაჯავრებით წაიბუტბუტა ანკარამ და უფრო მძლავრად გააქანა ტალღები.

ყვავილები მორცხვად შეირხნენ და შურის თვალით გადახედეს მჩქეფარე ზვირთებს.

— ბედნიერი ხართ!..—ერთხმად წარმოთქვეს ყვავილებმა.

— აბა რაა თქვენი ყოფა: სადაც დაბადებულხართ, იქვე უნდა მოკვდეთ. არ შეგიძლიათ იმოგზაუროთ, არ შეგიძლიათ იხილოთ დიადი ქვეყნის

სხვადასხვა კუთხე. კიდევ კარგი, რომ დიდხანს არ ცოცხლობთ, თორემ მაგ თქვენს სურნელოვან გულში ჭია-ღუა დაიბუდებდა; მაგ თქვენს ცისფერ, მინაბულ თვალებში სიფაქიზის ნაცვლად სიბინძურე მოიკალათებდა,—თქვა ანკარამ და სწრაფად გაშალა მკერდი, სადაც მზის სახე გამოხატულიყო.

ყვავილები ატირდნენ...—ჩვენი სიცოცხლე ხანმოკლეა...—წასჩურჩულეს ერთმანეთს.

— უძრავი... მოწყენილი... ერთ ადგილას მიჯაჭული... ანკარას რა უშავს მის გულში მზეც ბრწყინავს და მთვარეც. შეუძლია სულ წინ ირბინოს, სულ ილივლივოს და იმგზავროს. აახმაუროს მდუმარე ჭალები, კლდეები და ველ-მინდვრები, გადალახოს მთელი ხმელეთი და ყველგან იმღეროს თავისუფლების სანეტარო სიმღერები.

ჩვენც ვიცით თავისუფლებაზე ზღაპრები, მაგრამ ვის ვუამბოთ? ფრენა ჩვენ არ შეგვიძლია და სირბილი. ჩვენთან თუ ვინმე მოვა, არც კი დაგვაცლის სულის ამოთქმას, მოგვწყვეტს... და ჩვენი სიცოცხლეც იქ თავდება.

ისევ ატირდნენ ყვავილები და ცრემლიანი თვალები მზეს მიაპყრეს, თითქოს განთიადში ეძიებდნენ მარადისობას...

მზე მაღლა-მაღლა აიწია და თმახუჭუჭ ბაღს მოანათა მოელვარე სხივები.

პატარა იამ სიამოვნებით გაიღიმა.

— არა!.. მზე რომ არ იყოს, ჩვენი სიცოცხლე ერთ ჩირადაც არ ეღირებოდა. ნახე, როგორ ბრწყინავს, როგორ ციმციმებს.

— სსს... საბრალო, შენც მზისაკენ მიისწრაფვი!?—დამცინავი ღიმილით შეუტია სიომ.

— მე მზე მიყვარს!..

— ხა, ხა, ხა!.. მიწას არ ასცილებიხარ და შენ ვინ მოგცა ამოდენა ჭკუა, რომ მზე შეიყვარო?

— მზეს სინათლე მოაქვს და სინათლეს თავისუფლება. მე თავისუფლებაზე ზღაპარიც ვიცი.

— სტყუი. აბა შენ ვინ გეტყოდა მზის ზღაპარს?!

— ყური მოვკარი, განთიადზე ბულბული ვარდს უგალობდა. ვიშ, რა კარგი ყოფილა მზის მოტანილი თავისუფლება, როდესაც ის მოეფინება დედამიწას, სიყვარული და სათნოება გამეფდება, ადამიანები სათნოებით აღივსებიან და ხელს აღარ მახლებენ.

— ნუ სულელობ, ტყუილია შენი ოცნება!..

ია შიშისგან მოიკრუნჩხა და თვალები დახუჭა, ბუნდოვანმა ფიქრებმა გაიტაცა.

— იას სიცოცხლე და თავისუფლება უნდოდა, მაგრამ...

დასავლეთისაკენ გადახრილი მზე ნაღვლიანად ესალმებოდა მთების მწვერვალებს, როდესაც ია გამოერკვა ფიქრებისაგან, თვალი გაახილა, მიმოიხედა

— ყველაფერი სიზმარია!..—მწუხარედ წარმოთქვა.

— მართალია, მართალი. აგერ მზე ჩადის, ქვეყანას ლამის წყვდიადი ეფინება. ვინ იცის, დილას ვიხილავთ თუ არა...—ამოიკვნესა ვარდმა.

ცას ლამის ბინდბუნდი გადაეფარა. ყვავილებმა მოღლილი თვალები ეხუჭეს და მწუხარედ ჩაჰკიდეს თავი.

მხოლოდ არ დაცხრა მთის ანკარა წყარო. ის თითქოს დასცინოდა მომაკვდავთა კვნესას. ჩხრიალით მიქროდა. სიცოცხლის ძალით აღგზნებული და მორაკრაკე ზვირთებში მკაფიოდ გაისმოდა: წინსვლა, ბრძოლა და თავისუფლება!

პატარა მეგობრები

მთელი დღე მოგზაურობით მოქანცული ციცინო ძლივსღა მიაბიჯებდა პაწაწინა ფეხებს და ფიქრებში გართული მიბუტბუტებდა:—არ ვიცი... ვერ მივმხვდარვარ, იქ მხეცების მეშინოდა, აქ კი ადამიანების... ასე მგონია, ყველანი ჩვენ მოგვდევენ... სინათლისაც მეშინია. აბა ერთი შეხედე, როგორ გამოიყურებიან; თითქოს ჩვენ გვიდარაჯებენ. რომ ბნელოდეს, ძამიკო, ხომ უკეთესი იქნებოდა? სადმე ერთ კუნჭულში მოვკალათდებოდით და არავინ შეგვნიშნავდა.

კოტიკოს თითქოს არ ესმოდა დის ლაპარაკი. ფიქრისაგან გარინდებული უხმოდ მიდიოდა ქვაფენილზე. მთელი ქალაქი უდაბნოდ ეჩვენებოდა. არც ერთი ნაცნობი სახე, არც ერთი ნაცნობი ხმა... ხალხი კი ბლომად ირეოდა მის გარშემო. ყველა გარბოდა, ყველას სადღაც მიეჩქარებოდა. ახალმოსულებს არავინ ამჩნევდა: არც ეკითხებოდნენ რასმეს და არც სახლისაკენ ეპატიჟებოდნენ, თუმცა ღამდებოდა და ვახშმობის დრო დგებოდა.

— ეს უზარმაზარი სახლები... ამდენი მაღაზიები...—ჩურჩულებდა კოტიკო თავისთვის.

— ამდენი ხალხი, ამდენი ეტლები... ოჰ, ღმერთო, დავიღალე! დავსხდეთ სადმე, ძამიკო: მუხლები მეკეცება,—ტირილის კილოთი განაგრძო ციცინომ.

— ახლავე, დაიკო, ახლავე, ცოტა კიდევ ვიაროთ: იქნებ ვინმე ნაცნობს გადავეყაროთ. ჩვენი სოფლიდანაც ბევრნი არიან თურმე აქ. გაჰიგონია, ქუთაისში ღარიბების სადგომი არისო. ეგებ წავაწყდეთ სადმე ასეთ სადგომს. თვალი ადევნე, დაიკო. ღარიბების სადგომი უთუოდ ძველი შენობა იქნება,—ჩამონგრეული, ჩაბნელებული, ქუჩა ტალახიანი. ვიცქიროთ ყველა მხარეს, თუ ასეთი სახლი შევნიშნოთ სადმე, ჩვენც იქ შევიდეთ.

— კარგი, ძამიკო, შენ იქით იცქირე, მე კი აქეთ.

მიდიოდნენ ბავშვები ქვაფენილზე და გაფაციცებით გასცქეროდნენ ყო-

ველ მხარეს, მაგრამ ამაოდ. მათ თვალწინ ერთი და იგივე სურათი იშლებოდა: გაჩირაღდნებული სახლები და მაღაზიების ბრჭყვიალა ვიტრინები.

ისინი მიდიოდნენ სწრაფი ნაბიჯით. უკან არ იხედებოდნენ. შემოდგომის ქარი სისინებდა და აქა-იქ ისარივით ვარდებოდა წვრილი წვიმის წვეთები. სციოდათ ბავშვებს. შიმშილისაგან მიბნედილ თვალებში თანდათან ეკარგებოდათ სინათლე. მხოლოდ ერთადერთი იმედი ჰქონდათ: აი, ახლა გამოჩნდება ისეთი სახლი, სადაც გაგვიღებენ კარებს და მიგვიღებენო.

ამ ფიქრებში გართულნი თანდათან შორდებოდნენ ქალაქის ნათელ ქუჩებს და აი, მათი სანატრელი ტალახიანი ქუჩაც!—უთუოდ აქ იქნება, ძამიკო!—სიხარულით წამოიძახა ციცინომ და მარდად ჩადგა წუმპეში ფეხები. ერთ წუთსაც არ დაფიქრებულა იმაზე, რომ ფეხები გაეწმინდა, თითქოს თავის სახლში მიდიოდნენ, სადაც მათ გაასუფთავებდნენ და მოასვენებდნენ.

ციცინომ შვილივით ისკუპა და აღტაცებით მიადგა ერთს ნახევრად დანგრეულ ჭიშკარს, მაგრამ ერთბაშად შეკრთა, მუხლები აუკანკალდა და უკან გამობრუნდა. „ამ!.. ამ!.. ამ!..“—მოესმა ქოფაკი ძაღლების ღრიალი, მათ ხმას მეზობლის ძაღლებიც აჰყვნენ და ირგვლივ მოისმა ყეფა. კოტიკო აჩრდილივით იდგა შუა ქუჩაზე და გაჰყურებდა ყოველ მხარეს: არ იცოდა რომელ სახლს მიდგომოდა, ან რომელი სახლი უნდა ყოფილიყო მათ შორის ღარიბების სადგომი, რომელზედაც ფიქრი, სოფლიდან წამოსვლის შემდეგ განუწყვეტლად უტრიალებდა თავში.

გაგონილი ამბავი იმის შესახებ, რომ ქუთაისში არსებობს ღარიბების თავშესაფარიო, რაღაც საოცნებო სურათად ეხატებოდა კოტიკოს. იგი იდგა და ათვალიერებდა სახლებს. ციცინო დაჟინებით ეეედრებოდა:—ძამიკო, შევიდეთ... იქ შევიდეთ! ძაღლების მეშინია, მეშინია...—ქვითინებდა გოგონა და დაჟინებით უთითებდა ერთ პატარა დაბალ ქოხზე, რომლის ჭუჭრუტანებიდან ნათლად მოჩანდა ბუხარში ანთებული ცეცხლი.

— ჰა, რა ვქნა, შევიდეთ!—მღელვარე ხმით წამოიძახა კოტიკომ.

ბავშვები მიადგნენ ქოხის კარებს. მათ კარებში გამოეგებათ მოხუცი სტეფანე, რომელსაც მთელი ქალაქი იცნობდა მოქნილი ენითა და წაწყვეტილი ფეხით.

— მობრძანდით, გეთაყვა, მობრძანდით. საიდან მოფრენილხართ, პატარა მტრედებო, სადაურები ხართ?—კარებში ფეხის შედგმისთანავე დაუწყო სტეფანემ გამოკითხვა ბავშვებს და რაღაც სიამოვნებით მორთო ხარხარი. ახალმოსულებმა მორცხვად დაუწყეს ქოხს თვალიერება. ერთ კუთხეში ვიღაც დედაკაცი იწვა ძონძეულის ლოგინზე და ძაღზე ხვრინავდა. მეორე კუთხეში ღრმა მოხუცი ჩამომჯდარიყო და ჩიბუხით თუთუნს აბოლებდა. ცეცხლის პირას თავი მოეყარათ პატარა გოგო-ბიჭებს და ხითხითებდნენ, თანაც იკვეხნიდნენ, რომელმა მეტი ვიშოვეთ დღესაო. სტუმარი ბავშვები რომ დაინახეს,

მორთეს ჩურჩული და ცნობისმოყვარეობით დაუწყეს ცქერა. სტეფანემ ცეცხლს შეუკეთა და უბრძანა ბავშვებს დაწოლილიყვნენ თავიანთ ლოგინებში.

ბავშვებმა დაუყოვნებლივ აასრულეს სტეფანეს ბრძანება.

ცეცხლის პირას დარჩნენ სტუმრები და მათ შორის კიდევ ერთი ბავშვი—თიგრი. თიგრი შორიდან გადმოხვეწილი ობოლი იყო. მას არ ჰქონდა ქვეშაგები, მხოლოდ ძველი ფარაჯის ნაგლეჯს აგებდა ცეცხლის პირას და ზედ წვებოდა. თან ნაღვლიანად ღიღინებდა და თვალს არ აშორებდა ბუხრის სიღრმეში ოდნავ მოელვარე ცეცხლს, სანამ ის სრულიად არ ჩაქრებოდა. სტეფანემ თიგრი მას მეტსახელად დაარქვა, რადგან ის მეტად მოუსვენარი ბავშვი იყო. თიგრის ღრმა გრძნობით სავსე შავი თვალებიდან ნათლად მოჩანდა უკმაყოფილება. ისეთი წყრომით მისჩერებოდა ის ადამიანს, თითქოს ეუბნებოდა:—მეც ადამიანის შვილი ვარ, მეც მსურს ყველა ის, რაც აუცილებლად საჭიროა ყველა ადამიანისათვის: მომეცი... მომეცით...

თიგრი ახლაც ღრმა ფიქრით მოცული მისჩერებოდა სტუმარ ბავშვებს და სტეფანეს თითოეულ სიტყვას ტუჩების ცმაცუნით იმეორებდა: „სადაურები ხართ, დედ-მამა გყავთ, თუ არა,“ და სხვა.

— საწყალი ბავშვები!—თავისთვის ჩურჩულებდა სტეფანე,—მაშ ობლები ხართ? ნუ გეშინიათ!

თიგრმა ყურები აცქვიტა.

— ესენიც აქ იმათხოვრებენ?—ცნობისმოყვარეობით იკითხა მან, რომელიც ამ დროს ბუხრის ერთ მხარეს დაძონძილ ფარაჯაზე წამოწოლილიყო და თავი ფიცრის საჯდომზე დაეყრდნო.

— არა, არა, ჩვენ მათხოვრები არა ვართ!—ერთხმად წამოიძახეს ბავშვებმა.

კოტიკოს ერუანტელმა დაურბინა ტანში: მოაგონდა დღევანდელი დღის ხეტიალი და არ იცოდა ხვალ რა მოელოდა.

— ბარემ მეც არ მინდოდა მათხოვრობა,—ჩუმად წაიდუდუნა თიგრმა და ქერისკენ ააპყრო თვალები. ქოხში მყუდროება გამეფდა. სტეფანემ ფრთხილად შემოიძრო ფეხზე დახვეული ჩვრები და მკვდარივით გაიშხლართა ლოგინზე. თიგრი დიდხანს იცქირებოდა ზევით დაფიქრებული. შემდეგ დინჯად წამოსწია თავი, იდაყვზე დაეყრდნო და მტკიცედ წარმოთქვა:

— აღარ ვიმათხოვრებ... სიტყვას ვდებ, რომ აღარ ვიმათხოვრებ!

— განა შენ მათხოვრობ, ძამია?—შენიშნა კოტიკომ.

— ვაი სირცხვილო, მერე ამისთანა კაი ბიჭი,—დაუმატა ციცინომ.

თიგრი გაწითლდა, ხელები მოკრუნჩხა და გვერდზე გადაბრუნდა. ქოხში კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. ციცინო და კოტიკო ისხდნენ ბუხრის წინ. ციცინო თვლემდა. კოტიკოს განუწყვეტლად უტრიალებდა თავში მომავალი დღის ფიქრი, მაგრამ მომავალი დღე რას მოუტანდა ობლებს?

გაზაფხულის დილა იყო. ამომავალი მზე ჯერ კიდევ მწვერვალიდან დაჰ-

ყურებდა ქალაქ ქუთაისს. წყნარი ნიავი საამოდ არხევდა ყვავილნარს. მზე მაღლა-მაღლა იწევდა. მოწაფეები ერიამულით მიდიოდნენ ქუჩებში.

— გამარჯობა შენი, ამბანაგო, გამარჯობა! — ღიმილით შესძახა პატარა გოგონამ თიგრს, რომელიც ბრჭა მათხოვარს მიუძღოდა წინ. თიგრი შეკრთა, ასეთ ტკბილ სიტყვას არავისგან არ მოელოდა. ათრთოლებული შედგა, როდესაც წიგნებით ხელში პატარა ციკინო დაუდგა წინ.

თიგრი აირია, სახე წამოუწითლდა და თვალები გაუცეცხლდა. გზიდან გადადგა და მოულოდნელად გაუქცია ხელი ბრმა მათხოვარს. ბრმა წაბარბაცდა, ხელჯოხზე დაბჯენილმა ძლივს შეიკავა თავი.

— არ ვიმათხოვრებ, არა... წადი, იარე სადაც გინდა.

თიგრი გაიქცა. ნიავივით მიქროდა, ქუჩის ბოლოზე ძლივსღა მოჩანდა. ასე გაირბინა მან რამოდენიმე მოსახვევი. მდინარის პირას ჩავიდა და ღონემიხდილი ქვებზე დაეცა. თიგრი დიდხანს თრთოდა. თვალებს გიჟივით აბრიალებდა ყოველ ნხარეს, თითქოს ვილაცას დაეძებდა. გარშემო არავინ იყო. მხოლოდ მდინარე რიონი ჩვეულებრივად მოდუდუნებდა.

თიგრი დიდხანს იჯდა ჩაფიქრებული რიონის პირას. მდინარის დუდუნში მოსვენებაზე, სამუდამო დადუმებაზე ფიქრობდა. ქალაქი კი ეძახდა შრომამოძრაობისაკენ, მფეთქავ სიცოცხლისაკენ.

მაგრამ თიგრს ეძნელებოდა ქალაქში დაბრუნება, რადგან იქ ისევ მათხოვრობა ელოდა, ისევ წაიძღოლებდა წინ ბრმა. ეს მას არ შეეძლო იმიტომ, რომ ისევ შეხვდებოდა პატარა ციცინო და დასცინებდა: „ამისთანა კაი ბიჭი რატომ მათხოვრობო“. თიგრს ბავშვურმა თავმოწონებამ დასძლია და მდინარისაკენ გადაიხარა. კრიალა წყალში ნათლად დაინახა თავისი სახის ორეული: ლამაზი, მომსხო თვალები, ზომიერად მოკუმული ტუჩები, მაღალ შუბლზე გადმოყრილი ხუჭუჭი თმა, და გაიფიქრა: „მე რატომ უნდა ვიმათხოვრო, მახინჯი ხომ არა ვარ?“

თიგრმა ცრემლი მოიწმინდა და გაბრუებულმა, უაზროდ დაუწყო ცქერა არემარეს. ამ დროს შემოესმა ვილაცის ნელი ღიღინი:

წავალ მინდვრად, დავკრეფ ყვავილს,
იას ვნახავ მომღიმარეს,
და ზედ ვპოვებ სათუთ გრძნობის
მოცქრიალე ცრემლს მდუღარეს.

თიგრმა მოიხედა და დაინახა მისი ტოლი ქალი. მხარზე ცარიელი კოკა დაედგა და რიონს გასცქეროდა.

— ამომიღე, ძამია. ერთი კოკა წყალი!.. — ღიმილით სთხოვა პატარა ქალმა. თიგრმა სწრაფად წამოავლო კოკას ხელი, აავსო და ისევ შეუდგა მხარზე. კოკა მეტად მძიმე გამოდგა. გოგონამ ფეხი ვეღარ მოიცვალა. მოუბრუნდა თიგრს და ისევ გაუღიმა.

— ჩემო ძამია, მომეხმარე, წამაღებინე, ბინა მაინც აქეთ გექნება.

ამ ტკბილმა თხოვნამ სრულიად გადაავიწყა თიგრს მწარე ფიქრები და კოკით ხელში გაჰყვა პატარა ქალს.

ამრიგად თიგრი დაუბრუნდა ქალაქს.

კოტიკო ქარხანაში მუშაობდა. ბევრს ამუშავებდნენ, ცოტას კი აძლევდნენ.

პატარა მკითხველებო, თქვენ ალბათ გსურთ შეიტყოთ, როგორ მოხვდა ციცინო სკოლაში. ჰოდა, თუ გსურთ, ისიც გემახსოვრებათ, თუ სად გაათიეს მან და კოტიკომ პირველი ღამე ქალაქში.

მეორე დღეს სტეფანემ ტკბილად მიმართა მათ:

— ჩვენო პატარა სტუმრებო, ჩვენ ყველა მათხოვრები ვართ. ეს ქოხი კი ამ ბრმა კაცის არის. ეს ბრმა კაცი, მართალია, არავის ხედავს, მაგრამ ყველა უყვარს. თქვენც აგრე შეგიყვარებთ. ხან ერთი წაუძეხით წინ და ხან მეორე. სამაგიეროდ, საჭმელსაც გაჭმევთ და ღამესაც გაგათევინებთ. ერთმა თქვენგანმა ცალკე უნდა იმათხოვროს. ქვეყანაზე ბევრი კეთილი ადამიანია. მოგცემენ მოწყალებას. ჩვენ ყველანი მათხოვრობით ვცხოვრობთ.

ამ სიტყვებით გამოისტუმრა ბავშვები სტეფანემ.

კოტიკო დაფიქრებული უსმენდა სტეფანეს და გული ზიზღით ევსებოდა.

— რაო, ძმია, იმ უფეხო კაცმა რა გვითხრა:—იმათხოვრეთო?!. ჰმ.. რა უსირცხვილო ყოფილა!..

გულაჩუყებულმა ციცინომ უთხრა ძმას:

— მართლა ხომ არ ვიმათხოვრებთ, ძმია?

— არა, დაიკო, მათხოვრობა რა პატიოსნებაა: ჩვენ ხომ მახინჯები არა ვართ. საქმის გაკეთებაც შეგვიძლია. მართლა, ციცინო, შენ რა საქმე შეგიძლია გააკეთო?

— მე ყველაფერი: სახლს გამოვგვი, ჭურჭელს დავრეცხავ, ბავშვს ვათამაშებ, ეზოს დავგვი, ცეცხლს ავანთებ... ერთი სიტყვით—ყველაფერს გავაკეთებ, ყველაფერს... ოღონდ...

— ოღონდ რა?

— მათხოვრობა არ შემიძლია.

— ჰმ, მეც ყველაფრის გაკეთება შემიძლია...—ცოტა სიჩუმის შემდეგ დინჯად წარმოთქვა კოტიკომ და ნაბიჯს უმატა. ორი წუთის შემდეგ ისინი ქვაფენილზე მიდიოდნენ და ყველა გამვლელს ეკითხებოდნენ:—მოსამსახურე ხომ არ გინდათ?

ისევ საღამოს ბინდი დაეცა ქალაქს. ქარი აღარ ქროდა. ნაწვიმარი ცა მოკრიალებულიყო. ციოდა. ყინვის სუსხი ძვლებს უწიწკნიდა ჩვენს პატარა მგზავრებს.

— ძმიკო...—კანკალით ეკვროდა ციცინო ძმას.

კოტიკოს ალმური უტრიალებდა გულში. მას თითქოს არც სციოდა და

არც შიოდა. ერთადერთი საზრუნავი ის იყო, რომ დისთვის ეშველა. თვითონ არაფრის აღარ ეშინოდა, რაც არ უნდა დამართოდა.

— ძამიკო, წავიდეთ... იქ წავიდეთ: ცეცხლთან მაინც გავთბეთ.

— მხოლოდ ერთი პირობით: თუ ვიმათხოვრებთ.

— წავიდეთ და ვუთხრათ, რომ ჩვენ მათხოვრები არა ვართ. როცა ფულს ვიშოვით გადავიხდით.

— ციცინო!—შესძახა ბრაზნორეულმა კოტიკომ,—არ გირჩევნია მოვკვდეთ, ვიდრე ვიმათხოვროთ?!

ციცინომ არა უპასუხა რა... მხოლოდ ფეხი ააჩქარა, თითქოს აგვიანდებოდა შინ მისვლა.

III

მეორე დღეს მეხუთე უბნის სამმართველოში მოიყვანეს ორი ბავშვი: ერთი იქნებოდა თერთმეტი წლისა, მეორე—ცამეტის.

— აქ მოათრიეთ ეგ მაწანწალები!—მრისხანედ გამოსძახა ბოქაულმა ჩაფარს.

— რა გინდოდათ, საძაგლებო, გასაწყვეტებო, შუაღამისას სხვისი სახლის კუნჭულში?! მთელი დღე ქუჩებში დაწანწალებთ, მთელ ქალაქს თავს აბეზრებთ: კიდეც ქურდობთ, კიდეც მათხოვრობთ!.. გასწით, ჩაყარეთ ესენი სარდაფში, არც ასვათ და არც აჭამოთ!

ბავშვები გაშეშებული შესცქეროდნენ ერთმანეთს და ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ.

— პური არ გინდათ, თქვე საცოდავებო?—ნელი ჩურჩულით ჩამოსძახა ვიღაცამ ფანჯრიდან და დახლართულ რკინებში ძლივს შემოაცოცა ხელი, რომელშიაც საკმაოდ მოზრდილი პურის ნაჭერი ეჭირა. ციცინომ ერთი თვალით იქით გაიხედა, მეორეთი ძმას შეხედა. კოტიკოს თავი დაეღუნა და არ ინძრეოდა.

— ბავშვებო, გამომართვით პური!

ციცინო ძრწოლ'ით მიუახლოვდა დედაკაცს და გამოართვა პური.

— რა დააშავეთ, შვილებო, თქვენ ხომ მათხოვრები ხართ?

— არა, არა, მათხოვრები არა ვართ.

— მაშ ქურდები ხართ?

— არა, არც ქურდები ვართ.

— მაშ რად შემოგყარეს აქ, შვილებო, რა დააშავეთ?

— ჩვენ ობლები ვართ. სამუშაოს საძებრად ჩამოვედით სოფლიდან: ნაცნობი ვერავინ ვნახეთ და ქუჩაში შემოგვაღამდა.

— მერე?

— ჩქარა მივუახლოვდით ერთ დიდ ჭიშკარს. ჭიშკარი გაღებული იყო და შიგ შევედით. ეზოში ერთი დიდი სახლი იდგა სინათლით გაბრწყინებუ-

ლი. სახლის უკან პატარა ქოხი იყო. მთვარე პირდაპირ შიგ ანათებდა. ერთ კუთხეში ბლომად თივა ეყარა...

— მერე, მერე?—მოუთმენლად ჩაეკითხა დედაკაცი.

— ჩვენ გვციოდა და ჩავწექით თივაში. ამ დროს ვიღაც ახმახმა ქალმა უშველებელი მურა შემოიყვანა. ამ ქოფაკის დანახვაზე ჩემმა დამ,—ციცინოზე აჩვენა ხელით კოტიკომ,—შიშით შეჰყვირა.

— მერე?

— მერე და არ დაგვიჯერეს, რომ ჩვენ ქურდები არა ვართ და დაგვიწყო ქალმა ცემა. ჩვენ ყვირილი მოვრთეთ. მერე წაგვიყვანეს...

— ვინ წაგიყვანათ?

— აი იმ კაცმა, აქ რომ მოგვიყვანა. არ დაგვიჯერეს, რომ ჩვენ ქურდები არა ვართ.

— მათხოვრებიც არა ვართ!—მტკიცედ დაუმატა ციცინომ და ძმას შეხედა. კოტიკო მობუზული იჯდა. თვითონაც მოიბუზა და ძმას გვერდით მიუჯდა.

— ნუ გეშინიათ, შვილებო, მე ახლავე გავაშვებინებ თქვენს თავს.

ცოტა ხნის შემდეგ დარაჯმა კარი გააღო და დაუყვირა ბავშვებს:

— წადით თქვენს გზაზე და ქურდობა არ გაბედოთ!

ბავშვები უსიტყვოდ გაუდგნენ გზას.

— ნოიცადეთ, ბავშვებო!.. მიამბეთ, პატრონი არავინა გყავთ?

— ჩვენ უპატრონონი ვართ. ნაცნობიც არავინა გვყავს აქ.

— მაშ სად მიდიხართ?

— სამუშაოს ვეძებთ. მოჯამაგირე ხომ არ გინდათ?

— მოიცადეთ, ჩემო პატარებო,—მე ერთ რამეს გირჩევთ: ეს პატარა ქალი მე დამიტოვე, შენ წადი, რა გიშავს, ბიკი ხარ და რამე სამუშაოს იშოვი. ამას მე ვუპატრონებ და ეს მე მომეხმარება.

— ყველაფერს გაგიგონებ, დეიდა,—გაბრწყინებული სახით წამოიძახა ციცინომ.

— წამოდი, ნუ გეშინია, შენი ძმა მალ-მალე გნახავს.

კოტიკო დიდხანს უცქეროდა სახლისკენ მიმავალ ციცინოს, თან უმძიმდა მისი მოშორება, თან მადლიერი იყო, რომ ასეთი კეთილი ადამიანი მოევლინა შეხსნელად.

„თურმე კეთილი ადამიანებიც მოიპოვებიან...“—წაიჩურჩულა კოტიკომ და ჩქარა მოეფარა მოსახვევს.

ამის შემდეგ კოტიკო კიდევ დიდხანს დადიოდა ქუჩა-ქუჩა. დილაადრიან ბაზარში გაჩნდებოდა ხოლმე. ხან სანოვაგეს წაუღებდა ვინმეს, ხან მდინარიდან წყალს ამოუტანდა მცხოვრებთ, ხან ეზოებს დაუგვიდა. ასე მთელი დღე შრომით ძლივს შოულობდა პურის ფასს. მაგრამ კოტიკო ბედს არ ემდუროდა, რადგან მისი დაიკო კმაყოფილი ეგულებოდა.

გავიდა დღეები და კოტიკომაც იშოვა სამუშაო ყინულის ქარხანაში, სადაც დღეში ორ აბაზს იღებდა. მუშაობა ქარხანაში დილიდან საღამოს რვა საათამდე გრძელდებოდა. ხელის თითები ყინულის ზიდვისგან მუდამ გაციებული ჰქონდა და ტანისამოსი სველი. მთელი დღე წარბგაუხსნელი მუშაობდა. მხოლოდ მაშინ გაიღიმებდა, როდესაც სკოლიდან მომავალი ციცინო ჩაურბენდა კარებთან და შესძახებდა:

— გამარჯობა, კოტიკო, როგორა ხარ?

კოტიკო ბუზრობით ყინულიან ხელს ცხვირზე მოუსვამდა. ციცინო ასტეხდა კისკისს და შინისაკენ გაქუსლავდა.

ციცინოს მართლაც ბედმა გაუღიმა. ახალშეძენილმა დედამ—ნინომ ის ორკლასიან სამადლო სკოლაში მიაბარა. ნინო ბოქაულის მზარეული ქალი იყო. სხვა მოხელეებსაც უკეთებდა სადილს, ურეცხავდა თეთრეულს და ასე ცხოვრობდა საკუთარი შრომით.

ციცინო სკოლიდან დაბრუნების შემდეგ ხელად მოამზადებდა გაკვეთილებს და მოუჯდებოდა ნინოს, თან საქმეზე შველოდა, თან მერცხალივით ჭიკჭიკებდა. მხოლოდ როცა ნინო სადმე საქმეზე წავიდოდა და ციცინო მარტოდ დარჩებოდა, გოგონას დარდი მოაწვებოდა გულზე: იგონებდა ძმას და იცრემლებოდა, იმიტომ, რომ კოტიკო ყინულის წუმპეში ეგულებოდა. თვითონ სკოლაში დადიოდა, ისეთ რამეებს სწავლობდა, რაც მისმა ძმამ არ იცოდა. „არა უშავს, — გაიფიქრა ერთ დღეს ციცინომ,—მე რომ სასწავლებელს დავამთავრებ, ვიმუშავებ და კოტიკოს ვასწავლი,“—მაგრამ ისიც გაახსენდა, რომ მაშინ კოტიკო დიდი იქნება და სკოლაში აღარ მიიღებენ. მოილრუბლა ციცინო... ამ დროს ნინოც მოვიდა და გააბეს თავისებური ბაასი.

სუფთად მილაგებულ პაწაწინა ოთახში, რომელიც ბოქაულის სამზარეულოს გვერდით იყო, ღამღამობით მკრთალად ანათებდა ოდნავ მბეუტავი ფარანი. მთელი დღე შრომით მოქანცული ნინო ადრე წვებოდა ლოგინში. ციცინო ახლოს მოუჯდებოდა და ტიკტიკებდა, რასაც სკოლაში ასწავლიდნენ, ყველაფერს მოუყვებოდა. ხან ლექსებს აწკრიალებდა. კარგი გოგონა ნინომ შვილივით შეიყვარა. სულ იმაზე ფიქრობდა ნინო, რით გაეხარებინა ობოლი ბავშვი. თუმცა დიდხანს არ გასტანა ციცინოს ასეთმა მდგომარეობამ, ერთ უბედურ დღეს ნინო გაცივდა თეთრეულის რეცხვის დროს და სამი დღის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

ციცინო მაშინ მეოთხე განყოფილებაში ირიცხებოდა.

IV

კოტიკო ხილის წყლების ქარხანაში გადავიდა ბოთლების მრეცხავად. თიგრიც იქ დაუხვდა.

— გამარჯობა, კოტიკო, გამარჯობა, ძამია!—შესძახა სიხარულით აღფრთოვანებულმა თიგრმა.

— ნუთუ ეს შენა ხარ?!

გაკვირვებული მიაშტერდა კოტიკო. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ თიგრმა მოასწრო.

— მე ახლა აღარ ვმათხოვრობ, ძამია, ახლა თიგრს აღარ მეძახიან. მე ახლა თედო მქვია.: რამდენი თვეა ჩვენი ფეხმოწყვეტილი სტეფანე აღარ მინახავს.—ხარხარებდა თედო და თავმომწონედ ამბობდა:

— მე ახლა მუშა მქვია, გესმის, ძამიკო! მუშა...

— მერე როგორ მოხდა ეს?

— მერე გეტყვი, მერე... ახლა ბოთლები დავრეცხოთ, თორემ პატრონი გაჯავრდება, ჩქარა გამომყე!..

თედომ სწრაფად წამოავლო ხელი ბოთლებით სავსე ყუთს და მარდად შეიდგა მხარზე, თან შველივით შეკუნტრუშდა, თითქოს უნდოდა ახალ ამხანაგს რაღაც მომხიბლავი სახით სჩვენებოდა, მაგრამ ეს მისი უადგილო თავმოწონება ხელად გაუქრა. ამ ახირებული კუნტრუშის დროს ყუთი საგრძნობლად გაეკრა მანქანის რკინას, ბოთლები დაცვივდა და დაიმსხვრა იატაკზე, აგერ უფროსიც წამოადგა თავზე და გაბრაზებულმა დაუყვირა:

— აი, შე ცუღლუტო, შენა: დათვალე ჩქარა რამდენი ბოთლი იყო!

თედომ აარჩია ნამტვრევებში ბოთლის თავები და დათვალა.

— ორმოცდაათი.

— ორმოცდაათი, ორმოცდაათი შაური, ხუთ დღეს ქირა აღარ გერგება, გესმის?!. ასე იცის ეშმაკობამ.

თედო დაღვრემილი დასცქეროდა ნამტვრევებს და გული ემღვრეოდა. ხუთ დღეს ხელფასს ვერ მიიღებო... ამ სიტყვას იმეორებდა ვიღაც მის ყურში.

— მაშ რა ვქნა, რა ვქამო?—უაზროდ წამოიყრანტალა თედომ, თითქოს უწყრებოდა მის უხილავ მესაუბრეს. კოტიკო რაღაც ფიქრებს გაეტაცნა. მწუხარედ წარმოთქმულმა სიტყვებმა ის გამოარკვია და მხიარულად დაჰკრა თედოს მხარზე ხელი:

— ნუ გეშინია, ბიჭო, შენ თუ არ მოგცემენ ქირას, მე ხომ მომცემენ. ყველას გვეყოფა. სამი შაური დღეში შენ, სამი მე, სამიც ჩემს დას. ერთი შაური კიდევ დაგვრჩება საერთო ჯამში. მაშ ეგრე, ნუ დაღვრემილხარ! როცა მე გამიტყდება ბოთლები, მაშინ შენს ხარჯზე ვიცხოვროთ. მაშ რის ამხანაგებ• ვართ!..

ორთავე გამხიარულდა და შეუდგნენ საქმეს. სულ ერთი და იგივე საქმე ჰქონდათ საკეთებელი: გაიტანდნენ ბოთლებს აუზთან, დარეცხავდნენ. კიდევ და კიდევ. დაღამდა ის დღე. კოტიკომ თედო თავისთან მიიპატიჟა. წავიდნენ ქუჩისაკენ. მეტი სიხარულისაგან თედოს თავბრუ ესხმოდა.

„ახლა ვნახავ ციცინოს,— ფიქრობდა,—და ვეტყვი რომ ძე მათხოვარი აღარ ვარ. მე ახლა პატიოსანი მუშა მქვია. მუშა... ხა-ხა-ხა...“—გადაიხარხა-

რა თედომ და მედიდურად გადისვა შუბლზე ხელი, როდესაც კოტიკომ ფრთხილად შეაღო პაწაწინა გამოქვაბულის მსგავსი ოთახის კარი.

ციცინოს ის-ის იყო გაეთავებინა გაკვეთილების მომზადება და წიგნებს ალაგებდა, სანათი ოდნავ ბეუტავდა.

— ძამიკო, მოხვედი?—კარებშივე შესძახა ციცინომ ძმას და აღტაცებით მივარდა მოსახვევად. თედო არც კი შეუნიშნავს, სანამ არ მიუთითა მასზე კოტიკომ.

— აი, კიდევ ერთი ამხანაგი, ჩემო დაიკო! შენ ხომ არ გეწყინება ეს რომ ჩვენთან დარჩეს?

ციცინომ ახლა შენიშნა თედო და განცვიფრებულმა წარმოთქვა:

— მათხოვარა თიგრი?!

თედო შეკრთა, კარებისკენ გაიწია, უნდოდა უხმოდ გავარდნილიყო გარეთ, მაგრამ კოტიკო მიეშველა.

— ეს ახლა მუშაა, ციცინო, გესმის? ჩემსავით მუშა, ჩემი ამხანაგი.

— უკაცრავად, მობრძანდი!

ციცინომ ღიმილით შეხედა და სკამი მიაწოდა, ამით გაასწორა თავისი შეცდომა. თან გაკვირვებით თქვა:

— მუშა?!

— დიახ, მუშა ვარ, პატიოსანი მუშა... ახლა მე თედო მქვია.

— თედო!.. მუშა!. მაშ ჩვენ ახლა მეგობრები ვიქნებით. ჩემი ძმაც მუშაა.

— ჰო, მეგობრები ვიქნებით, მაგრამ შენ ხომ მუშა არა ხარ!..

ციცინო შეიშმუშნა, თავი გამონაკლისად იგრძნო მათგან და შერცხვა. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

— ტყუილია, თედო, შენი შენიშვნა,—ცოტა სიჩუმის შემდეგ გაუბედავად წაიჩურჩულა ციცინომ,—მე გავხდები თქვენი ამხანაგი. მასწავლებელს ვკითხავ...

თედოს და კოტიკოს მართლაც შეუყვარდათ ერთმანეთი. ერთად ცხოვრობდნენ, ერთად შრომობდნენ და ერთად ატარებდნენ დროს. ციცინო კი მესამე პიროვნება იყო მათთვის, ორთავესაგან პატივსაცემი და გასაზრდელი. ამას ციცინოც გრძნობდა. მიდიოდა დრო და თედო ხშირად გადაისვრიდა სიტყვას ციცინოსაკენ: „შენ ხომ მუშა არა ხარო,“ ისეთი თვალით გადახედავდა, თითქოს აგრძნობინებდა: ვინც მუშა არ არის, ის ვერც ამხანაგი გახდება მუშისაო. თედოს ასეთი დაცინვა ბრაზს გვრიდა ციცინოს, თან მათთან მეგობრობის სურვილს უღვიძებდა.

— მე ისეთი წიგნი მაქვს, თქვენ რომ იცოდეთ... მასწავლებელმა მომცა და მითხრა: „შენს ნაცნობ ყმაწვილებსაც წაუკითხეო.“

— წაგვიკითხე, ციცინო!

— წაგვიკითხე!– დაეღრიჯნენ ბიჭები ერთ სალამოს.

— ხვალ ხომ კვირაა—თქვენც მოცლილი იქნებით და მეც.

V

მზე დასავლეთისკენ გადახრილიყო. მაისის თბილი და სურნელოვანი საღამო ბუნებისაკენ ეპატიჟებოდა ადამიანებს. მიდიოდა ხალხი ბაღისაკენ, ფერმისკენ, რიონის პირად, გორაზედაც იყრიდნენ თავს, სწორედ იმ ადგილას, საიდანაც ძველი, ისტორიული ციხის ნანგრევები მედიდურად გადმოჰ. ყურებს ქალაქს.

— ვიშ, რა კარგია, რა მშვენიერია!—რაღაც უსაზღვრო სიამოვნებით წარმოთქვა ციცინომ, როდესაც ამ ნანგრევებიდან გადმოხედა საოცნებოდ დაბინდულ ქუთაისს. მართლაც მშვენიერი იყო ამ დროს ბუნება: ჰორიზონტზე მიწურულ მზეს გორების მწვეროვალიდან სირმის ქსელი გადაეფინა მთელი ქალაქისათვის. აო იძვროდა ნიავი, არ ხმაურობდა ქუჩები, არ ისმოდა ეტლების რახრახი, თითქოს საიდუმლო სიამოვნებას მოუცავს ყოველივე, რომ ამ ბუნების სიმშვენიერეს ადამიანთა გრძნობაც შეტსკბობია და აღარ სურს დაარღვიოს ეს მყუდროება, ეს ტკბილი განცდაო. ასე იფიქრებდა შორიდან მომზირალი ადამიანი. ციცინო ხომ შორიდან დასცქეროდა ამ წარმტაც სურათს და ალბათ ისიც ასე ფიქრობდა, რადგან ისე გაიტაცა ოცნებამ, რომ სრულიად დაავიწყდა მისი მეგობრები, რომელნიც ნანგრევების მეორე მხარეს ქუჩაზე ჩამო სხდარი უცდიდნენ.

— ლოდინით გული გადაგველია,—უსაყვედურა თედომ, როდესაც ციცინო მათთან დაბრუნდა.

— მაინც მოვასწრებთ... უკანასკნელი ფურცელიღა დაგვრჩა.

ციცინო ჩაჯდა ამხანაგებში და განაგრძო კითხვა: „დიახ, როდესაც ბნელეთის მოციქულნი აღიგვებიან ამა ქვეყნიდან და მათთან ერთად გაქრება ინკვიზიციის დროიდან მოყოლებული ადამიანთა წამება, მაშინ მოისპობა ქვეყანაზე სიმდიდრე და სიღარიბე, ყველანი თანასწორები ვიქნებით...“

ამ სიტყვების შემდეგ თედომ და კოტიკომ მაგრად დაუჭირეს ციცინოს ხელი და აღტაცებით შესძახეს: —ციცინო, შენ ნამდვილი ამხანაგი ხარ ჩვენი, ნამდვილი მეგობარი...

— მე კიდევ ვთხოვ მასწავლებელს და კიდევ მოვიტან ამისთანა კარგ წიგნებს.

ეს თქვა ციცინომ და კმაყოფილი ღიმილით გადახედა ყმაწვილებს, დარწმუნებული იმაში, რომ ამ დღიდან ის თედოს და კოტიკოს ნამდვილი მეგობარი იყო.

მ ზ ე ჯ ა ბ უ კ ი

ხ ლ ა პ ა რ ი

ვარდისოფელში ცხოვრობდა ერთი მდიდარი კაცი, სახელად სარიდანი ერქვა. სოფელი სავსე იყო ვარდებით და ამიტომ ხალხი ვარდისოფელს ეძახდა. შუა ვარდისოფელში იდგა სარიდანის მაღალი ბროლის კოშკი. ცამდე აწოწოლებულ კენწეროზე ვეებერთელა ბურთივით ოქროს თაღი დაედგათ-ლალ-ზურმუხტით მოქედილი კარები და ფანჯრები თვალის წარმტაცად ბრჭყვინავდა. დღისით მზე ეხვია ბროლის კოშკს და ღამით მთვარის ვერცხლებრივი ნათელი.

ცხრაასი დღიური მიწა ჰქონდა სარიდანს, ცხრა უღელი ხარი ჰყავდა, ცხრა მეწველი ძროხა ება მის ბაგაში, ცხრა ბედაური ჰიხვინებდა სარიდანის თავლაში, ეზოში დურაჯები და ფარშავანგები დაგოგავდნენ.

კოშკში ისეთი ლამაზი ცოლი ეჯდა სარიდანს, რომ მისი ღიმილი მზესავით მოგეფინებოდათ.

მთელი სოფლის ღარიბი მოსახლეობა სარიდანისათვის მუშაობდა. მის სუფრას ჩიტის რძეც არ აკლდა. სარიდანი მაინც უბედურად თვლიდა თავს. მთელი დღე ულიმლამოდ იჯდა კოშკის წინ. ხან ცოლს უსაყვედურებდა, ხან თავის უბედურებას დარდობდა, რატომ განგებამ შვილი არ მომცაო.

— რად მინდა ამდენი სიმდიდრე? შვილი რომ მყავდეს, ფაცხაშიც ბედნიერი ვიქნებოდითო,—ეუბნებოდა ცოლს.

სარიდანის ცოლიც წუხდა ქმრის დაღონებას და ქვეყანას შესჩიოდა მის უბედურებას, რომ შვილი არ ჰყავდა. ადრე თუ გვიან ამ ამბავმა გულთმისანას ყურამდე მიაღწია.

* * *

ერთხელ, როცა სარიდანი მოწყენილი იჯდა აივანზე და მთქნარებით გადასცქეროდა ვარდებით აყვავებულ ეზოს, მასთან მივიდა უცნობი ახალგაზრდა ქალი და მოკრძალებით ჰკითხა:

— ბატონო სარიდან, რად მოგიწყენიათ? გადახედეთ სოფელს, მთელი ხალხი თქვენთვის მუშაობს, ნეტავი რაღა გაქვთ სადარდებელი?

სარიდანი შეშფოთდა: თავის დღეში ასეთი სიტყვით არავის მიუმართავს მისთვის.

სოფელში მისი ტოლი არავინ ეგულებოდა. ეს ვინ თავხედია!..

— შენი სახელი, დედაკაცო?—ჰკითხა სარიდანმა და ამაყად ჩახედა სტუმარს თვალებში.

— მე გულთმისანას მეძახიან,—თქვა ქალმა.

— სად ცხოვრობ?

გულთმისანა შეეკუმშანდა და მერე ნოკლედ უპასუხა:

— ყველგან და არსად!!

სარიდანს რაღაც გამოურკვეველი შიში შეეპარა გულში; ვაითუ ეს უცნობი არსება რაიმე ცუდს მიქადდესო, გაიფიქრა, უნებლიეთ მოიმხიარულა თავი და ლმობიერად უპასუხა:

— მომწყინდა, დედაკაცო, ვეღარ მახარებს ვარდისოფელი და ბროლის კოშკი. ვფიქრობ, შვილი რომ მყოლოდა, ფაცხაშიც ბედნიერი ვიქნებოდი..

გულთმისანამ გაიღიმა და თვალის ხამხამით ჰკითხა:

— რას დაარქმევდით თქვენს შვილს?

— ჩემ შვილს რას დავარქმევდი?—მზეკაბუკს... უთუოდ მზეკაბუკს...

ქალმა თვალები მოწკურა და დაღრეჯით თქვა:

— მებრალებით, ხი, ხი, ხი...—ჩაიცინა და მერე ზვიადად დაუმატა:—მე სიკეთისათვის დავალ ამქვეყნად. დახუჭეთ, ბატონო, თვალები და სურვილი აგისრულდებათ.

სარიდანი ჯერ დამცინავი თვალით დააშტერდა გულთმისანას. მერე დახუჭა თვალები და სიცილით წარმოთქვა:

— გამჩენი იყოს გულთამხილველი... როდის გავაღო თვალი?

პასუხი არავინ გასცა:

— დიდხანს უნდა ძქონდეს დახუჭული?

ახლაც არავინ უპასუხა.

სარიდანმა დუმილი ვეღარ მოითმინა და თვალი გააღო. გაოცდა. უცნაური სტუმარი გამქრალიყო, შუა ვარდისოფელში ბროლის კოშკის მაგიერ ისლიანი ფაცხა იდგა. არ ჩანდნენ მოსამსახურეები, არც დურაჯები და ფარშავანგები დაგოგავდნენ ეზოში, არ ისმოდა ძროხების ბღავილი, არც ბედაურების ჭიხვინი, შუა ფაცხაში, კერაზე ცეცხლი გიზგიზებდა.

ცეცხლის პირას სარიდანის ლამაზი ცოლი იჯდა უბრალო კაბით, ღია მკერდზე შავი ნაწნავები გადმოეწყო, აკვანზე მკლავი გადაეკიდო და ბავშვს ძუძუს აწოვებდა. მხიარულად დაჰყურებდა მშვენიერ ვაჟს, არასოდეს არ ენახა სარიდანს თავისი ცოლი ასეთი სავსე მთვარესავით მღიმარი და ბედნიერი, როგორც ახლა იყო ის. სარიდანი მშვიდად შევიდა ფაცხაში და მოკრძალე-

ბით დაჯდა აკვნის მეორე მხარეს, დააცქერდა ბავშვს და პირმცინარმა წარმოთქვა:

— მზეკაბუკი...

ცოლ-ქმარი ერთმანეთს გადაეხვია.

— როგორ გიხდება ეს ჭრელი კაბა, ხოხობი შგონიხარ!..

— შენ ვინ შეგიკერა ეგ ხალათი?

სარიდანმა ახლა დაიხედა ტანზე, გლეხის ტანისამოსი ეცვა. ჭიშკართან სოფლის შარაზე ურმები მიკრიალებდა. გაზაფხული ბრწყინავდა. უსიტყვოდ წამოდგა სარიდანი, ერთხელ კიდევ შეხედა მშვენიერ მზეკაბუკს ბედნიერის თვალით და კუთხეში მიგდებული თოხი და წალდი გაიდო მხარზე. არასოდეს ასეთი ბედნიერება არ უგრძვნია სარიდანს, მარდად იქნევდა თოხს ყანაში და მშვენიერ ცოლ-შვილზე ფიქრობდა. საღამოს ეჩქარებოდა სახლში დაბრუნება. შემოვიდოდა ეზოში თუ არა, ყურს მიუგდებდა ცოლის მხიარულ სიმღერას, დაავიწყდებოდა დაღლილობა და თვითონაც ამღერდებოდა.

მშვენიერი გახდა მზეკაბუკი. თვალები მზესავით უბრწყინავდა, ტუჩები ბროწეულივით უელავდა, მაღალ შუბლზე ორი წარბი, ორი მშვილდივით ჩახლართოდა ერთმანეთს. თეთრ ღაწვებს შავი ულვაშები უმშვენებდა, წელმკვრივი და მხრებგაშლილი მზეკაბუკი ვაჟკაცური იერით ხიბლავდა მნახველს. ვარდისოფლის მცხოვრებნი შენატროდნენ სარიდანს, რომ მშვენიერი ვაჟი ჰყავდა. ბედნიერი მშობლები ვერ ძღებოდნენ შვილის ცქერით და ალერსით. მხოლოდ თვით მზეკაბუკი არ გრძნობდა თავს ბედნიერად. დღეს ერთი სურვილი გაუჩნდებოდა თავში სადარდელი, ხვალ—მეორე და ზეგ—სხვა. მაგრამ ყველაზე მეტად მზის ნახვის სურვილი სწვავდა. დილით, მთის მწვერვალზე ამოწვერილ წითელ მზის რომ შეხედავდა, სიხარულის ცრემლები ჟონავდა.

ერთ დილას, როცა დედ-მამასთან ერთად საუბრობდა, მოულოდნელად მიმართა მშობლებს:

— საყვარელო მშობლებო, ხედავთ, უკვე ვაჟკაცი ვარ, მეყოფა თქვენს თბილ კალთაში ნებივრობა. მომეცით ნება დროებით გამოგეთხოვოთ და გავემგზავრო ჩემი ბედის საძებნელად. ვარდისოფელი ვიწროა ჩემთვის, მგონია ისევ არტახებში ვარ ჩაკრული. ამდენი ვარდებიც სულს მიხუთავს, საყვარელო მშობლებო, მე მინდა მზე ვნახო, მზეს შევახო ხელი. მინდა გავიგო, რისგან არის გამოკვეთილი ასეთი ბრწყინვალე ბურთი, რომ მთელ ქვეყნიერებას ანათებს. უმზეოდ რა იქნებოდა სიცოცხლე?

დაღონდნენ მშობლები. უმძიმდათ შვილის მოშორება, მაგრამ რა ექნათ, უნებლიეთ დამორჩილდნენ ჟაბუკის ნებას.

მზეკაბუკი დაადგა არჩეულ გზას. მამამ სოფლის ბოლომდე გააცილა შვილი. სარიდანის ცოლი შეწუხებული ჩამოჯდა ჭიშკართან, ნიავი ამოიკრა, ვარდები აშრიალდა და საიდანღაც გულთმისანა გამოჩნდა.

— რად დალონებულხარ, დე-ე-დი-ი? — ჰკითხა მშვიდად მზეკაბუკის დედას. მზეკაბუკის დედა შეკრთა, არ ელოდა არავის.

— შვილი გავამგზავრე, კეთილო ქალო, შორს და მეშინია ხიფათს არ შეემთხვეს.

— მე ერთ რამეს გეტყვი და თუ გულწრფელად მიპასუხებ...

— სრულიად გულწრფელად,—უპასუხა სარიდანის ცოლმა.

— შენი მარჯვენა უფრო გიყვარს, თუ შენი შვილი?

— ჩემი შვილი,—თქვა დედამ მტკიცედ.

— მაშ, დახუჭე თვალი და რაც აქ ნახე და რასაც ნახავ, არავის უთხრა, დაიმარხე გულში, თუ გინდა შენი შვილი მშვიდობით დაგიბრუნდეს.

სარიდანის ცოლმა მაგრად დახუჭა თვალი.

— როდის გავახილო?—იკითხა ცოტა ხნის შემდეგ. პასუხი არავინ გასცა. ველარ მოითმინა დუმილი და თვალი გააღო. სტუმარი იქ აღარ იყო. მარჯვენა მკლავზე დაიხედა, ხელი აღარ ჰქონდა.

— იყოს ნება განგების! —თქვა სარიდახის მეუღლემ და სიმღერით შევიდა ფაცხაში:

მზეკაბუკი მზეს ნახავს და
სარძლოდ მომგვრის მთვარეს,
სახლში მთვარე დამიჯდება,
ვილხენთ, გავიხარებთ.

მზეკაბუკი მზეს ნახავს და
მზეზე მოჰკრეფს სხივებს,
რძალს კაბაზე მოვუყოლებ
ოქროსფერად მძივებს.

ამ დროს სარიდანი დაბრუნდა შინ. ხედავს, ცოლს მარჯვენა ხელი არა აქვს. შეძრწუნდა სარიდანი, დაუწყო ცოლს გამოკითხვა, მაგრამ ცოლმა არაფერი უპასუხა. ქალი იცინოდა, კისკისებდა და მღეროდა. სარიდანმა უცქირა, უცქირა ცოლს და უკვალად მოხუცდა კაცი, თმა და წვერი სულ გაუთეთრდა, თითქოს მხრებშიაც მოიხარა. სარიდანის მეუღლემ ქმარს შეხედა და შიშით აცახცახდა.

— რა მოგდის, ბატონო სარიდან? რად მოხუცდი ასე ჩქარა?—კანკალებდა ქალი.

— ეეხ, საყვარელო მეუღლევ,—ამოიოხრა სარიდანმა,—უკვე დროა მოხუცების. სამოცმა წელმა გადამიარა თავზე.—თქვა და სასთუმალთან დადგმული სკივრიდან პატარა სარკე ამოიღო.

— ჩაიხედე, ქალო, სარკეში, თვალი ხომ არ მატყუებს?

სარიდანის მეუღლემ ჩაიხედა სარკეში, თმები გათეთრებოდა, სახეზე ნაოჭები გასჩენოდა.

— იყოს ნება განგებისა!—ჩვეულებრივად მშვიდად წარმოთქვა ქალმა და ფაცხის კარზე მიდგა.

* * *

სამი თვე, სამი კვირა და სამი დღე იარა მზეკაბუკმა და ერთ უზარმაზარ მდინარეს მიადგა. მდინარის გაღმა ნაპირას ის ბუმბერაზი მთები ამართულიყო, საიდანაც ყოველ დილით მზე ამოდიოდა. დაღონდა მზეკაბუკი, მდინარის პირას მიწვა და ფიქრებს მიეცა: რა საშუალებით გასულიყო გაღმა. მზეკაბუკს ჩასთვლიმა. ძილში საოცარი სიზმარი ნახა:

— მზეკაბუკო,—მოესმა ვილაცის ყრუ ხმა,—აღსდექ, გამხნევდი, შენ წინ მიგიძღვის დედის მარჯვენა. მიჰყევ დედის ხელს და გადასცურავ მდინარეს. დედის სიყვარული იყოს შენი შემწე. ამას გეუბნება „გულთმისანა".

მზეკაბუკი მსწრაფლ წამოდგა, მიიხედ-მოიხედა, მის გარშემო არავინ იყო.

მდინარეს გახედა, გაოცდა: შარავანდედით მოსილი დედის, მარჯვენა ამართულიყო მდინარის გაღმა ნაპირზე. მზეკაბუკი წამსვე გადაეშვა მდინარეში და მძლაერი მკერდით გადალახა ტალღები. მარდად ავიდა ნაპირზე და აღტაცებით შესძახა:

— დედავ, საყვარელო!..—და წაეპოტინა დედის ხელს, უნდოდა დაეკოცნა, გულში ჩაეკრა, მაგრამ ხელი გაქრა.

მზეკაბუკი პირქვე დაეცა.

მთის ქიმზე ფასკუნჯი გადეთმჯდარიყო. დაინახა თუ არა მიწაზე დაგდებული ადამიანი, გადმოფრინდა. დააყარა მაგარი ბრჭყალები და ფრთების მძიმე ფართხუნით აიტანა ბწყერვალზე. მზეკაბუკი გონს მოვიდა, ნახა. ფასკუნჯი უკაწრავდა მკერდს, მარდად იშიშვლა ხანჯალი და ფასკუნჯს თავი გააგდებინა. ცას გახედა, ერთი ბკრთალი ვარსკვლავი ციმციმებდა. ლაჟვარდს ვარდები ეფინებოდა. მზეკაბუკმა მძიმედ ამოიოხრა. მზე ახლა უფრო შორეული მთების ბწყერვალზე ამოდიოდა.

იმ მთებამდე საშიში გზები მოჩანდა, გაუვალი ტყეები, თვალუწვდენი ტრამალები და, რაც მთავარია, ქვეყნის კიდეზდე გაშლილი ზღვები.

დაღონებული დაჯდა მზეკაბუკი. ამომავალ მზეს უცქეროდა და გულის ვარამს სიმღერაში გამოთქვამდა, მზეს უმღეროდა, ეზეს მიმართავდა:

მზეო, მზეო, ქვეყნის გულო,
მზევ, სინათლევ თვალის,
მზევ, უცხოვ და შორეულო,
შენკენ მოვიჩქარი.

ვერ შემაკრთობს გზის სიშორე,
ვერც გრიგალი ზღვისა,
მე თვით ზღვა ვარ და გრიგალი,
დედოფალო ცისა!

დიდი არის სიკაბუკის
გრძნობა კადნიერი...
ვინ ყოფილა ქვეყანაზე
ბედის მადლიერი...

როცა ვუცქერ მზეს, მთვარეს და
ამ მთებსა და კორდებს,
ვფიქრობ, კაცი მიტომ მქვია,
ვიბრძოლო და მოვკვდე...

დიდხანს მოუნდა მზეკაბუკი უღრან ტყეში ბილიკის გაკრას. ჩეხდა ეკლებს, ჯაგებს და სიმწრით მიიკვლევდა გზას მზისაკენ.

გამოჩნდა ტრამალი, ტრამალზე ნისლი იდგა საშინელი. მზეკაბუკი დაჯდა, საგზალი გადმოიღო მხრიდან, ნახა, სურსათი გამოლეოდა. ნახევარი თასი ღვინო შესვა, პურის მცირე ნამუსრი შეატანა. სხვა არაფერი მოეპოვებოდა. თვალი მოავლო გარემოს—წინ დანისლული ტრამალი, უკან დაბურული ტყე. არ ჩანდა არც ცა, არც მიწა. თვალებზე ნისლი ებლანდებოდა. ტუჩებზე ნისლი ელამუნებოდა.

უცებ მოაგონდა მზეკაბუკს დედის ხელი, გულთმისანას ხმა, ძილში რომ ჩაესმა მდინარის გალმა. „იქნებ კიდევ დამესიზმროს... იქნებ კიდევ მითხრას უხილავმა ქალმა საით მიმიძღვის დედის ხელი?"—გაიფიქრა მზეკაბუკმა, თავი მიდვა დასაძინებლად და სასოებით წარმოთქვა:

„დედავ, საყვარელო, ასწიე შენი მარჯვენა... ნისლმა დამიბურა თვალები, ვერც ხანჯალი გასჭრის მას და ვერც მშვილდისარი."

დიდი ხნის უძინარს უცებ ჩაეძინა. ძილში კვლავ ჩაესმა უხილავი ხმა.

„მზეკაბუკო, აღსდექ, დედის ხელი იყოს შენი შემწე... შეუბერე სული ნისლს..."

მზეკაბუკმა თვალი მოისრისა. მის გარშემო არავინ იყო, ძალ-ღონე მოიკრიბა და ვაჟკაცურად დაუბერა ნისლს. ნისლი გაირღვა და სადღაც შორს ჰორიზონტზე გამოჩნდა შარავანდედით განათებული დედის ხელი. იქ მზე ამოდიოდა.

— მზეო, მზეო, ქვეყნის გულო!—სიხარულით დაიყვირა მზეკაბუკმა და გაუდგა გზას. იარა, იარა, იმდენი, იარა, რომ დღისა და ღამის სათვალავი აებნა. თვეები აერია. გზას ბოლო აღარ უჩანდა. მხოლოდ ერთი რამ ანუგეშებდა: მზის ყოველ ამოსვლას თან ამოჰყვებოდა დედის ხელი. აი, ახლაც

ᲛᲖᲘᲡ ᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐᲡ ᲗᲐᲜ ᲐᲛᲝᲭᲧᲕᲐ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ. ᲖᲦᲕᲘᲡ ᲜᲘᲐᲕᲛᲐ ᲓᲐᲣᲑᲔᲠᲐ. ᲜᲘᲡᲚᲘ ᲛᲘᲛᲝᲘᲤᲐᲜᲢᲐ. ᲛᲖᲔᲭᲐᲑᲣᲙᲛᲐ ᲨᲣᲑᲚᲘ ᲛᲝᲘᲩᲠᲓᲘᲚᲐ. ᲣᲙᲕᲔ ᲖᲦᲕᲐᲡ ᲛᲘᲡᲓᲒᲝᲛᲝᲓᲐ. ᲒᲐᲮᲔᲓᲐ ᲛᲖᲔᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲐᲫᲠᲬᲣᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲘᲙᲥᲜᲘᲠᲐ:

— ᲩᲐᲛᲝᲘᲜᲒᲔᲠᲘ!.. ᲘᲥᲔᲪ ᲤᲮᲕᲜᲘᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲜᲐᲪᲐᲠᲢᲣᲢᲐᲓ!—ᲛᲖᲔ ᲐᲮᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲛᲓᲔ ᲒᲐᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲒᲐᲚᲛᲐ ᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ. ᲓᲐᲘᲚᲠᲘᲯᲐ ᲛᲖᲔᲭᲐᲑᲣᲙᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲖᲘᲡ ᲡᲮᲘᲕᲔᲑᲨᲘ ᲐᲛᲝᲑᲠᲬᲧᲘᲜᲓᲐ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ. ᲡᲐᲡᲝᲬᲐᲠᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲔᲪᲕᲐᲚᲐ. ᲘᲡᲔᲕ ᲒᲐᲔᲮᲡᲜᲐ ᲘᲛᲔᲓᲘᲡ ᲙᲐᲠᲔᲑᲘ. ᲛᲝᲘᲮᲡᲜᲐ ᲮᲣᲠᲯᲘᲜᲘ, ᲒᲐᲘᲮᲐᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲡᲔᲚᲘ, ᲘᲥᲕᲔ ᲓᲐᲧᲐᲠᲐ, ᲓᲐᲡᲬᲧᲘᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲠᲓᲐ ᲢᲐᲚᲚᲔᲑᲨᲘ, ᲘᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲖᲦᲕᲐ ᲬᲧᲜᲐᲠᲐᲓ ᲘᲠᲬᲧᲝᲓᲐ. ᲛᲖᲔ ᲘᲡᲔᲕ ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲘᲓᲐᲜ ᲘᲪᲥᲘᲠᲔᲑᲝᲓᲐ. ᲛᲖᲔᲭᲐᲑᲣᲙᲘ ᲛᲐᲠᲓᲐᲓ ᲘᲥᲜᲔᲕᲓᲐ ᲮᲔᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲤᲔᲮᲔᲑᲡ, ᲛᲘᲪᲣᲠᲐᲕᲓᲐ ᲛᲖᲘᲡᲙᲔᲜ, ᲛᲘᲥᲠᲝᲓᲐ ᲥᲐᲠᲖᲔ ᲣᲡᲬᲠᲐᲤᲔᲡᲘ, ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲖᲔ ᲣᲩᲥᲐᲠᲔᲡᲘ. ᲕᲘᲡᲚᲐ ᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ ᲛᲖᲔ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠ ᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ... ᲛᲖᲔᲭᲐᲑᲣᲙᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲛᲘᲪᲣᲠᲐᲕᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲛᲓᲔ ᲒᲐᲓᲐᲥᲘᲛᲣᲚ ᲖᲦᲕᲐᲖᲔ. ᲛᲘᲪᲣᲠᲐᲕᲓᲐ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲔᲙᲐᲠ�გᲐ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲥᲐᲜᲪᲐ. ᲛᲔᲠᲔ ᲢᲐᲚᲚᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲐᲓ ᲛᲘᲐᲥᲐᲜᲔᲑᲓᲔᲜᲔ ᲜᲐᲞᲘᲠᲘᲡᲐᲙᲔᲜ.

ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲔᲫᲘᲜᲐ ᲡᲐᲚᲐᲗᲐᲡ ᲫᲘᲚᲘᲗ ᲛᲖᲔᲭᲐᲑᲣᲙᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲮᲘᲖᲚᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲝᲜᲡ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ, ᲗᲑᲘᲚ ᲥᲕᲘᲨᲐᲖᲔ ᲘᲬᲕᲐ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲡ. ᲛᲘᲡ ᲤᲔᲮᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲔᲗᲔᲕᲖᲔᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲓᲔ ᲔᲒᲓᲝ ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘᲗ. ᲛᲖᲔ ᲡᲐᲨᲣᲐᲓᲦᲔᲔᲓᲐᲜ ᲐᲗᲑᲝᲑᲓᲐ ᲛᲖᲔᲭᲐᲑᲣᲙᲘᲡ ᲨᲘᲨᲕᲔᲚ ᲡᲮᲔᲣᲚᲡ. ᲜᲔᲚ-ᲜᲔᲚᲐ ᲛᲝᲘᲙᲠᲘᲑᲐ ᲫᲐᲚᲐ ᲛᲖᲔᲭᲐᲑᲣᲙᲛᲐ, ᲗᲔᲗᲠᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲘᲮᲡᲜᲐ ᲬᲔᲚᲘᲓᲐᲜ, ᲓᲐᲐᲨᲠᲝ ᲓᲐ ᲩᲐᲘᲪᲕᲐ. ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲛᲝᲨᲘᲕᲓᲐ, ᲖᲦᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲡ ᲣᲛᲘ ᲗᲔᲕᲖᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲔᲑᲝᲓᲐ. ᲒᲐᲛᲝᲘᲚᲝ ᲑᲐᲓᲔᲓᲐᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲔᲕᲖᲘ ᲓᲐ ᲣᲛᲐᲓ ᲨᲔᲭᲐᲛᲐ. ᲘᲡᲔᲕ ᲫᲘᲚᲘ ᲛᲝᲣᲜᲓᲐ, ᲘᲐᲛᲐ ᲗᲑᲘᲚᲘ ᲥᲕᲘᲨᲐ ᲓᲐ ᲩᲐᲔᲫᲘᲜᲐ. ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲛᲝᲔᲚᲕᲘᲫᲐ, ᲛᲖᲔ ᲨᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲛᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲖᲔ ᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ, ᲒᲖᲐ ᲮᲛᲔᲚᲔᲗᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ ᲛᲖᲘᲡᲙᲔᲜ. ᲑᲔᲕᲠᲒᲐᲜ ᲛᲝᲩᲐᲜᲓᲐ ᲡᲐᲛᲢᲝᲢᲘ ᲨᲐᲠᲐ. ᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲚᲛᲐ ᲨᲝᲠᲘᲓᲐᲜ ᲘᲮᲔᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘ. ᲛᲖᲔᲭᲐᲑᲣᲙᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲐᲓ ᲬᲐᲛᲝᲓᲒᲐ, ᲗᲔᲗᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲘᲡᲬᲝᲠᲐ, ᲠᲐᲚᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲣᲗᲥᲛᲔᲚᲘ ᲡᲘᲐᲛᲔ ᲘᲒᲠᲫᲜᲝ: ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲝᲕᲔ ᲨᲔᲘᲪᲜᲝ. ᲒᲐᲐᲮᲡᲔᲜᲓᲐ ᲕᲐᲠᲓᲘᲡᲝᲤᲔᲚᲘ, ᲛᲘᲡᲘ ᲤᲐᲪᲮᲐ ᲓᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ. ᲒᲐᲮᲔᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚ ᲒᲖᲐᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲔᲩᲕᲔᲜᲐ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ, „ᲐᲠᲐ,—ᲗᲥᲕᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ,—ᲛᲔ ᲕᲔᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲕᲜᲐᲮᲐᲕ ᲩᲔᲛᲡ ᲙᲔᲠᲐᲡ... ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲝ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲝ, ᲠᲝ�გᲝᲠ ᲓᲐᲒᲢᲐᲜᲯᲔᲗ!“ ᲒᲐᲐᲮᲡᲔᲜᲓᲐ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲐᲪᲐᲮᲪᲐᲮᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲮᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲚᲕᲠᲔᲛᲘᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ. ᲐᲢᲘᲠᲓᲐ.

ᲐᲓᲒᲐ, ᲓᲐᲐᲓᲒᲐ ᲡᲐᲛᲢᲝᲢᲘ ᲒᲖᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲨᲢᲝᲡ. ᲔᲡ ᲨᲢᲝ ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲙᲝᲠᲓᲔᲑᲖᲔ, ᲑᲔᲥᲝᲑᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲔᲠᲓᲝᲕᲐᲜ ᲕᲔᲚᲔᲑᲖᲔ. ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲛᲖᲘᲡᲐᲙᲔᲜ, ᲘᲐᲠᲐ ᲐᲡᲔ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ-ᲦᲐᲛᲔ. ᲡᲐᲓᲦᲐᲪ ᲘᲡᲛᲝᲓᲐ ᲫᲐᲚᲚᲔᲑᲘᲡ ᲧᲔᲤᲐ, ᲛᲐᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲧᲘᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲕᲘᲠᲘᲡ �გᲣ�გᲣᲜᲘ. ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲘᲠᲔᲝᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ. ᲛᲖᲔᲭᲐᲑᲣᲙᲡ ᲗᲐᲕᲑᲠᲣ ᲔᲮᲕᲔᲝᲓᲐ, ᲒᲐᲛᲝᲣᲠᲙᲕᲔᲕᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲡ. ᲡᲣᲚ ᲐᲠ ᲐᲒᲝᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲗᲔᲗᲠᲔᲣᲚᲘᲡ ᲐᲛᲐᲠᲐ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲣᲑᲔᲠᲮᲣᲚ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲛᲐᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲧᲘᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲚᲔᲑᲘᲡ ᲧᲔᲤᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲗᲘᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲪᲐ ᲚᲐᲟᲕᲐᲠᲓᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲛᲨᲕᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲓᲦᲔ ᲘᲚᲕᲘᲫᲔᲑᲓᲐ. ᲒᲐᲮᲔᲓᲐ ᲪᲘᲡ-ᲙᲐᲠᲡ, ᲛᲖᲔ ᲘᲛ ᲚᲣᲠᲯᲘ ᲛᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲖᲔ ᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ, ᲝᲠᲘ ᲙᲔᲜᲬᲔᲠᲝ ᲠᲝᲛ

თანაბრად მიბჯენოდა ცას. ეს ხომ ის მთებია, ბავშვობის წლებში რომ უცქეროდა მზეპაბუკი? ეს ხომ ის მწვერვალია, ფასკუნჯი რომ მკერდს უკაწრავდა? ხომ არ გაგიეიდა მზეპაბუკი? ხომ არ ეჩვენება?!

თვალები მოისრისა, შუბლი მოიჩრდილა: სწორედ ის მთებია, ის...

კიდევ შემოესმა მამლების ყივილი.

გათენდა.

მზემ გააბრწყინა სოფელი.

შედგა მზეპაბუკი, აკანკალდა; ვარდები... ვარდები... თეთრი... წითელი... ყვითელი... მაისის ვარდები. რამდენი... რამდენი... ეს ხომ ვარდისოფელია! ნუთუ დედამიწა შემოვიარე?..

გაფითრდა მზეპაბუკი, მუხლები მოეკვეთა. ყველაფერი თბილი და მომხიბლავი მოეჩვენა. ვარდებში გამოჩნდა საოიდანის ფაცხა.

მზეპაბუკი აცახცახდა, ძლივს მიაბიჯებდა ფეხს. „დედა... მამა...—ჩურჩულებდა ათრთოლებული ბაგით. ვარდები იზნიქებოდნენ, ესალმებოდნენ შინდაბრუნებულს, ფეხქვეშ ეგებოდნენ. მზეპაბუკი მიადგა ფაცხას. ფაცხის კარში ურდული იყო გაყრილი. ურდული გამოაძრო და გამოაღო ფაცხის კარი. ფაცხა უკაცრიელი დაუხვდა, კერა ჩამქრალი. გამობრუნდა, გარეთ გამოვიდა. ფაცხის წინ, ვარდებში ნახა ორი ამაღლებული საფლავი. წაიკითხა საფლავის ქვაზე წარწერილი:

„აქ განისვენებს მზეპაბუკის მამა.“
ახლა მეორე ქვას მისწვდა:
„აქ ტკბილად სძინავს მზეპაბუკის დედას.“

ატირდა მზეპაბუკი, მწარედ ატირდა... საფლავებზე დაემხო და ფრჩხილებით დაუწყო მიწას ფხოჭნა.

ამ დროს ფოთლები აშრიალდა და გულთმისანა გამოვიდა ვარდებიდან.

— მზეპაბუკო, აღსდექ, ქვეყანა მოგელოდა შენ! — ყრუდ ჩასჩურჩულა საფლავზე დაცხობილს. მზეპაბუკი შეკრთა, ეგონა მიწის ქვეშეთიდან ელაპარაკებოდა ვიღაც. მის წინ ქალი იდგა წარბშეკრული, სხივნაფრქვევი თვალებით და ამაყად მოკუმული ტუჩებით.

— საოცარო, — მიმართა მზეპაბუკმა ქალს, — ქვეყანა შემოვიარე და ვარდისოფლზე უმშვენიერესი მხარე არ მინახავს. ვერც სურვილი ავისრულე: მინდოდა მზისათვის შემეხო ხელი, მაგრამ ამაოდ... მზე ძალიან შორს ყოფილა ჩვენგან.—შუბლზე ხელი გადაისვა და მთებს გაჰხედა.—მე კი მეგონა იმ მთების გადაღმიდან ამოდიოდა. ეხ, გაქრა ოცნებები... ამაოდ ვეწამე...

ნშობლების საფლავს გაშორდა მზეპაბუკი. ფაცხის წინ სკამლოგინზე ჩამოჯდა, სადაც ბავშვობისას უყვარდა თამაში და ნაღვლიანად წარმოთქვა: „დიდი არის სიპაბუკის გრძნობა კაცნიერი...“

— ბატონო მზეკაბუკო, თქვენ უკვე მოიმკეთ ოცნების ყვავილები, ახლა რაღა გაქვთ სადარდებელი?

მზეკაბუკი ქალს მიაშტერდა:

— საოცარო ქალო, თითქო სადღაც მსმენია შენი ხმა... სად ცხოვრობ?

— ყველგან და არსად.

— შენი სახელი?

— გულთმისანას მეძახიან.

— გულთმისანა?—შეჰყვირა მზეკაბუკმა და ხელში სწვდა ქალს,—ახლა საით მიიმართება ჩემი გზა? საით მეძახის დედიჩემის მარჯვენა? გულთმისანა, ერთხელ კიდევ ამოაბრწყინე დედის მარჯვენა.—გულთმისანამ სარკე ამოიღო ჯიბიდან.

— მე სიკეთისათვის დავალ ამქვეყნად. ჩაიხედე სარკეში, მზეკაბუკო!

მზეკაბუკმა სარკეში ჩაიხედა. ახლა მოაგონდა თეთრეულის ამარა იყო, წვერებმოშვებული, თმებაბურძგნული, ჭუჭყიანი. ადამიანს არ ჰგავდა. შეწუხდა ვაჟკაცი და ვედრებით მიმართა ქალს:

— გთხოვთ, ნუ მიცქერით, დამტოვეთ მარტო.

— მე თქვენს თხოვნას გისრულებთ: დახუქეთ თვალები და როცა გაახელთ, იხილავთ დედის მარჯვენას.

გახარებულმა მზეკაბუკმა ჩქარა დახუკა თვალები.

— როდის გავახილო?—იკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

ხმა არავინ გასცა. მზეკაბუკმა თვალი გააღო. ის იჯდა მშვენიერ ბროლის კოშკში. თმები ლამაზად ჰქონდა გადავარცხნილი, წვერი შეკრეჭილი. ტანზე მაუდის სამოსელი ემოსა. წინ სამუშაო მაგიდა ედგა. მაგიდაზე გრძელი პერგამენტები ეწყო. ხელში კალმისტარი ეჭირა და მშვიდად წერდა ცისა და მიწის ამბავს. კედელზე მიკრულ ეტრატზე იხაზებოდა ქვეყნიერების პირველი რუკა.

კარი გაიღო და შემოვიდა მშვენიერი ქალი, თავზე მზეკაბუკის დედის მარჯვენა უბრწყინავდა. მზეკაბუკი სიხარულით აღფრთოვანებული სწვდა დედის ხელს დასაკოცნად, მაგრამ ის შუქი იყო უსხეულო. ვაჟი დააკვირდა და გამოიცნო: დედის ხელი მზექალს მფარველობდა, შორეული მზის სხივი ციმციმებდა მშვენიერი ქალის თვალებში. შუბლგახსნილი იდგა იგი საქორწილოდ მორთული.

— მშვიდობა შენს ხილვას,—თქვა მზეკაბუკმა და გადაეხვია მეუღლეს.

იმ დღიდან მშვენიერ ქალს მზექალა დაერქვა სახელად. გამართეს ქორწილი და იხარეს მზეკაბუკმა და მზექალმა.

ფარციკუკუ და ფარცადინა

(ხალხური იგავი გურიაში თქმული)

სულ წინათ, ძველს დროში, ცხოვრობდა ორი ტყუპი ძმა. ერთს ერქვა ფარციკუკუ, მეორეს—ფარცადინა. ჯერ კიდევ ორი თვისა იყვნენ, როცა მამა გარდაეცვალათ.

ორი აკვანი ედგა დედას გვერდით. ერთ ძუძუს ფარცადინას აწოვებდა, მეორეს—ფარციკუკუს. მამის უდროოდ გარდაცვალებამ დედა დააფიქრა: ვინ უნდა ყოფილიყო ოჯახის უფროსი—ფარციკუკუ თუ ფარცადინა. რადგან ფარცადინა ორი საათით ადრე იყო დაბადებული, დედამ მას მიაკუთვნა უფროსის უფლება. იზრდებოდა ასე ორი ძმა, ერთი უფროსის უფლებით და მეორე უმცროსისა. როცა ფარცადინას ერთი გოჯი ემატებოდა სიმაღლე, ფარციკუკუს—ორჯერ მეტი. მეტი მკვრივი და მხარგაშლილი ხდებოდა ფარციკუკუ. ფარცადინა კი—ჩია, გამხდარი და კაფანდარა. მაგრამ ოჯახის უფროსის უფლებას კარგად ითვისებდა.

— მე თქვენთვის სად მცალია, ყველაფერი მე ხომ არ უნდა ვაკეთო! თოხის მოქნევაც მე გასწავლოთ? კიტრის დარგვაზედაც მე დაგადგეთ თავზე? სოფელს ვინღა მოხედოს? მტერ-მოყვარეს ვინ წაუძღვეს?—რიხით ამბობდა ფარცადინა, თან უმცროს ძმას მიუთითებდა:

— ახლა გაზაფხული იწყება, ხეებს შესხეპა უნდა, ვენახს—გაწმენდა, ყანას—დათესვა.

ფარციკუკუ გაიდებდა თოხს მხარზე და მთელი დღე თავჩაკიდული მუშაობდა. დედა ოჯახს დასტრიალებდა. ფარცადინა შეიკრავდა ჩოხის ღილებს მაგრად, წელზე პაპისეულ დაჟანგულ სატევარს დაიკიდებდა, ხელებს ზურგზე დაიწყობდა და გაუდგებოდა გზას. ხან სოფლის სამმართველოსთან ჩაშოჯდებოდა გზაზე და ლაყბობდა, ხან ვაჭრებთან ლაზღანდარობდა, ·ხან მეთევზეებთან ჩავიდოდა, ერთხანს იოხუნჯებდა და ბოლოს ერთ ციდა თევზს წაართ-

ჩეგდა მეთევზეებს და დაბრუნდებოდა შინ. ეზოში შევიდოდა თუ არა, ცხვირ სახოცით ოფლს მოიწმენდდა შუბლზე და დიდად ნაშრომი კაციევით ფართოდ მიუჯდებოდა სუფრას. ფარციკუკუ ჩამოიღებდა თოხს მხრიდან და უმცროსის წესით ჩამოჯდებოდა სუფრასთან.

— დღეს რა ამბავი გაიგე, შვილო, ქვეყნისა?—ჰკითხავდა დედა ფარცადინას.

— ქვეყნის ამბავიო? ჰმ... ქვეყანა ხან წაღმა ტრიალებს და ხან უკუღმა. ქვეყანა... რაში გეკითხებათ, თქვენ თქვენი საქმე აკეთეთ.

ზაფხული დადგებოდა, ყანები გაიფურჩქნებოდა, სიმინდს გამარგვლა უნდოდა. ფარციკუკუ მზრუნველი თვალით უცქეროდა მძიმე სამუშაოს. თუ დროზე არ გაიწმინდებოდა ყანა, წახდებოდა.

— ნადი გვინდა, ფარცადინა,—ამბობდა ფარციკუკუ.

— ნადიო? მერე მე რა? მოიწვიე, ვინ გიშლის, მე შენ გეტყვი არ მოგეხმარებიან! ფარცადინას სახელი ახსენე და კმარა.

ფარციკუკუ ულვაშებში ჩაიცინებდა. რად სჭიროდა ფარცადინას სახელი. ისედაც სოფლის ახალგაზრდობა სიამოვნებით ეწვეოდა ფარციკუკუს. ყველამ იცოდა ფარციკუკუ მათ ყანაში ორი ვაჟკაცისოდენას იმუშავებდა.

მზე რომ დააცხუნებდა, ფარცადინა ჩამოუვლიდა ნადს, შეეხმიანებოდა, შეაგულიანებდა ბიჭებს და გაუდგებოდა გზას, თითქოს დიდ საქმეზე მიეჩქარებოდა. ნამდვილად კი, სადმე მდინარის პირას იჩრდილებდა და საოცარ მზეთუნახავზე ოცნებობდა. თან მდინარეს ჩასცქეროდა. ტბის ფსკერზე ოქროს თევზი ელანდებოდა; ამაზე მეტი ბედნიერება შეიძლებოდა? ოქროს თევზს დაიჭერდა ფარცადინა. ოქროს თევზი კუდს გააქნევდა და ოქროებს დაყრიდა და, მერე იცით რამდენს? რამდენიც ქვირითი აქვს თევზს... კიდევ მეტს, რამდენიც ჭინჭლი აქვს ქვირითში. რამდენი ჭინჭლი აქვს თევზს ქვირითში? უუუ... ვინ დასთვლის... ოქროს გორებს დადგამდა ფარცადინა. ქვეყანაზე პირველი კაცი გახდებოდა. ბზეთუნახავები ძებნას დაუწყებდნენ ფარცადინას! —ოცნებობდა ფარცადინა.

მაგრამ არ იქნა და არა, არ გამოჩნდა ოქროს თევზი. ღამდებოდა და ოცნებით გაბრეჯებული ფარცადინა ძლივს მიბარბაცებდა შინ. შევიდოდა ეზოში თუ არა, ჩვეულებრივად მოიწმენდავდა შუბლზე ოფლს.

— ვაი, დამიდგეს თვალები, სად დაიღალე, შვილო, ასე?—მიუალერსებდა დედა ფარცადინას.

— ქვეყნის საქმეს ვაწესრიგებ, დედი!—ეტყოდა ფარცადინა.

— რა ამბავია, შვილო, ქვეყანაზე?

— ქვეყანაზეო?! შენ რაში გეკითხება ქვეყანა? ქვეყანა ხან წაღმა ტრიალებს და ხან უკუღმა.

ზაფხულის შემდეგ დოვლათიანი შემოდგომა დგებოდა.

ყვითელ ფარჩებში აშრიალდებოდა სოფელი. ასურნელდებოდა რთველი. დოვლათის აღება და მოვლა იყო საპირო. ფარცადინა კი დილიდანვე გაქრებოდა სადღაც. საღამოს ხენეშით დაბრუნდებოდა, ივახშმებდა და უსიტყვოდ მიდიოდა მინდვრად. გაეხვეოდა ნაბადში, ჩაწვებოდა ხმელ ჩალებში პირაღმა და უცქეროდა ვარსკვლავებს. სიო ხმელ ჩალებს აშრიალებდა, რუ საამოდ რაკრაკებდა... ფარცადინა ისევ ოცნებობდა. „აი, ახლა გააღებს ცა პირს და ერთ ტომარა ოქროს ჩამოუგდებს ფარცადინას!..“

კიაფობდნენ შემოდგომის ვარსკვლავები, მაგრამ ცა პირს არ აღებდა, არც ბედნიერების კარები იღებოდა.

შემოდგომას ზამთარი მოსდევდა. ტყეში შეშა იყო დასაპრელი, მოსაზიდი. ფარციკუკუ მთელი დღე ჩეხდა შეშას. საღამოს მხარით მოჰქონდა კუნძები. წელგაწყვეტილი მოუჯდებოდა ბუხარს. ფარცადინა ფეხიფეხგადადებული იჯდა და ჩიბუხს აბოლებდა. ნაკვერცხლებს მისჩერებოდა, ცეცხლის ტკაცუნს აყოლებდა ფიქრებს.

ახლა დედა მოყვებოდა საყვედურს:

— შვილებო, მე დავიღალე, თქვენ უკვე ვაჟკაცები ხართ, სოფელში ბევრი ლამაზი საპატარძლო ქალიშვილებია.

— ჰმ... საპატარძლო ქალიშვილები?! რა დროს ქალიშვილებია, დედი, ჯერ ქვეყნის საქმე არ მომიწესრიგებია,—შეუტევდა ფარცადინა.

ფარციკუკუ თავს წამოსწევდა:

— რა ამბავია მართლა, ძმაო, ქვეყანაზე? რა ისმის ახალი?

— რაო, რა ისმის ქვეყნის? ჰმ... რაში გეკითხებათ ქვეყნის საქმე? ქვეყანა ხან წალმა ტრიალებს და ხან უკულმა.

და, აი. მართლაც, იმ ზამთარს ცუდად დატრიალდა ქვეყნის საქმე, სამშობლოს მტერი შემოესია. მთელი სოფლის ვაჟკაცები ფეხზე დადგნენ საომრად, არც ფარციკუკუ ჩამორჩა სხვებს. ვაჟკაცურად აისხა მშვილდ-ისარი და ხმალ-კაპარჭი. გამოეთხოვა დედას და გაეშზადა სალაშქროდ. ძმას მორჩილის თვალით შეხედა. დედამ საგზალი გადაჰკიდა უმცროს შვილს, გზაშარაზე გააცილა და დალოცა, თან დაბარა:

— შვილო, სამშობლოსთვის გამიზრდიხარ, არ შენირცხვინო დედის ლეჩაქი.

სახლში რომ შებრუნდა დედა, ფარცადინას სატევარი მოეხსნა წელიდან და სალესი ქვით პირს უწყობდა. დედამ ვერ მოითმინა უფროსი შვილის უადგილო დუმილი და გადამწყვეტი ხმით უთხრა ფარცადინას:

— კარგად გალესე, შვილო, ძმას უნდა მიეშველო!

— რაო, ძმას მიეშველეო? ხა, ხა, ხა... რად უნდა მიშველება? განა ჩემს ძმას ვაჟკაცობა აკლია? მე ჩემი გზა მაქვს, დედი, მოითმინე და მალე ნახავ, ქვეყანა შენი უფროსი შვილის დიდებაზე ლაპარაკობდეს.

— აგრე, აგრე, შვილო, სამშობლოსათვის გამიზრდიხარ! — თქვა დედამ და ახლა უფროს შვილს გამოუტანა საგზალი, მაგრამ გულში სულ იმაზე ფიქრობდა დედა, რატომ მოლაშქრეებთან ერთად არ წავიდა ფარცადინა? ძმასთან არ აჯობებდა ომში წასვლა?

დიდხანს გაგრძელდა ომი. სოფელს კიდევ დასჭირდა ახალი მეომრების შეკრება. სამშობლოს მიწა-წყალს იცავდნენ ვაჟკაცები. საყვარელ მამულს სწირავდნენ შვილებს დედები. ჩქარა მოეფინა სოფელს ფარციკუკუს ვაჟკაცობის ამბავი. არ ისმოდა არსად ფარცადინას სახელი. დედა მოუთმენლად მოელოდა ფარცადინას საგმირო ამბებს, მაგრამ იგი ამაოდ გასცქეროდა შარას: ფარცადინა ტყე-ტყე დაძვრებოდა, მეჯოგეებთან იმალებოდა.

ომი გამარჯვებით დამთავრდა. ბრძოლაში ვაჟკაცობით განთქმული ფარციკუკუ ხელჩართულ ომში დაიჭრა. სოფელში კაცი მოვიდა, სამშობლოს გამარჯვება ახარა სოფელს. ხალხი საზეიმოდ შეიკრიბა. შორიდან გამოჩნდნენ ბრძოლებგადახდილი მეომრები. სარეცელით მოჰყავდათ დაჭრილი ფარციკუკუ. ფარციკუკუს თავზე გამარჯვებული სამშობლოს დროშა ფრიალებდა. მეომრების მხარდამხარ, ჯორზე გადამჯდარი ფარცადინა მოირხეოდა. წელზე შემოკერილი ქამარ-ხანჯლით, ყურიდან სისხლი წვეთ-წვეთად ჩამოსდიოდა, თეთრ ჩოხაზე ეღვრებოდა. ჩვეულებრივად იწურავდა ცხვირსახოცით ოფლს. არავინ იცოდა ფარცადანას ასავალ-დასავალი, საიდან და როგორ გაჩნდა მეომრებთან. ყურზე აშკარად ემჩნეოდა ეკლების განაფხაკნი.

სოფელში შესავალთან ერთმა მოხუცმა შეაჩერა ფარცადინა და ჩუმად ჰკითხა:

— ფარცადინა, ფარცადინა, ყურსა სისხლი რამ გადინა?

ფარცადინამ მოხუცს შეუბღვირა და ბოხი ხმით უპასუხა:

— ლაშქარს ვიყავ, დავიქერი, ყურსა სისხლი მან მადინა.

მოხუცმა გაიღიმა და გრძელ წვერზე ხელი ჩამოისვა, თითქოს ბუზი მოიშორაო. ეს ის მეჯოგე იყო, რომელიც ფარცადინას ხშირად ხედავდა მთებში და იცოდა, რომ ამ ცრუ ვაჟკაცს არავითარი წილი არ ედო სამშობლოს განთავისუფლების საქმეში.

დღეს საზეიმოდ ჩამოსულიყო მოხუცი სოფელში.

ფარციკუკუს დედა გამოეგება და ალერსით ჩაეკრა გულში სასახელო შვილს. ამ დროს ფარცადინა წაადგა თავზე მწოლიარე ძმას.

ფარციკუკუმ თავი წამოსწია სარეცელიდან და გაკვირვებულმა ჰკითხა დიდი ხნის უნახავ ძმას:

— ფარცადინა, ფარცადინა, ყურსა სისხლი რამ გადინა?

ფარცადინას ენა ჩაუვარდა. იჩქითად მიაბრუნა ძმას პირი და დედისაკენ წაიწია მოსახვევად, მაგრამ დედამ ის შეაჩერა და ამაყად უთხრა:

— მე ყველაფერი ვიცი, ვერ მომატყუებ. როცა შენი უმცროსი ძმა ჭტერს ებრძოდა, შენ ტყეში იმალებოდი. უსირცხვილოვ, შესდექ, ფარცადინა, შენ დედის ალერსს ვერ მიიღებ. დედა ვერ ასახელე. მამული ვერ დაიცავი.

ხალხი ზეიმობდა გამარჯვებას. ახალგაზრდები ცეკვავდნენ და მღეროდნენ. სიმღერებში აქებდნენ და სიყვარულით იხსენიებდნენ ფარციკუკუს. დასცინოდნენ ფარცადინას:—ფარცადინა, ფარცადინა, ყურსა სისხლი რამ გადინა?..—მოსძახოდნენ ბიჭები, ფარცადინა კი თავჩაქინდრული, შერცხვენილი იდგა.





ჩემი ცხოვრებიდან

არ მავიწყდება ის კარ-მიდამო, სადაც პირველად ავიდგი ფეხი, სადაც პირველად ავდევნებივარ გაზაფხულის ფრთაფარფატა პეპლებს.

ახლაც თვალწინ მიდგას ჩვენი დიდი ეზო შქერით და თხილით შემოღობილი. სასიამოვნო მოგონებებს მიღვიძებს ჩვენი ტყე ვეებერთელა წიფლის ხეებით და რცხილებით, ბებერი მუხებით და პირდაბზარული წაბლის ხეებით. მახსოვს, პატარა ნადირივით რომ დავძვრებოდი ეკალბარდებში, ვაგროვებდი წიწიბოს და წაბლს, ვივსებდი კალთას და მივრბოდი ჩემს საყვარელ დედასთან. თვალწინ მეშლება დიდი ბაღი თუთებისა და ალუბლების ხეივნებით, ხშირ ტოტებში სანეფო ვაშლი რომ დაიწითლებდა ლოყებს. მაღალ ხეებზე ჩამოხუნძლული იზაბელას მტევნები და ხის კენწეროზე შემდგარი მამაჩემი. თითქოს ახლაც ვხედავ, როგორ აფრიალებს ნიავ-ქარი მისი ახალუხის კალთებს. ვდგავარ შემკრთალი ხის ძირას და ჩურჩულით ვეუბნები:

— არ ჩამოვარდე, მამაჩემო!

— შვილო, ხეზე ასულ კაცს დაბლიდან არ უნდა ელაპარაკო, — მარიგებს დედა, მაგრამ ორიოდე წუთის შემდეგ მამა თვითონ გვეძახის კენწეროდან:

— გიდელი გამომიცვალეთ!

მწვანედ შეფოთლილ ტოტებს შორის მოშრიალებს გიდელი. მე ვასწრებ დედას და ვეებერთელა გოდორში ვაპირქვავებ ყურძნით სავსე გიდელს, მერე ისევ ვკიდებ თოკზე და რაც შემიძლია ხმამაღლა შევძახი:

— მამა, მშვიდობით ჩამოდი!..

აი, შემოდგომის ფარჩებში გახვეულა კარ-მიდამო. ყვითლად ბზინავენ ფოჩებშემხმარი სიმინდის ტაროები. მწველი სხივებით დასცქერის მზე თავდახრილ ყანებს. სიმინდის ყანების იქით იწყება ღომის ყანა. ქარვისფრად ჩალანძულან ღომის თავთავები. ვის არ გააცარებს მწიფე თაველის ხელის შეხება, ღომის ჩალების მხიარული შარიშური. ამ ოქროსფრად ანთებულ ყა-

ნებში აქა-იქ მოჩანს ბრინჯაოსფერი გოგრები, ზედ ლერწები შეხმობიათ და განგებ დაყრილ კუნძებს გვანან.

მამა ხიდან ჩამოდის და სავსე გოდრებს საწნახელში სცლის. საწნახელი გამოთლილია კოპიტის ხისაგან. კარგად მახსოვს ეს ძველთაძველი, დიდზე დიდი კოპიტი, რომელიც ჩახრამულში ზვიადად იდგა. ოცმა კაცმა ძლივს მოკრა იგი და ხრამიდან „ელესას“ სიმღერით გამოიტანეს. ხარ-ურემს აჰკიდეს სათრიელი და ასე მოიტანეს შინ. ოსტატმა საწნახელი გამოთალა მისგან. ოთხმა კაცმა ოთხი კეტი დაუდო და სამზარეულოს დერეფანში „ოხოხოს“ ძახილით, შემაღლებულ მორებზე შედგა.

საწნახელი პირამდე აივსო ყურძნით. საამო სუნი დადგა. ფუტკრები ზუზუნებდნენ საწნახელის გარშემო. დედას ალვის ხის გრძელი ტოტი ეპირა ხელში და ცდილობდა გაედევნა ფუტკრები, მამაჩემი მიჯავრდება:

— წადი, გოგო, აქედან, თორემ დაგკბამს ფუტკარი!

— შვილო, გაეცალე აქაურობას, ბზიკი გიკბენს, — მეუბნება დედა.

ჰმ... რა შვილი ვარ წავიდე?! ვარჩევ გიშერივით შავ მტევნებს და შევექცევი. მიხარია. ყურძნის წნეხას შეუდგნენ, შარბათის ტბა დადგა. დედა კოპით ტკბილს იღებს და ასხამს სპილენძის დიდ ქვაბში. ჯაკვზე მძიმედ ჰკიდია ეს ქვაბი. დედა ქვაბში ფქვილს ჰყრის და გრძელი ლაფერით ურევს. აკეთებს ტკბილსა და გემრიელ ფელამუშს. ჯოხზე მწკრივად ჰკიდია ნიგვზის, თხილის და ვაშლის ჩურჩხელები. უჰ, რამდენია!..

მამაჩემმა მუშამბა დააფარა ტკბილით სავსე საწნახელს და ღიმილით თქვა:

— ჩქარა დადუღდი, ჩემო ღვინოვ, მტერ-მოყვარის გულის მომლხენო!

ტოტებდახლართულ ვაშლის ძირშია ჩვენი მარანი. ჭურები მიწაშია ჩაფლული. მამა კოკით წყალს ასხამს ჭურებში და ორჩხუშით რეცხავს. მე ორკოპეს წავეპოტინე, მინდა წყალი ამოვიღო ჭურიდან და გადავღვარო, მაგრამ წყალი ფეხებზე დავისხი.

— ახია შენზე! — მიწყრება მამა, ორკოპე წამართვა და თვითონ ხელად ამოხაპა წყალი ჭურიდან. მე ქვაზე ვიჯექი და სველ ფეხსაცმელებს ვიხდიდი.

— მოდი აქ, „უჰუ“ ჩასძახე ჭურს! — ბრძანებით მითხრა მამამ. ვდგები, პირს ვაღებ ჭურის პირზე და ვყვირი: — უჰუუ!..

— რა გიპასუხა ჭურმა?

— ჭურმაც „უჰუო“, თქვა.

— ჰოო, ასეა ჩემო გოგოვ, ზოგიერთი ტლუ კაცი ჭურსა ჰგავს, ყოველთვის სხვის ნათქვამს იმეორებს, თავისი არა იცის რა. ასეთ კაცზე იტყვიან: „ჭურს, რასაც ჩასძახებენ, იმას ამოსძახებსო“. გაიგე? თუ გაიგე, დაიხსომე კიდეც.

დავიხსომე შენი სიტყვა, მამაჩემო, ამიტომაც მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე სხვისი ჩაძახილით არ მიმოქმედნია.

როცა მამამ ხუთიოე ჭურში ღვინო დააბინავა, მუხის ხისგან ხუთი როგო გამოთალა და ჭურებს დააფარა, თეთრი თიხით პირი მოუგლისა. ორჩხუში და ორკოპე დერეფანში დაჭკიდა და მთელი ოჯახის გასაგონად ვალმოხდილად თქვა:

— ისე გავაკეთე ჩვენი მარანი, რომ ცვარიც ვერ ჩავა შიგ!

— მე კი ისეთი ჩურჩხელები ამოვაელე, უცხო სტუმარს რომ მიერთმევა!—გაეხმაურა დედა კმაყოფილებით.

ახლა ღომის საკრეფად ვემზადებით. დედასთან ერთად მეც მივათრევ პატარა კალათს. ეს კალათი იობამ დაწნა ჩემთვის. ხელში მოკლე დანა მიჭირავს. ჩამოვწევ თაველს და ეკრი დანით. მიხარია. ჩქარ-ჩქარა ვავსებ კალათს, მივარბენინებ და ჩელტზე ვყრი თაველს. აივსება ჩელტები, ჩელტებს ზეეით ასწევენ და აბოლდება ჯირკების ცეცხლი. ბოლი გაივლის ჩელტებზე დახვავებულ ღომის თაველში. ამას ეძახიან სოფელში ღომის გაწყობას. ღომი ბეღელში მოვათავსეთ. მეც ვფუსფუსებ, ვშრომობ. ჩემი პატარა კალათით მივარბენინებ ბეღელში თაველს. დედა სახლის მერცხალს მეძახის. როდი დავდივარ, დავფრინავ... განა ზარმაცი ვარ, ან საპყარი ვარ, რომ დავეგდო გატენილ ტომარასავით?..

სიმინდის ყანაში შევდივართ სატეხად. შუადღის სიცხე ჩამოწვა. მამაჩემი დასიცხული ჩამოჯდა ნაპირზე.

— ლილია, (ასე მეძახდნენ პატარას) ცივი წყალი დამალევინე, შვილო!

წყარო შორს არის. ტყის ბილიკი უნდა ჩავირბინო. ცოტა მეშინია კიდეც, მაგრამ არ ვიმჩნევ. წამოვაელებ ჩემს პატარა სპილენძის თუნგს ხელს და მივრბივარ „ია-უას“ სიმღერით. ეს „ია-უა“ საუკეთესო საშუალებაა შიშის გასაფანტავად. მივქრი ხშირი ტოტებით დაბურულ ბილიკზე და აი წყაროც. ვეებერთელა ბელტივით ამოქუხს ყინვასავით ცივი წყალი. ვსვამ პეშვით და სახეზეც ვისხამ. წყალი წურწურით ჩამოდის, მაგრამ მე ეს არ მაწუხებს, ისევ სიმღერით ვბრუნდები უკან.

სოფლის ცხოვრებაში ბევრი რამ არის სასიამოვნო. ერთი ასეთთაგანი სიმინდის სარჩიელში კალოზე შემოთენებაა.

მოთავდა რთველი და ღომის დალაგება. დაიწყო კალოობა. ნალიის ქვეშ ქერამდე ამაღლდა ჩვენი კალო. დედა შეუდგა ვახშმის მზადებას. მამას ჩემს ჩუმად თხილნარში გოკი წაეყვანა და დაეკლა. მე ეს მაშინ ვნახე, როცა გრძელ შამფურზე აეგოთ და კერიის ცეცხლზე ატრიალებდნენ, სწვავდნენ.

ოდის განიერ პარმალზე დედამ სუფრა გაშალა, კეცის მუადი დატეხა და შენწვარი გოკი და ტყემლის საწებელი ჩამოარიგა. ჭყინტი სიმინდი და მოხარშული კვახები ჩამოდგა თაბახით. მომცრო დოქებით მაჭარი ჩაამწკრივა. სანათის ანთების დრო იყო. ჩვენი ნადი ნელ-ნელა შემოუსხდა სუფრას. მო-

სავალი დალოცეს, მაღალი მრავალჟამიერი დააღუღუნეს, ივახშმეს და კალოს მიაშურეს. მხოლოდ მე ვიყავი იქ პატარა, დედის კალთასთან ჩუმად მიყუჟული ნაქურჩალებში. კალოს მეორე მხარეს ახალგაზრდები ხმაურობდნენ, იცინოდნენ, სატრფიალო შაირებს მღეროდნენ და წამდაუწუმ გარჩეულ ტაროებს ისროდნენ იქვე დაფენილ ჭილობებზე. ჩემს გვერდით მოხუცები ისხდნენ. ბიძია მევარი, გრძელწვერა სოლომონი და ხუმარა იობა... მე მათკენ მაქვს ყური მიპყრობილი. სასიამოვნო მოსასმენი იყო ამ ჭაღაროსნების გაპაექრება. მთელი ღამე არ თავდებოდა ნაირ-ნაირი იგავ-არაკები, გამოცანები და ფერადფერადი შაირები. ესენი იყვნენ ჩვენი მეზობლები, ღარიბი გლეხები, წერა-კითხვის უცოდინარნი. ბევრი რამ კარგი მახსოვს მათგან. ამ მხიარულებაში აიკრიფა ჩვენი კალო. უკანასკნელად „ელესა“ დაამღერეს და წამოვდექით ნაქურჩალებიდან. აღმოსავლეთს რიჟრაჟის ვარდი ეფინებოდა, სიო ფრთებს იბერტყავდა, ფოთლები შრიალებდნენ, ილვიძებდა დილა... ოჰ, რა კარგია სიცოცხლე!.. ბუნება... სიხარულის დილაა!

ასეთი იყო ჩემი ბავშვობის პირველი ნახევარი — უბრალო და ლაღი... ასეთი იყო ჩვენი კარ-მიდამო და ჩვენი ოჯახის თავშეუწუხებელი შრომა, რაც ლხინს უფრო წააგავდა. მაგრამ... მე იმასაც ვხედავდი, თუ რა ხდებოდა ჩვენი ჭიშკრის იქით.

— დედიკო, რატომ ტიროდა დღეს თათია? ამ დილით ჩვენს ჭიშკართან ჩამოიარა, ცრემლი დიოდა და რატომღაც იწყევლებოდა კიდეც?—შევეკითხე ერთ დღეს დედას.

— ერთი ფური ჰყავდა საწყალს, ჩაფრებმა გადასახადში წაართვეს,— მიპასუხა დედამ.

— ნანობას რაღა აკვნესებდა?

— ნანობას ნამზითვი სპილენძის ქვაბი ხელიდან წააგლიჯეს!

ასე თარეშობდნენ სოფელში მეფის ჩაფრები და აწიოკებდნენ ხალხს. გლეხის მოწეულ ყანაში მებატონის მოურავი აწესრიგებდა მოსავალს. იობას ნაოფლარ სიმინდს შუაზე ყოფდა და იობას ზურგითვე მიჰქონდა ბატონის ბეღელში. იობას ბავშვები უმეადოდ რჩებოდნენ. ასეთი იყო ბიძია მევარის ოჯახის ბედი, გრძელწვერა სოლომონისა და ყველა იმ გლეხის ოჯახისა, ვინც სხვის მიწაზე მუშაობდა.

მამაჩემი დიდი მემამულე არ იყო. ჩვენი მიწა და ტყე ჩვენს ოჯახს სარჩენად ჰყოფნიდა. ეზოს გარეთ ზეგნის მამულიც გვქონდა. ამ მამულში ბროწეულები ხარობდა. მშვენიერი სანახავი იყო სისხლისფრად დაწითლებული ბროწეულები.

ზეგანის მამულის ჩამონაქერ ნაკვეთზე ცხოვრობდა ბაბუაჩემის ნაყმევი გლეხი შავარდენა მუჯირი. მას ჩვენს საზღვარზე ედგა მიწური სახლი. სახლის გვერდით ედგა ქალტა და საღორე. სხვა გასაქანი არ ჰქონდა ამ ოჯახს. ძროხა მუდამ სარზე ჰყავდა მიბმული. ღორს დიდი უღელი ედო კისერზე,

რომ სხვის ეზოში არ შემძვრალიყო. შავარდენას ძაღლიც დაუღლული ჰყავდა. არ გაგეცინოთ და მუჯირის ეზოში ქათმებიც კი შებორკილი ფარფატებდნენ. შავარდენა მუჯირი ყოველ გაზაფხულზე ჩვენს საზღვარზე ახალ ღობეს ავლებდა. ზამთრამდე ჩაილეწებოდა ხოლმე მისი თხმელის წკეპლების ღობე. ზამთარში მუჯირი ხმელ ნალობარს ცეცხლში ჰყრიდა. გაზაფხულზე ისევ გააღლებდა ახალ ღობეს. ერთხელ მას თავისი ღობე ერთი მტკაველით ვადმოეწია ჩვენს მამულში. ეს შეუმჩნეველი დარჩა მამაჩემს. მეორე გაზაფხულზე შემოვლებული ახალი ღობე მუჯირს კიდევ ერთი მტკაველით გადმოეწია ჩვენს საზღვარზე. მამამ ახედ-დახედა ღობეს, რაღაც არ ესიამოვნა, კვეს-აბედს გაუქნია და ყალიონი გააბოლა. ამ ჯერზედაც არაფერი თქვა.

ზეგანის მამულში განსაკუთრებით ხარობდა ნესვი და საზამთრო. მარტის „ნასესხები“ გავიდა. ეს იყო ჩემი ბავშვობის უკანასკნელი გაზაფხული პატარა გურიანთაში. „ნასესხების“ შემდეგ წავედით ნესვისა და საზამთროს დასათესად. ჩვენს მამულში შესასვლელი ბილიკი მუჯირის კარებთან მიდიოდა. მუჯირს ამ გაზაფხულზეც ახალი ღობე გაევლო ჩვენს საზღვარზე. წათამამებულ ბერიკაცს ჩვენი მიწის კიდეე ერთი მტკაველი ჩაეღობა მისკენ. ღობის გასწვრივ თუთის ნერგებიც ჩაერგო. გაფურჩქვნილიყო პატარა თუთები და სიმწვანის ლამაზი ფერი მოჰფენოდა საწყალი გლეხის ეზოს.

მამაჩემი მწყრალად გაჩერდა ღობესთან, იუკადრისა: ყაზახმა როგორ გამიბედაო ეს? ყალიონი ქამარში გაირჯო და ისე მაგრად მოჰკიდა ამ წკეპლის ღობეს ხელი, რომ თვალის დახამხამებაში მოგლიჯა. არც თუთები დაზოგა. ასე გაავებული მამა არასდროს არ მინახავს.

— შავარდენავ, შავარდენავ!—დაიძახა მან. ქალტიდან მუჯირის ქვრივი რძალი გამოვიდა. უკან ბავშვები გამოჰყვნენ. ქალმა ნახა, რაც მოხდა და იქვე გაშეშდა. აგერ დარცხვენილი შავარდენაც გამოჩნდა. ოთხმოცი წლის ბერიკაცი დაბალი, წვერებშეპრილი, გრძელი თეთრი ულვაშებით, ფეხზე მოკოპილი ქალამნებით იდგა ჩვენს წინ. ალაგ-ალაგ დაკერებულ ტილოს ხალათზე უბრალო ტყაეის ქამარი ჰქონდა შემოკერილი, თავზე გახუნებული ყაბალახი ეკრა. მუნჯივით იდგა შავარდენა და საწყალობლად დაჰყურებდა გარღვეულ ღობეს, ამოგლეჯილ თუთებს!..

განვლო იმ დრომ, მაგრამ მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მხარდამხარ მომდევდნენ ჩემი მეზობლების დაბეჩავებული სახეები: ბიძია მევარი, ასე ვეძახდი მე, გრძელწვერა სოლომონი, იობა და ნანობა, თვალცრემლიანი თათია და განსაკუთრებით შავარდენა მუჯირი, ეს მორჩილი ტანის ბერიკაცი, მისი მოკოპილი ქალამნებით და შებორკილი ქათმებით, სარზე მიბმული ძროხით და დაუღლული ძაღლით. ჩემს ბავშვურ პატარა გულში ბევრი კეთილშობილური გრძნობა შთანერგა ამ ხალხმა. ეეხ, საწყალო შავარდენა მუჯირო, ახლა არც შენ ხარ ამ მზიურ ქვეყანაზე და არც შენი მესაზღვრე...

ახლა თქვენს ნატერფ მიწაზე სხვა ცხოვრება იფურჩქნება, ადამიანური ცხოვრების ეარსკვლავებით მოხატული და გაბრწყინებული...

დიდება ოქტომბრის დიდ რევოლუციას!

* * *

შემოდგომის დღეებით დავიწყე ჩემი ბავშვობის გაზაფხული, რადგან ნამდვილ გაზაფხულზე დაიწყო ჩემი ბავშვობის შემოდგომა. მაისის დღე იყო, დედაჩემი რატომღაც მოწყენილი გამოიყურებოდა. ისეთი სიხარულით აღარ დასტრიალებდა ბალ-ბოსტანს, როგორც წინათ. ამის მიზეზი თურმე ის იყო, რომ მამაჩემს სამაზრო ქალაქში გადასახლება გადაეწყვიტა.

თითოეული ადამიანის თავგადასავალი ნაწილია ხალხის ცხოვრებისა, ვინაიდან ის იწერება იმ ვითარებაში და გარემოცვაში, როგორშიაც თვით ხალხია.

ეპატარა გურიანთას ეძახდნენ ჩვენს სოფელს. ჩვენს სოფელში არ იყო სკოლა. ბიბლიოთეკა-სამკითხველოზე წარმოდგენა არ ჰქონდა ხალხს. ჟურნალ-გაზეთების ხსენებაც არ იყო. იშვიათად მოიპოვებოდა წერა-კითხვის მცოდნე კაცი. ამ მხრივ ერთი იშვიათთაგანი იყო დედაჩემი. დედაჩემი, ეკატერინე ჟორდანიას ასული, ლანჩხუთიდან იყო გამოთხოვილი და მშობლების ოჯახიდან ალბათ მზითვივით გამოჰყვა წერა-კითხვის ცოდნა. მამამ არ იცოდა ანბანი, არ იცოდა წიგნის სითბო. ის დიდი გაჭირვებით აწერდა ხელს რამე უწყებაზე ან თამასუქზე. „ისმაილ მამულაიშვილი“—მხოლოდ ამ ასოების დაწერა შეეძლო. მაგრამ საოცარი ის იყო, რომ მამაჩემმაც ისევე, როგორც სოფლის მოხუცმა გლეხებმა, ზეპირად იცოდა ლექსები, შაირები, იგავ არაკები, გამოცანები... მაო ჰქონდათ გემოვნება სილამაზისა, შნო და ლაზათი ოხუნჯობისა და, თუ გნებავთ, ჩხუბისაც.

ერთი რამ არ მახსოვს, მამაჩემის ოჯახში იყო რაიმე ქართული წიგნი თუ არა? შაბათ-კვირას ჩემი უფროსი ძმა ჩამოდიოდა ხოლმე სამაზრო ქალაქიდან. მის ჩანთაში მხოლოდ რუსული სახელმძღვანელოები ეწყო. ჩანთას კუთხეში მიაგდებდა; ორშაბათს ისევ აიღებდა და წავიდოდა.

ერთ დილას, როცა ცხოველმყოფელი მზე მოეფინა ჩვენს კარ-მიდამოს, დედამ ხელი მომკიდა და წაპიყვანა მდინარე სკურდიძზე. ამ მდინარის ნაპირიდან იწყებოდა ჩვენი მამული.

— დღეს, ჩემო გოგო, წიგნი უნდა დაგაწყებინო, — მითხრა დედამ და ტიტველი ფეხებით ჩამაყენა მდინარეში. მისი ხელით ჩამოწერილი ანბანი მომცა ხელში: „ან-ბან-გან-დონ“... სიხარულით ვიმეორებდი, ამ დროს კი მოჩხრიალებდა ფეხებქვეშ ანკარა წყალი.

ო, საყვარელო დედავ, შენ მასწავლე დედაენა, შენგან ნასწავლი ანა-

ბანით ვსუნთქავ მთელ ჩემს სიცოცხლეში. შენი ქართულით ავიდგი ენა. შენ მასწავლე პირველი ლექსი: „ნახტომსა შეელსა ფერდსა ჰკრა, ისარი ორბის ფრთიანი!..“ (როცა შენ ბატის ფრთის კალამი მომეცი ხელში, ჩემს მიერ პირველად დაწერილის პირველი სიტყვა იყო: „მამაო ჩვენო“...—შენ მიკარხახებდი და მე ვწერდი: „რომელი ხარ ცათა შინა“)...

ჩემო დედა, რა ნაზი იყო და სათნოებით სავსე ეს ლოცვა მაშინ, როცა შენ სასოებით მიაპყრობდი თვალებს ცისკენ. დიდი ხანია ჩემთვის „ცათა შინა“ აღარ არსებობს. ყველაფერი ეს გაქრა მსუბუქი ნისლივით... მაგრამ როცა სკურდიმის თეთრი ზვირთები გაილივლივებს და შენი ხმა გაიშრიალებს ჩემს ფიქრებში, სინაზისა და სათნოების სისავსით აღივსება ხოლმე ჩემი გული.

შორს დარჩა ჩემი ბავშვობის გაზაფხული.

1991 წელს მამაჩემი გადასახლდა სამაზრო ქალაქ ოზურგეთში. ჩვენს ნასახლარში დარჩა მიწაში ჩაფლული ქვერები, საწნახელი, ორკოპე და ორჩხუში. ეს ქალაქში აღარ იყო საჭირო. კოპე და დოქი ჭიდან წყლის ამოსაღებად ვედრომ შესცვალა. ცივი წყარო ქის შეგუბებულმა უგემურმა წყალმა. ხეივნების მაგიერ ტიტველი მინდვრები იშლებოდა ჩემს გარშემო. ჩვენი ეზო ოც ათეულ საჟენზე იყო გადაშლილი და მდებარეობდა ნატანების გზატკეცილის მარჯვენა მხარეს. გზატკეცილის მარცხენა მხარეს ეგრეთ წოდებული შევარდნაძის მინდორი იყო გადაქიმული. არც ერთი ხე არ მოიპოვებოდა ჩვენს ვეებერთელა ეზოში. ასეთ ტიტველ მინდორზე იდგა მაღალ ბოძებზე შემდგარი მამაჩემის ექვსთვალიანი ოდა. ხან ზენა ქარი წიოდა ყავრით დახურულ სახურავში და ხან ქვენა ქარი, რაც მე ძალიან მაშინებდა. კარგი რომ მუხის მაგარი ბასკით იყო ყავრები დაქედილი, თორემ სახურავი ქარს ვერ გადაურჩებოდა. ასე იყო ჩვენი ოზურგეთში დასახლების პირველ წელს, მეორე გაზაფხულზე ჩვენი ოდის გარშემო უკვე ყვავილნარი აბიბინდა. სოფლის ლაღი მამული მაინც შორს დარჩა ჩემგან, ჩემი ბავშვობის პირველი გაზაფხულივით.

უკვე სკოლაში დავდიეარ, „უნდა ვისწავლო და ადამიანი გავხდე.“— ასე ჩამაგონა დედაჩემმა. მძინავს დილის ტკბილი ძილით და უცებ მომესმის საყვირის ხმა. საჩქაროდ გადავწევ ფანჯარაზე ფარდას. შევარდნაძის მინდორზე უკვე ჩამწკრივებულან ჯარისკაცები და ვარჯიშობენ. ეს საყვირი ისე ტკბილად მაღვიძებდა ყოველ დილით, რომ ახლაც, სამოცი წლის შემდეგ, სიამოვნების გრძნობით ვიმსჭვალები თუ შემთხვევით ყური მოვკარი იმგვარ ხმას. მე მივრბოდი სკოლაში და სკოლიდან სახლში. ქალაქის ბაღში იდგა ჩვენი სკოლა—თეთრი დაბალი შენობა. ჩემი მასწავლებელი რუსის ქალი იყო, გვარად კალინინა. შაბათობით სამხედროების კლუბში ცეკვავდა ჩვენი მასწავლებელი. ღია ფანჯრებიდან ვხედავდით ბავშვები, თუ როგორ ნაზად მიმოარხევდა წელს. მოხდენილი ქალი იყო კალინინა, ლამაზიც. ორმოცდაათი

წლის შემდეგ მე შემხვდა იგი თბილისში, პირველი მაისის ქუჩაზე. მან ვერ მიცნო, მე გავახსენე ოზურგეთი. გაუხარდა. მერე თვითონ მოიგონა, რომ ის „ვერცხლისწყალს“ მეძახდა სკოლაში. და არ ესიამოვნა ახლა, როცა მთლად თეთრი თმით ვიდექი მის წინ. მეც ძალიან გამეხარდა მისი ნახვა. ამ ქალმა მასწავლა რუსული წერა-კითხვა და ის პატარ-პატარა ლექსები, რომლებიც ოქროს გასაღებივით მომცა ხელში რუსული კლასიკური ლიტერატურის შესასწავლად. კალინინა დიდხანს დარჩა მასწავლებლად ოზურგეთის საქალებო სკოლაში, მისი „ვერცხლისწყალი“ კი ჩქარა წაცქრიალდა სკოლიდან. ამის მიზეზი ის იყო, რომ დედაჩემი მოულოდნელად გარდაიცვალა. აქ დაბნელდა ჩემი ნათელი გზა და მას შემდეგ არა ერთი და ორი ეკლიანი ბილიკი გამივლია ჩემს ბავშვობაში.

შვიდი და-ძმა დავრჩით დედაჩემს. დაიწყო მამაჩემის ოჯახის ნგრევა. ჩემი უფროსი ძმა ამერიკაში გაიქცა. ის ჩხარტიშვილის მომღერალთა და ცხენოსანთა გუნდს გაჰყვა. მერე გურიაში აღარ დაბრუნებულა. მეორე ძმა სადღაც დაიკარგა და შინ მაშინ დაბრუნდა, როცა კვდებოდა. მესამე ძმა, ჯერ კიდევ პატარა ბიჭი, ბათუმში გაიპარა სახლიდან და მამაჩემის ოჯახში აღარ დაბრუნებულა. ჩემი უმცროსი და დედაჩემის გამზრდელმა ბიძამ წაიყვანა ლანჩხუთში, არც ის დაბრუნებულა მამაჩემის სახლში. სოფელ აკეთიდან ჩამოვიდა დეიდაჩემი, შემისვა ცხენზე და მეც წამიყვანა. ვშორდებოდი შინ დარჩენილ პატარა და-ძმას და გული მათთან მრჩებოდა. ასე განიტვირთა მამაჩემი მრავალრიცხოვანი შვილებისაგან და ჩვენი დიდი ოჯახი დაიშალა.

* * *

დეიდაჩემი არაფრით არ ჰგავდა დედაჩემს. მას არ სჩვეოდა ალერსიანი სიტყვა. არ მახსოვს ოდესმე ხელი მოეხვიოს ჩემთვის და მომფერებოდეს. დილით პირველ ყოვლისა პირისახეს შეიფაქიზებდა. ქართული კაბით და ლეჩაქით მორთული, დედოფალივით იჯდა თავის სამუშაო ოთახში. ის მხოლოდ თავის გასართობ საქმიანობას ეწეოდა. მაგიდაზე ედგა საკერავი მანქანა. სჭრიდა და კერავდა კაბებს და ახალუხებს. ქსოვდა თავსაფრებს, აბრეშუმის ხელთათმანებს, აბრეშუმის წინდებს ქალისათვის და კაცისათვის. ძაფის სართავი მანქანაც ჰქონდა. ამ მანქანაზე ართავდა აბრეშუმის ჭიიდან შინ გამოყვანილ ძაფს. მერე ნაცრის წყალში მოხარშავდა, რასაც ის გამოგბობას ეძახდა. ეს გამომგბარი ძაფი ისეთი კარგი გამოდიოდა, როგორსაც ახლა ქარხნებში ამზადებენ. ქსოვდა საკაბე და საახალუხე დარაიას. ოქრომკედით ქარგავდა ყაბალახებს, ქართული კაბის გულისპირს, ჩიხტაკოპებს და სხვას. ყველაფერ ამას აკეთებდა თავის ოჯახისათვის და კიდევ იმისათვის, რომ სოფლის ქალიშვილებს ესწავლათ ხელობა. მის სახლში შუადამ იყვნენ სოფლის გოგონები და სწავლობდნენ ხელსაქმეს.

დეიდაჩემის მეუღლე შეძლებული აზნაური იყო. მუდამ ჰყავდათ მო-

ახლე და მოჯამაგირე. მიუხედავად ამისა თვითონაც ეწეოდა სოფლის მეურნეობას. ოჯახს არაფერი არ აკლდა. როგორც დეიდაჩემს, აგრეთვე მის მეუღლეს, ჩემს ჯუმადიას, ასე უწოდებენ გურიაში დეიდას მეუღლეს, არ სჩვეოდათ ალერსიანი სიტყვა. წყენას ან სიამოვნებას ის გამოხატავდა ან მცირე ღიმილით, ან წარბის ოდნავი შეხრით. როცა მე ის გავიცანი, უკვე ხანში შესული კაცი იყო. თეთრი წვერები ჰქონდა. სახის მოხაზულობა ქართული, კლასიკური; ზოგიერი სიმაღლის ტანადობა. მუდამ ნაცრისფერი ჩოხა ეცვა. წელზე ერტყა სადა ქამარი ყოველგვარი იარაღის გარეშე. თავზე თეთრი ყაბალახი ეხურა. არასოდეს გლეხურად ყაბალახს არ შეიკრავდა. მას ოჯახში დიდიდან პატარამდე ყველანი „ბატონს“ ეძახდნენ. ის „ბატონი“ უაღრესად ღვთის მორწმუნე და მწიგნობარი კაცი იყო. ხშირად მიდიოდნენ მის ოჯახში გლეხის ქალები, ზოგს წერილის დაწერა უნდოდა, ზოგს მიღებული წერილის წაკითხვა და ზოგსაც რა... შაბათ-კვირას ლოცვის და წირვის შემდეგ დიდხანს ისხდნენ ეკლესიის ეზოში დიდი ცაცხვის ძირში სოფლის აზნაურები და გლეხები, მათ შორის ჩემი ჯუმადიაც. ისმოდა ხმამაღალი მსჯელობა სოფლის საქმეებზე. ამ სოფელში აზნაურებიც ერეოდნენ სასოფლო საქმეებში, — ეკლესიის შეკეთება, სკოლის შენობის მოწესრიგება... უკვე კარგა ხანია არსებობდა აქ ორკლასიანი სკოლა. ჯუმადია სასოფლო შარაგზის შეკეთებასაც არ თაკილობდა, თუმცა ის გლეხების ვალდებულებას შეადგენდა. სწორედ ამიტომ უგზოოობით იტანჯებოდა სოფელი. მისი ეზო და ბაღი სოფლის შარაგზაზე მდებარეობდა. როცა გლეხები გაიწვიეს გზის საკეთებლად, ბატონმა ჯუმადიამ უბრძანა მოჯამაგირეს:

— დავით, შეაბი ხარები! — და გაუყენა ურემი მდინარისაკენ ქვიშის ამოსაზიდად. მისი ბაღისა და ეზოს გასწვრივ თვითონ გაიყვანა შარაგზა. ამით მან ჩიხში ჩააყენა სხვა აზნაურები. „გზა ყველასია, გაანძრიეთ ხელი“, — ამბობდა ის. მაგრამ არავის ეპრიანებოდა სახელმწიფო გზის კეთება. როცა გლეხები გზის ნაპირებს თხრიდნენ, ასწორებდნენ, ქვიშას ყრიდნენ, ოფლს ღვრიდნენ, იქვე გზის პირას თავდგირიძის გორაზე. დიდი მუხის ძირში, ეს მუქთახორა ხალხი კამათლებს აგორებდა. მათი ხმამაღლა შეძახილი — „დუშაში“, გზის გაყვანაზე მომუშავე გლეხების სმენამდე აღწევდა.

ერთ დღეს ხმა დაირხა — ეკლესიასთან ერთკლასიან სამრევლო სკოლას ხსნიანო, სადაც ბავშვები ქართულად ისწავლიანო. „ეს კარგი საქმეა,“ — მცირე ფიქრის შემდეგ დინჯად წარმოთქვა ბატონმა ჯუმადიამ და ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა. შენობა გამონახეს, საჭირო ნივთები შეიძინეს და ამრიგად გაიხსნა სოფელ აკეთის ეკლესიასთან სამრევლო ქართული სკოლა. მასწავლებლად დანიშნეს ვინმე ღლონტი, რომელიც დეიდაჩემის ოჯახში დაბინავდა. ბედნიერება მეწვია. აქ გადავფურცლე პირველად გოგებაშვილის დედა-ენა. კითხვა კარგად ვიცოდი. წიგნი მუდამ ხელში მეჭირა. ამ წიგნის

სათაური „დედა ენა“ იყო. დიდბანს მქონდა შენახული ეს წიგნი. მასწავლებელი ლლონტი მესაუბრა, თუ რატომ იყო ჩვენთვის ძვირფასი დედა ენა და ქართული სკოლა.

ჯუმადია, როგორც ღვთისმორწმუნე კაცი, ყოველ დილა-საღამოს თითო საათი იდგა ხატის წინ სახარებით ხელში და ჩუმად, გულმოდგინედ ლოცულობდა. კარის ჭუკრუტანიდან ვუკვირდი, როგორ აღაპყრობდა ხოლმე იგი ხატისაკენ ხელებს, მერე პირჯვარს გამოისახავდა და მჯიღს ჩაიცემდა გულში. ვუცქეროდი და ვფიქრობდი: რატომ მამაჩემი არ ლოცულობდა? არასოდეს არ მინახავს, რომ მამას პირჯვარი გამოესახოს. ახალ წელს სანთლებანთებულ თაბახს სამჯერ შემოაბრუნებდა წაღმა, საკმეველს დააკმევდა ჯამზე გაღვივებულ ნაკვერჩხლებზე და ამით თავდებოდა მისთვის ახალწლის ლოცვა. ხშირად იტყოდა: „შვილებო, რომ მოვკვდები არაფერი არ მინდა. სიცოცხლეში გამახარეთ, მოვკვდე მიწა მომაყარეთო.“ მიუხედავად ამისა, ის შვილებისაგან უსიხარულო აღმოჩნდა.

ჯუმადია საღამოს ლოცვას რომ მორჩებოდა, ჩაწვებოდა ლოგინში, სასთუმალთან პატარა მაგიდაზე ედო სქელტანიანი წიგნი „დაბადება“. მე ერთხელ ნაბრძანები უნდა შემესრულებინა ყოველ საღამოს. ვაი იმ სირცხვილს, თუ ნაბრძანების მეორედ ბრძანება დამჭირდებოდა. დაბადების ხუთი გვერდი უნდა წამეკითხა ხმამაღლა და მერე წავსულიყავი დასაძინებლად. ბატონ ჯუმადიასაგან სხვა არაფერი მევალებოდა. ჩემი მეორე ვალდებულება იყო, იქვე ვმდგარიყავი, როცა დეიდა ქრასა და კერვას დაიწყებდა. ეს მე დიდად გამომადგა ცხოვრებაში. მადლობის გრძნობით უნდა ვთქვა, რომ ჯუმადიას ოჯახი ჩემთვის უაღრესად სასარგებლო სკოლა აღმოჩნდა. სახარებისა და დაბადების გარდა, მაგიდები სავსე იყო სხვა ქართული წიგნებით, ამ ოჯახში წავიკითხე პირველად ყაზბეგის „ელგუჯა“, აკაკის „გამზრდელი“, ილიას „გლახის ნაამბობი“ და ის ლექსები, რომლებიც იმხანად გამოქვეყნებული იყო. აქ გავეცანი ბარათაშვილის ლექსებს და ვისწავლე „მერანი“, რომელიც არა ერთხელ წარმომითქვამს შემდეგ სცენაზე. ვისწავლე ლექსი „მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა...“ უკვე განვვლე ჩემი ცხოვრების დიდი გზა და ამ ლექსს ჩემს გულში არ მიჰკარებია დავიწყების ჩრდილი. ახლაც, როცა შელამების ჟამს აივანზე ვზიავარ და პირსავსე მთვარე ანათებს, თვალწინ წარმომიდგება ხოლმე ყვარლის მთები, და განმარტოებით მდგარი ილია. საიდანღაც შემოიჭრება ჩემს სმენაში, „ოხ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“ მაგრამ მისმა სანატრელმა გაღვიძებულმა საშობლომ ვერ დაიხსნა ილია საზიზღარი ჯალათებისაგან. აქ შევიცანი ნინოშვილის ცრემლის მომგვრელი მოთხრობები. ამ ოჯახში ვნახე საბა სულხან-ორბელიანის წიგნი და შემდეგ სხვა საბავშვო მწერლების წიგნები, რომლებიც ახლა წინ მიდევს, დამთავრებული დუტუ მეგრელის ლექსებით.

„ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო,—
ყველა ჩემი სამშობლოა—
საყვარელი საქართველო...“

შემდეგ ეს ლექსი მე ჩემს შვილებს ვასწავლე.

ჯუმადიას რუსთაველის პორტრეტი ხატივით ჰქონდა დაკიდებული სასტუმრო ოთახში. წიგნების მაგიდაზე განსაკუთრებული ადგილი ეკირა „ვეფხისტყაოსანს“. იქვე იდო გუგუნავასეული გალექსილი თამარიანი. მე არ ვიცი, ეს ურყევი ღვთისმორწმუნე, წმინდანივით კაცი რას გრძნობდა, როცა დაბადებასთან და სახარებასთან ერთად ამ წიგნებს კითხულობდა. ეს კია, რომ ქართული კულტურის დიდი თაყვანისმცემელი იყო.

მე აქ შევიგნე რას წარმოადგენდა გაზეთი „ივერია“, „კვალი“ და სხვ. ეს ჟურნალები, გაზეთები და წიგნები მისით როდი მოფრინავდნენ თბილისიდან. ფოსტა არ იყო რიგიანად მოწესრიგებული მაშინ. ამ ოჯახს ჰყავდა რკინიგზელი სიძე, რომელიც მთავარ კონდუქტორად მსახურობდა მატარებელზე. ეს კონდუქტორი ძალიან ხშირად „გაბერილი“ მოდიოდა ცოლ-შვილთან. ლანჩხუთიდან აკეთამდე ერთი საათის გზაა. მისი მოჯამაგირე დავითი სადგურზე ცხენს დაახვედრებდა და დატვირთული ცხენი მოგვადგებოდა კარზე. დიასახლისები საოჯახო ნივთებს სტაცებდნენ ხელს. ხოლო ბატონი ჯუმადია წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით სავსე ჩემოდანს ხსნიდა. მეც მასთან მივცუცქდებოდი, ვეხმარებოდი, ვასუფთავებდი წიგნებს და ვაწყობდი მაგიდაზე.

— მოდი, ბოშო, აქ!—ასე იცოდა ჯუმადიამ დაძახება.—შეხედე ამ წიგნებს, აიღე, წაიკითხე, რომელიც მოგწონს და ისე დაალაგე, როგორც არის.

— დიახ, ბატონო,—ვუპასუხებდი მოკრძალებით და ზუსტად ვასრულებდი მის მითითებას.

ამ დიდებულ ოჯახში მე მაინც ობლად ვგრძნობდი თავს, მაგონდებოდა მამის ოჯახი. არ ვიცოდი ჩემი გაფანტული ძმების ამბავი, მენატრებოდა სახლში დარჩენილი პატარა და-ძმა. ვდარდობდი ყველაზე. დედის საფლავთანაც ჩამოვჯდებოდი ოცნებით... ვნაღვლობდი. ჩემი გულის დარდი იცოდა მხოლოდ ჩემმა ბალიშმა, რომელიც ღამღამობით იშრობდა ჩემს ცრემლებს. აღარ მიზიდავდა ყვავილები, რაც ბლომად იყო დეიდაჩემის ეზოში. ჩემთვის ყველაფერს წარმავლობის მჭკნარი ფერი დაჰკრავდა. ჩამავალ მზეს მიყვებოდა ჩემი ბავშვური ოცნებები...

დეიდაჩემი მიშლიდა მოსამსახურეებთან დალაპარაკებას, მე კი საღამოობით ჩუმად ჩავირბენდი სამზარეულოში და ხანში შესულ მოჯამაგირესთან, დავითთან გავაბამდი საუბარს. კერაზე მუკუზლების ცეცხლი ბრიალებდა. ქვის დიდი კეცი ხურდებოდა. იქვე მოსამსახურე დედაკაცი ფუსფუსებდა, ეახშამს ამზადებდა. დავითი იჯდა გრძელ ჯირკზე ცეცხლისპირას და მოქან-

ცული, თმაშეეერცხლილი კაცი ჩიბუხს აბოლებდა. თითქოს ჩიბუხიდან ამოსულ კვამლს მისი ფიქრები მიყვებოდა, ისე ნაღვლიანად მიაყოლებდა თვალს. მე გრძელი ჯირკის მეორე თავში ჩამოვჯდებოდი. დავითი მოიხედავდა, დანინახავდა და გამიღიმებდა. გავაბამდით საუბარს. ხან რას ვკითხავდი და ხან რას... ერთხელ რატომღაც ვკითხე:

— ბიძია დავით, შენ სახლი არ გაქვს?

— ჩემს სახლში, ბიძია, ტურები ჭყავიან.

— შვილი არა გყავს?

— რად მინდა შვილი, ბიძია, შვილს გაზრდა უნდა. მე კი მხოლოდ ცარიელი ხელები გამაჩნია.

ჩემს დიდ სიხარულს წარმოადგენდა, როდესაც დეიდაჩემი ნებას მომცემდა, სოფლის რომელიმე ქალიშვილს რამდენიმე ხნით სოფელში გავყოლოდი. სოფელში ჩემდა უნებლიეთ ყველაფერი ჩემს ყურადღებას იქცევდა. სოფელ აკეთსა და აკეთიდან ოცდახუთი კილომეტრის სიშორეზე მდებარე პატარა გურიანთის მოსახლეთა შორის თვალსაჩინო განსხვავება იყო. აქ თითქოს ღარიბთა ქოხებსაც რაღაც ქალაქური იერი გადაჰკრავდა. ამის მიზეზი ალბათ ის იქნებოდა, რომ ოჯახში თუ ორი მამაკაცი იყო, ერთი მათგანი უთუოდ სადმე სამუშაოდ იყო წასული, მეტწილად შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში. საშოვრად წასულ გლეხებს ოჯახი როდი ავიწყდებოდათ, ხშირად მოდიოდნენ სოფელში და ქალაქური ნივთები მოჰქონდათ. ამიტომაც ქალაქური ელფერი აფერადებდა სოფელს. თუ გლეხები, ასე თუ ისე, მაინც მიდიოდნენ ქალაქებში, აქაური მრავალრიცხოვანი აზნაურები მაგრად იყვნენ მიკრული თავიანთ მიწაზე. ჯუმადიას მოგვარეები—დათუნაიშვილები, შემდეგ ჯაყელები, მგელაძეები, ბაეუნაიშვილები, შალიკაშვილები, აი, ვინ იყვნენ აქაური აზნაურები. ისინი პატარა მემამულეები იყვნენ, ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, მაგრამ საშოვარზე წასვლას მაინც არა კადრულობდნენ. ოთხიოდე თავადი თავდგირიძე მიწის ისეთ სიმცირეს განიცდიდა, რომ გადაკარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, წლის საკმარისი მჭადი არ შემოდიოდა მათ ბეღელში.

ჩვენი სოფლის სკოლაზე აზნაურებიც ზრუნავდნენ; ამ აზნაურებმა წერაკითხვა იცოდნენ. „ვეფხისტყაოსანი," „თამარიანი" და „ვისრამიანი" მოიპოვებოდა იმათ ოჯახებში. ქვედა გურიის მცხოვრები მემამულეები კი—გურიელი და ნაკაშიძე, არა თუ გლეხებისაგან, აზნაურებისაგანაც შორს იდგნენ, მათ მამულს მოურავები განაგებდნენ, აკეთელ თავდგირიძეებს კი სამოურაო არაფერი გააჩნდათ.

ზაფხულში ქალაქებიდან დასასვენებლად დაბრუნებულ გლეხებს თან მოჰქონდათ ჟურნალ-გაზეთები, რაც ხალხში ინტერესს იწვევდა. ისინი ჩაც-

მულობითაც განირჩეოდნენ სოფლელებისაგან. ფეხზე „სკოროხოდები“* ეცვათ, თავზე ყაბალახის მაგიერ ჩალის ქუდი, ტანზე უბრალო, იაფფასიანი, მაგრამ ევროპული ტანსაცმელი. ასეთი ხალხის გამოჩენამ და ამავე დროს სკოლებისა და მასწავლებლების მომრავლებამ გამოიწვია ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნის საჭიროება. მაგალითად, დიდი ზეიმით გაიხსნა აკეთის ბიბლიოთეკა-სამკითხველო. საზეიმო სადილზე მოწვეული იყვნენ სამაზრო ქალაქიდან და სხვა სოფლებიდან იმ დროის რჩეულნი. აკეთის ბიბლიოთეკა მეორე ბიბლიოთეკა არისო გურიაში, ამბობდნენ. პირველი ბიბლიოთეკა არ ვიცი რომელ სოფელში არსებობდა. მხოლოდ ეს ვიცი, სამაზრო ქალაქში—ოზურგეთში ჯერ კიდევ არ არსებობდა ასეთი საჯარო ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

ამ საზეიმო სადილზე გავიცანი კოწია ერისთავი. შემდეგ კარგახანს ვმღეროდი მის ლექსს—„ერთხელ ვიხილე ბაღში ყვავილი...“ ამ ზეიმზე გავიცანი სიმონ გუგუნავა. ერთხელ ბატონმა ჯუმადიამ ს. გუგუნავას უთხრა, ამ პატარა ქალიშვილმა თქვენი თამარიანი ზეპირად იცისო. გუგუნავამ ისეთი მზიური ღიმილით შემომხედა, ასე მეგონა მის გულზე დაფენილი თეთრი წვერები უხილავმა სიომ შეაშრიალა-მეთქი. მე არ ვიყავი ჩვეული ასეთ სათნო ღიმილს.

— ძალიან კარგი ქალიშვილი ყოფილხარ,—მითხრა გუგუნავამ,—მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“ თუ წაგიკითხავს?

— წამიკითხავს...

— ხომ არ გახსოვს რომელიმე ტაეპი?

— მახსოვს...

და მე სხაპასხუპით დავიწყე: „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა, შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და...“ არც მაშინ და შემდეგ კიდევ კარგა ხანს არ ვიცოდი რას ნიშნავდა სიტყვა „სადავითა“...

აკეთის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამო გამართულ საზეიმო სადილს გლეხები არ დასწრებიან. სადა მრავალჟამიერით დამთავრდა ზეიმი. აქაურ თავადაზნაურობას ხალხური სიმღერები არ უყვარდა, ხალხური სიმღერისათვის თითქოს შეკრული ჰქონდათ ყბა. გიტარაზე კი აბარტყუნებდნენ „გულიმჯანს...“ სამაგიეროდ აკეთში ცხოვრობდნენ სამნი ძმანი თოხაძეები. ისინი ნამდვილი მეთოხე გლეხები იყვნენ. მათი კრიმანჭული ქვეყანას გადაწვდებოდა, ბაღალი მრავალჟამიერი და ხასანბეგურა ადამიანს აცოცხლებდა. საიდან სად არ გაისმოდა მათი ყანური. ოფლის ღვართან სიმღერის ნიაღვარიც ედებოდა გლეხების ყანებს. განა მარტო ყანებს?! გლეხის ქორწილი მათ

---

* სკოროხოდი—ფეხსაცმელების სახელწოდება.

გარეშე არ მოხდებოდა. დადგებოდა ზაფხული. დეიდაჩემის ოჯახში დაიწყებოდა განუწყვეტელი სტუმრობა. ჩოდიოდნენ ბათუმიდან სტუმრები, ლანჩხუთიდან ნათესავები, თბილისიდან მთავარი კონდუქტორი და მისი ნაცნობები. ამათთან შემოიკრიბებოდნენ ადგილობრივი თავად-აზნაურობა და გაჩაღდებოდა სადილები, გიტარა, ნარდი, და ფანდი. ეს იყო ზაფხულის მხიარულება. გარდა ამისა არაფერი არ აწუხებდა ამ ხალხს. ამას ემატებოდა მოქეიფე ახალგაზრდების ქართული ხელებგაშლილი ცეკვა, თუ ფრენა... ეს იყო ტრფიალი და წმინდა გულის მღელვარება.

თექვსმეტი წლის ძლივს ვიყავი, როდესაც დეიდაჩემმა კოქებამდე გრძელი კაბა შემიკერა. ახლა უკვე გასათხოვარი ქალი ხარო, ბრძანეს. ეს იყო 1898 წელი. ერთ დღეს ბატონ ჯუმადიასთან მოვიდა ნაცნობი მასწავლებელი კაცი და ჩოხაში გამოწკიპული ახალგაზრდა აზნაური—ვალერიან შალიკაშვილი. დეიდაჩემს სთხოვეს, რომ მე მონაწილეობა მიმეღო რომელიღაც წარმოდგენაში. რა პიესის დადგმას აპირებდნენ, არ მახსოვს. მე წარმოდგენა და თეატრი ჯერ არ მენახა. პიესები ცოტა მქონდა წაკითხული. დეიდაჩემმა ცივი უარით გაისტუმრა კულტურის მოყვარული ეს ორი ახალგაზრდა, მათ შორის ერთი შემდეგში ცნობილი მსახიობი და რეჟისორი, ვალერიან შალიკაშვილი. გამოთხოვების დროს ვალერიანმა ასე წამჩურჩულა: „ეცადეთ გახდეთ მსახიობი...“ მაშინ პირველად ვნახე ვალერიან შალიკაშვილი. კარგად მახსოვს მისი რჩევა. შემდეგში დიდი გულისყურით ვკითხულობდი ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ ვალერიანის წერილებსა და ეტიუდებს.

მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. ფიქრებმა შემიპყრეს. ვიგრძენი, რომ ამ ურყევ ტრადიციულ ოჯახში ჩემი ნება-სურვილი მუდამ შებოჭილი იქნებოდა. ჩემი გული კი თხოულობდა შეუზღუდველ თავისუფალ ჰაერს. ვერ ვიტანდი კარჩაკეტილ ცხოვრებას. ისევ ოზურგეთი მაგონდებოდა, მამის ოჯახი. დღე-დღეზე ველოდი მამაჩემის გამოჩენას. გავიგე, მამას უნდოდა ჩემს სანახავად მოსვლა.

საღამოს ბინდი ეკიდებოდა სოფელს. ქათმები უკვე სხდებოდნენ ხეებზე. დავითთან ჩავირბინე სამზარეულოში. მოხუცმა შემამჩნია, რომ მოწყენილი ვიყავი. ჯორკოზე ჩამოვჯექი. ამ დროს მომესმა ძაღლების ყეფა. რაღაც გულმა მიგრძნო, გარეთ გავვარდი. ეზოკართან მამაჩემი იდგა. სიხარულით ენა დამება. ძაღლები ჩავაჩუმე და ოდაში შევუძეხი მამას. მეორე დილით ცრემლებით დავაღწიე თავი დეიდაჩემის იმდროისათვის დიდებულ ოჯახს, რომელმაც მე ბევრი სიკეთე შემძინა. გამოვცილდი თავდგირიძეების გორას, მოვიხედე უკან და გავიფიქრე: მშვიდობით, აკეთო, მშვიდობით!.. მაგრამ ამ ოჯახიდანაც გამომყვა ერთი გულსაკლავი სახსოვარი—მოჯამაგირე დავითის დაღვრემილი სახე. ეს სახე დიდიხნის შემდეგ გამოვხატე ლექსში „იმ დროს გიხილე?“ ეს ლექსი დაიბეჭდა გაზ. „თემში“ 1914 წ.

ლექსი ასე ბოლოვდებოდა:

„შენი ყვავილნიც გაიშლებიან,
ჩემი ოცნებაც შვებით ფრთებს გაშლის,
მაგრამ მაგ სახეს ტანჯვით აღსავსეს
ამ ჩემს ხსოვნაში ვერა რა წაშლის.“

და მართლაც ჩემი ხსოვნიდან არ აშოიშალა ამ დაბეჭავებული ადამიანების სახეები: შავარდენა მუჯირი, ბიძია მევარი, გრძელწვერა სოლომონი, თვალცრემლიანი თათია, იობა და ნანობა. ამათ მიემატა მოჯამაგირე დავითი და ყოველ შეღამების ჟამს, როცა ფიქრები მოყვებიან თვალთა ბინდს, ეს სახეებიც შემოკრბებიან ჩემს გარშემო.

* * *

დავბრუნდი მამაჩემის სახლში. ქუჩებში ფარნები ბჟუტავდა. ოზურგეთი მიდუმებულიყო. არ ისმოდა ქალაქის თავში ჩამწკრივებული სამქედლობის ჭახაჭუხი. ვაჭრებს მაღაზიები დაეკეტათ. გვიან იყო. ნიავი ძილისპირულივით აშრიალებდა ფოთლებს. აივანზე მოგვეგება სახეშეცვლილი შუახნის ქალი. მომესალმა, გადამკოცნა და სახლში შემიძღვა. მე ბავშვებთან გავირბინე მეორე ოთახში. ბავშვები უკვე ჩაწოლილიყვნენ ლოგინში. თავი წამოყვეს, გადამეხვივნენ და ჩუმად ჩამჩურჩულეს:

— ჩვენი დედინაცვალი ნახე?

— ვინა, ის ქალი?

— ჰო, ის ჩვენი დედინაცვალია.

თავზარი დამეცა. მხოლოდ იმ წამს გავიგე, რომ მე დედინაცვალი მყოლია. ახლა მივხვდი ამ სიშორე გზაზე რატომ მოდიოდა მამაჩემი მუნჯივით. ასე ყოფილა ჩემი ბედი. აქაც განმარტოებულად უნდა ვიცხოვრო.

ისევ მე და ჩემი ბალიში... ჩუმი, გამოუთქმელი წუხილი...

დილით თვალი მოვავლე ყველაფერს. ახალი ოთახები უკვე სულ სხვა წესრიგზე იყო დალაგებული. გარეთ გავიხედე, ჩვენს დიდ ეზოში ხუთი ოჯახი ჩამოსახლებულიყო. ახალი მეზობლის ღობე ჩვენი ოდის გვერდში აღმართულა. გზატკეცილის პირას აკაციები აწვდილან და შუადღის მცხუნვარე მზეს გვიჩრდილავს. ბაღ-ბოსტანში ნორჩ ხეხილებს ტოტები გაუშლია. ოდის წინ დედაჩემის ხელით დარგული ვაშლის ხე ჩემი ფიქრებივით გადაშლილა, ცისკენ აღუმართავს თავისი მაღალი კენწერო. ფანჯრის მინაში ჩემი ლანდი დავინახე. მეც გავზრდილვარ. მაგრამ ჩემი ფიქრები ჩემზე მაღალია. ჩემი ოცნება ჩემს ზევით ბრწყინავს მზის შუქივით. ქუჩაში გავედი. ახალ მეზობლებს მინდა გავეცნო. ვინ უნდა იყოს ეს ხალხი? ხუთი ოდის წინ ჩავიარე. ყველას თავ-თავისთვის პატარ-პატარა ეზო გადაუღობავს. არც ერთს ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვს. ეტყობა მამაჩემს ნაწილ-ნაწილად გაუ-

ყიდია მიწა. აწ რაღას გაყიდის? რა აქვს კიდევ გასაყიდი? გურიანთისკენ გამაქანა ფიქრებმა. იქნებ იქაური მამულიც გაყიდა? იქ რომ პატარა ფაცხა დავტოვეთ, ღამის გასათევი, იქნებ ისიც გაყიდა? საწნახელი? ორკოპე? ახლა სხვა ოცნებამ გამიელვა თავში და მდინარე სკურდიმის პირას ჩავიქროლე. მიყვარს ეს ღელე, ქვიდან-ქვაზე მხტუნავი თეთრი ზვირთები. მის ნაპირზე გაფურჩქნული მდელო და მისი შხეფებით ნაპკურები ყვავილები. მიყვარდა მის ნაპირას ბორცვზე ჩამოჯდომა. დიდხანს, დიდხანს ჩავცქეროდი ხოლმე ამ მდინარეს გულში ჯერ კიდევ ბავშვი. ერთხელ აკეთში ყოფნის დროს ისე გამიტაცა ოცნებამ, რომ ასე მეგონა სკურდიმის პირას ვიჯექი. პაწაწინა ლექსიც კი დამცდა:

მიყვარს, სკურდიმო, როს შენს ნაპირას
ვზივარ ფიქრებით გარემოცული,
მე გულში ჩაგცქერ და შენ კი, ცელქო,
ჩხრიალით მიჰქრი გამალებული.

კარგა ხნის შემდეგ ამ ტაეპს მეორე ტაეპი მოემატა და ერთ-ერთ ჟურნალში დაიბეჭდა.

თვალი მოვავლე ახალ მოსახლეებს. ბოძებზე შემდგარ მათ ოდებს ზოგს ფანჯარა აკლდა და ზოგს კარი. ქალები აივანზე ჭილობებს და ძველ საბნებს ფენდნენ. ეზოში ფეხშიშველა ბავშვები დატანტალებდნენ. ესენი ხომ სოფლის ღარიბი გლეხები არიან? რად ჩამოსახლებულან აქ? გამახსენდა: ალბათ, ჩაფრებს და კაზაკებს გამოექცნენ სოფლიდან და ამ პატარა ქალაქს შემოაფარეს თავი. მაგრამ, აი ეზოებიდან ურმებით და თოხებით გამოვიდნენ გლეხები და სოფლისაკენ გაეშურნენ მიწის დასამუშავებლად. ზოგს ლაითურში აქვს ყანა, ზოგს ჩაჩიაზე. მე გამახსენდა იობას ნათქვამი შაირი: „ანაკლიას ყანა მქონდა, ჩანაკლიას ნალიაო...“ ასე გამხდარა ამ ხალხის საქმე. მივბრუნდი ჭიშკართან, გავჩერდი, ვუცქერი მამაჩემის სახლ-კარს. დედაჩემის ხელით დარგული ვენახი გაზრდილა, გაყოლია პარმაღის სვეტებს და გაუშლია ფათალო. ვაშლების ძირში გუნდ-გუნდად გაბადრულან ვარდები. მომაგონდა დედა, ვჩურჩულებ: „ჩემო დედა, როგორ გიყვარდა მწვანე მდელო, როგორ გიყვარდა ყვავილები, როგორ გიყვარდა ლაჟვარდი ცა, გიყვარდა გურიის მთებიდან ამოკაშკაშებული დილის მზე, რომელსაც ერთ დროს შენთვისაც მოჰქონდა სიცოცხლე, მაგრამ ახლა!..“

— რას უყურებ, შვილო?—მომესმა მამაჩემის ხმა.

მივიხედე. ის თურმე ჩემზე ადრე ამდგარა და პურის საყიდლად გასულა.

— სოფლის მამულიც გაყიდე, მამა? თირის წყაროც?

მამა ამ შეკითხვას არ მოელოდა, ცალი ხელი ჭიშკარს დააბჯინა და ნაღვლიანად თქვა:

— გავყიდე, შვილო. ბაღნები სწავლობენ... ასი გასაჭირი მადგა!

ხმა აღარ ამომიღია: პური გამოვართვი და ოთახში შევედი, თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს ჩამიქრა ლამაზი ოცნებები, რომელიც ბავშვობიდან ნათელ შუქად მევლინებოდა.

იმ დღეს პირველად ვნახე მამის დაღვრემილი სახე.

* * *

რა გამაჩერებს სახლში. ქალაქი მინდა დავათვალიერო. ნაცნობი ქუჩები მინდა შემოვირბინო. იქნებ სკოლის ამხანაგებმა მიცნონ. ისინიც ჩემოდენა ქალიშვილები იქნებიან ახლა. ნეტა რას აკეთებენ?—ჩემი ახალი თეთრი კაბა გადავიცვი და გავდივარ სახლიდან. დედის მაგიერმა ამხედ-დამხედა, არ მოეწონა, რომ ნებართვა არ ავიღე მისგან. ესღა მაკლია, მაგისაგანაც ნებართვა ავიღო,—გავიფიქრე,—არა, ნუ გგონიათ!

მამაჩემი პარმაღის კიბეზე ჩამომჯდარიყო. წყნარად ჩავედი საფეხურებზე და მორიდებით მივმართე:

— მამა, ცოტას გავისეირნებ!..

მამამ ყალიონი ორ თითში დაიჭირა და ღიმილით მითხრა:

— თუ გინდა ბევრიც გაისეირნე, ვინ გიშლის. დღეს კვირაა და მოედანზე ხალხი იქნება.—მერე ღიმილით დაუმატა,—გაიხედ-გამოიხედე, იქნებ ვინმეს მოეწონო!

მამაჩემი ყოველთვის ამაყობდა ჩემი გარეგნობით და როგორც მაშინ შევნიშნე, თეთრ კაბაში უფრო მოეწონე. ალბათ დედინაცვალმაც ამიტომ გადმომხედა ფანჯრიდან.

ჩვენს ქუჩაზე წითლად შეღებილი ყაზარმები იყო. მასში ჯარისკაცები იყვნენ დაბანაკებულნი. შორიდანვე დავინახე—ჯარისკაცების სამზარეულოს კარებთან, ხელში ტომსიკებით და ხელქვაბებით პატარა ბიჭები იდგნენ.

— რას ელოდებიან ის ბიჭები?—ვკითხე ჩემს გვერდით მიმავალ მეზობლის ქალს.

— ამ სიშორეზე ხედავ, ქალიშვილო? რას ელოდებიან და ჯარისკაცის ნასუფრალს... ჩემი ბიჭიც იქ არის,—რაღაც მკვახედ მიპასუხა ქალმა და განაგრძო,—სიღარიბეში ვართ. სოფელი დავტოვეთ და ქალაქში კენჭების მეტი არაფერი ყრია, იქ ჩაფრებს ვერ გავუძელით, სახელმწიფო და ბატონის ბეგარას გამოვექეცით. ღმერთმა დასწყევლოს ამისთანა ცხოვრება. მთელი დღე რომ იარო ქუჩაში, გროშს ვერ იშოვი!

ჩქარი ნაბიჯით შემოვიარე ნაცნობი ქუჩები. თითქმის ყველა ქუჩაზე ახალი ოჯახი ჩამოსახლებულა. უკარ-ფანჯრო სახლებიდან ისმის ბავშვების ტირილი. ფუსფუსებენ ქალები პაწაწინა ეზოებში, რომლებშიც ხელის წისქვილიც ძლივს მობრუნდება: აგერ აივანზე წამოწოლილა ზორბა ქალი და აკაციის ტოტით ბუზებს იგერიებს. იქ, სხვა ოდის პარმაღზე გოგოს გიტარა

უპირავს ხელში, აწყობს და ვერ აუწყვია. გიტარა კი უყიდია. უფრო იქით ბიჭებს ქაღალდზე ნარდი დაუხატავთ და პურისაგან დარგვალებულ ქამათლებს აგორებენ. ოჯახის მამები არ ჩანან. ვიღაც დედაკაცებს თავსაფარი მოუხვევიათ და ეკლესიისაკენ მიიჩქარიან, ჯიბეში ორ კაპიკს ეძებენ თაფლის სანთლის საყიდლად. მოსმის ეკლესიის ზარების ზუზუნი.

სავაპრო მაღაზიების წინ ჩავიარე. ვაპრები გულხელდაკრეფილი სხედან დახლში. „მობრძანდი, ქალიშვილო!..“ მეძახის ვიღაც გაბერილი კაცი. ბრაზი მომივიდა, ფეხი ავაჩქარე. შუა ბაზარში შევედი. სოფლელ დედაკაცებს ცოცხები დაუწყვიათ წინ. „ნანობა!“— დავიყვირე მე და ჭაღარა ქალს გადავეხვიე- მოხუცებულა ნანობა. მიცქირა, მიცქირა და უცებ მითხრა:— დედას დამსგავსებიხარ, რა თავმდაბალი და კეთილი ყოფილხარ, იხარე. შვილო!..

ეკლესიიდან ისევ შემომესმა ზარების რეკვა. შუა წირვაა. სობოროსკენ გავწიე. წინ ორი ქალიშვილი შემეჩეხა.— ლიდია მამულაიშვილი ხარ?! — მომაძახეს. ჩემი სკოლის ამხანაგები იყვნენ— ცაცა და პელო. აღტაცებით გადავკოცნეთ ერთმანეთი.

— კარგ დროს შეგხვდით,— მეუბნებიან,— ჩვენთან უნდა წამოხვიდე!

— საით?

— ფილიმონ ქორიძე ხომ იცი?

— გამიგონია.

— კონცერტი უნდა გამართოს. ქალიშვილებს დავეძებთ. ჯერჯერობით ხუთნი ვართ. მეექვსე შენ იქნები.

არ დავფიქრებულვარ. ფილიმონთან შევედით. ფილიმონი ზორბა კაცი იყო. „ოო, მეექვსე!..“ გაუხარდა ფილიმონს. პატარა, დაბალ ფისგარმონიას მოუჯდა და პირი გააღო:

— ააა... დიახ, დიახ, ძალიან სასიამოვნოა,— ფანქარს დაავლო ხელი,— ერთი მოგვემატა. მაგრამ რას გვიშველის ერთი? მართლაც ვერ ვუშველეთ ფილიმონს. საკმაო რაოდენობით არ შეიკრიბნენ მომღერლები და განზრახული კონცერტი ჩაიშალა.

ამხანაგებს დავშორდი. მოედანი გავიარე. ხალხი ზანტად მიმოდის. ზოგნი ფიცრის სკამლოგინზე ჩამომსხდარან. ესენი უდარდელი მცხოვრებნი არიან, სადღაც მოკალათებულან, ლუკმაპურს ჭამენ და უდარდელად ატარებენ დროს. კიდევ ორი ნაბიჯი და კლუბის კარებზე ახალი განცხადება შევნიშნე:— „ბიბლიოთეკა-სამკითხველო ღიაა ამა და ამ საათებში.“ ეს მოულოდნელი იყო ჩემთვის. ახლახან გაეხსნათ ბიბლიოთეკა. მაშ შემიძლია წიგნებით ვისარგებლო. მაგრამ მანეთი რომ არის საჭირო საწევრო გადასახადი? სად ვიშოვნო მანეთი? მამის ოჯახისკენ მივიხედე, უიმედობამ მოიცვა ჩემი გული. მანეთის პური ერთ კვირას ეყოფა ბავშვებს სახლში, მე ვინ მომცემს მანეთს? დედა რომ მყავდეს... (დედას უყვარდა ლექსები, ზღაპრები, სოფლის ამბები, ტკბილი ღიღინი. ეს ვინ არის? დედინაცვალი ამეჩხირა წინ.)

სამკითხველოში შევედი. შიგ სამი ევროპულად ჩაცმული კაცი გაზეთს ათვალიერებდა. ყველამ გაკვირვებით შემომხედა. თურმე იმიტომ, რომ ქალიშვილები არ დადიან სამკითხველოში. მაგიდაზე თავისუფალი გაზეთი არ იყო.

— წიგნი მინდა!—ვეუბნები გამგეს.

— აი, წიგნები,—მიმიითითა თაროსკენ,— ილია, აკაკი, ყაზბეგი, ნინოშვილი, აირჩიე, ქალიშვილო!

ბიბლიოთეკა მეტად ღარიბი იყო წიგნებით.

— ეს წიგნები წაკითხული მაქვს,—ვუპასუხე მე.

ბიბლიოთეკის გამგემ წიგნების სია ამოიღო ყუთიდან და მომაწოდა.

— მაშ თქვენ თვითონ ამოირჩიეთ, გადასინჯეთ, რომელი წიგნი არ წაგიკითხავთ.

ვათვალიერებ სიას. ორი წიგნი აღმოჩნდა ჩემთვის უცნობი: „ქილილა და დამანა“ და „ნემესიოს ემესელი“. მე ავიღე „ნემესიოს ემესელი“. ვჯდები გრძელი მაგიდის კუთხეში და ვკითხულობ თავჩაღუნული. ხან ფარულად შევავლებ ხოლმე თვალს იმ მამაკაცებს. ისინი კვლავ გაკვირვებით მიცქერიან. რაღაც გადაუჩურჩულეს ერთმანეთს. ერთი მათგანი მიახლოვდება და ხმადაბლა მეუბნება:

— ძალიან მსიამოვნებს, რომ წიგნის მოყვარული ქალიშვილი ყოფილხარ, მაგრამ ეს წიგნი,—ხელი დაადო ჩემს წიგნს,— ძნელი წასაკითხია.

თვალები მივაშტერე მოსაუბრეს. მეტად სიმპათიურ ადამიანად მეჩვენა. მე მორცხვად მიეშართე:

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

მან გამიცინა.

— მე ვარ კოწია თავართქილაძე. საკუთარი სტამბა მაქვს. წიგნებს ვბეჭდავ. წიგნის მაღაზიაც მაქვს.

— ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. მე მინდა გავიგო რას წარმოადგენს ეს „ნემესიოს ემესელი...“

მესამე დღეს თავართქილაძე მოვიდა ჩემთან სახლში და ახალი წიგნები მომიტანა საჩუქრად. ამ წიგნებში იყო თედო სახოკიას პატარა ლექსიკონი, სადაც ახსნილი და განმარტებული იყო ზოგიერთი უცხო სიტყვა ქართულად. მეორე წიგნი იყო „თავადის ქალი“ ავალიშვილის მიერ თარგმნილი და სხვა...

სამკითხველოს დაკეტვის დრო მოვიდა. წიგნი ჩავაბარე. გამგემ მომაგონა, ერთი მანეთი მოიტანე და წიგნებს სახლში გაგატანო. მანეთის გახსენებაზე ისევ სევდა მეცა. გარეთ გავედი. ბიბლიოთეკის ეზოში ვიღაც ახალგაზრდები შეკრებილიყვნენ და რაღაცაზე გაცხარებული მსჯელობდნენ. მათ შორის ჩემი ნათესავი დათიკო დავინახე. მე ის პეტერბურგში მეგულებოდა.

მინდა დავუძახო, ვაი რომ ვერ მიცნოს? ვეღარ მოვითმინე და ახლოს რომ ჩავუარე, ბავშვურად შევეცინე:

— დათიკო!..

ყველამ ჩემკენ მოიხედა. დათიკო გაკვირვებული მომიახლოვდა. თურმე მასაც არ ვეგონე ოზურგეთში.

— რამხელა გაზრდილხარ, გოგოვ, უკვე ქალიშვილი გამხდარხარ!—ხელი მომხვია და ახალგაზრდებთან მიმიყვანა. ხარხარით წამოიძახა: „ეძებდე და ჰპოებდე...“ სათითაოდ გამაცნო ყველა.—ეს ვასო ურუშაძეა, არტისტობას აპირებს. ეს ალიოშა წუწუნავა, ესეც არტისტობს. ეს ახალგაზრდები ჩვენი სკოლის მასწავლებლებია—ლადიკო და სილოვანი, ესენიც თეატრს ეპოტინებიან. ეგ კი გერასიმეა, თბილისის სემინარიელი, ჩვენი თანამგრძნობი. ეს თეთრჩოხიანი კოლია ბებურიშვილია. ეს კი უეჭველად მომავალი არტისტია. თბილისის პანსიონიდან არის. აგერ ცაგარელის პიესები ჩამოუტანია. წარმოდგენა გვინდა დავდგათ. თალიკოს როლის მოთამაშეს ვეძებდით და გნახეთ კიდევაც.

— მე პიესები წამიკითხავს, ვიცი როგორ იწერება, მაგრამ თეატრი არ მინახავს, არ ვიცი თამაში, აბა საიდან უნდა მცოდნოდა?..

— თქვენ მხოლოდ წრეში მუშაობის თანხმობა მოგვეცით, სხვას ნუ დარდობთ. ისე მოგამზადებთ რომ...—არ აცლიდნენ ერთმანეთს, ყველა მთხოვდა. ცოტა თავშეკავების შემდეგ დავეთანხმე.

აღფრთოვანებული დავბრუნდი შინ. აი ის, რასაც გული მთხოვდა. აი, ის აღტაცება, რაც ოცნებად მეხატებოდა. ჭიშკართან რომ მივედი, ოდნავ შევკრთი. არ ვიცოდი რას მეტყოდნენ შინ?! დედის მაგიერ დედინაცვალი ამეჩხირა წინ. დაე, რაც უნდათ ისა თქვან, ამ გზიდან ვეღარ დამაბრუნებენ.

პირველი წარმოდგენის რეპეტიციები ექიმ ბესარიონ კალანდაძის ოჯახში ჩავატარეთ, რადგან ბებურიშვილი სტუმრად მასთან იყო ჩამოსული. მასპინძელი დიდი თანაგრძნობით გვეპყრობოდა. რეპეტიციების შემდეგ გვიმასპინძლდებოდა კიდეც. სულ მალე მოვამზადეთ ცაგარელის კომედია „ბაიყუში“. წარმოდგენა დავდგით ქალთა სასწავლებელში, სადაც ჯერ კიდევ პატარა სკოლის მერხზე ვიჯექი. ახლა იმ მერხებიდან საზოგადოება ტაშით გვხვდებოდა. მართლაც ბებურიშვილმა თავისი მოხდენილი თამაშით ბევრი აცინა ხალხი. ამის შემდეგ ეს ნიჭიერი ახალგაზრდა დაიღუპა გიმნაზიის პანსიონის შეზღუდული ცხოვრებისა და წესების წყალობით.

თეატრისათვის შენობა არა გვქონდა. სადაც ვიშოვიდით კუთხეს, იქ იყო ჩვენი ბედნიერება. მეორე წარმოდგენისათვის სამხედროების კლუბში ვიშოვეთ ასეთი კუთხე. დარბაზი პატარა იყო და სცენაც პაწაწინა. მე დამაკისრეს გამესახიერებინა ნადირაძის მონოლოგი „მარო“. სხვები ლექსებითა და სცენებით გამოვიდნენ. ამ ახალგაზრდობის საღამოზე სიმონ გუგუნავა დაგვესწრო. თეთრწვერა მოხუცი პარტერში იჯდა და ღიმილით შემოგვცქე-

როდა ახალგაზრდებს—ჯერ კიდევ ბავშვებს. მე ეს მახარებდა და მაშინებდა კიდეც, ვაითუ ჩემი თამაში არ მოეწონოს-მეთქი, ვფიქრობდი, ჩემი თვალები პარტერში სხვას არავის აღარ ხედავდა. მაგრამ ერთი კვირის შემდეგ გუგუნავას შვილები დავითი და გრიგოლი მოვიდნენ ჩემთან და მთხოვეს, ვალერიან გუნიას პიესა—„და-ძმაში“ შემესრულებინა მარინეს როლი. მარინეს როლისათვის მე პატარა ვიყავი. ბევრი ყოყმანის შემდეგ მაინც დამიყოლიეს. ამისათვის ლანჩხუთში წასასვლელად მოვემზადეთ. „და-ძმა“ ლანჩხუთში უნდა დაგვედგა. საღამო ვიღაც ღარიბი სტუდენტის გრიგოლ მახარაძის სასარგებლოდ იმართებოდა. დავით გუგუნავა თავისი გარეგნობით ნამდვილი ოტია ჯოლიას ტიპი იყო. მისი ძმა გრიგოლი ნამდვილი გაიოზ ფალავა. ეს ორი ძმა ისე ჰგავდა ამ ორ გმირს, რომ მათთვის გრიმიც კი არ იყო საჭირო. ლანჩხუთის სკოლის დარბაზი ხალხით აიესო. მაგრამ ისეთი მიმონგრეული სცენა იყო, რომ ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე ყველაფერს ბრახუნი გაჰქონდა. ამ წარმოდგენის დასასრულს ერთი შეტად კურიოზული შემთხვევა მოხდა. პიესის ბოლოს ოტია ჰკლავს მარინეს. სათეატრო ხმლის მაგივრ გუგუნავას ნამდვილი კრიალა მახვილი ერტყა წელზე, რომელსაც ცხოვრებაშიც ატარებდა. ფარდის დახურვის წინ ხმალი ჩემთვის უნდა დაეკრა. რაღაც განგებით მე მოვასწარი იატაკზე დავარდნა. მხოლოდ უკან გაძრწენებული ხმალი თვითონ მას ლოყაზე მოხვდა. მერე მთელ მის სიცოცხლეში აჩნდა ეს ჭრილობა. ამის შესახებ გაზ. „ცნობის ფურცელშიც“ კი დაწერეს: „საშიშია, ამ თეატრალურმა ახალგაზრდობამ სცენაზე ერთმანეთი არ დახოცოსო.“

მეორე დღეს ოზურგეთში დავბრუნდი. სემინარიელ გერასიმეს ჩემს დაბადების დღეს ჩემთვის საჩუქრად ალბომი მოეტანა. შიგ ლექსი ჩაეწერა: „ცხოვრებაში გმირი იყავ, როგორც იყო ჟანა დ'არკი, ქველმოქმედებით გაქებდნენ, არვინ გყავდეს შესაფარდი!..“ იმ ლექსიდან ეს ტაეპი ჩამრჩა გულში. მრავალი წლის განმავლობაში იატაკქვეშ მუშაობის დროს არასოდეს უკან არ დამიხევია. „ცხოვრებაში გმირი იყავ!“—ეს სიტყვა მუდამ გზას მინათებდა, მივყავდი.

ზაფხულის ბოლოს სტუდენტები პეტერბურგს გაემგზავრნენ. მაინც საკმარისად დავრჩით ახალგაზრდები ადგილზე. ალიოშა წუწუნავა ჩვენთან დარჩა. შევემზადეთ ახალი წარმოდგენისათვის. შესაფერისი პიესა ვერ ვიშოვეთ. გადავწყვიტეთ დაგვედგა უფასო საღამო და ჩამოსახლებული გლეხებისათვის შესაფერისი წარმოდგენა გვეჩვენებინა. არ ვიცი, როგორ გავბედე, ავიღე ნინოშვილის „გოგია უიშვილი“ და პიესად გადავაკეთე. ალიოშას მოეწონა. იმ საღამოს ალიოშა რეჟისორობდა. ალიოშამ თავის მხრივ რაღაც ვოდევილი დაუმატა. არ მახსოვს, რა პიესა იყო. როცა ჩვენ გოგია უიშვილი დავდგით, ალიოშა წუწუნავა ახალგაზრდა იყო. ცოცხალი, გონიერი, ამავე დროს თავშეკავებული. დიდ ენერგიას იჩენდა თეატრის საქმისადმი. ჩვენს როლებს ჯერ თვითონ გაითამაშებდა, მერე ჩვენ მიგვითითებდა ნაკლზე. სცენას საუკეთე-

სოდ და მოხერხებულად მოაწყობდა. ამხანაგების გამტანი და კარგი სამეგობრო კაცი იყო. იმ უკარფანჯრო სახლში მთელი დღე იმუშავა. სჭედდა ფიცრებს და ჰკიდებდა ნოხებს. ამ დაუბეჭდავი პიესის დადგმის ნება არა გვქონდა, მაგრამ ამას არ დავეძებდით.

მზადა ვართ... ნებართვას არ ვეძებთ, ან ვინ მოგვცემს დაუბეჭდავი პიესის დადგმის ნებას? ეს ისე, ფარულად უნდა ჩავატაროთ. ნატანების ქუჩაზე არც ერთი პოლიციელი არა ცხოვრობდა. ვნახეთ ერთი ახლად აშენებული ოდა, ფარღალალა, უკარფანჯრო. ოდა აშენების პროცესში იყო. დაგვეთანხმა პატრონი და გვათხოვა დარბაზი. პიესის დადგმის ნებართვა თუ არა გვქონდა, არავინ იცოდა. დავტრიალდით, გადავზიდეთ მეზობლებისაგან ნოხები, ჭილობები, ტახტები, სკამები და მოვაწყეთ წარმოდგენა. ეს უფასო „თეატრი“ ჩამოსახლებული ღარიბი ხალხით აივსო. ეს ხალხი პირველად ხედავდა თეატრს და „გოგია უიშვილის“ ცეცხლი იმათაც მოეკიდა. ხალხმა ყვავილებით და პატივისცემით აგვავსო. წარმატებით დავამთავრეთ წარმოდგენა. მაყურებელნი დაიშალნენ. დავიწყეთ ნივთების პატრონებთან მიტანა. ნივთების გადაზიდვაში დაგვათენდა. ვხედავთ, ქალაქის ბოქაული—გიორგი ნაკაშიძე პოლიციელების თანხლებით დაგვადგა თავს. დაიწყო ყვირილი:

— ამას რას ჩადიხართ!.. ვინ მოგცათ ამის ნება!.. არამზადებო! როგორ გაბედეთ!.. ახლავე ციხეში ჩაგყრით!—ეს ბოქაული არც ისე ცუდი კაცი აღმოჩნდა. გამახსენდა: „გველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი...“ მივუახლოვდი და თავაზიანად ვეუბნები:—ბატონო, თქვენ ხომ მარტო ბოქაული არ ბრძანდებით. თქვენ ქართველი კაცი ბრძანდებით... გამოიჩინეთ სულგრძელობა და გვაპატიეთ ახალგაზრდებს ეს ერთი შეცდომა. შემდეგ აღარ ჩავიდენთ ამის მსგავს რაიმეს.

ბოქაული გაბრუნდა. ჩემი სახლის წინ რომ ჩაიარა, მამაჩემი ჭიშკართან იდგა.

— ისმაილ მამულაიშვილო,—შესძახა ბოქაულმა, — შენ გოგოს ვერ მოუვლი, ასე რომ აგიშვია?!

ვაი ჩემს დღეს, როგორ მივიდე ახლა შინ?.. მუხლები მეკეცება. ერთი ხელით ნივთებს მივათრევ, მეორე ხელით ყვავილებს. გადავყარო? არ მემეტება. ამხანაგები წავიდნენ. მივდივარ გაფითრებული, უძინარი, მშიერი. მამამ შორიდან დამინახა. მიბრუნდა და ბოსტანში შეიმალა. შევამჩნიე, არ უნდოდა ჩემი წყენა. მამა ყოველთვის ერიდებოდა ჩემს წყენას (ალბათ ასეა, დედით ობოლი შვილი ებრალება მამას). ახლა უფრო შემრცხვა, მომეხათრა მამისა. შევდივარ ოდაში. დედინაცვალი მხვდება გაკაპასებული. ვითომ არ მესმის, ყრუ ვარ, მუნჯი ვარ... შევდივარ ჩემს ოთახში და ვიკეტავ კარს. სანამდე ვიცხოვრო ასე? სიხარულით აღსავსე საღამოს შემდეგ ცრემლები მცვივა თვალთაგან.

* * *

დადგა 1699 წელი. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულია. მთელი ზამთარი დანაღვლიანებული ვიჯექი ბუხართან. ჩვიდმეტი წლისა ვარ. გული მღელვარედ მიცემს.

არა მაქვს პალტო, არა მაქვს კალოში. ცივა, ჰყინავს. ჩემი და-ძმანი თოვლქუაპში ამოგანგლული ფეხებით მოდიან სკოლიდან. ეფუსფუსებ, მინდა რამენაირად მოვეხმარო ოჯახს. მამაჩემს მოაქვს ჯირკვები, ბუხარში ყრის, მაგრამ მაინც ვერ ვთბებით. ჩემთან ხანდახან მასწავლებელი სილოვანი მოდის. მისგან გავიგე ამხანაგების ამბები. ზოგი წასულა ოზურგეთიდან. ჩამოვიდა ახალი მასწავლებელი—ავქსენტი მეგრელიძე. ის მომღერალია. „ნუ მოიწყენ, წრეს შევქმნით,“—მაიმედებს სილოვან მასწავლებელი.

„ჩქარა წადი, გაგვშორდი, სუსხიანო ზამთარო, ამობრწყინდი, მზეო გაზაფხულისავ!..“

აპრილმა ამოანათა. აყვავილდა ტყემალი, ალუჩა, ატამი, ბალი და ალუბალი. ოდები და „ოდოხირები“ ყვავილებში ჩაიმალა. ყვავილნარად იქცა პატარა ქალაქი. ჩემმა მეზობლებმა გახრეკილი ნაზამთრი პირუტყვი ზვანისაკენ გარეკეს. მეთოხე გლეხები ისევ გაუდგნენ ლაითურის გზას. აგრონომმა მიხამ აბრეშუმის ჭიის მური გამოაყვანა. ამ აპრილის სითბოში შეც მურივით გამოვედი სახლიდან. ისევ შევხვდით ერთმანეთს ახალგაზრდები. სადაცაა მაისიც მოგვადგება კარზე. რამე უნდა გავაკეთოთ... მაგრამ პიესები არა გვაქვს.

ალიოშა წავიდა ოზურგეთიდან. სხვა ახალგაზრდები შემოსულან ჩვენს წრეში.

— ვინ გვიხელმძღვანელებს?

— ხელმძღვანელების მეტი რა ვართ,—წაიხუმრა ვილაცამ.

— ეს ავქსენტი მეგრელიძე გახლავთ,—გამაცნო სილოვანმა,—სიმღერაგალობის მასწავლებელი.

მეგრელიძე გარეგნული შესახედაობით განირჩეოდა უბრალოების მოყვარული ჩვენი წრის ახალგაზრდებისაგან: მას ეცვა შავი მაუდის ფრაკი, მუდამ გახამებული გულისპირით, საყელოთი და სამაჯურებით. ეკეთა შავი, ბაფთად შეკრული ჰალსტუხი, ჰქონდა ზევით აჩეჩილი მუქი წაბლისფერი ხუქუჭი თმები, რაც ძალიან უხდებოდა მას. ჟილეტის ჯიბეში მოუშორებლად ატარებდა კამერტონს. რომ შეხედავდით, პორტრეტებში ნახული ევროპელი კომპოზიტორი მოგაგონდებოდათ.

უცხოსთან არა მჩვევოდა სითამამე და განმარტოებით ჩამოვჯექი. იმ დღის შეკრება ვილაც ვაჟარ ჭინჭარაძის სახლში მოვაწყეთ. იქვე გავიცანი ჭინჭარაძის ტანმაღალი ვაჟი. ისიც თეატრში მუშაობისათვის ემზადებოდა. სადარბაზო ოთახის მოწყობილობის მიხედვით ჭინჭარაძის ოჯახი საშუალო

შეძლებისა იყო. მეშჩანური იერი დაჰკრავდა ყველაფერს, რაც გვამცნობდა დიასახლისის გემოვნებას. პირველ რიგში ნარდი და გიტარა მოგხვდებოდათ თვალში. ამბანად გურიაში გავრცელებული იყო გიტარა. ჩონგურის ჭაჭანება არსად ჩანდა. იშვიათად ვინმეს თუ მოეპოვებოდა ძველისძველი ჩონგური. ისიც მხოლოდ იმისათვის, რომ „ბატონებიან“ ავადმყოფისათვის ემღერათ: „ბატონებო, მოუოხე!“

სილოვანმა გიტარა შესთავაზა მეგრელიძეს და ყველამ ვთხოვეთ ემღერა რამე. მან ამ საღამოს პირველად მოგვასმენინა გიტარაზე სიმღერა—„ვერა, ბედო, ვერ მძლევ, იგრძენ, იწამე...“ მას სასიამოვნო და ძლიერი ბარიტონი ჰქონდა.

მომღერალი უცებ წამოდგა, გულის ჯიბიდან კამერტონი ამოიღო და ჩემს ყურთან მოიტანა.

— რომელი ხმაა?—მკითხა დაურიდებლად. მე გიტარის სიმზე ვუჩვენე რომელი ხმაც იყო. „მართალია, ლირიკული სოპრანოა...“ ეს სიტყვა პირველად გავიგონე. კამერტონიც პირველად ვნახე, მიუხედავად იმისა, რომ გიტარა ბიყვარდა, მრავალ სიმღერასაც ვმღეროდი, არ ვიცოდი ეს მუსიკალური ტერმინი. იგი მე მეგრელიძისაგან გავიგე.

მეგრელიძემ გიტარა გადმომაწოდა და მოურიდებლად მითხრა:

— თუ შეიძლება იმღერეთ—„ტურფავ, ტურფავ!“

„ტურფავ, ტურფავ, რას უყურებ,
მოაცურე ჩემსკენ ნავი,
ერთად დავსხდეთ და ვუყუროთ,
როგორ არხევს წყალს ნიავი...“

ეს იყო ჰაინრიხ ჰაინეს ლექსი. ეს ლექსი იმ ხანებში ძალიან გავრცელებული იყო გურიაში. ნახევარ საუკუნეზე მეტი გაუძლო ამ ლექსმა გიტარაზე მომღერალ ხალხს და დარჩა იგი ისევ უჭკნობი.

გამოირკვა, რომ ჩვენ პატარ-პატარა სიმღერებითაც შეგვეძლო ჩვენი სამოღვაწეო რეპერტუარის შექმნა.

ანხანაგებს ვთხოვე მდინარე სკურდიმის ნაპირის მოსახლე გლეხებისათვის ერთ კვირადღეს ლიტერატურული დილა მოგვეწყო. სოფლის გზაჯვარედინზე იდგა ერთი ძველი დუქანი, რომელსაც გზის პირას გრძელი ლია პარმაღი ჰქონდა. სილოვანი წინასწარ წავიდა და ის პარმაღი სცენად მოაწყო. სოფელში კი ხმა გავრცელდა, ჯამბაზები მოდიანო.

მაისია, თბილი მზიანი დილა გათენდა. ამხანაგებმა თავი შევიყარეთ და ერთად გავეშურეთ იმ დუქნისაკენ. დიდი მანძილი გავიარეთ ფეხით. ექვსნი ვიყავით. მხოლოდ მე ვარ მათ შორის ქალი. მეგრელიძეს გიტარა მოაქვს. სკურდიმის ხიდზე გავედით, მამაჩემის ნამოსახლ მამულს გვერდში ჩავუარეთ, ისევ დამეთალხა გული. დამინახეს ძველმა მეზობლებმა. ყველა მომესალმა, მეც გულთბილი

სალამით ვუპასუხე მათ. მასწავლებელმა, ჩვენი წრის ერთ-ერთმა წევრმა, ლადიკო ჭანტურიშვილმა მოკლე სიტყვით აუხსნა ხალხს მწერლობისა და ლიტერატურის მნიშვნელობა. ყველამ წავიკითხეთ ლექსები. მაგია გურიელის „ადამიანი“, ნ. ბარათაშვილის „მერანი“, ნაწყვეტები ილია ჭავჭავაძის, ნინოშვილის და სხვა ქართველი მწერლების მოთხრობებიდან. მე წავიკითხე აკაკის „დედა“, მეგრელიძემ იმღერა სამი სიმღერა. ბოლოს ყველამ ერთად ვიმღერეთ „საიდუმლო ბარათო“ და ჩამოვუშვით ფარდა.

ამ ხალხმა პირველად ნახა ლიტერატურული დილა. პირველად მოისმინა, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, სცენიდან მხატვრული ნაწარმოები. ხალხი არ იშლებოდა, გროვდებოდნენ ჯგუფ-ჯგუფად და შინ გვეპატიჟებოდნენ, მაგრამ ჩვენ მათი თხოვნის შესრულება არ შეგვეძლო, რადგან საჩქაროდ უნდა ვიმალულიყავით. არც ახლა გვქონდა ნებართვა. აქაც უნებართვოდ მოვაწყეთ ეს ლიტერატურული დილა. გზაზე დამეწია მობუცი ქალი ნანობა, ჩემი ძველი მეზობელი და ვაზის ფოთოლში შეხვეული ცხელი, ყველიანი მჭადი ჩამიდო ხელში—სავსე მთვარესავით მრგვალი, თან მომაძახა: „იხარე, შვილო, იხარე...“ მჭადი იქვე დავეტეხე ექვს ნაწილად და აგხანაგებს გავუნაწილე.

„ძვირფასი ხარ, სკურდიმის პირო, საყვარელი ხარ, ჩემო სოფელო!“— სიხარულით ათრთოლებულმა წამოვიძახე.

* * *

განვიხრახეთ ზაფხულისათვის მოგვეშზადებინა ცაგარელის პიესა „ბაიყუში“. ეს წარმოდგენა ლანჩხუთში უნდა გაგვემართა. რეპეტიციებს ვატარებდით. ამ დროს ოზურგეთში პირველად ჩამოვიდა ქუთაისის დასი შალვა დადიანისა და ნუცა ჩხეიძის მეთაურობით. მათ დადგეს „თამარიანი“. ჩვენი წარმოდგენის რეპეტიციის დროს, ერთ დღეს, შალვა დადიანს ვთხოვეთ რეპეტიციაზე დაგვსწრებოდა. შალვა მართლაც მოვიდა თეთრ ჩოსაში გამოწყობილი, ლამაზი, ქართული თავადური იერით.

მე ისევ თალიკოს როლს ვასრულებდი. ისე შემრცხვა, რომ სიტყვის წარმოთქმის უნარი დავკარგე, როლიც დამავიწყდა.

— ქალიშვილო,—მეუბნება შალვა ალერსიანი ხმით, — თქვენ ბუნებით ცხიარული ხართ, ცოცხალი და ცქრიალაც, რატომ იბერებთ თავს?

შალვა დადიანი და ნუცა ჩხეიძე პირველად მაშინ გავიცანი. ზაფხული იყო, თბილოდა და ქუთაისის დასმა „როტონდაში“ ღია დარბაზში დადგა წარმოდგენა. ძლივს შეივსო „როტონდა“ მაყურებლებით.

ქუთაისის დასი მალე გაბრუნდა უკან, მათ მეორე წარმოდგენა აღარ დაუდგამთ. ჩვენი წარმოდგენაც ჩაიშალა. სულ მალე სამოსწავლო წელიც დამთავრდა და წრის წევრებიც დავიშალენით. იმ ზაფხულში ა. მეგრელიძეზე გავთხოვდი.

მშვიდობით, ოზურგეთო, ჩემო ლამაზო და საყვარელო ყვავილნარო,

ჩემო მეგობრებო, კეთილშობილო ახალგაზრდებო... მშვიდობით, უწყინარო მამაე!.. დედის საფლავი ვინახულე და თვალცრემლიანი გამოვბრუნდი უკან. კარებთან ეტლი იდგა. ბავშვებს დავემშვიდობე. მეზობლები გზას მილოცავენ, ბედნიერებას მისურვებენ. მიქრის ეტლი, გავცილდი ნატანების ხიდს, ჩავუარე პატარა გურიანთას, უკან მოვიტოვე ბავშვობა და ახალგაზრდობა. მიმაქროლებს ეტლი ბედნიერსა და მხიარულს. გულში კი რაღაც მომტირის, ეს ჩემი მამის მიტოვებული ოჯახია, მამაჩემი ჭიშკართან იდგა მოღრუბლული. პატარა და-ძმანი ხელს მიქნევდნენ. ეტლი მიქრის. ყველაფერი, რაც მე მტანჯავდა და მახარებდა, თვალს მოეფარა. მაგრამ გულს რა დაემალება? ჩემი გული ზღვაა... ჩემს გულში რაც ჩასახულა, ვიდრე ცოცხალი ვარ არ ამოიშლება.

* * *

1901 წელია. ქალაქ ფოთში ვარ. უკვე შვილი მყავს, პატარა გოგონა. ის მუდამ ხელში მიჭირავს. ასე მგონია, არც ერთ დედას ჩემსავით არ უყვარს თავისი შვილი. ვერც ერთი დედა ჩემსავით ვერ მოუვლის შვილს. ასე ვფიქრობ... ასე მეჩვენება... მეორე ოთახში ცხოვრობს ბავშვიანი ქალი. მთელი ღამე ტირის და ტირის მისი ბავშვი აკვანში. თვითონ კი სძინავს... ხვრინავს... არიან ასეთი დედებიც... თხელი კედელია ჩვენს შორის და ყველაფერი მესმის. ოჰ, როგორ მინდა კედელს ხელი ვკრა, გავანგრიო იგი და ვუსაყვედურო ასეთ დედას. ჩემი ბავშვი აკვანში თავს რომ გაანძრევს, მე უკვე მღვიძავს. მე ახლა დედა ვარ და დიასახლისი!..

მე ხომ ილიას კალამმა აღმზარდა, აკაკის ლექსებმა ამამღერა. „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა“. მაშასადამე, სადაც ხატია, სახატეც მშვენიერი უნდა იყოს. მთელი ქვეყანა უნდა იყოს სადიდებელი...

ფიქრებს მივყვები. „აყვავებულა მდელო, აყვავებულა მთები,
მამულო, საყვარელო, შენ როდის აყვავდები“.

მე არ ვიცი ის საწყისები, რითაც უნდა აყვავდეს ჩემი მამული. ბავშვი ძუძუს წოვს და თვალებში მომჩერებია. განუზომელია დედის სიყვარული. ჩემს პატარას ვეჩურჩულები:—სიყვარული ეზრდის, ჩემო გოგონავ, სიყვარულია ადამიანის ცხოვრების აზრი, ადამიანის სიხარულის და მოწყენის მიზეზი. დეე, სიყვარულმა ააყვაოს ჩემი სამშობლო! სიყვარულმა გაუხსნას ჩემს სამშობლოს ბრწყინვალე გზა მთელი ქვეყნის კიდით კიდემდე...

* * *

სექტემბრის ბოლოა. კვირა დღეა. ჩემი მეუღლე—აექსენტი მეგრელიძე ფანჯრიდან იხედება.

— სტუმრები მოდიან,—მეუბნება ის.

ბავშვს საჩქაროდ ჩავაცვი და სტუმრებს შევეგებე.

— ეს მასწავლებელი ვანო ყანჩელია, ეს მისი მეუღლე ნინო!—ორი ახალგაზრდა თვითონ გამეცნო:

— თეოფილე გოგიტიძე გახლავართ.

— მე კი ალექსანდრე მგელაძე.

— ავქსენტი, ერთი ფრიად საპირო საქმე გვაქვს თქვენთან,—დაიწყო ყანჩელმა,—არა, უფრო თქვენს მეუღლესთან.

— არა, ორივესთან, — შეუსწორა გოგიტიძემ. — ჩვენ გვინდა თეატრალური ძალები შევკრიბოთ. გადავწყვიტეთ მუდმივი მუშათა თეატრი დავაარსოთ.

— დიახ,—განაგრძო მგელაძემ,—ამ საქმის შესრულებას საკმაოდ დიდი დრო მოუნდება.

— ჩვენ გვინდა,—დაიწყო ისევ ყანჩელმა,—ახლავე დაედგათ რამე იაფფასიანი წარმოდგენა. ყაზბეგის „არსენა“ გვინდა ეუჩვენოთ მუშებს. ვნახოთ, როგორ მივიზიდავთ მშრომელ ხალხს. გავიგეთ თქვენი მეუღლისთვის უცხო არ არის თეატრი. ვთხოვთ, ითამაშოს ნინოს როლი.

მართლაც ჩამოვაყალიბეთ თეატრალური ახალგაზრდობის წრე. მიუხედავად იმისა, რომ ნიკო ნიკოლაძე ფოთში მოღვაწეობდა, ქალაქის საბჭოში ჯერაც არ იყო დასმული საკითხი თეატრის აშენების შესახებ. აქვე მოღვაწეობდა იონა მეუნარგიაც, მაგრამ ფოთის ქალაქის საბჭოში იაკობ ფანცხავას მოსვლამდე ქალაქს თეატრი არ გააჩნდა. ბულვარის წინ, ორსართულიან კერძო სახლში ქალაქის კლუბად გამოყოფილი იყო ერთი დიდი ოთახი. ამ კლუბში მოწყობილი იყო პატარა სცენა, სადაც კრებებს მართავდნენ ჭიათურის მარგანეცის მწარმოებელნი. ხშირად ბანქოსაც თამაშობდნენ იქ. იშვიათად თუ ჩამოვიდოდა ქუთაისის დასი, დადგამდა რომელიმე უბრალო ვოდევილს და გაბრუნდებოდა უკან. კლუბს მუშები არ ეკარებოდნენ. სხვა საკრებულო არსად იყო. ძალიან იშვიათად იმართებოდა რაიმე საქველმოქმედო საღამო, რომელსაც დაბალი ფენის ხალხი არ ესწრებოდა. სწორედ ამ კლუბში დავდგით პირველი მუშათა წარმოდგენა „არსენა“.

დამარცხდა ცხრაას ხუთი წლის რევოლუცია. მე და ჩემს მეუღლეს ფოთში აღარ გვედგომებოდა. დროებით მაინც უნდა გავცლოდით აქაურობას, ვიდრე არ შენელდებოდა ჟანდარმერიის საშინელი რეპრესიები.

პორტში გაჩნდა რეაქციის შავბნელი ცეცხლი. სხვა გზა არ იყო. დავჭედეთ ბინის კარი და მე და ჩემი მეუღლე წავედით სოფელ ხრიალეთში, ახლანდელ შრომის თემში. ეს კი თურმე იმას ნიშნავდა, რომ ნაკლები ცეცხლიდან უფრო დიდ ცეცხლში გადავარდნილიყავი. ჩემს მეუღლეს დედა იქ ჰყავდა. იქ უნდა შეგვეფარებინა თავი. მოხერხებულ ადგილზე იყო სოფელი. ზღვის მხრიდან ტყეები და ყანები ეკვროდა. ადვილად შეიძლებოდა მიმალვა. ამავე დროს სახიფათო გზების გამო ქვედა გურიის ზოგიერთ სოფელში ვერ

შედიოდნენ დაბსჯელი ჯარის ნაწილები. 1906 წლის სანი იანვარია. სადგური სუფსა უნდა გავიაროთ. ყოველ საათში მოგრიალებს თბილისიდან ჯარით და ზარბაზნებით საესე მატარებლები. ისინი სადგურ ნატანებში უნდა ჩამოსხან. სუფსიდან ნატანები მეორე სადგურია. შშვიდობიანად გადავედით რკინიგზის ხიდზე და შეეუდექით სოფლის აღმართს. დაღამდა. თოვს. თოვლი მუხლებამდე გვწვდება. ძლივს მივიკვლევთ გზას. ოღრო-ჩოღრო ადგილებია. ვიფლობით თოვლში. ბავშვები მამაკაცებმა შეისვეს მხარზე, მე ცხენი მომყავს. ფეხებში თოვლი და სიცივე ჩამიდგა. ვფიქრობ: ოღონდ ბავშვები შინ ცოცხალი მივიყვანო, ჩემს დედამთილს ჩავაბარო და სხვა არაფერი მინდა. ის მოუვლის, არას გაგვიჭირვებს. ყოჩაღი ქალია, იმის იმედით ვარ. დიდი გზა გვაქვს კიდევ გასავლელი, ვაი-ვაგლახით მივაღწიეთ სოფელს. ჩვენი სახლიდან მოჩანს სინათლე. ეს ისეთი სიხარულია, როგორც განწირული ხომალდისათვის შუქურას გამოჩენა.

სოფელში სიწყნარეა. ზედა გურიას ცეცხლი ეკიდება. სადგურ ნატანებიდან მიდიან და მიდიან ჯარები ოზურგეთისაკენ. გზაზე არ ინდობენ არაფერს. ალბათ გაზაფხულზე ჩვენს სოფელსაც ეწვევიან კაზაკები.

ასეთ მღელვარებაში დამთავრდა სუსხიანი და სისხლიანი ზამთარი. ჩვენი სოფელი გადარჩა გადაწვას.

დადგა აპრილი. ზზიანი დღეები დაიწყო. ისევ გაიშალა მინდვრად ყვავილები. ისევ გაიფურჩქნა ხეხილი. ისევ ამწვანდა ტყეები. ჩემი გულიც სხვანაირად აჩქროლდა. სოფლის მეთაურები აღარ ჩანან. ხალხი უღიმღამოდ შეუდგა ოჯახის საქმეებს. ვხედავ, ღრმად მობუცებული გაბილა ჩხაიძე დამჯდარა ფაცხის წინ, მზის ყურზე, კვეს-აბედი დაუჭერია ხელში და ცდილობს ცეცხლი გააჩინოს. ჩემს გულში მწუხარედ დაირხა გრძნობის სიმები... მინდა რაღაც ვთქვა... რაღაც ამოვიღო გულიდან... და ვიწყებ ლექსის გამოთქმას:

„ჩამოჰკარ კვესი, ბაბუა, კიდევ,
მეც აბედივით დავიწვე იქნებ.
იქნებ ეს გული ცეცხლმონაკიდი
გადავატანო დღეებზე ფიქრებს...
არ მენანება, თუ შენს ახოში
გული ფერფლივით დაიფურცლება,
ოღონდ თუ შემდეგ ჩემს სამშობლოში
თავისუფლება გაიფურჩქნება.
ჩაბოჰკარ კვესი და სიყრმე მიქე,
მეც აბედივით დავიწვე იქნებ...“

სექტემბერი მოახლოვდა. ფოთის ქალაქის ადმინისტრაციას განცხადება გამოუკრავს: „ფოთიდან გასული მასწავლებლები სასწრაფოდ დაუბრუნ-

დნენ სკოლას". სკოლიდან სწერენ ჩემს მეუღლეს, ჩამოდით. თქვენს გარდა ყველანი დაბრუნდნენო.

ხვალ პირველი სექტემბერია. მასწავლებელი სკოლაში უნდა იყოს. ვინც არ გამოცხადდება, მოხსნიან სამსახურიდან. მივდივართ ისევ ფოთისკენ. აღარ ისმის მცხოვრებლების ჩვეულებრივი მხიარული ერიამული. სახლის პატრონს ჩვენი ბინა გაუღია. ოთახების გაქირავებას აპირებდა. „მადლობა ღმერთს, კარგ დროს ჩამოხვედით," — მოგვაძახა დიასახლისმა.

წინა დღეს წვიმა მოსულა.

ქალაქში ქაობი დგას. ოხშივარი ასდის მიწას მხურვალე მზეზე. სუფთა ჰაერი არ იგრძნობა (ასე იყო ძველად. ფოთის ლარიბთა უბნები ქაობში იყო ჩაფლული. ახლა სულ სხვაა კოლხეთი. რევოლუციამ შეცვალა კოლხეთის მიწა. პალიასტომის ტბას რიონისკენ გაეხსნა კარი. ამოშრა ქაობები და გალამაზდა ჩვენი მაცული. ყველგან სიმწვანე ბიბინებს).

პორტის მოწინავე მუშები ფოთიდან გადაეხალბინათ. რიონის ხიდთან გულსაკლავად გამოიყურებოდა დამსჯელი ექსპედიციის მიერ გადამწვარი სახლ-კარი.ბურუსში თელემდა ქალაქი. ტაძრიდან ყოველდღე ისმოდა ზარების ზუზუნი. ეკლესიაში გალობდნენ „ბოჟე ცარია ხრანი"-ს. ოცხოვრე ამ პირობებში. გაზეთები საიმედოს ვერაფერს გვაუწყებდნენ.

ვზივარ, შევცქერი გაპარტახებულ გარემოს. დავდევ ბავშვებს, ვაკეთებ საოჯახო საქმეს. სულ ეს არის ცხოვრება? ჩემს მეუღლესთან მოჰყავთ მშობლებს მოსამზადებლად მოწაფეები. ა. მეგრელიძე ქალთა გიმნაზიაში ასწავლიდა ქართულ ენას და სიმღერა-გალობას. ის კარგი მასწავლებელი იყო, მის გაკვეთილზე ყოველთვის იგრძნობოდა მასწავლებლისადმი სიყვარული და პატივისცემა.

რუსულ გიმნაზიაში 1905 წელს რევოლუციის შემდეგ შემოიღეს ქართული ენის სწავლება. პროგრამით გათვალისწინებული იყო რუსული სიმღერები, მაგრამ მეგრელიძე ქართულ სიმღერებსაც ასწავლიდა ბავშვებს.

ავქსენტი მეგრელიძე ძალიან უყვარდათ გიმნაზიაში მოსწავლე გოგონებს. მეცადინეობის შემდეგ ჯგუფჯ-გუფად მოჰყვებოდნენ და სახლამდე მოაცილებდნენ.

გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, საშუალო განათლება მიმეღო. ვინ იცის ცხოვრებაში როდის რა დამჭირდება?!. ხომ არ დავბერებულვარ? ჯერ ცხოვრება არც კი დამეწყო რიგიანად. მაგრამ საღმრთო სჯულს ვეღარ ვისწავლი. ღმერთი ამოვარდნილია ჩემი გულიდან და გონებიდან. ტაძარში მხოლოდ იმიტომ მივდივარ, რომ ტკბილი გალობა მოვისმინო, ნაცნობები ვნახო.

ერთხელ, აღდგომა დღეს, ლეონიდ ეპისკოპოსს გადაეწყვიტა წირვის შემდეგ ყველა მასწავლებლის ოჯახს სწვეოდა.

— უთუოდ ჩვენთანაც მოვა,—მარიგებს ჩემი მეუღლე:— როცა ჯვარს გადაგსახავს, ხელზე უნდა ეამბორო. სხვანაირად არ გაბედო!

როგორ ვწუხდი, სანამ ამ ცერემონიას მოვრჩებოდი. მე ძალიან მაინტერესებს ისტორია, რომლის ცოდნაც აუცილებელია ყოველი კულტურული ადამიანისათვის. უცხოეთის ლიტერატურა და დედამიწის გარშემო შემოვლა. მინდა გავეცნო მსოფლიოში მცხოვრები ხალხების ყოფა-ცხოვრებას. ის უკვე ნასწავლი მაქვს, რომ დედამიწა მზის სისტემაში შედის და გველეშაპის ზურგზე არა დგას, როგორც ეს დედაჩემს და მამაჩემს ეგონათ. „მიწა იძრა, გველეშაპი გაინძრაო...“—იტყოდნენ ჩვენი წინაპრები.

— მერე მცირეწლოვან მოწაფეებთან დაჯდები და ისწავლი, არ შეგრცხვება?..—მეკითხება ჩემი მეუღლე,—ჩქარა ჩვენი ბავშვები წავლენ სკოლაში,— დაუმატა ესეც სიცილით,—ბარემ მათთან ერთად ისწავლე!..

— შეიძლება ასეც მოხდეს. მერე რა არის აქ სათაკილო? სირცხვილი ის არის, რომ არაფერი არ ვიცი.

ამრიგად, ცხრაას ექვსი წლის შემოდგომიდან დავიწყე მეცადინეობა საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით და ვიმეცადინე 1910 წლის ბოლომდე. ცხრაას ხუთი წლის შემდეგ და უფრო ადრეც ვწერდი ლექსებს, მაგრამ დასაბეჭდად არსად ვგზავნიდი. ამ ლექსებიდან რამდენიმე უფრო მოგვიანებით დავბეჭდე—1914 წელს გაზ. „თემში“. 1910 წლის არდადეგების დროს ცოტა მოვისვენე. ს

სურვილი ასეთივე საზოგადოება ფოთშიაც დამეარსებინა. გავემგზავრე თბილისში. მაშინ პირველად ვნახე ნინო ნაკაშიძე, მიუხედავად იმისა, რომ ცხრაას ათი წლიდან ჩვენ ერთმანეთთან მიწერ-მოწერა გვქონდა. ნინოს გაუხარდა ჩემი გაცნობა და მომიწონა განზრახვა. გამაცნო ქალთა საზოგადოების მუშაობა და ერთი ცალი დაბეჭდილი წესდებაც მაჩუქა. ილია ნაკაშიძე დამპირდა: ჩამოვიდოდა ფოთში და წაიკითხავდა ლექციებს ქალთა საკითხზე. დავბრუნდი ფოთში, მოვიწვიე მასწავლებელი ქალები და გავაცანი ჩემი განზრახვა. ქალები აღფრთოვანებით შეხვდნენ ასეთ სასიქადულო საქმეს. ახლა საჭირო იყო გუბერნატორის ნებართვა. აეხანაგ ქალებთან წესდება დავაეშუშავე, თბოვნა დავწერე და გუბერნატორთან დასამტკიცებლად გავგზავნე. ერთი კვირის შემდეგ გამომეცხადა ჟანდარმი ანტიპოვი და გამოძკითხა, თუ რა მიზანი ჰქონდა ქალთა საზოგადოებას, თუმცა ყველაფერი ეს წესდებაში მოხსენებული იყო. ჟანდარმი ანტიპოვი დავარწმუნე, რომ ეს მხოლოდ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება იქნებოდა.

როგორც იქნა მივიღეთ დამტკიცებული წესდება. მოვიწვიე კრება. პირველ დღესვე შვიდასი ქალი ჩაეწერა. ესენი იყვნენ მასწავლებლები, მუშების ცოლები და სხვ. პირველ კრებაზე მოვიდა ორიოდე „ბობოლა“ ქალიც. მათ გადახედეს მდაბიო ქალებს, არ მოეწონათ, ცხვირი აიწიეს და წავიდნენ.

ქალთა საზოგადოებამ თავმჯდომარედ მე ამირჩია. დავაარსე წესდებით გათვალისწინებული ორი სკოლა. ერთი—საკვირაო—წერა-კითხვის უცოდინართათვის, მეორე—საღამოს კურსები—მცირეწლოვან ნოქრებისათვის. საკვირაო სკოლა მოვათავსეთ იმ სკოლის შენობაში, რომლის გამგეც იყო მასწავლებელი პეტრე ქუთათელაძე, საღამოს კურსები მოვათავსეთ ლიალინის ქუჩაზე ნინო პარკაიას რწმუნებულ სკოლის შენობაში.

საკვირაო სკოლაში თავისთავად გროვდებოდა ხალხი და სიამოვნებით სწავლობდნენ წერა-კითხვას, როგორც ქალები, ისევე მამაკაცები. მაგრამ მცირეწლოვანი ნოქრების განთავისუფლების საქმე სავაჭროების პატრონებისაგან ძალიან გაძნელდა. ამისათვის დიდი ბრძოლა დაეჭირდა ქალაქის მმართველობაში. ნიკო ნიკოლაძესთანაც მომიხდა მისვლა, ვთხოვე დამხმარეობდა. როგორც იქნა, მოვიპოვე ამის უფლება. საღამოს ექვს საათზე ანთავისუფლებდნენ მცირეწლოვან ნოქრებს. საჭირო გახდა ყოველ საღამოს სავაჭროების ჩამოვლა. ფოთში მაღაზიები ერთ მწკრივად იყო ჩაშდგარი ბულვარიდან რიონის პირამდე. სხვა გამოსავალი არ იყო. ყოველ საღამოს ექვს საათზე დავიწყებდი რიონის პირიდან და ჩამოვყვებოდი ყველა მაღაზიის კარებს, გამოვიგდებდი წინ პატარა ბიჭებს, რომელნიც მთელი დღე იდგნენ მაღაზიის კარებთან და „მობრძანდი, მიბრძანდის“ უძახდნენ გამვლელებს. ცოტა არ იყოს მერიდებოდნენ ვაჭრები და, როგორც კი დამინახავდნენ, მაშინვე უშვებდნენ ბავშვებს. ჩემს წინ მორბოდნენ პატარა ბიჭები

ერიამულით. ეს მე ისე მახარებდა და მაღფრთოვანებდა, რომ სულ არ ვგრძნობდი დაღლას. მჯეროდა, კარგ საქმეს ვაკეთებდი. დაიზრდებოდნენ ეს ბავშვები და სასარგებლო ადამიანები გახდებოდნენ.

მასწავლებლები, რომლებიც შემოკრებილი იყვნენ ჩემს გარშემო (საშა ბებია, ნინო პარკაია, ქსენია თურქია, ნინო გოგავა, ნადია კასრაძე, პეტრე ქუთათელაძე და ალექსანდრე ცანავა), გულწრფელად მუშაობდნენ ბავშვებთან. არ ზოგავდნენ ენერგიას ბავშვების საკეთილდღეოდ. ყველანი გრძნობდნენ რომ კარგ საქმეს ემსახურებოდნენ.

ქალთა საზოგადოების სახელით გავხსენით იაფფასიანი სასადილო, რომლითაც მუშები და ხელმოკლე ინტელიგენცია სარგებლობდა. იმ პატარა შემოსავლით ვანთავისუფლებდით სწავლის გადასახადისაგან გიმნაზიის ორ ღარიბ მოწაფე ქალს.

წესდების ძალით ჩვენ საღამოებისა და წარმოდგენების მოწყობის უფლება გვქონდა. ამ შემოსავლიდან ვფარავდით ზოგიერთ სხვა ხარჯს. გადასახლებულ ამხანაგებსაც ვუწევდით მცირეოდენ დახმარებას. ვაწყობდით ლექციებს საგანმანათლებლო თემებზე. ილია ნაკაშიძე ორჯერ ჩამოვიდა ფოთში და სრულიად უსასყიდლოდ ორჯერ წაიკითხა ლექცია ქალთა ემანსიპაციის საკითხებზე. ქუთაისიდან მოდიოდნენ იმ დროის საუკეთესო ლექტორები. კითხულობდნენ ლექციებს უსასყიდლოდ, გზის ფულსაც კი არ იღებდნენ. ერთხელ პორტის მუშებმა მთხოვეს დამეწერა წერილი გაზეთში ფოთის ქალაქის უმოქმედობის შესახებ. დავწერე და დავბეჭდე კიდეც „ნამცეცას“ ფსევდონიმით. მე აგრეთვე პალიასტომის ტბაზე მომუშავე მეთევზეებმა მთხოვეს დამებეჭდა გაზეთში წერილი მოიჯარადრეებთან შექმნილ უხეშ დამოკიდებულებაზე. დავწერე და დაებეჭდე გაზეთში „დასელი ქალის“ ფსევდონიმით. 1915 წელს დავწერე ოთხი დიდი წერილი მშრომელ ქალთა მდგომარეობის შესახებ დასავლეთ საქართველოში, სადაც მოვუწოდებდი ქალებს მხარი დაეჭირათ მუშათა ორგანიზაციისათვის, ვასაბუთებდი, რომ ამ გზით შეიძლებოდა ქალთა თავისუფლებისა და თანასწორობის მოპოვება... ეს წერილები დაიბეჭდა გაზ. „ახალ კვალში“.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ ერთი წელიწადი კიდევ ვიმუშავე განათლების დარგში. პირველად მოვაწყვე საბავშვო წარმოდგენა მსახიობ ხარაზიშვილის დახმარებით. ფოთის ქალაქის ცხოვრებაში ეს პირველი საბავშვო წარმოდგენა იყო. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა ჩემი ორი ბავშვი. მსახიობმა სტეფანე ხარაზიშვილმა დიდი შრომა გასწია ბავშვების მოსამზადებლად.

1918 წელს ზაფხულში გამოვეთხოვე ფოთს და ჩემი მრავალრიცხოვანი ოჯახით თბილისში ჩამოვედი.

იმდენი ამბები გადამხდა თავს, მეგონა ცხოვრება დავამთავრე-მეთქი, მაგრამ სულ რაღაც ოცდათექვსმეტი წლისა ვიყავი. კიდევ უნდა ვიშრომო,—

გადავწყვიტე და ახლა ახალი სურვილი დამებადა. უნივერსიტეტში უნდა შევდგა ფეხი. „ესლა გაკლია“,—მეუბნება ავქსენტი მეგრელიძე და იცინის.

— რატომაც არა, რატომ არ უნდა ვისწავლო დღეს, თუ ხვალ მეტი მეცოდინება?—ასეთ აზრს ვადექი მუდამ და ვადგევარ დღემდე! ყოველდღე შეიძლება ახალი რაიმე შეიძინოს ადამიანმა.

ვეწვიე ივანე ჯავახიშვილს, ვუცდი ხელსაყრელ მომენტს, როდესაც მარტო დარჩება კაბინეტში, რომ შევიდე მასთან. გული მიფანცქალებს. ვერ ვახერხებ, საიდან დავიწყო სათქმელი. პირველად ვხედავ ამ კაცს. ის მასწრებს და მეკითხება:

— რა გნებავთ?

— მე მინდა უნივერსიტეტში შემოვიდე ისტორიის ფაკულტეტზე, მაგრამ გიმნაზიის დამთავრების ატესტატი არა მაქვს. ზოგიერთი საგანი საფუძვლიანად მაქვს შესწავლილი; ზოგიერთზე კი მხოლოდ წარმოდგენა მაქვს.

ჯავახიშვილმა პირველად გაკვირვებით ამხედ-დამხედა, მერე დინჯად გამომკითხა ვინაობა. სიამოვნებით მისმენდა და იღიმებოდა. ახლაც აღბეჭდილია ჩემს ხსოვნაში მისი სათნო სახე.

— არა უშავს, თქვენისთანა დაგვიანებული სტუდენტი მე სხვაც მყავს. ნუ გეშინიათ, დაგეხმარებით, ყველაფერში ხელს შეგიწყობთ...

გახარებული გამოვედი კაბინეტიდან.

რამდენიმე დღის შემდეგ რვეულით და ფანქრით ხელში მივდივარ უნივერსიტეტისაკენ. მოკრძალებით შევდივარ აუდიტორიაში და უკანა მერხზე ვჯდები. ი. ჯავახიშვილის ლექციაა. ვუმზერ ლექტორის მშვიდ სახეს, ვისმენ მის წმინდა ქართულს და რაღაც შორეული სიამტკბილობით ივსება გული.

ივანე ჯავახიშვილის ყოველი სიტყვა გონების თვალით იყო მიმოხილული, რაც თავისთავად ქმნიდა მსმენელში სიმშვიდეს. მე ვიჯექი განელილი დღეების ამბებით გარემოცული...

თვალწინ მეხატებოდა ჩემი ბავშვობა და ვფიქრობდი:

საიდან სად მოვედი...

ასე დამთავრდა ჩემი ცხოვრების პირველი ნახევარი.

* * *

ჩემი პირველი საბავშვო ლექსი დაიბეჭდა ჟურნალ „ნაკადულში“ (№ 11), 1910 წელს.

სანიმუშოდ მომყავს ეს და სხვა რამდენიმე ლექსი, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ნაკადულში“ 1910—1913 წლებში.

სიმღერა

მიყვარს, მიყვარს გაზაფხული,
ველი ტურფად მოქარგული,
რა ნაზია,

ლამაზია
ყვავილების თაიგული.
ბწვანე ველზე მიყვარს რბენა,
იქ პეპელამ იცის ფრენა,
როს ვიქერ მათ
ხტუნვით, ლაღად
ფრთას შლის გულის აღმაფრენა.
მიყვარს მდელო, ბურთი, ლელო,
რბილი მოლი მინდა ვქელო...
ეხ, სადა ხარ,
რად განქრალხარ,
გაზაფხულო, საყვარელო!
აღარ ყვავის, ვხედავ, ია,
მჭკნარ ვარდს თავი დაუხრია,
დაქრის ქარი,
შესაზარი,
გული ფიქრებს წაუღია.

ჟურ. „ნაკადული", № 11, 1910 წ.

ზამთრის მოლოდინში

ცა მოღრუბლული
დაჰყურებს არეს;
კისკასი დილა
აღარ გვახარებს.
არ აცისკროვნებს
მზის სხივი ველსა,
არ ამშვენებენ
ფოთლები ხესა.
და ვიცი მალე დაიგრიალებს
ქარი საზარი, ქარი ზამთრისა,
ამ ჩემს ბაღს სრულად გაატიალებს,
შორს გაიტაცებს ფერფლებს ვარდისას,
და მეც მას ფიქრით ავედევნები,
იმ გულის მზარავ უდაბურ მხარეს,
სადაც მეც მისებრ ღრიალ-ხარხარით
ვინმე გამითხრის შავბნელ სამარეს.

ჟურნალი „ნაკადული", № 11, 1911 წ.

მაგრამ ეს ხმები

დახტის პატარა
და ვით ანკარა
ცისა კამარა
უბრწყინავს თვალი
ჟუჟუნა, მკრთალი.
ტუჩზე ღიმილი.
ნაზი და ფრთხილი:
ეს მეტად ტკბილი
გრძნობათა ნება
ეთამაშება.
კეთილი არის გრძნობანი მისი,
სპეტაკი ვითა სიცილი ბზისა...
მასში ციმციმებს სახე მომავლის,
შუქი უჩრდილო ნათელი დღისა.
მასში ციმციმებს თვით სიყვარული
ზეიური სული და სათნოება;
თვით შავ ცხოვრების თეთრი ნისლია
და ხორცშესხმული უმანკოება.

ვუცქერ მიხარის... ვუცქერ და ვტკბები...
მაგრამ ეს ხმები არ მშორდებიან:
„წავლენ დღეები და ამ სახეზე
სევდის ღრუბლები გამოჩნდებიან.“

ჟურ. „ნაკადული“, № 12, 1912 წ.

ჩ ი ტ უ ნ ი ა ვ

ვინ დაგატყვევა, ჩიტუნიავ, მალხაზფრთიანო,
შენ ხომ მზის სხივზე დაიბადე ბუნების ბაღში,
ან რასა მღერი ასე ტკბილად, ხმამადლიანო,
გამომწყვდეული ამ დახლართულ ბნელ გალიაში?..
ვინ იცის, იქნებ შენც შენატრი თავისუფლებას,
ვინ იცის, იქნებ შენც გულს გიკლავს კაცთა სიავე?
მაშ იჭიკჭიკე, უგალობე ისევ ოცნებას,—
ჩემო მალხაზო, და მეც სევდა გამინიავე.

„ნაკადული“, 1913 წ.

ნაზო ბუნებავ

ნაზო ბუნებავ, რა ლამაზი ხარ—
როს განთიადი შეფერავს ცისკარს,
ამომავალ მზის ნათელი სხივი
მყინვარს ჩაჰკოცნის, შეაკრთობს სისხამს.
მაშინ ვარსკვლავი ცის დასავალზე
თვალის წარმტაცად ციმციმებს, ქრება...
გონება ფიქრს შობს გრძნობათ ამშლელსა,
გულის ყვავილი ნელ-ნელ იშლება.
ნაზო ბუნებავ, შენი მშვენებით
რად ვერ სტკბებიან შენი მხილველნი?
შენს კალთებს შორის რად იღვრის ცრემლი,
რად არის მწარე სიცოცხლის დღენი?

ჟურ. „ნაკადული“, 1914 წ.

ცა მოიწმინდა

ჩვენს დიდ სამშობლოში რევოლუციამ გაიმარჯვა. პირველ დღესვე იბეჭდება ჩემი ლექსი „ნაკადულში“:

„...გამოიღვიძეთ, გენაცვათ,
ჩანგი ეღერს, ჩანგი წკრიალებს...
თავისუფლების სიმბოლო
სამშობლოს ცისქვეშ ფრიალებს...“

მე აღტაცებით შევხვდი დიდი ოქტომბრის რევოლუციას, რომელმაც ყველაფერი შეცვალა ჩვენს ცხოვრებაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე ჩემი გულიდან განიდევნა სევდა. აღარ ვხედავდი უპატრონო ბავშვებს ხელგაწვდილს ლუკმა პურისათვის. მე ვნახე, როგორ აგროვებდნენ ქუჩებში უმწეო ბავშვებს და მიჰყავდათ საბავშვო სახლებში. ვნახე, როგორ უვლიდნენ და ასწავლიდნენ მათ. მე მაშინვე დავბეჭდე მოთხრობა „საბავშვო სახლში“.

რევოლუციამდეც ვწერდი პატარა მოთხრობებს. ჩემი პირველი მოთხრობა „დედის საფლავი“ დაიბეჭდა 1915 წელს „ნაკადულში“. მოთხრობა „პატარა შეგობრები“ დაიბეჭდა აგრეთვე „ნაკადულში“ 1916 წ. ორივე მოთხრობა იმდროინდელ ცხოვრებიდან მაქვს აღებული.

* * *

ჩემო პატარა მეგობარო, შენ უკვე გესმის, რა არის კარგი და რა არის ცუდი. სწავლა, შრომა, სიხარული და სილამაზე არის დღეს ჩვენი ცხოვრების დედააზრი. მე თავს ვხრი სილამაზის წინაშე, რადგან სილამაზის სახით მე-

ჩვენება ზაფხულის მზით მოოქროვილი და აყვავებული ჩემი სამშობლო. მე მინდა შენც ჩემსავით განიცდიდე სამშობლოს სიყვარულს. ამიტომაც ჩემი ლექსები უმთავრესად გამოხატავს გაზაფხულს, ყვავილებს, ჩიტებს, ბერცხლებს, ყანებს და ბუნების სილამაზესთან ერთად შრომას და სამშობლოს სიყვარულს. „ჩვენი დიდი სამშობლოა საბჭოეთის ფართო კალთა...“ მე ასე გიმღეროდი შენ. „სადაც მზე ყველასათვის თანაბარია... სადაც შრომა სხივდანათოვ დროშად იქცა...“

ჩემო პატარა მეგობრებო,გისურვებთ, იყოთ კეთილშობილნი და ერთგულნი თქვენი მამულისა და თქვენი ბრწყინვალე სამშობლოსი. ეს წიგნი კი მიიღეთ ჩემგან, როგორც გულითადი „საჩსოვარი“.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ლექსები და პოემები

	გვ.
ჩვენი დროშა	5
ია	6
გაზაფხული	7
ია და ბავშვი	8
განთიადი	9
მერცხალი	10
განთიადზე	11
მოციმციმდა გაზაფხული	12
ჭიკ-ჭიკ, ჩემო მერცხლებო	13
გივის ჩიტი	14
დილა მტკვრის სანაპიროზე	16
რა ყვავილებია	17
გაზაფხული სოფლად	18
დღეს ესტუმრა სამშობლოს	19
8 მარტი	21
ჩემო პატარავ	22
დ რ ო შ ე ბ ი	23
მაისის დილა	24
მაისი	25
სიმღერა პირველ მაისზე	26
გამარჯვების მაისი	27
თეთრო პეპელა	28
შავი ზღვა	29
ჩამოდი ჩვენთან	30
ციცო პირველად ხედავს ზღვას	31
ქვიშხეთს	32
სალამი ჩემს დედიკოს	33
ქვიშხეთი	35
სიმღერა ყანაზე	36
ჩემო ყანავ	37
ღომის საკრეფად	38
რა კარგია შემოდგომა	39
შემოდგომა	40
ოქტომბრის სიმღერა	41
პატარა პიონერები	42
ჭეთოს მერცხალი	43
ბავშვი და ბილილა	44
საღამო ციტრუსებში	45
ზამთარი სოფელში	47
თ ო ვ ლ ი	48
თეთრად ბრწყინავს ყველაფერი	49
ნაძვის ხე	51
რა ლამაზი ხარ ნაძვის ხევ	52
სალამი ნაძვის ხეს	53
ვიგუნდაოთ	54
საჩხერის საბავშვო სახლის ბავშვებს	55
ჯერ პატარაა	56
თავისუფალი ბავშვი	57
ნანა, ლამაზო ნანა	58
ქართლის ველი	59
თინას ტურფა	60
ჩემი სუმბული	61
უქმად ხეტიალში	62
ბავშვები მთვარიან ღამეში	63
გოგონა კოლხიდის ბაღში	64
ცაცას წერილი სვანის გოგო ლამარასთან	65
შოთას ხეივანში	66
ძია შიო	68
გურამიშვილის საფლავზე	70
გოჩას ლურჯა	71
ფისოს თათზე ბრჭყალები აქვს	73
ლულუ მქვია	74
კურდღელი და ბავშვები	75
ხტუნია და პაწია	76
ჩვენი ნანა	77
ალერსი	78
ჩემო ციცუნა	79
ცუცას ძაღლი	80
ბრიყვი ყურწკაპუნა	81
თვითმფრინავი	83
ჩემი ბურთი	84
ნუნუს სათამაშოები	85
გამოიცანი	87
ნ ა ნ ა	88
მზია და ფისო (პოემა)	90
უმამოდ (პოემა)	94
გაზაფხულის სიხარული (სცენარი)	89

მოთხრობები და ზღაპრები

გიგა და მერცხალი 103
შემოდგომა ჩემს სოფელში 105
მოულოდნელი შეხვედრა 107
მაშინ არავინ არ დამიშლის 110
ხახული 112
სახსოვარი 115
ძვირფასი სახელი 117
კარგი ამხანაგი 118
პეპლები და დედოფლები 121
ჩემი კლასის დამრიგებელი 125
ჩინურ ფანხაში 129
ხარატის შვილი 132
ბუბა და ლელა 136
ვარდისფერი სახლი 164
სიხარული დაუბრუნდა 168
საბავშვო სახლში 175
შორეულ სადგურზე 177
ავთანდილის ახალი მეგობარი 183
პირველი ყვავილი 188
პატარა ამბავი 191
დედის საფლავი 201
ბუნების ბაღში 203
პატარა მეგობრები 206
მზეკაბუკი 217
ფარციკუკუ და ფარცადანა (იგავი) . . 226
ჩემი ცხოვრებიდან 233